თამაზ ფუტკარაძე
მიხეილ დიასამიძე

დიასამიძეები

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2021

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული საგვარეულოს – **დიასამიძეების ისტორიის მეცნიერული შესწავლის მცდელობაა.** იგი შეიცავს მეტად საინტერესო ცნობებს როგორც წმინდა მეცნიერული, ისე თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. მასში წარმოდგენილი ინფორმაცია სცილდება ერთ, რომელიმე კონკრეტულ რეგიონს და მოიცავს სრულიად საქართველოს.

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილია წერილობითი მასალები, საარქივო დოკუმენტები, საგვარეულოს ისტორიის, წარმომავლობის, განსახლების, ქვეყნის ისტორიაში შეტანილი წვლილის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მეორე ნაწილში კი მკითხველი გაეცნობა ზეპირ ისტორიებსა და მონაცემებს ამ გვარის გამორჩეული წარმომადგენლების შესახებ. დიასამიძეთა საგვარეულომ ხომ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიაში და დაიმკვიდრა საპატიო ადგილი სხვა წარჩინებული საგვარეულოების გვერდით.

ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად წიგნში ვერ მოხვდებოდა ყველა სახელოვანი ადამიანი. ეს ერთი მონოგრაფიის შესაძლებლობებს აღემატება. ამიტომ რედაქტორისა და სარედაქციო კოლეგიის მიერ შემუშავებული იქნა გარკვეული კრიტერიუმები (დამსახურებული მასწავლებელი, დამსახურებული ექიმი, მაღალი სამხედრო ჩინი, სამეცნიერო ცენზი და ა. შ.), რის მიხედვითაც მოხდა მათ შესახებ ინფორმაციების მოძიება. შესაძლოა ვინმე გამოგვრჩა კიდეც, შესაბამისად სრულყოფილად ვერ წარმოვადგინეთ გვარის ყველა ღირსეული წარმომადგენელი, რაც ძალიან გულდასაწყვეტია როგორც ავტორებისათვის, ისე მათთვის, ვინც ჩვენდა უნებურად გამოგვრჩა. აღნიშნულის გამო წინასწარ ვიხდით ბოდიშს. ამავე დროს მადლობას მოვახსენებთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელი შეუწყო ამ მონოგრაფიის გამოცემას.

წიგნი ეძღვნება დიასამიძეთა საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენლის **ბიჭიკო დიასამიძის ნათელ ხსოვნას.** საკითხის შესწავლის, დამუშავებისა და გამოცემის იდეაც მას ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ 1998 წლის 24 აპრილს, ქ. თბილისში, რესტორან „არაგვში“ სრულიად საქართველოს დიასამიძეთა საგვარეულო საზოგადოების პირველი ყრილობაზე **პროფ. ბ. დიასამიძემ გაახმოვანა საგვარეულო ისტორიის დაწერისა და გამოცემის აუცილებლობის საკითხი.** იმავე პერიოდში დაიწყო წიგნზე მუშაობა, მაგრამ მისი გამოცემა ვერ მოხერხდა წმ. ევდემოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობის შეფერხების გამო, რომლის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა ასახულიყო წინამდებარე ნაშრომში.

სამწუხაროდ ვერ მოესწრო იდეის ავტორი მონოგრაფიის გამოცემას. ამის შესახებ იგი დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა. 25 დეკემბერს ბატონ ბიჭოკოს 80 წელი შეუსრულდებოდა. საიუბილეო თარიღისათვის წიგნის გამოცემა არის კიდევ ერთი დაფასება იმ დიდი ადამიანისა, ვისი რედაქტორობითაც ეს ნაშრომი გამოიცა.

რედაქტორი	**ბიჭიკო დიასამიძე**
რეცენზენტები:	**ნანი ფუტკარაძე**
	ელზა ფუტკარაძე

წიგნი იბეჭდება დიასამიძეთა საგვარეულო
კავშირის ფინანსური მხარდაჭერით

© თ. ფუტკარაძე, მ. დიასამიძე, 2021

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-950-9

ნაწილი I

შესავალი

ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ისტორიული პროცესების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გვარ-სახელთა ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებას.

ქართული გვარ-სახელების შესახებ არსებობს ცალკეული გამოკვლევები (ი. ახუაშვილი, 1994. გ.ხორნაული, 1994; ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 1997, ზ.ჭუმბურიძე, 1992; რ.თოფჩაშვილი, 1997; თ.კომახიძე, 1996; რ.სურმანიძე, 2002; ი. მეგრელიძე, 1987), მაგრამ ბევრ გვარზე ცნობები გაბნეულია სხვადასხვა ნაშრომებსა და პუბლიკაციებში. მათი დიდი ნაწილი მიუწვდომელია მკითხველისათვის. ჩვენი ნაშრომი მიზნად არ ისახავს ამ ხარვეზის შევსებას. ჩვენი ამოცანაა განვიხილოთ ერთ-ერთი ძველი საგვარეულოს – დიასამიძეთა ისტორიის ცალკეული საკითხები, ამავე დროს თავს არ ვიზღუდავთ სხვა ავტორთა მიერ მოპოვებული მასალების წარმოჩენით და ვცდილობთ მკითხველს შევთავაზოთ საკუთარი დაკვირვებებიც.

გვარსახელების კვლევა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. იგი მკვლევარისაგან მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების მიღწევათა გამოყენების აუცილებლობას. ამ მიზეზების გამო აღნიშნულ სფეროში კვლევა-ძიების აშკარა დეფიციტია. არც ჩვენ გვაქვს დიასამიძეთა ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენის პრეტენზია, თუმცა ვცდილობთ შესაძლებისდაგვარად, არსებული მონაცემების მოშველიებით, განვიხილოთ ამ გვარის წარმომავლობის და ისტორიის ცალკეული საკითხები, ერის ისტორიის ფონზე წარმოვაჩინოთ დიასამიძეთა გვარის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების გზა, წერილობითი წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებული მასალებისა თუ ხალხური გადმო-

ცემების შეჯერებით მოგითხროთ ამ საგვარეულოს განვლილ გზაზე და ვაჩვენოთ მათი დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე.

ზოგადად, როდის წარმოიშვა ქართული გვარები? გვქონდა თუ არა ქართველებს გვარები ისტორიულ წარსულში თუ რუსებმა დაგვიწესეს იგი XIX ს. მეორე ნახევრიდან, როგორც ამას გ.ხორნაული ამტკიცებს? (გ.ხორნაული, 1994:82-83).

ქართული სინამდვილისათვის გვარსახელი დიდი სოციალური ერთეულის, რამდენიმე ათეული თუ ასეული ოჯახის სახელწოდებაა, რომლებიც თავიანთი გვარის წარმომავლობას ერთი პიროვნებიდან ანგარიშობენ და აქვთ საერთო თვითშეგნება ნათესაობის შესახებ (გ.ხორნაული, 1994:82-83).

ამ გვარსახელის, როგორც ოჯახზე დიდი, უფრო მსხვილი ნათესაური ერთობის მემკვიდრეობითი სახელწოდება და პირველყოფილი გვარი ერთი საერთო ნიშნით ხასიათდება. ორივე სოციალური უჯრედისათვის დამახასიათებელია გვარს შიგნით ქორწინების აკრძალვა (ეგზოგამია). რ. თოფჩიშვილის დასკვნით ეგზოგამიურობის შენარჩუნება იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენში მოხდა **ტრადიციული გადასვლა გვაროვნული გვარისა (род) გვიანდელ გვარში (поздныи род) და გვიანდელი გვარისა-გვარსახელში (фамиля)** (რ. თოფჩიშვილი, 1997:4-5).

მემკვიდრეობითი სახელის აღმნიშველი ტერმინები საკმაოდ დიდი ხნის წინათ გაჩნდა. ჯერ კიდევ ძვ.წ. 600 წლის შემდეგ ძველ რომში ერთწევრიანი ანთროპონიმული სისტემა შეიცვალა ორწევრიანით, რომელიც შედგებოდა ინდივიდუალური და მემკვიდრეობითი სახელისაგან. ძვ.წ. 300 წლის შემდეგ ძველ რომში ანთროპონიმული სისტემა სამწევრიანი ხდება. გვარის დანაყოფის ამ სახელებმა შემდგომში ახალ გვარებს ჩაუყარეს საფუძველი (რ. თოფჩიშვილი, 1997:8; Л. Винничук , 1988:187-191).

ქართული ანთროპონიმური სისტემა ბევრ რამეში წააგავს ძველი რომის ანთროპონიმულ მოდელს. ჩვენს სინამდვილეში გვარის დანაყოფის სახელის გაჩენას საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს. იგი ხშირად ფორმდებოდა, როგორც ახალი გვარსახელი. აღმოსავლეთ საქართველოს მთის (ფშავი, ხევსურეთი, ხევი,

გუდამაყარი და ა.შ.) მონაცემების მიხედვით პიროვნებას რამდენიმე სახელს არქმევდნენ, კერძოდ, სალოცავის (ჯვრის), რომელსაც დედა დაბადებისთანავე არქმევდა; სულის — არქმევდნენ დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ (წინაპრის ან გარდაცვლილი ნათესავის სახელი); მეტსახელი (თიკუნი) და ნათლობის სახელი (ზ. ჭუმბურიძე, 1992:37-40). ცნობილ ქართველ ეთნოგრაფს ს. მაკალათიას ხევსურეთში შეხვედრია პიროვნება, რომელსაც ხუთი სახელი ერქვა: კალენდრისა-პეტრე, სულისა-დავითი, ხატისა-გიორგი, რძლისა-ხირჩლა და ბიცოლასი-ბეწიკუა. * ზოგჯერ პატარძალს ეძლეოდა საპატიო უფლება, თავისი არჩეული სახელი დაერქმია მაზლისა თუ მაზლიშვილისათვის (ზ. ჭუმბურიძე, 1992:37). ასეთი ტრადიცია მსოფლიოს მრავალ ხალხში არსებობდა. იგი უცხო არ ყოფილა ქართული სინამდვილისათვისაც. დასვლეთ საქართველოშიც ფართოდაა გავრცელებული რამდენიმე სახელის დარქმევის ტრადიცია. დ. ბაქრაძის დაკვირვებით, გურიაში ადამიანს არქმევენ ორ სახელს – „ერთი ნათლობისა და ერთიც შერქმეული“ (დ. ბაქრაძე, 1987:128).

ოფიციალური **ქართული ანთროპონიმული მოდელი სამწევრიანია** (სახელი, გვარი, მამის სახელი). იგი არც რუსებისაგან შეგვითვისებია და არც ევროპელთაგან. არსებობს უამრავი დოკუმენტი და საბუთი, რომლებშიც პიროვნებები სახელით, მამის სახელითა და გვარითაა წარმოდგენილი. მაგალითად, IX საუკუნის საბუთში „დაწერილი ფავნელისა და მღვიმისადმი“ ფიქსირებულია გვარები: ფავნელი შულლიასძე და ტარიკასძე (ქართლი ისტორიული საბუთების კორპუსი 1984: 17-18). **ქართული საისტორიო საბუთების მიხედვით საქართველოს მკვიდრნი იყოფოდნენ ორ მთავარ ჯგუფად: „გუარიანებად“ და „უგუარიანად“** (ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 1997:10). ამ ნიშნის მიხედვით ხდებოდა სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობებზე დაწინაურება.

როგორც ჩანს**, „უგვაროთა“ ვინაობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა სახელი და მამის სახელი, ან სახელი და სადაურობის აღმნიშვნელი ეთნონიმი**. მაგ. მარკოზ აჭარელი, იოანე ზარზმელი, თევდორე ჯავახი და ა.შ. გამოიყენებოდა აგრეთვე **სახელისა და**

ხელობის აღმნიშვნელი ტერმინებიც: მაგ. პაპუნა ხაბაზი, ეპიფანე მჭედელი ... ოსმალების მიერ 1595 წ. ფისკალური მიზნით ჩატარებული აღწერის მასალებში სხვილისისა და პამაჯის (ამჟამად სომხური სოფლებია ახალციხის რაიონში) „უგვაროთა“ ვინაობა ასეა წარმოდგენილი: პაპუნა, გოგიჩა ანდრიას ძე, ილია ძმა მისი, ბეჟან აღდგომელა ძე მისი, მახარა წამალასძე, ლაშქარა და ა.შ. (ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 1997:10).

საისტორიო საბუთებით ირკვევა, რომ „გვარიანთა“ წარმოდგენა უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა სახელითა და გვარით. ამასთან, ყველა მოვალე იყო დაეცვა საგვარეულო ღირსება (ძვ. რომში გვარის შემარცხვენელის სახელს აღარავის არქმევდნენ. იკრძალებოდა მისი სახელის გამოყენება).

XII საუკუნის საბუთში „დაწერილი ჭიაბერისა მღვიმისადმი“ ვკითხულობთ: „...და შენთა ცრემლითა მიერ აღმშენებულთა უდაბნოსა მღუიმესა, და მუნ-შინა დამკუიდრებულთა მამათა და ძმათა ჟინოვნით მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იოვანე (რ.თოფჩიშვილი, ქართული ანთროპონიმული მოდელის შესახებ, ლიტერატურული საქართველო, №26, 1991 წ. 28 ივნისი, გვ. 96.), (ე. ი. ოქრაი, მახარაი, ბრაჯი და იოანე დავითის ძე მიხითარაიძეები).

1281-1282 წწ. დოკუმენტში „დაწერილი ნიკოლაოზ ქართლისა კათალიკოსისა არვანძეგ საბაისძისადმი“ გარკვევით წერია: „ჩუენ მოვედით და ყოველნივე საქონებელნი მცხეთისანი მოვიკლენით და შეუბანიც დავიჭირეთ და თქუენ მოხუედით და ღმთისწორთა სიგენლიც მოიხუენით სამამულოდ ბოძებულობისანი და შეუბანსა აბუსერეთ საერისთავოი და ბეგარა ზედა ხდებოდა და იგი მათგან გეყიდა, და გელათისა რავდენიმე ცუილი და ბეგარა ზედა სდებოდა, იგი მათგან გეყიდა. ესე ყუელაი წინაი დავიდევით და აღარ ეგებოდა ამისი შეცვალებაი, ამად, რომე დიდი წანაგები ჩანდა და მონასყიდიც იყვენით გელათისა და აბუსერეთაგან (ქართლი ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984:177-178). იმავე დოკუმენტში მოხსენებულია: ივანისძე, მახასძე, ობლისძე და ა.შ. (ქართლი ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984:177-178).

ზოგ ხალხს სახელის დარქმევის მეტად ორიგინალური ხერხი სცოდნიათ. ახალშობილს, როცა ის ტირის, ბებიაქალი ან ვინმე უფროსი ბავშვს ხელში აიყვანს და იწყებს სახელების ჩამოთვლას. რომელი სახელის წარმოთქმაზე შეჩერდა ბავშვი, იმ სახელს არქმევდნენ; ბურიატების ოჯახში თუ დიდხანს არ შეეძინეებათ ვაჟი (გოგონები იბადებიან), მაშინ გვიან დაბადებულ ბავშვსაც ქალის სახელს არქმევენ და პირიქით. ასეთი შემთხვევები მრავლად იყო ფეოდალურ საქართველოშიც (დავით სოსლანი, ლაშა-გიორგი და ა.შ.).

აჭარაში ბევრ ადამიანს დღესაც ორი სახელი ჰქვია – ოფიციალური და „ძველი“, „ჩვენებური“. ეს ტრადიცია გავრცელებულია აგრეთვე კათოლიკებშიც. მათ სწამთ, რომ რამდენიმე სახელიანი ადამიანის სულს ეშმაკი ვერ გამოიცნობს და ჯოჯოხეთში ვერ ჩააგდებსო.

ქართული გვარების სიძველეზე (ისტორიული საბუთების გარდა) მეტყველებს **დასახლების ტიპები, რომლებიც ჩამოყალიბდა საუკუნეების წინ და ასახვა ჰპოვა ტოპონომიკაში**. გვარსახელის მატარებელი ტოპონიმებით მოფენილი იყო მთელი საქართველო, მათ შორის მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილიც. აჭარის მთიანეთში ასეთი ტოპონიმებია: მეკეიძეები, ირემაძეები, სტეფანაშვილები, ხაბელაშვილები, კვიახიძეები, დარჩიძეები, ბესელაშვილები, ინწკირვეთი, ადაძეები, ლაბაიძეები, ვანაძეები, ბალაძეები, გეგელიძეები და მრავალი სხვა. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ქართული გვარები შეიცვალა თურქული „ოღლი“-ფორმანტით გაფორმებული გვარებით. ქართულმა გვარებმა მაშინ დაკარგა თავისი ფუნქცია, მაგრამ მისგან ნაწარმოები სოფლის სახელები, ტოპონიმები კვლავაც შემორჩა. 1886 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული აღწერის მასალებში და უფრო ადრინდელ წერილობით წყაროებში (ოსმალური, ქართული სულთა მატიანეები) ფიგურირებენ აღნიშნული და სხვა გვარებისაგან ნაწარმოები ტოპონიმები. ეს ფაქტი უტყუარი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ოსმალთა ბატონობამდე წარმოშობილა ზემოთ დასახელებული ტოპონიმები და შესაბამისად გვარებიც დიდი ხნის წარმოშობილი იყო. თავისი უფუნქციობის მი-

უხედავად (ოსმალების პერიოდში), დაპყრობილ მოსახლეობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ცოდნა შორეული წინაპრებისაგან წარმომავლობის შესახებ. ისლამიზაციის მიუხედავად, მკვიდრმა მოსახლეობამ მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) ძირძველი ტრადიციის გავლენით ბოლომდე შეინარჩუნა. ამ ფაქტისათვის ნ. მარსაც მიუქცევია ყურადღება. მისივე ცნობით დაბაწვრილში (სოფელი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) გვხვდება გვარები — გოპაძე და ხალაძე (Гопадзе и Халадзе). ადგილობრივნი თავიანთ თავს ქართული გვარებით არ მოიხსენებენ, მაგრამ როცა ჰკითხავთ, მაშინ გვეტყვიან ქართულ გვარსო (Н. Я. Марр,1911: 5, 25-26, 36).

ქართული გვარსახელების სიძველეზე მეტყველებს XII-XVII საუკუნეების პერიოდში დაწერილი მოსახსენებლების თავმოყრილი ნუსხა – „ტბეთის სულთა მატიანე“. ტბეთის საყდარის შემწირველნი კლარჯეთსა და აჭარაშიც იყვნენ. მასში დასახელებულია **348 ეთ, ძე, შვილ და ფხე სუფიქსიანი** გვარი: **ბეჩიეთი, გიორგაეთი, ცხადაეთი, სირაეთი, ვაცაეთი, მეფუტკრიეთი, ახალასძე, გათენასძე, გიორგასძე, დოლიძე, კაკალოსძე, ძნელასძე, წიქარისძე, დვალიშვილი, მიქაშვილი, გურაფსაფხე ბუთმანიმხე** და ა.შ. (ტბეთის სულთა მატიანე, 1977:33-35; რ.თოფჩიშვილი, 1977:52-53). უნდა ითქვას, რომ ფხე – სიფიქსითაა ფიქსირებული მხოლოდ ქალის გვარები. როგორც ჩანს, **თავდაპირველად შესაძლებელი იყო ქართველებს სუფიქსების მიხედვით განესხვავებინათ ქალისა და მამაკაცის გვარები** (ტბეთის სულთა მატიანე, 1977:33-35; რ.თოფჩიშვილი, 1977:52-53). ნიშანდობლივია, რომ მატიანეში დასახელებული გვარები დღესაც აგრძელებენ არსებობას, რაც გვარსახელების ძირძველი ქართული ტრადიციის კიდევ ერთი უტყარი საბუთია.

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომ **საქართველოში გვარი გაჩნდა VI საუკუნიდან** (ა.სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997:11). უფრო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი გვარების აბსოლუტური უმრავლესობა მომდინარეობს XIV-XV საუკუნეებიდან, თუმცა **ვახუშტი ბაგრატიონი ძველი ქართველი თავადების გვარებს VI-XV საუკუნეების ფარგლებში ათავსებდა**. უკვე

IX საუკუნეში ცნობილია დონაურების ფეოდალური საგვარეულო კახეთში, ბაღვაშთა საგვარეულო არგვეთში (მოგვიანებით კლდეკარის საერისთავოში), X-XI საუკუნეში დას. საქართველოს ფეოდალური საგვარეულოა მარუშიანები. ასევე ძველია გვარები: გრძელიძე (მოხსენიებულია 1028 წელს), ყანჩაველი (1030 წ.), დადიანი (1030 წ.), დვალი (1038 წ.) (ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 1997:12). და სხვა.

თანამედროვე მონაცემებით, საქართველოში ყველაზე გავრცელებულია ბერიძის (24797), კაპანაძის, გელაშვილის, მაისურაძის, გიორგაძის, კვარაცხელიას, ლომიძის, შენგელიას, წიკლაურის და ხუციშვილის გვარები (ა.სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997:12).

ქართულ გვარსახელებს შორის ერთ-ერთი **ძველია დიასამიძეთა გვარი** (რაოდენობის მიხედვით 25-ე ადგილზე) (ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 1997:74). რომლის ღირსეულმა წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ერთიანობის დაცვასა და შენარჩუნებაში.

ისტორიოგრაფია

დიასამიძეთა გვარის ისტორია მონოგრაფიულად შესწავლილი არაა, თუმცა ზოგიერთი საკითხისა თუ პიროვნებების შესახებ არის როგორც მეცნიერული გამოკვლევები, ისე მხატვრული ნაწარმოებებიც. დიასამიძეთა გვარის წარმომავლობას, ეტიმოლოგიასა და ისტორიას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა **ზ. კაცელაშვილმა. მისი გამოკვლევა „დიასამიძენი, საგვარეულოს წარმომავლობის საკითხისათვის“** (თბ. 1999) ბეჭდურად არ გამოცემულა. იგი გავრცელდა ხელნაბეჭდის სახით და ჩვენის აზრით, წარმოადგენს სერიოზულ ნამუშევარს, რომლის ძირითადი დებულებები სისრულითაა წარმოდგენილი ჩვენს ნაშრომში.

ურეხელი **ჯემალ დიასამიძის** ნაშრომი „დიასამიძეთა სავანე“-ც ასევე საინტერესო გამოკვლევაა. მასში მნიშვნელოვანი მონაცემებია დიასამიძეთა პირველსაცხოვრისის, განფენილობის, ისტორიის საკითხებისა თუ ცალკეული პიროვნებების შესახებ. ნაშრომში ასახვა ჰპოვა აღნიშნული საგვარეულოს თანამედროვე ისტორიის საკითხებმაც. მათ შესახებ სხვადასხვა სახის მონაცემები გაბნეულია ცალკეულ მონოგრაფიებსა თუ კრებულებში.

შუახეველ დიასამიძეთა ერთი შტოსა და მისი წარმომადგენლების შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობენ **რაჟდენ დიასამიძე („ჩემი ცხოვრების გზაზე“, ბათ., 2004) და თამაზ დიასამიძე (კვიახიძეები, ბათ. 2008),** ასევე დიასამიძეების მაღალმთიან აჭარაში საკუთრივ ჩანჩხალოში დამკვიდრებისა და განსახლების შესახებ საინტერესო მონაცემებს ვხვდებით **მიხეილ დიასამიძის ნაშრომში „ერთი შენაკადი“ (ბათ., 2011 წ.).**

საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2002 წელს გამოიცა უაღრესად საყურადღებო ნაშრომი **„წმინდა მოწამე კათალიკოს-პატრიარქი ევდემოზ I (დიასამიძე)“ (შემდგენლები დეკანოზი რევაზ ტომარაძე, პროფ. მანანა ჭირაქაძე, გიორგი დიასამიძე, თამარ ბუაჩიძე, მერი არაბული).** ნაშრომში ობიექტურადაა გაშუქებული როგორც ევ-

დემოზ I-ის მოღვაწეობის ამსახველი მონაცემები, ისე დიასამიძეთა გვარის ისტორიის ძირითადი საკითხებიც.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გამოიცა აგრეთვე **ზ. კაცელშვილის წიგნი „საქართველოს პირველი წამებული კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ევდემოზ II (დიასამიძე)“,** რომელშიც ავტორი მ. თამარაშვილის წიგნზე „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ – დაყრდნობით წმ. ევდემოზ კათალიკოსს მიიჩნევს ევდემოზ II-ს. არადა, ჯერ ერთი, ევდემონი, რომელსაც იგი ევდემოზ პირველად თვლის, გვარად ჩხეტიძეა (რ. მეტრეველი, 2010:176), მეორეც, ამ წიგნში მოტანილი ცნობებით, ზ. კაცელაშვილის მოსაზრება ისედაც არ დასტურდება. კერძოდ, ევდემონ I ჩხეტიძე (1558-1578 წწ.), რომელიც ზ. კაცელაშვილს ევდემოზ პირველ დისამიძედ მიაჩნია, საფლავის ეპიტაფიასა და გელათის მონასტრის ერთ ხელნაწერში აფხაზთა კათალიკოსადაა მოხსენიებული. ეპიტაფიის შემდგენთ ეცოდინებოდათ მისი ქართლის კათალიკოსობაც (ეს რომ ასე ყოფილიყო) და აუცილებლად ასახავდნენ ხსენებულ ეპიტაფიაში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ წმ. ევდემოზი უნდა მოვიხსენიოთ, როგორც ევდმოზ I.

ევდემოზ I-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება აგრეთვე იმავე ავტორის, ისტორიკოს **ზურაბ კაცელაშვილის სტატია „შეიპყრა მეფემან და ციხეში მოაშთობინა“** (გაზ. „თბილისი“, 1999 წ. 13 ივლისი) და პროფესორ **ბიჭიკო დისამიძის სტატია „საქართველოს ერთიანობისათვის წამებული კათალიკოსი“** (საქართველოს ისტორიის საკითხები X, ბათ., 2010).

არსებული დოკუმენტებისა და სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე საქართველოს პატრიარქების ქრონოლოგიური რიგი და მათი მოღვაწეობის ამსახველი მონაცემები საინტერესოდაა განხილული **როინ მეტრეველის რედაქტორობით გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები**“ (თბ., 2010 წ.) (ავტორები: ზ. ალექსიძე, ზ. აბაშიძე, ე. კაჭარავა, ქ. ნადირაძე, თ. ქორიძე) და **როინ მეტრეველისავე მონოგრაფიაში „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები“** (თბ., 2010 წ.). წიგნში საპა-

ტიო ადგილი უკავია დიასამიძეთა გვარის კათალიკოს-პატრიარქებს: ევდემოზ I-ს (1632-1642), იოანე X-ს (1688-1692; 1695-1790) და ევდემოზ II-ს (1700-1705). მათ შესახებ საყურადღებო მონაცემებს ვხვდებით **ბ. ლომინაძის ნაშრომში „მასალები საქართველოს XVI–XVIII საუკუნეთა ქრონოლოგიისათვის“** (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის თბ., 1951).

დიასამიძეთა საგვარეულო ისტორიის ცალკეული საკითხები საინტერესოდაა წარმოდგენილი **დარეჯან კლდიაშვილის სადოქტორო დისერტაციაში „ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები“** (თბ. 2005), რომელშიც ერთი პარაგრაფი ეძღვნება თისელის სვინაქსარის აღაპებისა და სიგელების ანალიზს. ავტორი ეხება პოლიტიკურ პროცესებში დიასამიძეთა აქტიურობას და წარმოგვიდგენს ამ საგვარეულოს გენიალოგიას XV–XVI საუკუნეებში.

ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა შორის დაუვიწყარია გიორგი სააკაძის მხარდამხარ მებრძოლი ელია და თანუნა დიასამიძეები. **მათ გმირობას ეხება იოსებ სააკაძის პოემა „დიდ მოურავიანი,“ რამაც ასახვა ჰპოვა გ. ჟუჟუნაშვილის სტატიაში „1625 წ. ასპინძის ბრძოლა“** (ასპინძა, სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, ახალციხე, 2000).

დიასამიძეთა სახლის და ზოგადად სამცხე საათაბაგოს თავადთა საგვარეულო საკითხებს ეხება პროფესორების: **რამაზ ხალვაშისა და ბიჭიკო დიასამიძის სტატიები (რ. ხალვაში, სამცხე-საათაბაგოს გვარები მე-16 საუკუნეში, კრ. „საისტორიო მაცნე“, XIII, ბათ., 2004; ბ. დიასამიძე, ერთი ოსმალური წყაროს შესახებ, „საისტორიო მაცნე“, XIII, ბათ 2004**).

უაღრესად მნიშვნელოვანია **გ. კობახიძის სტატია „მარად იბრწყინებს“** (გაზ. „თბილისი“ 20 და 28 აპრილი, 1990). მასში აღწერილია XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილი საზოგადო მოღვაწის დავით დიასამიძის კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობა, ნიკო დიასამიძის საბანკო მოღვაწეობა, მისი ურთიერთობა ივანე მაჩაბელთან, ილიასთან, აკაკისთან, გრ. დიასამიძის ღვაწლი ბეჭვდითი სიტყვისა და ქართული პრესის განვითარებაში და ა.შ.

მევლუდ დიასამიძის, თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით **დავით კლდიაშვილის ნაწერებში**. ავტორი მევლუდს ახასიათებს, როგორც უსამართლობის მსხვერპლს, რამაც აიძულა იგი ყაჩაღად გავარდნილიყო. ავტორის ინფორმაციით, მევლუდმა „შეადგინა ბრბო და მოსვენებას არ აძლევდა ადმინისტრაციას თავისი თამამი, გაბედული თარეშით“ (იხ. დ.კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე,“ 1952:152). სახალხო გმირი ობიექტურადაა შეფასებული აგრეთვე **აზიზ ახვლედიანის ნაშრომში „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება,“ ბათ., 1979).**

მევლუდ დიასამიძის შესახებ შეიქმნა მხატვრული ნაწარმოებიც. მხედველობაში გვაქვს **პარმენ ლორიას „მევლუდი,“ რომლის მიხედვითაც რეჟისორმა ნიკოლოზ სანიშვილმა გადაიღო მხატვრული ფილმი**.

2003 წელს თბილისში გამოიცა საინტერესო წიგნი **–„დავით დიასამიძე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი“ (შემდგენელი და გამომცემელი მიხეილ დიასმიძე),** რომელშიც საფუძვლიანადაა წარმოჩენილი თვალსაჩინო პიროვნების – დავით დიასამიძის ღვაწლი და დამსახურება.

დიასამიძეთა საგვარეულოს წარმომავლობის საკითხისათვის

დიასამიძეთა ფეოდალური საგვარეულო ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. **მ. ჯანაშვილის გამოკვლევით ჯერ კიდევ X საუკუნეში მოიხსენიება კეთილშობილი ვინმე მშვენიერ დიასამიძე** (გ. კობახიძე, 28 აპრილი, 1990).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით **დიასამიძეები მოხსენიებული არიან 1443 წლის დოკუმენტში** (ქსე, 3, 1978:503). ამ გვარის დამფუძნებლად ჩანს **დიასამი.** დიასამ - საგვარეულო სახელია, რომელიც დროდაჟამ შეახსენებს ხოლმე თითოეულ დიასამიძეს თავის წარმომავლობას.

გვარსახელ **„დიასამიძის“** წარმომავლობასთან დაკავშირებით უამრავი **ხალხური გადმოცემაა შემონახული.** ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ომში დაღუპულ დიასამიძეთა წინაპრის ქვრივს უმამოდ გაუზრდია სამი ვაჟი, ქვეყნის განსაცდელის ჟამს დედას სამივე ვაჟი გაუცილებია ბრძოლის ველზე. სამივე გმირული სიკვდილით დაეცა. მათ შთამომავლობას კი გაგვარებიათ „დიას“ (დედის) სამი ძეობა-დედის-დიას სამი ძე.

„დედას ჰყავდა სამი შვილი, სამი გმირი ძე,
მტერს მტრულად ერკინებოდნენ, უბნელებდნენ მზეს,
ერთხელ, როცა თავს დაესხათ, მტერი მძლეთა მძლე,
შვილებს დედაც მიეშველა, უფარავდა მკერდს.
დაიღუპნენ, მაგრამ მოსრეს, მტერიც სამიწე,
მათ შთამომავალს დაერქვა, დიას სამი ძე“

ამ გადმოცემის ერთ-ერთი ვარიაციული სახესხვაობა ჩავიწერეთ აჭარაში მცხოვრები დიასამიძეებისგანაც. ეს თქმულება გვარის წარმოშობას სამი ძის დაბადებას მიაწერს. იმერეთშიო, – გვამცნობს თქმულება, ბებიას დიას ეძახდნენ. ერთხელაც „დღეში მყოფი“ ქალის მოსამშობიარებლად ბებია ქალი (აჭარაში – ებე) მოუწვევიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ დიას (დიდედას//ბებიას) მშობიარე რძლის კივილი შემოესმა. მივარდა დიდედა კარებს და დაუძახა – „რა არის ბავშვიო“ (გოგო დაიბადა

თუ ვაჟიო). დია, სამი ძე დაიბადაო, უპასუხა ბებია ქალმა. მელოგინე ქალს თურმე სამი ვაჟი შეეძინა. დედა მშობიარობას გადაჰყოლია და სამი ძის აღზრდა დიას//დიდედას უკისრია.

რა თქმა უნდა, ეს სიუჟეტები თქმულებებია და გვარი „დიასამიძის“ გააზრება ხალხური ეტიმოლოგიითაა ახსნილი,* რასაც მეცნიერული საფუძველი შეიძლება არ ჰქონდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საგვარეულო ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. ჩვენი აზრითაც მისი ეტიმოლოგია **უკავშირდება საკუთარ სახელს დიასამ-ს.** როგორც ცნობილია, სახელი უფრო ადრინდელია, ვიდრე გვარი. პიროვნების ვინაობის დასაზუსტებლად სახელს დაემატა გვარიც, რაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების – სეხნიების გარჩევას. გვარებად თითქმის ყველა ხალხს გამოყენებული აქვს ხეობის, თანამდებობის, სადაურობის აღნიშვნელი სიტყვები, მაგრამ ყველაზე ხშირად გვარი ნაწარმოებია სახელისაგან. ასეთ შემთხვევაში აღებულია წინაპრის სახელი, ზოგჯერ მეტსახელი. ქალის სახელისაგან ნაწარმოები გვარები იშვიათია. ქართულ გვარებს მეტწილად ბოლოში ერთვის ძე ან შვილი. ასეთ შემთხვევაში გვარის პირველი ნაწილი წარმოდგენილი იყო ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. ძველ თხზულებებსა და დოკუმენტებში დაცულია ასეთი ფორმით ნაწარმოები გვარები: გოგინას შვილი, გიგოლას შვილი, სულხანას შვილი, ნეგულას შვილი, თათარას შვილი, თურმანის ძე, ქავთარას ძე, საბანის ძე, კარიჭის ძე და მრავალი სხვა. ასეთივე კანონზომიერებას უნდა ექვემდებარებოდეს გვარი დიასამიძე, ე.ი. დიასამის შვილი, მისი ძე. მოგვიანებით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „ს“ დაიკარგა და გვარმა მიიღო თანამედროვე სახე. ზ. კაცელაშვილი „დიასამიძის“ ეტიმოლოგიის პრობლემებზე მსჯე-

---

*ზ.კაცელაშვილი დიასამიძის ეტიმოლოგიას სხვაგვარადაც ხსნის: XIII-XIV სს.საქართველოში მონღოლები ბატონობდნენ. ამის გათვალისწინებით ავტორი დაწერილობის ამ ფორმას არაქართული ენის მოშველიებით ხსნის. მისი აზრით დიასამიძე უნდა წარმოვადგინოთ: დი(ა)-ას-ამი-ძე-ს სახით. „დია“-ნიშნავს ქალს, კუთხურ მეტყველებაში დედას, ამავე დროს ნიშნავს „დიადს“, დიდს; „ას“-თურქულად მოადგილეს; „ამი“-ხალხს. **დიასამიძე . ე.ი. დიდი ნაცვალი ხალხისა** (შინაარსობრივად „დიდი ერისთავი“ ან ერისთავთ-ერისთავი)“ (იხ. ზ.კაცელაშვილი, 1999:16).

ლობისას ხაზს უსვამს მონღოლთა ბატონობის საკითხებს და გვარის ეტიმოლოგიის ახსნას თურქული ენის მოშველიებით ცდილობს. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ გვხვდება ამ გვარის მოხსენიება უფრო ადრინდელ მასალებში?

ამჟამად დიასამიძეები განფენილნი არიან: აჭარაში, ქართლში, იმერეთში, სამცხეში და საქართველოს სხვა კუთხეებში.

დიასამიძეთა გვარის განსახლება საქართველოში



გავრცელებული შეხედულებით, მათი წინაპრები სამცხიდან განსახლებულან, თუმცა არსებობს განსხვავებული გადმოცემებიც.

თუ ყველასი არა, **დიასამიძეთა ზოგიერთი ოჯახის სამცხიდან აჭარაში გადმოსახლების აზრს მეცნიერული საფუძვლებიც გააჩნია**. ვახუშტის თქმით, „ხოლო კვალად მესხი ამილახორიშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქიშვილი **შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდან**“ (ვახუშტი, 1904:25). მათ ჩრდილო-აღმოსავლეთ სამცხეში ჰქონიათ სამკვიდრო. XV საუკუნეში მათი სამფლობელო ძირითადად აწყურითა და მის გარ-

შემო არსებული სოფლებით შემოისაზღვრებოდა. XVI საუკუნის დასაწყისიდან დიასამიძეებმა დაიკავეს აბუსერისძეთა მამული მტბევარის სამწყსოში (რომელიც თანამედროვე ზემო აჭარის ტერიტორიებსაც მოიცავდა) და ხურციძეთა მიწები ღობიეთ-წურწყაბლის სამწყსოში* (იხ. დ. ბაქრაძე, ქართული სამართლის ძეგლები, III).

ვახუშტი ბაგრატიონი სამცხის წარჩინებულ თავადებს შორის ასახელებს დიასამიძეებსაც. „ხოლო სამცხეს: ჯაყელი ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა: შალიკაშვილი, თავდგირიძე, დიასამიძე, ქობულისძე, გოგიბაშვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბატისშვილი, გოგიბაიშვილი, თუხარელი, ღაღანიძე და სხვანი, არღარა იწოდებიან გუარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 15-36). საგულისხმოა, რომ 1897 წ. რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერის მიხედვით შთამომავლობითი თავადაზნაურობის რაოდენობა მთელი ქართველი მოსახლეობის 5, 29 პროცენტს (70 ათასზე მეტ კაცს) შეადგენდა (ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 1997:10) და იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების მაჩვენებლებს ბევრად აღემატებოდა. ქალაქად მცხოვრები ყოველი მეცხრე ქართველი თავადაზნაურულ წოდებას ეკუთვნოდა (კავკასიაში მთელი თავადაზნაურული წოდების 41,5 პროცენტი ქართველი იყო, სადაც თავადაზნაურობა მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდა. ასევე მრავალრიცხოვანი იყო სასულიერო პირთა რაოდენობაც (29 ათასი კაცი ანუ მოსახლეობის 2,18 პროცენტი, მაშინ, როცა რუსეთის იმპერიაში იგი 0,47 პროცენტს არ აღემატებოდა) (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997:10).

1443 წლით დათარიღებულ შეწირულობის წიგნში მოიხსენიება **ვარამ დიასამიძე შვილებით-ავთანდილით და დიასამით**. ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ ვარამ დიასამიძეს კათალიკოს შიო

---

* დიასამიძეთა საგვარეულოს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ზ.კაცელაშვილმა (დიასამიძენი, საგვარეულოს წარმომავლობის საკითხისათვის). იგი არაა გამოცემული ბეჭდური სახით. ჩვენამდე მოაღწია ხელნაბეჭდმა. ჩვენ სრულყოფილად ვიყენებთ ზ.კაცელაშვილის დაკვირვებებს და მადლობას მოვახსენებთ ავტორს ხელნაბეჭდით სარგებლობისათვის.

I-ის (1441-1446) დროს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს „ყუიბისს გლეხი ფერიაშვილი მისი მამულით, ხოლო თისლის მონასტერს სააღაპედ ყუიბისს მცხოვრები ზურაბის ძე“ (ზ.კაცელაშვილი, 1999:7; კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, დოკ. 1449-1632). საგულისხმოა, რომ ვარამ დიასამიძე ფიქსირებულია ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებში (აღაპი 103). მასში ვკითხულობთ: ,,[თუესა დეკენბერსა ზ] ამავე დღეს წირვა და აღაპი და ლოცვა **დიასამიძისა ვარამისა** ასი მეტყალი ოქრო გამოეგზავნა **შეუნდვეს ღმერთმან“ (ელ. მეტრეველი, 1962:145). ეს დოკუმენტი თარიღდებოდა XV ს-ით. 1443 წ. შეწირულობის წიგნში დასახელებული ვარამ დიასამიძე** და **ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებში ფიქსირებული ვარამი დიასამიძე ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს**, ხოლო „ასი მეტყალი'' ოქროს გამოგზავნა შესაწირად, მის შეძლებულობაზე მიუთითებს. ე.ი. XV-XVI საუკუნეების შუახანებში **დიასამიძეები ფლობდნენ მამულებს ყუიბისსა და თისელში.** ეს ჩანს, ხახულის ოთხთავის მინაწერითაც. მასში მოხსენიებულ გვარებს (ისაკაძე, ბასილიშვილი) შორის დასახელებულია **შერმაზან დიასამიძე.** ზ. კაცელაშვილის აზრით იგი „ქართლის ცხოვრებაში“ XVI ს. I ნახევარში მოღვაწე შერმაზან დიასამიძე უნდა იყოს (ზ.კაცელაშვილი, 1999:7). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595) მიხედვით სოფელი თისელი შედის აწყურის რაიონის ახალციხის სადროშოში (ლივა). პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულია თისლის სვინაქსარის მინაწერი აღაპებისა და მოსახსენებლებისათვის. ამ დოკუმენტს პირველად ყურადღება მიაქცია მარი ბროსემ, რითაც მან დიდი საქმე გააკეთა და ხელმისაწვდომი გახადა მკითხველთა ფართო წრისათვის (**მ.ბროსე შეცდომით თვლიდა, რომ თისელის მონასტერი ოსეთში მდებარეობსო**). ამ მონასტრის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო **დ. ბაქრაძე თავის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში,“ რომლის მიხედვით თისელის მონასტერი მდებარეობს აწყურიდან 5-ვერსის დაშორებით, სამხრეთ–აღმოსავლეთით, სოფ. თისელში**. მოგვიანებით, ექვთიმე თაყაიშვილმა თისლის სვინაქსარი და მისი მინაწერები დაუკავშირა თისელის სამონასტრო კომ-

პლექსს. პარიზში ყოფნისას მან აღწერა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო სვინაქსარიც. ე. თაყაიშვილის აზრით, ხელნაწერისადმი ინტერესს ზრდის მასში მოხსენიებული სამცხის სხვადასხვა საგვარეულოების წარმომადგენელთა შესახებ ცნობები. მისივე აღნიშვნით, ხელნაწერის მერმინდელი ხელით შესრულებული **ერთ-ერთი მინაწერი თარიღდება 1446 წლით.**

თისელის სვინაქსარის მინაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ მონასტერი შეწირულობებს იღებდა ახლომდებარე სოფლებიდან, კერძოდ ტყემლუანადან (მდებარეობს ახალციხის რაიონის აწყურის სასოფლო საკრებულოში. ამჟამად ამ სოფელს ტყემლანას ეძახიან. ოსმალობის დროს სოფელი შედიოდა აწყურის ნაჰიეში), ქორდვადან, ასპინძიდან, გორიდან და ყვიბისიდან. ვარამ დიასამიძის სააღაპე შეწირულობა (XV საუკუნის I ნახევარი) გვაუწყებს: „დაიდვა აღაპი საუკუნოდ იანვარსა ზ. ჩვენივე პატრონისა... შემოვწირე მე, დიასამიძემან ვარამ ყუიბის ზურაბის ძე სააღაპედ ჩემსა მონასტერსა“ (M. Brosset, p. 107-123). ე.ი. **თისელის მონასტერი** თავისი ეკლესიითა და ეგვტერით **წარმოადგენდა დიასამიძეთა საგვარეულო მონასტერს** (აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი გადმოცემებიც). თისელის წყლის ზემო წელზე, მდინარის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი. იგი თარიღდება XIV-XV საუკუნეებით და წარმოადგენს დარბაზული ტიპის ეკლესიას, რომლის გალავანშემოვლებულ ეზოში შემორჩენილია სხვა ნაგებობათა ნაშთებიც. მთავარ ნავზე გამოხატულია ფრესკები ბერძნული წარწერებით. ეს მონასტერი სამცხელი დიასამიძეების საკუთრება იყო, რასაც ადასტურებს მონასტრის სვინაქსარი მისთვის შეწირული ყმაგლეხებისა და მამულების შესახებ. სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია მეორე ეკლესიის ნანგრევები. იგი გუმბათოვანი ეკლესიაა და XIV-XV სს-ით თარიღდება.

ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს იქვე ახლოს კლდის თავზე შემორჩენილი ციხის ნანგრევები. **უეჭველია, რომ ეს ციხე დიასამიძეების საგვარეულო რეზიდენციას წარმოადგენდა** და აკონტროლებდა იქ გამავალ გზებს.

თისელის მონასტერი 1443 წ. ვარამ დიასამიძეს მცხეთის ეკლესიისა და ქართლის კათალიკოს შიოსათვის ყვიბისში „საპატიჟოდა მიუცია:“ „ქ... ესე წიგნი... გკადრე (მცხეთას) და ქ(ართლსა) კ(კათალიკო)ზს შიოს ჩუენ, დიასამიძემან ვარამ და ჩემთა შვილთა ავთანდილ და დიასამ...მას ჟამს, ოდეს ეშმაკის ცდუნებითა ასეთი რამე სასჯელი წამეკიდა, რომე თქვენ გამიწყერით და საპატიჟოდ ყუიბის ერთი გლეხი მოვახსენე მისითა მამულითა...“ (სსცსა, ფ.1449, აღწ. ს. 1932; თ.ჟორჟოლიანი, 1897:254-255).

თისელის სვინაქსარისა და 1443 წლის შეწირულობის წიგნის ვარამ დიასამიძე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (დარეჯან კლდიაშვილი, 2005:199). ორივე შეწირულობა ყვიბისში, ბორჯომის ქვემოთ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა გადაცემული. ვარამს 1446 წ. 6 ნოემბერს გარდაცვლია მეუღლე – ნათია (დარე-

ჯან კლდიაშვილი, 2005:199). ნათია ივანეს ასულია. დარეჯან კლდიაშვილის აზრით, 1446 წ. გარდაცვლილი ნათია – ივანე ათაბაგის (1391–1444) ასული უნდა იყოს. სწორედ ამით ხსნის იგი დიასამიძეთა საგვარეულო მონასტერში ივანე ათაბაგის ასულის და ძის - ნათიას და ყვარყვარეს აღაპების გაჩენას. აქვე, ავტორი იძლევა XV ს. I ნახევრისა და XVI ს. I ნახევრის დიასამიძეთა გენეალოგიას. მართალია, გვარი „დიასამიძე“ პირველად 1443 წლით დათარიღებულ შეწირულობათა წიგნში მოიხსენიება, მაგრამ **რამდენადაც თისლის მონასტერი დიასამიძეებს ეკუთვნოდათ და მონასტრის აღაპები და მინაწერები პალეოგრაფიულად XIV საუკუნის I ნახევრით თარიღდება (იხ. დარეჯან კლდიაშვილი, 2005), ამდენად, ამ გვარის არსებობა მე-13 საუკუნის ბოლოდან მაინც არის სავარაუდებელი.**

სადიასამიძეოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ საინტერესო მონაცემებს იძლევა ერთ-ერთი თურქული დოკუმენტი, რომელიც შედგენილია 1530–იან წლებში. ამ დოკუმენტის მიხედვით: „ერთი კიდევ არის შერმაზანოღლუ (ე.ი. შერმაზან დიასამიძე, თ.ფ.). თავისი ნათესავებითა და ხელქვეითი პირებით ესეც მათი ტოლი და სწორია. მისი სამფლობელო ჯავახეთად წოდებული ადგილია... იქითკენ, აწყურად წოდებული ეკლესიის წინ ჩამდინარე წყალი საქართველოს (ე.ი. ქართლის) საზღვარია, რომელიც ვახტანგ მეფის ქვეყანა არის... თმოგვის ნაჰიეს უკან ჯავახეთის სახელით ცნობილი ერთი ოლქია, რომელიც ეშვება ყიზილბაშთა ქვეყნისაკენ. უამრავი ვაკე ადგილი აქვს და მინდორი. სოფლები მჭიდროდ დასახლებული. არტაანის მხარე გამორჩეული ადგილია საქართველოსი... აწყურის ეკლესიასთან რომ მიედინება და ეშვება, იმ მდინარის ზემოთ მდებარეობს სამცხის მთავარი ქალაქი ახალციხე (თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, 1983:29-30). ე.ი. **დიასამიძეები მამულებს ფლობენ ჯავახეთშიც.** ოსმალების მიერ სამცხე–საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ისინი განსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის ქართლშიც.

როგორც ვიცით, დიასამიძეებმა დაიკავეს ჯერ აბუსერისძეთა მამულები მტბევარის სამწყსოში, ხოლო შემდეგ ხურსიძეთა მიწები. 1516 წლის ერთ-ერთ საბუთში „კათალიკოსის სამწყსონი და თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში“, დიასამიძეები წარმოდგენილნი არიან, როგორც ჩამოყალიბებული დიდგვაროვანი თავადები, რომლებიც მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოში ფლობენ მიწებს, მონასტრებს, სასაფლაოს: „ღობიერნი, სასაფლაოთა და კარის ეკლესიითა დიასამიძეთა აქუს“ (ქართული სამართლის ძეგლები, III:243). **საკუთარი სასაფლაოს, მონასტრისა და კარის ეკლესიის ფლობა თავადობის უცილობელი ატრიბუტი იყო**.

„ქართლის ცხოვრებაში“ დიასამიძეთა წარმომავლობის შესახებ პრაქტიკულად არავითარი ცნობა არაა. ასევე უცნობია მათი აღზევების პირობები, მაშინ როცა მასში ზედგენიძეების, ფანასკერტელების და სხვათა განდიდების შესახებ უხვი მასალაა წარმოდგენილი (ი. ბაგრატიონი, 1997:19-23). ვახუშტი ბაგრატიონი დიასამიძეთა გვარის ცალკეული წარმომადგენლების განსახლებას ქართლსა თუ სხვა რეგიონებში უკავშირებს ოსმალთა მოძალებას მესხეთში: „მესხი ამილახორიშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდან“... (ქართლის ცხოვრება, 1973:34). ქართლში გადასახლებულმა დიასამიძეებმა ქართველი მეფისაგან წყალობით მიღებულ **სოფელ საქაშეთში (ყმებთან ერთად) დააფუძნეს საგვარეულო რეზიდენცია**. დიასამიძეები ამავე მიზეზით უნდა გადმოსახლებულიყვნენ აჭარაშიც, რადგან აჭარის მთიანეთში ოსმალთა ბატონობა ნომინალური იყო და იქ მკვიდრნი შედარებით უფრო თავისუფალნი იყვნენ, ვიდრე აჭარის ზღვისპირა ზოლში. ამასთან, ეს ტერიტორიები -XVI საუკუნის დასაწყისიდან მაინც – მათ საკუთრებაში ჩანს. XI–XII საუკუნეებიდან მოყოლებული აჭარის გამგებლობის საკითხები უშუალოდ უკავშირდება ტაო-კლარჯეთის და შავშეთ-არტაანის მმართველობის საკითხებს. **ასპარეზზე ჯერ ჩანან ფალელები (ეს გვარი აღარ გამრავლებულა), შემდეგ აბუსერიძეები, ჯაყელები და დიასამიძეები.** აბუსერიძეები ძირითადად მთავრებად და ეპისკოპოსებად, ეკ-

ლესიათა მშენებლებად გვევლინებიან* (მათ შორის აღიზარდა შესანიშნავი ასტრონომი ტბელ აბუსერის ძე). შ. ვარშანიძის მტკიცებით დიასამიძეები აჭარის მმართველებად, ჯაყელები კი ამირსპასალარებად გვევლინებიან (შ.ვარშანიძე, 1974:87).

ზ. კაცელაშვილის სამართლიანი შენიშვნით, ქართლის დიასამიძეები ყმების სიმრავლით არ გამოირჩეოდნენ. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა იოანე ბატონიშვილის ნაშრომისა და გეორგიევსკის ტრაქტატის მეცნიერული ანალიზი. ქართლში გადმოსვლისას მათ ერთი აზნაური ჩამოჰყოლიათ, მოგვიანებით კვლავ მოსვლიათ ორი აზნაური (ზ.კაცელაშვილი, 1999), თუმცა **ამ საგვარეულოს სამი წარმომადგენელი XVII საუკუნეში საქართველოში კათალიკოს-პატრიარქობამდე ამაღლდა, ხოლო ელენე დიასამიძე ქართლის მეფე ერეკლე I ნაზარალიხანის (1688-1703) დედა იყო.** როგორც ჩანს, დიასამიძეები ცდილობდნენ ქართლის სამეფო კართან დაახლოებას, ეძებდნენ პოლიტიკურ დასაყრდენს, მაგრამ მათი ფესვები და ასევე მოღვაწეობის უშუალო არეალი მაინც სამცხე-ჯავახეთი იყო.

მათ ასპინძის სანახებში ჰქონდათ ვრცელი მიწები, წლების მანძილზე სათავეში ედგნენ საათაბაგოს თავადაზნაურობას და დაუღალავად იბრძოდნენ სამშობლოს თავისთავადობისა და ეროვნული მთლიანობისათვის, ხოლო თურქთა მძლავრობის ხანს ისინი განსახლდნენ საქართველოს სხვა კუთხეებშიც და იქაც განაგრძეს ტრადიციული გზით სიარული.

არსებობს მოსაზრება, **რომლის მიხედვით დიასამიძეები წარმომავლობით ათაბაგთა საგვარეულოს უკავშირდებიან** (ზ.კაცელაშვილი, 1999:17). როგორც აღინიშნა, დიასამიძეებმა დაისა-

---

* XI ს. შუა ხანებში აშენდა სხალთის ეკლესია. დაახლოებით მაშინ უნდა იყოს აშენებული ცხმორისისა და დანდალოს ეკლესიებიც. ასევე ხიხანის, გულების, ზესოფლის, პირველი მაისის და სხვა ციხეები (რომელთა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია). დარჩიძეებთან მიწისქვეშა თავშესაფარიც ამ პერიოდშია გაკეთებული და ქვითკირით გამაგრებული, რომელიც IX-X სს. ბათუმ-არტანუჯის გზით მარეთის ხეობაში სამხრეთ საქართველოსაკენ მიმავალი მოქარავნეთა სადგომი და საქონლის სანახი უნდა ყოფილიყო. ციხეებს აჭარის ხეობები უფრო საიმედო თავშესაფრად უქცევიათ. ამიტომ ათაბაგები თუმცა ძირითადად ახალციხეში იყვნენ, მაგრამ ხშირად აჭარაში ცხოვრობდნენ.

კუთრეს აბუსერისძეთა და ხურსიძეთა მიწები. ამ ფაქტს არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, რადგანაც ისინი ათაბაგთა შთამომავალნი უნდა ყოფილიყვნენ. აღნიშნული მიწების მისაკუთრება ამ თვალსაზრისით ბუნებრივ მოვლენად უნდა იყოს აღქმული.

ათაბაგობა (თურქ. „ათა“-მამა, „ბეი“-მთავარი) საქართველოში XIII ს-დან მკვიდრდება. პირველად იგი 1212 წ. ებოძა ივანე მხაგრძელს, რომელსაც უნდა აღეზარდა ტახტის მემკვიდრე. ათაბაგები ხშირად ამირსპასალარების თანამდებობასაც ითავსებდნენ. XIII ს-ში მხარგრძელები ფლობენ იმ მიწებს, რომლებიც XV-XVI საუკუნეებში დიასამიძეთა საკუთრებაა (აწყური, ქობულეთის მხარე და ა.შ.) (ზ.კაცელაშვილი,1999:17). მხარგრძელებში — გაგელ მხარგრძელთა შტოში XIII-XIV საუკუნეებში გვხვდება ვარამ მხარგრძელი, 1443 წ. დოკუმენტში – ვარამ დიასამიძე. გაგელ მხარგრძელთა შტოს დამფუძნებელი არის ვარამი, რომელიც მონღოლთა ბატონობის დროს განაგებდა სომხითს. სწორედ ეს ვარამი აწარმოებდა მოლაპარაკებას მონღოლთა ყაენთან ულუ დავითის გამეფების თაობაზე. იგი მონაწილეობდა კოხტასთავის შეთქმულებაში. ვარამი თამარის დროინდელი სარდლის ზაქარიას შვილია. მას მეფემ სამემკვიდრეოდ უბოძა გაგი. სახელი ვარამი არაერთხელ მეორდება როგორც გაგელთა, ისე დიასამიძეთა გვარში. მოგვიანებით მეფე ლუარსაბმა შერმაზან დიასამიძეს დამსახურებისათვის მიუბოძა ლორე ბამბაკი (საისტორიო მოამბე: 1925:213-214), რომელსაც ადრე მხარგრძელები ფლობდნენ (საისტორიო მოამბე: 1925:18). ჰასან რუმლუსა და ისკენდერ მუნშის ცნობების მიხედვით ვახუშტისა და შერმაზანს ეკუთვნოდათ ტაშირის და თმოგვის ოლქები (ისკენდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969:59). კაცელაშვილის დასკვნით, ასეთი დამთხვევები შემთხვევითი არაა და ხაზს უსვამს **დიასამიძეების მხარგრძელებისაგან წარმომავლობას** (ზ. კაცელაშვილი, 1999:19). ამით ხსნის იგი იმ ფაქტს, რომ

დიასამიძეები ემოყვრებიან ბაგრატიონებს და იკავებენ უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებს.*

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, დიასამიძეთა მონათესავე გვარებს შორის **ვხვდებით დანდალიშვილებს**, რომლებიც XVI ს-ში **გვერდწითელებად იწოდებიან.** გვერდწითელების ძირი-ბუდე ყოფილა სოფელი გვერძინეთი, ხცისი ხაშურთან ახლოს. მათ ერთ-ერთ წინაპარს რომელიღაც ბრძოლაში თავი გამოუჩენია. იგი დაუჭრიათ, მაგრამ დაჭრილს (ცალი მხარე წითელი სისხლით ჰქონდა შეღებილი) სოფლამდე მაინც მიუტანია თავისი გამარჯვების ამბავი. გვერდწითლების გვარიც აქედან მოდისო, მოგვითხრობს თქმულება (ი.ახუაშვილი, 1997:11).

ს. ცაიშვილის აზრით, გვეძინა//გვერძინეთიდან ხცისში ჩამოსახლებულ გვერდწითელთა წინაპარს შესაძლოა გაგვარებოდა წარმომავლობის აღმნიშვნელი გვარი (გვერძინეთი//გვერძინელი//გვერძიელი//გვერძითელი//გვერდწითელი) (ს. ცაიშვილი, 5 თებერვალი, 1982). იოანე ბატონიშვილის ნაშრომში ამ საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „აზნაური დანდალისშვილი: ამათი წინაპრები იყვნენ მონათესავენი **დიასამიძისანი** და

* 1946 წლიდან სომხები გააფრთებით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მხარგრძელები წარმოშობით სომხები არიან. ამასთან, XII საუკუნის დიდი გარდაქმნები თურმე უცხო ჯარსა (და არა ქართულ) და მასთან თავშეფარებულ სომეხ ფეოდალებს ემყარებოდა. სომხურ ისტორიოგრაფიაში ნათქვამია: „დაჩრდილა რა მხარგრძელმა დავით სოსლანი თავისი მარჯვე და მოქნილი პოლიტიკით, შეძლო ქვეყნის მმართველი გამხდარიყო. თამარი მთლიანად აღმოჩნდა ყოვლისშემძლე ძმების-ზაქარია და ივანე დოლგორუკების (მხარგრძელების თ. ფ.) ძალაუფლების ქვეშ“(?!) საოცარია, რატომ ითარგმნა მხარგრძელი დოლგორუკად. მხარგრძელი სომხურად თარგმნეს, როგორც „ერკაინაბუზიკი,“ XVII ს. სომხური ტაძრის ხოვანანქის წარწერა ფარდას ხდის სიცრუეს მხარგრძელების სომხური წარმომავლობის შესახებ. ამ წარწერაში სიტყვა „მხარგრძელი დაწერილია სომხური ასოებით. თუ XIII ს-ში მხარგრძელები იყვნენ, ახლა რატომღა ითარგმნება „ერკაინაბაზუკად.“? (იხ. ეკა ლომიძე, ასეთ დროს დუმილი დანაშაულია, გაზ. კვირის პალიტრა, 15-21 მაისი, 2006). იმიტომ, რომ სურდათ ქართული კვალის მოსპობა, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. 1045 წლიდან სახელმწიფოებრიობის მოსპობამ ნიჰილიზმი წარმოქმნა მაშინდელ სომხურ საზოგადოებაში. იმჟამინდელი განმანათლებელი მხითარ გოში წერს, რომ „ამჟამად ჩვენ არც მეფე გვყავს და არც მთავარი... ყოფილი ხომ ჩვენს შორის აღარ არის, არც აწმყო გვაქვს, ხოლო მომავალში მისი ხილვა არ გვეღირსებაო.“ ამ მდგომარეობაში მათ მხოლოდ ქართველი მეფეები მფარველობდნენ.

მცხოვრებნი ახალციხეს აზნაურადვე მიღებულნი, რომელიც იყო მორდალად წოდებული დიასამიძის გვარისა ახალციხეს მოსახელე, მისი მახლობელი ნათესავი, გარნა გაუგვარდათ დანდალის შვილობა მიზეზითა ამით, რომელ ამათი პაპათთაგანი ეწყობოდა ჩანგლით ნადირობას თევზისასა (რომელ დანდალი ნიშნავს ჩანგალს) და ამის გამო უწოდეს დანდალისშვილობა ძეთა მისთა და მერე გაიგვარეს გვერდწითელობაცა. ოდეს ნადირობდა ვახტანგ მეფე თრიალეთსა, ერთმან ამათგანმან მოკლა ერთი ირემი და მეფემან იხილა შორით და ბრძანა, მომგვარეთ კაცი, რომელსა აქვს გვერდებზედ წითელი, რადგანაც ეკერა კაბის გვერდებზედ წითელი მაუდი და ოდეს მოვიდა მეფესთან, უბრძანა: ბარაქალა გვერდწითელოო და მუნიდგან ეწოდა გვერდწითელობაცა და არიან მოხსენიებულ ტრაქტატსა შინაცა დანდალის შვილებად“ (ი.ბაგრატიონი, 1997:84-85).

მაშასადამე, **ი. ბატონიშვილი დანდალიშვილ-გვერდწითელთა გვარის წარმოშობას აკავშირებს მეფე ვახტანგ V შაჰ-ნავაზთან** (1658-1675). თუ გადავხედავთ ისტორიულ დოკუმენტებს, ვნახავთ რომ ეს გვარი დაწერილობის ამ ფორმით გვხვდება სწორედ ვახტანგ V-ის ხანაში (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991:633).

მსგავსი ისტორია აქვს **დიასამიძე-მხარგრძელთა სხვა მონათესავე შტო-გვარებს.** იოანე ბატონიშვილი აზნაურ გეთანასაშვილების შესახებ წერს: „ამათნი წინაპარნი იყვნენ მონათესავენი შორიელნი მხარგრძელისანი და მოსახლენი ხაჩინის ადგილსა შინა. ამათთა პირველ წინაპართა ვახტანგიშვილს უწოდნენ. ხოლო უკანასკნელ ამათგანნი გათათრდა და ეწოდეს ასან, და მერე ხაჩინის მთავარმან რისხვით გამოაძო და უბრძანა გეთასან (რომელ არს თათრულებ, წარვედ ასან) და მერე მოვიდნენ სომხითს და ამათნი შვილნი კვლავ გაქრისტიანდნენ და განუგვარდათ გეთასანაშვილობა და არიან მუნიდგან ცნობილ აზნაურადვე და ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულ“ (ი.ბაგრატიონი, 1997:81; ზ.კაცელაშვილი, 1999:20). ეს ამბავი 1635 წელს, როსტომის მეფობის ხანაში მომხდარა. მართლაც, საისტორიო საბუთებში **გეთსანაშვილები** მოიხსენებიან არა უადრეს 1652 წლისა

(პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991:621; ზ.კაცელაშვილი, 1999:20).

იოანე ბაგრატიონის მიხედვით, **დიასამიძე-მხარგრძელთა მონათესავენი არიან თავადი ფალვენისშვილები,** რომელთა წინაპარი მონღოლთა შემოსვლის დროს აღუზრდია ოს თავადს, ფალვენად წოდებულ თაგაურს და „იწოდებიან ესე მხარგრძელნი ფალვენისშვილებად მუნ ჟამიდან წელს 1244-სა და აწ არიან სხვადასხვა სახლად განყოფილნი: 1) შიოშის შვილებად, 2) თეიმურაზის შვილებად, 3) ივანეს შვილებად, 4) იორამის შვილებად და კიდევ სხვათა და აქვნდათ პირველის შვილისა ხარისხი პირველისა სახით, სხვანი მეორისა და მესამისა ხარისხით“ (.ი.ბაგრატიონი, 1997: 25).

ე.ი. **დიასამიძეთა განაყოფია აზნაურ დანდლიშვილ-გვერწითელთა გვარი, ხოლო მონათესავენი კი თავადი ფალვენიშვილები და აზნაური გეთსანაშვილ-ვახტანგიშვილები** (ზ.კაცელაშვილი, 1999:.20). **ერთ-ერთი გადმოცემით სამცხიდან გადასახლებული აღაშვილების წინაპრებიც დიასამიძეები არიან** (რ.თოფჩიშვილი, 2005:8). დიასამიძეები არიან აგრეთვე **სამცხიდან (მუსხიდან) გადასახლებული მუსხელიშვილებიც**. დიასამიძეებად თვლიან თავს შავიშვილებისა და ბუბულაშვილების ნაწილიც (ჯ. დიასამიძე, 2013:14).

ხალხური გადმოცემებით, **დიასამიძეთა განაყოფი გვარია ბეჟანიძეებიც.** ეს ვერსია აისახა ზაქარია ჭიჭინაძის ნაწერებში, რომლის მიხედვით ზენდიდში (ქედის რაიონი) **მცხოვრები ბეჟანიძეების წინაპრები აჭარაში სამცხიდან გადმოსულან XVII ს-ში და „მოდი ნახეს“ (ზენდიდის) ციხეც მაშინ აუშენებიათ**. მათი **ძველი გვარი დიასამიძეა. „ამათ ძველებს ძველისძველად პირმსახურისძეთაც იტყოდნენ. პირმსახურათ ქართველებში თამარ მეფე იგულისხმება“.** მ.შ. ესენი „თამარ მეფის მხახურნიც ყოფილან და თავადობაც მის დროს მიულიათ“. ზ. ჭიჭინაძის თქმით სოფ. ზენდიდის გვერდით არის „ხევი, სადაც ქორიძეები და ბერიძეები ცხოვრობენ. ამ ხევში მოდის წყარო, რომელსაც ქართველი ქალები აბანოს ეძახიან. აქ სცხოვრობენ ძველ თავადიშვილთა შთამომავალნი პირმსახურისძენი“ (ზ. ჭიჭინაძე, 1911:54-55). მა-

თი ისლამთან დაკავშირება მიეწერება XVII ს. დამდეგს. ამ დროს ერთ მათგანს, რომელსაც ისლამი მიუღია, სახელათ ბეჟანი რქმევია. ამიტომ ოსმალთაგან ამათ დიასამიძეს მაგიერ ბეჟანოღლი სწოდებიათ, ოსმალურის სახელის „თულუმბა ზადეს“ დამატებით (ზ.ჭიჭინაძე, 1916:15). ე.ი. მსახურაძე (პირმსახურისძე, პირფარეშისძე) — დიასამიძეთა შვილმა ბეჟანმა შთამომავლობას გვარი მისი სახელიდან წარმოუქმნა.

საგულისხმოა, რომ ზ. ჭიჭინაძე ეყრდნობა ხალხურ გადმოცემებს. რესპოდენტი, ალბათ ასაკოვანი ადამიანების დროს ხალხში გავრცელებულ ამბავს მოუთხრობდა. მსგავსი გადმოცემები ქედის რაიონში, სოფ. ზენდიდში დღესაც ფართოდაა გავრცელებული. ჩვენს მიერ ზენდიდში 2002 წ. ზაფხულში 82 წლის ყუდრეთ ბეჟანიძის მიერ მოწოდებული მონაცემებით ბეჟანიძეთა უძველესი წარმომადგენელი იყო თულუმბაზადე,* რომელთა წინაპრები პირმსახურიძეებად მოიხსენებოდნენ. * იქაური გულესერ ბეჟანიძე (73 წლის) კი თავის თავს „ბეჟანიძე-თულუმბაზადეების“ შთამომავლად მიიჩნევს (თ. ფუტკარაძე, 2002). დღეისათვის ზენდიდში ბეჟანიძეთა ორი საგვარეულო შტოა. მათივე ინფორმაციით, ერთი შტოს წინაპრები ბეგები ყოფილან, მეორე შტოს წინაპრები კი აღები, თუმცა მშვენივრად იციან, რომ საერთო წინაპარი ჰყავდათ. **უხუცესი რესპონდენტები არ გამორიცხავენ დიასამიძეებისა და ბეჟანიძეების ნათესაობას**. ამჟამად, ბეჟანიძეები (რომლებიც ზენდიდიდან განსახლდნენ) ცხოვრობენ ქობულეთსა და ჩაქვში, რომელთა წინაპრები ა.ფრენკელის ცნობით საკმაოდ დაწინაურებულან ოსმალთა მმართველობის პირობებში (А.Френкел, 1879:14-15). **სწორედ მათი შთამომავლები იყვნენ ხუსეინ და ხასან ბეჟანიძეები, რომლებიც თბილისში მიიწვიეს 1878 წ. ნოემბრის ცნობილი შეხვედრის დროს**. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ავტორი ბეჟანიძეების საკუთრებად მიიჩნევდა

---

*პროფ. ჯ.ბერიძის ინფორმაციით, XIX ს. დასაწყისში ბეჟანიძეთა გვარის ერთი ცნობილი წარმომადგენელი თავისი შესახედაობის გამო ზედწოდებად თულუმბას ატარებდა (იხ. ბ.დიასამიძე, 2004:103).

**მსახურაძის გვარი დღეს გვხვდება ჭვანის ხეობაში (შუახევი), ბეჟანიძეები კი ქედაში, ხელვაჩაურში, ქობულეთში, ბათუმში.

ბათუმში არსებულ თამარის ციხეს (ჟან მურიე, 1962:8; დ. ბაქრაძე, 1987:27-28).

„ქართლის ცხოვრებაში“ ბეჟანიძეთა გვარი არ გვხვდება, თუმცა ერთხელაა მოხსენიებული საკუთარი სახელი ბეჟანი — გიორგი სააკაძის მხლებლის გორგასლის შვილი. ამ წყაროს მიხედვით, როცა გიორგი სააკაძეს ოსმალებმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, გორგასალმა მოისყიდა ჯალათი და საკუთარი შვილის — ბეჟანის ნაცვლად თავი თვითონ დაასჯევინა (იხ. ბერი ეგნატაშვილი, 1959).

დავუბრუნდეთ ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებს. როგორც ითქვა, იგი პირფარეშისძეებს პირმსახურისძეებადაც მოიხსენიებს. **ჩანს, რომ პირმსახურისძეთა (ოსმალობის დროს პირმსახუროლლები) ერთი ჯგუფი ჭვანის ხეობაში დამკვიდრდა, რომელთა შთამომავლები ამჟამად მსახურაძეების გვარით ცხოვრობენ გომარდულში, ჭალაში, ვარჯანაულსა და ბარათაულში.** არ არის გამორიცხული, რომ მათი წინაპრები უფრო ადრე დამკვიდრდნენ ჭვანის ხეობაში, ვიდრე ზენდიდში, თუმცა გადაჭრით ამის თქმა არ შეგვიძლია სათანადო წყაროების არარსებობის გამო. მათი ნამრავლი სახლობენ აგრეთვე ხელვაჩაურსა და ბათუმში. ნიშანდობლივია, რომ ისინი დღესაც ნათესაობენ ზენდიდელ ბეჟანიძეებთან.

ამ საკითხთან დაკავშირებით და სტამბულის არქივში ზაზა შაშიკაძის მიერ მოძიებული მასალის საფუძველზე გამოქვეყნდა ბ. დიასამიძის სტატია (ბ. დიასამიძე, 2004). ავტორი ზემოთდასახელებულ ხალხურ გადმოცემას ჭეშმარიტების ანარეკლად მიიჩნევს, რადგან მასში მოთხრობილი ამბავი და სტამბულის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტური მასალები ერთმანეთს ემთხვევა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა (იხ. Hd-1305; Hd-2370; Hd-8479; Hd-10366; Hd-8802; Hd-2770, Hd-9380; Hd-2124; Hd-10381; Hd-8038; Hd-1534; Hd-14433; Ad-349; Ad-1700; Ad-91; Sd-495...) და ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებში, ძველი სიგელ-გუჯარებისა და დედნების, ასევე პირთა კოლექციებში (იხ. ფ. 1448, აღწ. 1.ს. 130,

254, 5197, 3602, 6007, 68-69, 6896, 8800, 767; ფ.1449- 785, ფ. 1449, 785, ფ. 1450, 9/125, 33/355; 33/201, 46/8; ფ. 1461; 3/130) დაცულია დოკუმენტები დიასამიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა შესახებ, რომელიც აისახა პირთა ანოტირებულ ლექსიკონში (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993:77-80). მკითხველს ვთავაზობთ ამ დოკუმენტის ნუსხას:

1. დიასამიძე ავთანდილი, რომელსაც უყიდია ზაქუმბეგ ალიყულიშვილისაგან ქვემო ბოლნისის გლეხები: დოვლათაშვილი, თურვანდაშვილი, ამირაზაშვილი, წატურა და ზაზაშვილი მათი მამულებით (XVII ს. II ნახევარი).
2. დიასამიძე დიასამ, 1667-1697 წწ. ჰყოლია-ძმა კაცია, ძმისწული იასე. მიუყიდია ზურაბ ლარაძისათვის შაჰ-ნავაზ მეფისაგან ნაწყალობევი, ადრე ზურაბ და ასიტა ლარაძეებს კუთვნილი მამული (1667 წ.), მასვე მამული ეგრისი, რომელიც ადრე ეკუთვნოდა ზურაბ ლარაძის გარდაცვლილ ძმას, ასიტას და დიასამიძეებს მეფისაგან ჰქონდათ ნაწყალობევი, სამამულე დავა გარიგდა ნაზარალიხანის ბრძანებით ლამექისშვილ გიორგისა და მის ბიძაშვილ გიორგის შორის, ლევან ბატონიშვილის ბრძანებით, დომენტისა და ზაქარია თურმანიძის დავა ვალის თაობაზე (1682 წ. Hd-8479); მოწმე: იასე ხერხეულიძის მიერ პაპუნა მერმანოზისშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. Hd-10366); იასე ბარათაშვილის მიერ მეჯინიბეთუხუცეს პაატა ბარათაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (დ-8802); დათუნა დედანიშვილის მიერ აშოთან მიცემული (მუხრანის ბატონისათვის) მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680წ.), მოწმე და დამწერი მელიქიშვილი ლევან ბეგის ალავერდასათვის მიცემული მიწის ნასყიდობისა წიგნისა (1695 წ.), გუგუნა ქავთარისშვილის

მიერ იასესათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. Hd-2770).

3. დიასამიძე ედიშერ –ძმა იასე დიასამიძისა.
4. დიასამიძე ავთანდილ –მოწმე კათალიკოს იოანე დიასამიძის მიერ სახლთუხუცეს რავაზ მაღალაძისათვის მიცემული ყმა-მამულების წყალობის წიგნისა (1692).
5. დიასამიძე ავთანდილ –შვილი ვარამ დიასამიძისა;
6. დიასამიძე ბიძინა–ავთანდილ დიასამიძის სახლიკაცი, მოწმე ფარსადან ჯავახიშვილის მიერ იაგულანთ გასპარისათვის მიცემული ვალის წიგნისა (1682).
7. დიასამიძე ევდემოზ კათალიკოსი;
8. დიასამიძე ევდემოზ –1690-1700 წწ. ბოდბელი, მისი თხოვნით ნაზარალიხანმა დაუმტკიცა ბოდბის წმინდა ნინოს ყმა-მამულის შეწირულებანი (1688-1703), ხელი ჩაურთო კათალიკოს იოანე დიასამიძის საბუთს, რომლის თანახმად, გარეჯის წინამძღვრად დაინიშნა ონოფრე მაჭუტაძე (1690). მისი ეპისკოპოსების დროს ნაზარალი ხანმა ბოდბის წმინდა ნინოს ეკლესიას განუახლა ქიზიყში ყმა-მამულისა და საბოდბელი გამოსაღების შეწირულობა (1700 წ.).
9. დიასამიძე ელენე–დედოფალი.
10. დიასამიძე ელია –ლუარსაბ დიასამიძის ძმა.
11. დიასამიძე ელისბარ–შედიოდა ამილახორის სადროშოში (1606-1648 წწ).
12. დიასამიძე ვარამ–ჰყავს შვილები, ავთანდილ და დიასამ (1443 წ.) შესწირა: სვეტიცხოვლის–შიოს კათალიკოსობის დროს „საპატიჟოდ“ ყუიბისს გლეხი ფერიაშვილი მისი მამულით (1443); თისლის მონასტერს–სააღაპედ ყუბისს მცხოვრები ზურაბის ძე.
13. დიასამიძე ვარამ–ესწრებოდა ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილების მამულების გაყოფას;
14. დისამიძე ვარამ–ლუარსაფ დიასამიძისა;
15. დიასამიძე იასე–ძმისწული დიასამ დიასამიძისა;

16. დიასამიძე იასე–ჰყავს: მამა სეხნია, ძმა ედიშერ. მიჰ-ყიდა პაატა ძემ და ავთანდილ მაჩაბლებს ქვემო ნი-ქოზს ერთი კომლი — ბერი ოქრუაშვილი ცოლ-შვი-ლით, მამულით, სასაფლაოთი და სახლ-კარით, ბატი-აშვილისა და ჭილიკაძის საზღვრამდე. მაჩაბლებსვე მიჰყიდა ნაფუძარი და ბაღი საბოსტნისა და კადო-საბძლით, აგრეთვე ვენახი ოქრუაშვილისავე ვენახამ-დე და ჭილიკაშვილის ნაფუძრამდე და ქვემო ნიქო-ზის ბოლოს მდებარე მინდვრის მიწა (1700); მოწმე რამაზ მანელასშვილის მიერ შერმაზან ჯავახიშვილი-სათვის მიცემული ბათილამასი (1687-1700).
17. დიასამიძე იოანე–ქართლის კათალიკოსი;
18. დისამიძე კაცია–1626-1679 წწ. ზემო ნიქოზს მცხოვ-რები, ჰყავს ძმები: დიას დიასამიძე, შერმაზან და ყუ-დანა. მიჰყიდა ზებედე ნიქოზელსა და მის ძმას, იო-რამ ნამორაძეს, ზემო ნიქოზში ბიძინასეული საბაგე საბუდარის შესახებ. ეს დავა გაარჩიეს მდივანბეგმა როინ ჯავახიშვილმა, მდივნებმა: ავთანდილ მერტი-როზისშვილმა და ბირთველ თუმანიშვილმა. იგი გა-დაწყდა იორამ მჭედლიშვილის სასარგებლოდ (1638-1639 წწ.). მოწმე ზაალ ბარათაშვილს მიერ პაატა ბა-რათაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ.).
19. დიასამიძე ლუარსაფ–ჰყავს მამა ვარამ, ძმა ელია — დააწერა (თისლის მონასტერში) თავისი მამის ვარა-მის სახელზე აღაპი, რისთვისაც ასპინძას შესწირა მამული;
20. დიასამიძე ლიარსაბ–ბოქაულთუხუცესი, მოწმე კათა-ლიკოს ევდიმოზის მიერ ხუცია მაღალაძისათვის მი-ცემული სოფლის წყალობის წიგნისა (1634 წ.);
21. დიასამიძე ლუარსაბ–ტყვიაში ეკუთვნოდა: ბერი მა-რუჩასშვილი, გარსია ტაიჯასსვილი, მისი განაყარი

დემეტრა ყურთისაშვილი, მისი განაყარი თევდორა და გოგია, სონღულა სონღულისშვილი (1700 წ.)

22. დიასამიძენი სამცხე–საათაბაგოს თავადთა სიის მიხედვით, მათ დაუკავებიათ ღობიერთა სამკვიდრებელი. ისინი სასაფლაოთი, მონასტრით და კარის ეკლესიით შედიოდნენ მცხეთის საკათალიკოსო სამწყოსში (1516);
23. დიასამიძე რევაზ–თეიმურაზ მეფე ჩასულა მცხეთას და როსტომ მეფისათვის შაჰთან შუამავლობა ითხოვია. როსტომი შეჰპირდა მას დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ თეიმურაზი თავის შვილს–დავითს ყაენთან გააგზავნიდა და თან რევაზის ქალს „გუერც აახლებდა (1648);
24. დიასამიძე სეხნია–1652-1700 წწ. ძმისწული ყუდანა დიასამიძისა;
25. დიასამიძე ფრიდონ–ყოფილი ფილიპე გარდაცვლილა 1518 წ. 28 ნოემბერს. ამ დროს მისმა სახლიკაცმა შერმაზან დიასამიძემ ჭაბუკასძეებს (თისლის მონასტერში) დაავალა კარგაღებული აჭაპის გადახდა სამოცი ჩაფი ღვინით (1518 წ.)
26. დიასამიძე ღოღენა–მოწმე როსაბ და ზაალ ამირეჯიბების მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მამულის საზღვრებზე უცილობის შესახებ მიცემული პირობის წიგნისა (1667 წ.).
27. დიასამიძე ყუდანა–1626-1652 წწ. ჰყავს: ძმა კაცია დიასამიძე. მისი ნებართვით, მჭედელმა დათუნა მილხინაშვილმა ოთარ ტატიშვილს მიჰყიდა კოჭალათ მიწა (1652);
28. დიასამიძე შერმაზან–პატრონი, (ფრიდონ ყოფილი ფილიპე დიასამიძისა;
29. დიასამიძე შერმაზან–თანამეცხედრე ანასი, მამა დედოფალ თამარყოფილი ქრისტინესი;
30. დიასამიძე შერმაზან–ძმა კაცია დიასამიძისა.

ამრიგად, დიასამიძეები ერთ-ერთი უძველესი გვარია საქართველოში. **მათ შესახებ ცნობები თუ გადმოცემები სათავეს იღებს ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან მაინც**. გვარის **დამფუძნებლად ჩანს, „დიასამი“**, რომელიც შემდეგ გაგვარდა და იქცა საგვარეულო სახელად. მათ პირველსამკვიდრო ტერიტორიას სამცხე წარმოადგენდა, საიდანაც მოხდა მათი განსახლება აჭარაში, იმერეთში, ქართლში, კახეთში და საქართველოს სხვა მხარეებში. არსებობს ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც დიასამიძეთა ნაწილი იმერეთში აჭარის **გულებიდან** გადასახლებულან. „რაღაც მიზეზით ჩადენილი მკვლელობის გამო გულებელ დიასამიძეთა ორი ძმა გადაიხვეწა ვანის რაიონის სოფ. გაღმა ვანში, რომელთა ნამრავლია დღეს იქ მცხოვრებ დიასამიძეთა 100-ზე მეტი ოჯახი “ (ჯ. დიასამიძე, რვ. 11:61). შესაძლოა ეს მიგრაცია ოსმალთა ბატონობის გამკაცრებას – თანზიმათს უკავშირდებოდეს. ამჟამად დიასამიძეთა სამკვიდრო გაღმა ვანში 50-მდე ოჯახია, რომელთაგან მხოლოდ ოთხი ოჯახია სხვა საგვარეულოს წარმომადგენელი. იმერეთში დიასამიძეთა აჭარიდან მიგრაციის ვერსიას ამყარებს ბათუმელი თ. ლოლაძის მონათხრობი, რომელიც იმოწმებს ერთ-ერთი გაღმა ვანელი დიასამიძის ინფორმაციას გულებიდან მათი წინაპრების იმერეთში ჩასახლების შესახებ (ჯ. დიასამიძე, ი. დიასამიძე, 2013:58). ამ ვერსიას ადასტურებენ იქ მცხოვრები სხვა დიასამიძეებიც.

გულები მდებარეობს მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 450 მ-ის სიმაღლეზე, დაბა ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სოფელი მდიდარია სასმელი და ალერგიის, მხედველობის, კუჭის სამკურნალო გოგირდოვანი წყლებით, ე.წ. „აბანოებით“. აღნიშნულის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე: „რკინისა და საზოგადოდ მადნეული წყლები აქეთკენ ხშირია, მაგრამ მათი თვისება ჯერ თითქმის არავის გამოუკვლევია, თორემ ადვილი შესაძლებელია, ეს უსასყიდლო ბუნების სიმდიდრე ადგილობრივ მკვიდრთათვის ცხოვრების თვალსაჩინო წყაროდ შეიქმნეს“ (ჯ. დიასამიძე, ი. დიასამიძე, 2013:29-30).

გადმოცემით გულებში პირველი დასახლება მე-16 ს. 80-იან წლებში გაჩენილა (ჯ. დიასამიძე, ი. დიასამიძე, 2013:30). მაშინ,

იქ უკვე აშენებული ყოფილა **საწუმპიას ციხე.** იმ დროისათვის გულების მეზობლად, ზენდიდში მცხოვრებ დიასამიძეებს შორის ყოფილა **ელია დიასამიძეც.** მას ჰყოლია სამი შვილი: იოსეფა, დავითი და ომარი.

ერთხელ უფროსი ძმა – იოსეფა სანადიროდ გასულა და შველი მოუკლავს. მოწონებია ეს ადგილები, საიდანაც მთელი ხეობა ხელისგულივით მოჩანდა და მშობლებისათვის იქ დასახლება მოუთხოვია. ადგილის სანახავად შვილთან ერთად წასულ მამას აღტაცება ვერ დაუმალავს და უთქვამს: „ადგილი კარგია, გულივით მრგვალი და ამობურცულია“ და შეიძლება აქ დასახლებაო. იოსიფა დასახლებულა იმ ადგილას, დაქორწინებულა და ექვსი ვაჟი შეძენია: ოთანა, თიარბი, დავრიში, თურმანი, დავითი და ომარი. მამას თავისი მამული ექვსად გაუყია. აქაურობა დღესაც ექვს უბნადაა გაყოფილი: ქვითკირი, ველა, კალაიჯინა, კატნარი ქედი, ზედა და ქვედა უბნები.

იოსეფას ძმები დავითი და ომარი ზენდიდში დარჩენილან. იოსეფას ძმის – დავრიშის ერთი შვილი რაღაც ინციდენტის გამო ყირიმში გადახვეწილა. მას დაუტოვებია ფეხმძიმე ცოლი, რომელსაც შეძენია ვაჟი ალიჯანი. გადმოცემით, გულები ალიჯანის ნამრავლით დაფუძნებულა (ჯ. დიასამიძე, ი. დიასამიძე, 2013:31).

სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს სხვა ვერსიაც. იგი იქ მაცხოვრებლების „გულიანობას“, ვაჟკაცობასა და შეუპოვრობას უკავშირდება. განსხვავებული ვერსიით კი იქაურებს დამპყრობი ოსმალო ასკერებისთვის გულები ამოუჭრიათ და საწუმპიას ციხის ქონგურებზე წამოუცმიათ.

გულებლები სოფლის სახელთან დაკავშირებით სხვა ვერსიასაც გვთავაზობენ. მათი გადმოცემით სოფელში პირველად გულით ავადმყოფი ადამიანი დასახლებულა. წიწვოვანი მცენარეებით დაფარული სოფლის გარემოს მასზე გამაჯანსაღებლად უმოქმედია და განკურნებულა.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში 9620 დიასამიძეა (4735 კაცი, 4885 ქალი) (ihtpass.sda.gov.ge).

სოფელი გულები

დიასამიძეთა ნაწილი ცხოვრობს აჭარაში (ექვსი ათასზე მეტი). საკუთრივ, **ხულოს რაიონში** (გელაძეები, აგარა), **ქედის რაიონში** (მახუნცეთი, ჭინკაძეები, საღორეთი, აქუცა, ზენდიდი, ორცვა, დაბა ქედა, გულები, ვაიო, სირაბიძეები, ვარჯანისი, სიხალიძეები, გარეტყე, გუნდაური (ქედის), გეგელიძეები, ახო, ჩეტკიძეები, დანდალო, ხარაულა, გოგიაშვილები, ჯალაბაშვილები; **ხელვაჩაურის რაიონში** (მახო, კირნათი, მარადიდი, თხილნარი, ჭარნალი, სიმონეთი, გონიო, ახალისოფელი, შარაბიძეები, მირვეთი, კახაბერი, მახინჯაური, ახალშენი, სალიბაური, ურეხი, ფერია, კაპრეშუმი, ყოროლისთავი, მასაურა, წინსვლა, ორთაბათუმი); **ქობულეთის რაიონში** (ქაქუთი, ლეღვა, სოფელი ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ციხისძირი, ბობოყვათი, ხალა, ჩაქვი, აჭყვა, სახალვაშო, ქვ. ულიანოვკა), **შუახევის რაიონში** (დაბაძველი, ბესელაშვილები, დაბა შუახევი, ნიგაზეული, ფურტიო, მომწვარი, ჭედლური, ბუთურაული, ჭალა, გომარდული, ცინა-

რეთი, კვიახიძეები, კარაპეტი, პაპოშვილები ჩანჩხალო) და ქ. **ბათუმში**.

გადმოცემით დიასამიძეები ჩანჩხალოში გულებიდან უნდა ასულიყვნენ. პირველი ასულებიდან სახელდება **აბდი დიასამიძე**. იგი სოფელში ჩასიძებულა და მიწაც შეუსყიდია. გადმოცემით, აბდის გულებში საზიარო ხეჭეჭური მსხლის ბაღი ჰქონია, საიდანაც ყოველწლიურად მწიფე ხეჭეჭურს უგზავნიდნენ ჩანჩხალოში. ჯემალ დიასამიძის აზრით, დიასამიძეთა განსახლება არა მარტო ჩანჩხალოში, არამედ მთიანი აჭარის სხვა სოფლებშიც განხორციელდა გულებიდან. იგი მაღალმთიან აჭარაში მათ განსახლებას ოსმალთა ბატონობის შემდგომ პერიოდს უკავშირებს. ვფიქრობთ, გვართა მოძრაობას ადგილი ჰქონდა ოსმალთა ბატონობის პერიოდშიც. მთიან აჭარაში ოსმალთა ბატონობა ნომინალური იყო, ამიტომ სხვადასხვა მიზეზით გამოქცეული პიროვნება ხშირად მთიან აჭარას ირჩევდა მუდმივ საცხოვრებლად. შესაძლოა მათ შორის იყვნენ დიასამიძეებიც. ხალხური გადმოცემები, დიასამიძეთა ცალკეული წარმომადგენლების გენიალოგია ადასტურებს მთიან აჭარაში დიასამიძეთა დამკვიდრებას ოსმალობისდროინდელ და უფრო ადრეულ პერიოდშიც. საილუსტრაციოდ ავიღოთ კვიახიძებელ დიასამიძეთა გენიალოგია. მათი ერთ-ერთი წინაპარი-მუსტაფა შუახევის რაიონის სოფ. ბესელაშვილებიდან წასულა და გოგინაურში დამკვიდრებულა, აქედან კი მათი ერთი შტო (გაყოფა-განაწილების შემდეგ) კვიახიძეებში ასულა საცხოვრებლად (ოსმალობის დროს მათ გელოღლების//გელასშვილების სახელით მოიხსენიებდნენ). დღეს სოფელში ცხოვრობენ მუსტაფას მერვე თაობის წარმომადგენლები: მუსტაფა, სულეიმანი, მუხამედი, შაქირი, ზაბითი, რაფიელი, ბიჭიკო, ედნარი, რაც კვიახიძეებში მათი ცხოვრების დაახლოებით 200-250 წლიან პერიოდს მოიცავს. მანამდე მათი წინაპრები ბესელაშვილებში ცხოვრობდნენ, რაც კიდევ უფრო ადრეულ პერიოდში სწევს დიასამიძეთა შუახევში განსახლების კვალს. გასაბჭოების შემდეგ, 1930-იან წწ. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩასულა ბესელაშვილებში (სადაც ზიარი მსხალი ჰქონიათ) და უკითხავს, „რა გვარი ვართ, რა დავიწეროთო". ბე-

სელაშვილებელ დიასამიძეებს ახსოვდათ, რომ ისინი დიასამიძეები არიან.

დიასამიძეთა ასეთი **სიმრავლე აჭარაში შემდეგი ვარაუდის საფუძველს იძლევა: აჭარა ტერიტორიულად სამცხეს ესაზღვრება, ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ დიასამიძეთა გვარი ძველთაგანვე სამცხესთან ერთად აჭარაშიც ყოფილიყო დასახლებული.** სხვანაირად ძნელია აიხსნას ამ გვარის დიდი უმრავლესობის (ორი მესამედის) აჭარის ტერიტორიაზე განსახლება. განა აჭარა საქართველოს სხვა მხარეებთან (გურია, იმერეთი...) შედარებით უფრო უსაფრთხო იყო? მით უფრო, რომ ისინი თითქმის აჭარის მთელ ტერიტორიაზე არიან განფენილნი.

ასპინძის რაიონში ბოლო ათწლეულამდე 221 დიასამიძე ცხოვრობდა, ვანის რაიონში (გაღმა ვანი) კი მხოლოდ 189.

დიასამიძეები ცხოვრობენ აგრეთვე მეზობელ თურქეთშიც. ხულოს რაიონის სოფ. გელაძეებიდან მუჰაჯირად წასულა დიასამიძეთა რამდენიმე ოჯახი, რომელთა შთამომავლებიც ამჟამად ცხოვრობენ ქ. ინეგოლში, ასევე ქ. უსჯეს აქჩაქოჯის რაიონის სოფ. მელენიპირში. მათი ნაწილი ამჟამად ატარებს ჯოშქუნების და გორენების გვარს. ზ. კაცელაშვილის ცნობით, სტამბოლში ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამ საგვარეულოს წარმომადგენელი ყოფილა. ზოგიერთი დიასამიძე თურქეთიდან გერმანიაში გადასახლდა. ერთ-ერთი მათგანია ჯორელ (ქოქსალ) ჯოშქუნი.

საინტერესოა, რომ აჭარის სხვადასხვა სოფლებში განსახლებულ **დიასამიძეთა ნაწილი მათი წინაპრების პირველსაცხოვრისად სოფელ გულებს** აღიარებს. ისტორიული ქარტეხილების გამო სამცხიდან ჩვენს რეგიონში იძულებით მიგრირებული ამ გვარის ძირითადი ნაწილი უნდა დასახლებულიყო გულებსა და აჭარის ზოგიერთ სხვა დასხლებულ პუნქტში, რასაც წინ უძღოდა დიასამიძეთა ნაწილის მხრიდან აჭარის ტერიტორიების ფლობა ჯერ კიდევ ოსმალთა შემოსევამდე. გვარის აქიდან გადინება ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდა, რადგან აჭარა იმ დროს სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში იყო. ნიშანდობლივია, რომ გულებში 1950-იან წლებამდე სხვა გვარის წარმომადგენელი არ სახ-

ლობდა. ამჟამადაც, მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ დიასამიძეები. მხოლოდ რვა ოჯახია სხვა საგგვარეულოს წარმომადგენელი. მათი უმეტესობა იქ დასახლდა დიასამიძეთა ქალებზე დაქორწინების შემდეგ. სწორედ გულებიდან და ზოგიერთი სხვა სოფლიდან უნდა მომხდარიყო დიასამიძეთა განსახლება აჭარის სხვადასხვა სოფელსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო მე-19 ს. 30-იანი წლებიდან, რადგან სამცხე-ჯავახეთის ნაწილი ოსმალთაგან გათავისუფლდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, აჭარა, შავშეთ-იმერხევი კი ნახევარი საუკუნის შემდეგ.

ამრიგად, **აჭარაში დიასამიძეების ფუძე-სამკვიდროდ გულები მიიჩნევა.** დიასამიძეები აქედან გამრავლებულან და განსახლებულან სხვა ადგილებში, რაც აიხსნება მისი მდებარეობით. სოფელი მთიანი აჭარის შუა ნაწილია, მდებარეობს ცენტრალურ გზაზე–ძველ სავაჭრო დასახლება ქედასთან, „მცირე ქალაქის მზგავს დაბასთან“ ახლოს, სადაც „მოსახლენი არიან ვაჭარნი“ (ვახუშტი, 1973:134). გადმოცემით აქ ეკლესიაც ყოფილა. ამის შესახებ მოუთხრო ვინმე დიასამიძემ დ. ბაქრაძეს, თუმცა დ. ბაქრაძეს ეჭვი შეაქვს ამ გადმოცემების რეალობაში. მას „არც ზენდიდსა და არც გულებში არავითარი ძველი ეკლესიების ნანგრევები არ ეგულება.“ ასეთი ეკლესიები თამარის აშნებული იყო „დონდალოში“, ჭვანასა და შუახევში,“ რომელიც დიდი ხანია დაშალესო, თუმცა აქ „ძველი ქრისტიანული ჩვეულებებიდან ზოგი რამ დღემდე შემორჩენილა, მაგ. კვერცხის შეღებვა სააღდგომოდ, ახსოვთ წინანდელი ქრისტიანული დღესასწაულებიცო“ (დ. ბაქრაძე, 1987:48-49).

დაახლოებით 20 წლის შემდეგ ამ ადგილებში იმოგზაურა ზაქარია ჭიჭინაძემ. იგი გვაუწყებს: „გულებში 50 კომლია. მშვენიერი სოფელია და ისეთ ალაგას ძევს, რომ მინამ კაცი შიგ სოფელში არ მივა, მინამ ვერას დაინახავს. ეს სახელი „გულები“ მასზედ კანონიერია. ამ სოფლის ზემოთ, ქელასკურის მთის ახლოს ძველად ეკლესია ყოფილა, სადაც იქაურები დადიოდნენ სალოცავად. ამ ეკლესიის ნანგრევი დღესაც სჩანს... აქ მოსახლეობენ დიასამიძენი“ (ზ. ჭიჭინაძე, 2013:159-160).

გულების ეკლესია

საგულისხმოა ისიც, რომ საკმაოდ ბევრია სხვა გვარის წარმომადგენელი, რომლებიც აღიარებენ, რომ წარმოშობით დიასამიძეები არიან (გოგიტიძეები—სოფ. გოგინაური, დავითაძეები — სოფ. ტბეთი... მუსხელიშვილები... და ა.შ). მაგ. იუსუფ, ნური, ზაბით და შუქრი დავითაძეების (სოფ. ტბეთი) მონათხრობის მიხედვით (რომელიც მოგვაწოდა პროფ. მურმან დავითაძემ), მათი წინაპრები ტბეთში ასულან კლდისუბნიდან (სოფელი შუახევის რაიონში). კლდისუბანში „დიასამიძეთა ძირ ოჯახში დიდხანს ყოფილა ზიარი ყურძენი, რომელსაც კრეფდნენ, როგორც ზიარს და ტბეთში უგზავნიდნენ. კლდისუბნის დიასამიძეები მოლოღლებად იწოდებიანო.“ მათი წინაპრები ტბეთში საცხოვრებლად ასულან დაახლოებით XVIII საუკუნის შუა ხანებში, „მეორე შტო კი საცხოვრებლად ნენიაში ასულა და მიქელაძეებად იწერებიანო“, მოგვითხრობს რესპოდენტი.

დიასამიძეებს უკავშირებენ თავიანთ წარმომავლობას ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთაში მცხოვრები ბაუჩაძეებიც. გადმოცემით, მათი წინაპრების პირველსაცხოვრისი სო-

ფელი ბაბუჩოღლები (ქედის რაიონი) იყო. აქედანაა მათი ოსმალობისდროინდელი გვარი – ბაბუჩოღლი. რაღაც მიზეზის გამო ახალგაზრდა ესედ ბაბუჩოღლი (დიასამიძე) საცხოვრებლად გადასულა კალოთაში, სადაც ცხოვრობდა მისი მამიდა. მამიდას იგი უშვილებია. ქართული გვარების აღდგენის შემდეგ მათ მიუღიათ ბაუჩაძეების გვარი (რესპონდენტი ბესო ბაუჩაძე).

დიასამიძეები სამცხე-ჯავახეთის ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შენარჩუნებისა და უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში

დიასამიძეთა საგვარეულოს ძირითადი საცხოვრისი და მათი მოღვაწეობის **მთავარი არეალი სამცხე-საათაბაგო იყო.**

რა ვითარება იყო ამ მხარეში, საქართველოს ამ უძველეს სასაზღვრო რეგიონში დიასამიძეთა პოლიტიკურ არენაზე გამოჩენამდე და მის შემდგომ პერიოდში?

მონღოლების საქართველოში გაბატონების შემდეგ საქართველო დასუსტდა და მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები. 1266 წელს მონღოლებმა სამცხე „ხასინჯუდ“ გამოაცხადეს და იგი ერთიანი საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ტაოსა და ჯავახეთის დიდი ნაწილი სახასო მიწებად გამოცხადდა და უშუალოდ დაექვემდებარა მონღოლთა ყაენს. სამცხე-სათაბაგოს მმართველს ყაენი ნიშნავდა. ამის მიუხედავად, სამცხის ათაბაგები თავიანთი მმართველობის პერიოდში ქართული პოლიტიკის გატარებას ცდილობდნენ. ბექა ჯაყელი (1240-1306), ილხანთა ვასალი, კვლავ ატარებდა საქართველოს მეფის მანდატურთუხუცესის ტიტულს, იცავდა ქართველთა პოლიტიკურ ინტერესებს ტრაპიზონის სამეფოში. ათაბაგთა პროქართული ორიენტაცია განსაკუთრებით გამოიკვეთა გიორგი V ბრწყინვალის გამეფების შემდეგ (1314 წლიდან). 1334 წელს, სარგის მეორის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟი ყვარყვარე I ჯაყელი (1334-1361) გიორგი ბრწყინვალემ სამცხის მმართველად დაამტკიცა. სამცხე კვლავ დაუბრუნდა დედასამშობლოს. მალე მონღოლთა უღელიც გადავარდა, მაგრამ თემურლენგის ლაშქრობამ საქართველოს, მის მოსახლეობას გადაშენების საფრთხე შეუქმნა. 1385 წელს სამცხის მმართველი ბექა II-ჯაყელი (1361-1391) განუდგა ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ V (1360-1393) და მტერს დანებდა. თემურ-ლენგის შემოსევებმა მიწასთან გაასწორა საქართველო. ნასახლარი, ნა-

სოფლარი, ნაქალაქარი და სხვა მსგავსი ტერმინები თემურლენგის შემოსევების შემდეგ დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში. ქვეყანა ეკონომიკურად გაჩანაგდა, პოლიტიკური თვალსაზრისით კი მის ირგვლივ შეიკრა მუსულმანური გარემოცვა. მოიშალა მმართველობის სტრუქტურები, დასუსტდა ცენტრალიზებული ხელისუფლება. ამან კი ბიძგი მისცა ერთიანი სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცებას. XV საუკუნიდან მოყოლებული სამცხის ათაბაგები არაერთხელ გამოსულან დეცენტრალიზაციის ხელშემწყობის როლში. ათაბაგთა დაპირისპირება სამეფო ხელისუფლებასთან განსაკუთრებით გამოიკვეთა ქართლის მეფე გიორგი VIII-ის (1446-1466) მმართველობის პერიოდში. ამავე დროს მიმდინარეობდა გააფრთებული ბრძოლა ათაბაგობისათვის. ვახტანგ IV-ის (1442-1446) მიერ ხელდასმულ ათაბაგს აღბუღა II ჯაყელს ტახტი წაართვა მისმა ძმამ (თუ ბიძამ) ყვარყვარემ. ლტოლვილი აღბუღა II გიორგი VIII-მ შეიხიზნა, რითაც სამუდამოდ გადაიმტერა გაათაბაგებული ყვარყვარე II ჯაყელი (1416-1498). გიორგი VIII-ის დახმარებით აღბუღამ დაიბრუნა ათაბაგობა, მაგრამ 1451 წელს იძულებული გახდა ტახტი ისევ ყვარყვარესათვის დაებრუნებინა. ყვარყვარე II გააფრთებით იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

კონსტანტინეპოლის დაცემამ და ქრისტიანული ბიზანტიის განადგურებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო საქართველოს ცალკეულ კუთხეებში სეპარატიზმის ტენდენციებს, დეცენტრალიზაციის პროცესს. 1459 წელს ქართველი დიდებულები ახალი დამპყრობლის–ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მოტივით (ამ დროს რომის პაპის წარმომადგენელი ჩამოვიდა საქართველოში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით) დროებით დაუზავდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, თუმცა მალე გაირკვა, რომ ევროპამ მართლმადიდებლური ბიზანტიის აღდგენას თურქებთან მორიგება ამჯობინა, რამაც კოალიციის შექმნის გეგმა ჩაშალა. ანტიოსმალური კოალიციის კრახის შემდეგ დაირღვა სამშვიდობო ზავი. ყვარყვარემ კვლავ დაიწყო მტრული პოლიტიკის გატარება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. იგი შეეცადა მესხეთის ეკლესიის ჩამოშორებას სა-

ქართველოს საკათალიკოსოსაგან. ეს გეგმა მან ვერ განახორციელა, თუმცა თავფარავანზე დაბანაკებული მეფე გიორგი VIII-ს თავს დაესხა და დაატყვევა. ამ ბრძოლის შემდეგ ქართლ-იმერეთში გამეფდა ბაგრატ VI – (1463-1478), კახეთი „ერგო“ გიორგი VIII-ს (1466-1476), რომელიც ყვარყვარემ ტყვეობიდან გაათავისუფლა ბაგრატ VI-ზე დასაპირისპირებლად. ე.ი. ყვარყვარეს ამბოხმა საქართველოს სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) დაშლას შეუწყო ხელი.

ყვარყვარე II-მ შეძლო თურქთა მოგერიება (1479 წ.), აიღო ერზრუმი (1491 წ) და იგი მოხარკედ აქცია. XV ს. მიწურულისათვის სამცხე-სათაბაგოს საზღვრები გადაიჭიმა ბორჯომის ხეობიდან ჭოროხის ხეობამდე და არზრუმის მხარემდე. ათაბაგების რეზიდენცია იყო ახალციხე. ტერიტორიით სამცხე-სათაბაგო აღემატებოდა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მისი საქართველოს მეფეებისაგან დამოუკიდებელად არსებობის მისწრაფებას, მაგრამ მან არა თუ ვერ შეძლო დასახული მიზნის შესრულება, არამედ ათაბაგობის შენარჩუნებასაც კი სერიოზული საფრთხე შეექმნა. სამცხე-სათაბაგოს დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიპყრეს. ამ დროს ათაბაგი ქაიხოსრო II შეეცადა გამოეყენებინა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგობანი დაკარგული ჯავახეთის, ჭანეთ–აჭარის დასაბრუნებლად და დახმარებისათვის ირანს მიმართა. 1547 წ. შაჰ-თამაზი შეიჭრა ჯავახეთში, განმეორებითი შემოსევისას გაძარცვა ეკლესიები, მონასტრები, ციხე-ქალაქი ვარძია.

სწორედ ამ ხანებში განსაკუთრებით სიძლიერით გამოჩნდა დიასამიძეთა პოლიტიკური აქტივობა. დიასამიძეები ვერ შეურიგდნენ შაჰთან შალიკაშვილების დამოყვრება–დაწინაურებას (ოთარ შალიკაშვილის ასული შეირთო შაჰ თამაზმა. იგი შაჰ-აბასის ბებია გახდა). ისინი განუდგნენ ქაიხოსრო ათაბაგსაც და აქტიურად მიემხრენ ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს (1527-1556). ცხადია, ამ წინააღმდეგობებს ასაზრდოებდა როგორც პატრიოტული გრძნობები, ასევე მამულებისათვის ბრძოლაც.

აქტიურ მოღვაწეთაგან ისტორიამ შემოგვინახა ძმების–**იჯუ//იესე, შერმაზან და ვახუშტი დიასამიძეთა** სახელები.

ისინი XVI ს. 30-40-იან წლებში ჯავახეთისა და სამცხის პროვინ-ციების დიდ ნაწილს ლუარსაბს უმორჩილებენ. ამ დამსახურები-სათვის მეფე ლუარსაბს შერმაზან დიასამიძე ლორე-ბამბაკის ბატონად დაუსვამს (ზ. კაცელაშვილი, 1999:11), რომელსაც XII საუკუნეში ფლობდა ზაქარია მხარგრძელი, შემდეგ კი მისი ძის, ივანე მხარგრძელის ვაჟი – ავაგი (ხუაშაქ ცოქალის მამა). ეს მომენტი კარგადაა აღწერილი „ქართლის ცხოვრების“ მემატია-ნის მიერ: „მოადგა ყეენი, შემუსრა ტფილისი და ნეშტნი მოს-წყვიტა და შეაყენა ციხესა შინა მცველნი უმრავლესნი. ხოლო ტფილისიდან ეზრასა ათაბაგს, დაიმორჩილა იგიცა, ემზახლა მას და წარვიდა სპარსეთად. არამედ ესე კახბატონის ლევანისა და ათაბაგის დამორჩილება შეუძნდა მეფესა ლუარსაბს და ვი-ეთთა წარჩინებულთა მესხთა, სახელით **იჯუს, შერმაზანს და ვა-ხუშტი დიასამიძესა**. ამათ მოუწოდეს ლუარსაბ მეფესა. ხოლო შეკრებილი სპითა მივიდა მეფე და წარუხუნა ათაბაგსა სამცხე, ჯავახეთი, კოლა და არტაანი და დაიპყრა თვისად. ესე ყოველი აუწყა ათაბაგმან ყეენსა და შაჰთამაზ წამოემართა მსწრაფლად შუელად მისად. მოვიდა, შემუსრა შაქი, შემოვლო ქართლის სომხითი. ვერ წინააღუდგა ლუარსაბ მეფე, შევიდა და დაიპყრა სამცხე, შეიპყრა იჯუ და შერმაზან და მოკლნა იგინი და სხუანი ტყვუე ყვნა, ჩავლო სომხითი და წარვიდა ერევანსა ზედა“ („ქართლის ცხოვრება“, 1973:404). პროფ. ლ. სანიკიძე ასე აღ-წერს შაჰ თამაზის მიერ ვახუშტის, შერმაზანისა და მისი ძის სიკვდილით დასჯას: „ტყვეები მიგვარეს შაჰ თამაზს-ქართველი სარდლები: ოთხი დიასამიძე—ომარი, ვახუშტი, შერმაზანი და შერმაზანის ძე (სახელი არ არის ცნობილი) ქაიხოსრო ათაბაგს ჰკითხა შაჰთამაზმა: ტყვეთაგან რომელი დავსაჯოთო სიკვდი-ლით, ქაიხოსრომ სამი დიასამიძე ამოარჩია – ვახუშტი, შერმა-ზანი და ძე შერმაზანისა“.

ეს გასაგები იყო: ვახუშტი ლორეს ფლობდა, შერმაზანი ბამ-ბაკს და ორივენი ლუარსაბ მეფის სამფლობელოში შედიოდა. არადა, ლორე და ბამბაკი საათაბაგოს ბატონს თავისთვის უნ-დოდა (ლ.სანიკიძე, 1993:588-589). მემატიანის მიხედვით, შაჰ თამაზი ქაიხოსრო II-ს დანათესავებია (მისი ქალი როგორც ჩანს,

რძლად წაუყვანია), ქაიხოსროს ხელახალ თხოვნას შაჰი გულ-მოდგინედ გამოხმაურებია, 1553 წელს აუკლია სამცხე-საათაბა-გო, ძმები შერმაზანი, ვახუშტი და იჯუ (ომანი) დაუტყვევებია და სიკვდილით დაუსჯია.

ისტორიამ შემოგვინახა შერმაზან დიასამიძის გენიოლოგია (Станислав Думин, Пётр Гребельский, 1998:154).



ამრიგად, დიასამიძეთა აღზევება XVI ს. დასაწყისში დროე-ბითი გამოდგა, მაგრამ მათ სხვებისგან განსხვავებით გვარი მა-ინც არ შეუცვლიათ (ზედგენიძეები იქცნენ ამილახვრებად, ფა-ნასკერტელები, ციციშვილებად და ა.შ.) დიასამიძეთა კუთვნილი მიწები შაჰ-თამაზს ქაიხოსრო II ჯაყელისათვის გადაუცია (ზ. კაცელაშვილი, 1999:11). ე.ი. დიასამიძეებმა დაკარგეს მამულები და პოლიტიკური ძალაც, მაგრამ დაკარგული მდგომარეობის აღსადგენად ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ამასიის 1555 წ. ზავით დიასამიძეების ყოფილი მამულები ოსმალებს მიეკუთვნა. სავა-

რაუდოდ ამითაა განპირობებული მათი მცდელობა, რათა იმერეთში მონახონ პოლიტიკური დასაყრდენი. ამ ამოცანამ იმერეთის სამეფო კარი და დიასამიძეები ერთმანეთის ნათესავებად აქცია. **დაქვრივებულმა გიორგი II-მ (1565-1585) 1584 წ. ცოლად შეირთო შერმაზან დიასამიძის ასული თამარი//ქრისტინე**. გიორგი II აქტიურად იბრძოდა ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ. 1585 წელს გიორგი II გარდაიცვალა. მას დიასამიძის ქალისაგან (რომლის დედოფლობა ერთ წელს გაგრძელდა) შვილი არ დარჩენია.

ვინ იყო თამარყოფილი ქრისტინე? რატომ მოიხსენიება იგი თამარყოფილის სახელით? ზ. კაცელაშვილმა ყურადღება მიაპყრო ერთ ფაქტს. იმერეთის მეფე გიორგი II-მ ცოლად შეირთო შერმაზან დიასამიძის ქალი თამარყოფილი ქრისტინე. კაცელაშვილის აზრით, „თამარყოფილის“ სახელით მისი მოხსენიება ნიშნავს, რომ ის ქორწინებამდე მონაზონი იყო. ახალგაზრდა ქალის გამონაზვნება შეიძლება მისი უიღბლო ქორწინებით, ან დაქვრივებით აიხსნას (თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც). ამ აზრს მხარს უჭერს ისიც, რომ 1583 წ. მონაცემებით, კიდევ ერთი თამარია მოხსენიებული – ვახტანგ ბატონიშვილის (გიორგი გურიელის შვილი) მეუღლე – ათაბაგის ასული. ვახტანგ ბატონიშვილი – მამია IV დადიანის დახმარებით გურიის მთავრია 1583-1587 წწ. შემდგომ თამარი მის თანამეცხედრედ აღარ მოიხსენიება. საგულისხმოა, რომ ვახტანგი გამთავრებამდე ფლობდა ქობულეთის მხარეს, რომელიც თავის დროზე ეჭირათ აბუსერიძეებს. მათი მამულების დაუფლება მოხდა დიასამიძეების მიერ XVI ს. დასაწყისში. **ავტორის ვარაუდით, თამარ ათაბაგის ასული და თამარყოფილი ქრისტინე - შერმაზან დიასამიძის ასული ერთი და იგივე პიროვნებაა,** რომელსაც როგორც ჩანს, ვახტანგ ბატონიშვილზე უქორწინია. 1583 წ. განქორწინების შემდეგ გამონაზვნებულა, რის გამოც ეწოდა ქრისტინე, შემდეგ კი იგი (1584 წ.) მიუთხოვებიათ დაქვრივებული იმერთა მეფე გიორგისათვის (ზ. კაცელაშვილი, 1999:17). თუმცა, ცნობილია, რომ თამარი მონაზვნად აღიკვეცა გიორგი II-ის გარდაცვალების (1585) შემდეგ **ბინისტონეს** სახელით. ერთ-ერთი შეწირულობის წიგნი, რომელიც თარიღდება 1586 წლით, გვაუწყებს: “ჩვენ, მეფეთ-მეფისა

ბაგრატის უხუცესის შვილისა მეფეთ-მეფისა გიორგის თანამეცხედრემან, დედოფალთ-დედოფალმან, ბატონის დიასამიძის სახელოანის შერმაზანის და ანას ქალმან თამარ-ყოფილმა ქრისტინემ შემოგწირეთ და შევამკეთ გელათს ხატი წმ. გიორგის“ (თ. ჟორდანია, 1897:525).

თამარსავე შეუმკია გელათის ღვთისმშობლის კარედი ხატი, რომლის ვედრების კომპოზიციაში გამოსახულნი არიან: „მეფე გ(იორგ)ი“ და დედოფ(ა)ლი თამ(ა)რ.“ ხატის წარწერაში თამარი ხაზს უსვამს თავის წარმომავლობას და შერმაზანს „სახელგანთქმულის“ ეპითეტით ამკობს: „ჩვენ, დიასამიძის სახელგანთქმულის შერმაზანის და თანამეცხრედისა მისისა ანას ასულმა შევამკე ეს ხატიო“ (დარეჯან კლდიაშვილი, 2005:201-202). აწყურის ღვთისმშობლის ხატისა და გელათის წმ. გიორგის ტაძრის წარწერების მიხედვით, გიორგი II-სა და თამარს ჰყოლიათ ორი ვაჟი–ალექსანდრე და მამია (ო.სანებლიძე, 1962:247-248). თუ ყოველივე ზემოთაღნიშნული რეალობაა, მაშინ შერმაზან დიასამიძე ათაბაგი იყო (თამარ ათაბაგის ასული), მაგრამ ცნობილია, რომ XVI-ს-ში არც ერთი დიასამიძე ათაბაგი არ ყოფილა. როგორც ჩანს, შერმაზანს ათაბაგად იხსენიებენ წარმომავლობის გამო, რადგან მისი წინაპრები თავის დროზე ათაბაგები ყოფილან. დიასამიძეები – როგორც ითქვა, ეუფლებიან აბუსერიძეთა და ხურსიძეთა მამულებს. ამ ფაქტს არ გამოუწვევია მეფისა და იმჟამინდელი ათაბაგის უკმაყოფილება, რადგან როგორც ზ. კაცელაშვილი ვარაუდობს, ისინი იყვნენ ათაბაგების შთამომავალნი.

ზ. კაცელაშვილი ისტორიული პარალელების მოშველიებით ავლენს არა ერთ დამთხვევას მხარგრძელთა და დიასამიძეთა გვარებში და **ასაბუთებს, რომ დიასამიძეთა გვარი მხარგრძელებიდან იღებს სათავეს.** სწორედ ამით ხსნის ავტორი იმ გარემოებას, რომ დიასამიძეები ემოყვრებიან ბაგრატიონებს და ხდებიან უმაღლესი სასულიერო პირები, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ დიდი გვარიშვილობით. მხარგრძელებისაგან, როგორც ერისთავთ-ერისთავებისაგან XIII ს-ში წარმოიშვა მხარგრძელ-გაგელთა შტო-გვარი. XIII–XIV სს. მონღოლებისაგან შევიწროებულნი

(გაგის ციხის დაცემის შემდეგ) გადადიან სამცხე-სათაბაგოში და იკავებენ წინაპართა კუთვნილ ადგილებს აწყურსა და ახალ-ციხეში. გაგელთა გვარის დაწერილობის ფორმა იცვლება „დია-სამიძეებად.“* ისინი აქტიურად ერთვებიან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იკვეთება მათი პოლიტიკური ორიენტაცია, რაც ვლინდება ერთიანი სამეფოს შექმნისათვის მათ აქტიურ მონაწი-ლეობაში.

დიასამიძეთა გვარის წარმომადგენლები აქტიური ჩანან XVII საუკუნის პოლიტიკურ მოვლენებშიც. XVII ს. პირველ მეოთხედ-ში ირანის წინააღმდეგ მებრძოლებს შორის მოიხსენიება კიდევ ერთი გმირი – თავადი **ელია დიასამიძე**. იგი **გიორგი სააკაძის თანამებრძოლი იყო** და ვაჟკაცურად იბრძოდა 1625 წლის მარ-ტყოფის ბრძოლაში. ირანელების წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს — დაუთ გოგორიშვილს, ფარად ფაშას, როსტომ შალიკაშვილსა და სხვებთან ერთად დასახელებულია აგრეთვე **თანუნა დიასამი-ძე** – ასპინძის ბრძოლაში. როგორც ცნობილია, 1623 წლიდან ირანმა სამცხის ციხეებში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა და 1619 წლის ზავის მიუხედავად (ამ ზავით აღიარებულ იქნა ამ რეგიონში ოსმალეთის უპირატესობა) აშკარად განაცხადა პრე-ტენზია მხარის ინკორპორაციაზე. ამან მესხთა დიდი პროტესტი გამოიწვია. გიორგი სააკაძემ (რომელიც მარაბდის ომის შემდეგ ქართლიდან გამოიქცა), ალღო აუღო შექმნილ სიტუაციას და აქ სცადა თავისი დასაყრდენის მოძიება. იგი ჩავიდა სამცხეში და აქტიურად ჩაება ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც შედეგად მოჰყვა აწყურის, ხერთვისის და სხვა ციხეების გათა-ვისუფლება. ყიზილბაშები ერთხანს ვეღარ ბედავენ გამოჩენას. გ. სააკაძეს გვერდით ამოუდგნენ მესხი დიდებულები: დაუთ ბეგ გოგორიშვილი, ფარად ფაშა (გიორგი სააკაძის სიძე), როსტომ შალიკაშვილი, **ელია და თანუნა დიასამიძეები** (გ.ჟუჟუნაშვილი, 2000:10). ეს მოვლენებია ასახული მეფე — პოეტის **არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“:**

„პაატა ხერხეულიძე, ავთანდილ ძითა თვისითა.

---

* აღნიშნული გარემოება არ გამორიცხავს გვარი „დიასამიძის“ არსებობას ად-რინდელ ეპოქაში.

ელია დიასამიძე, პაპუნა ვაშაყისითა, –
ოთხის კაცითა ესე ქნა, რას ვეჭვ, იქმოდა ასითა,
ამის მქმნელობა კაცსა სხვა ვინმე, ვით შეუდარო ფასითა“.
(ქართული მწერლობა, ტომი VI, გვ.445).

იგი ასახელებს აგრეთვე ბიძინა დიასამიძეს: **„ბიძინა დიასამიძე**, მიუძღვა მეწინავესა“ (ქართული მწერლობა, ტომი VI, გვ.526).

მათთან ერთად გიორგი სააკაძემ გაამაგრა სამცხის ციხეები. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ასპინძასთან. ამ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს იოსებ სააკაძე თავის პოემაში „დიდმოურავიანი:“

„ მე მთაზე ვიყავ სათოფეთ, ციხე ვთქვი ასვლა ძისანი,
დავხედე, არე მოეცვეს, საფარა-ასპინძისანი,
დიასამიძის დახდომა, ომი თქვეს ორთავ ძმისანი
გავჰკვირდი, ნეტავ რა უნდათ, კაცისა განაძისანი!
რა მოვიდნენ, კარგა დავხვდით,
ვეღარ გვიყვეს იმათ ბრძოლა,
დავჰხოცეთ და ამოვსწყვიტეთ, მათ ეგონათ ხევი ვაკეთ.
ნაშოვრისა დანაცვივნით, ჩემს ყმას კიდევ კარგა ვაკეთ“
(იოსებ სააკაძე, 1960:355-356).

როდის და სად მოხდა აღნიშნული ბრძოლა? როგორც ცნობილია, მარაბდის ბრძოლის შემდეგ გიორგი სააკაძე ქართლიდან გაიქცა. გ. ჟუჟუნაშვილის აზრით, გიორგი სააკაძის სამცხის ეპოპეა უნდა შემოისაზღვროს 1625 წლის სექტემბრით (იოსებ სააკაძე, 1960:355-356).

ბრძოლის დაწყების წინ გიორგი სააკაძე სამცხის დასავლეთ ნაწილში გამაგრებულა. მასთან ძალიან დაახლოებულ პიროვნებათა შორისაა **თანუნა დიასამიძე.** გიორგი სააკაძე ანგარიშს უწევს მას, ყურს უგდებს მის რჩევას. ეს იქედანაც ჩანს, რომ სააკაძე თანუნა დიასამიძის რჩევით აფიეთიდან ცოლ-შვილიანად ასპინძას გადაბარგდა. იოსებ სააკაძე ამ მოვლენას ხატოვნად შემდეგნაირად გადმოსცემს:

„აფიეთს დავდეგ, მე მახლდა, კიდევ კარგა რამ ჯარია,
თანუნა დიასამიძე, კაცი ბრძენი და წყნარია;
მან მითხრა: თრიალეთისკენ, ასპინძა ახლო არია,

ყმა და ამბავი მოგწყდების, ავი თუ გასახარია,
ხალხი ციხეში ავასხი, მე დაბლა ძირსა ვდგებოდი;
რა იქ სადგურად დავდგინდი,
მწადდა რომ მეფეს ვხლებოდი“ (იოსებ სააკაძე, 1960:355).

აფიეთი – ფარად ფაშას მამულია, სადაც თავს აფარებდა ქართლიდან გამოქცეული გიორგი, იგი ხომ გიორგი სააკაძის სიძეა: „ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ ჩემთვის მკვდარია“ (იოსებ სააკაძე, 1960:355).

სწორედ აქედან გადაბარგდა სააკაძე ასპინძასთან, ვინაიდან სანადიროდ წასული სააკაძე წამსვე დაშვებულა ვაკეში და ყიზილბაშებს შებრძოლებია. ი. სააკაძის ცნობით, ყიზილბაშებმა „ასე მოიცვეს საფარ-ასპინძისანიო.“ ტერმინ „საფარა-ასპინძის“ ქვეშ ასპინძის შემოგარენი უნდა იგულისხმებოდეს, აქედან კი საფარ-სამალავი ადგილი ბევრია (იოსებ სააკაძე, 1960:355-356).

როგორც ჩანს, სააკაძემ ცოლ-შვილი გახიზნა მისი მოკავშირის შალიკაშვილების მამულში – ოთას ხეობაში (იოსებ სააკაძე, 1960:355-356). ამ ხეობას თრიალეთთან (თეძმის ხეობასთან) აქვს მჭიდრო კავშირი. მთიდან დაშვებული სააკაძე მცირე რაზმით ეკვეთა მტერს და შერეკა ასპინძის ციხეში. „გადარჩენილთ სპარსელთა შეასწრეს ასპინძის ციხეში, მაგრამ ვერც აქ უმაგრეს ბევრს ხან მოუთალავს მოურავსა (იოსებ სააკაძე, 1960:355-356).

ყიზილბაშები გაიქცნენ, თუმცა ცოტა მოგვიანებით მათ შეძლეს სააკაძის მიერ გათავისუფლებული ციხეების ხელახლა დაპყრობა, რითაც სააკაძის და მისი თანამებრძოლების, მათ შორის ელია და თანუნა დიასამიძეების მეცადინეობა წყალში ჩაიყარა.

ამდენად, ყიზილბაშების წინააღმდეგ 1625 წ. ასპინძის გამარჯვებით დაგვირგვინებელ ბრძოლაში დიდია გ. სააკაძის თანამებრძოლების, დიასამიძეთა გვარის თვალსაჩინო წარმომადგენლების — **ელიას და თანუნას** ღვაწლი. ამ ბრძოლამ მტერი კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქართველთა ბრძოლისუნარიანობაში. ასპინძის ბრძოლამ თუმცა მოკლე ხნით, მაგრამ მაინც შეძლო „ხერთვისისა და რომელნიმე ციხენი სამცხისანი“-ს ყიზილბაშ-

თაგან გათავისუფლება, „შეუხდა მათ მოურავი, მოსწყვიდნა მეციხოვნენი და დაიპყრო თვსად“ (იოსებ სააკაძე, 1960:355-356).

დიასამიძეები პოლიტიკურ სარბიელზე აქტიურად ჩანან მომდევნო პერიოდშიც – XVIII საუკუნეში. „მარკოზაშვილების დარბაზის კარის შეთქმულებაში“ ფიგურირებს **დიასამიძეთა გვარის ერთი წარმომადგენელი.** 1765 წ. 15 ენკენისთვეს (სექტემბერი) ერეკლე II (1744-1798) თითქოსდა მის წინააღმდეგ განზრახულ „შეთქმულებაში მონაწილეებს“- პაატა ბატონიშვილს (ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი), დაუდ ბეგს, ელიზბარ თაქთაქიშვილს, მის შვილს — არდაშელს, გლახა ციციშვილს, დემეტრე ამილახვარს და მის 15 წლის შვილს – ალექსანდრეს სასტიკად გაუსწორდა. სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასაჯეს (თავები მოკვეთეს) პაატა ბატონიშვილი და დაუდ ბეგი, ხოლო 80 წლის ელიზბარ თაქთაქიშვილი კოცონზე დაწვეს (ზ. კაცელაშვილი, 1999:15) (თავის დროზე ელიზბარ თაქთაქიშვილი ახორციელებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებას სამცხის ფაშასთან და ხელმძღვანელობდა გივი ამილახვარის ისპაჰანიდან უვნებლად ჩამოყვანას). არდაშელ თაქთაქიშვილს მკლავი მოკვეთეს, ალექსანდრე ამილახვარს კი ცხვირი მოაჭრეს. სასჯელის ასეთი ფორმა არ ახსოვს ქართული სამართლის ისტორიას და მიუთითებს იმ დროს საქართველოში გამეფებულ დესპოტიზმზე. **შეთქმულთა შორის დასახელებულია დიასამიძეც,** რომლის სახელი ისტორიამ არ შემოინახა. ასევე უცნობია, თუ რა როლი მიუძღვის მას ამ შეთქმულებაში. დიასამიძეები თაქთაქიშვილის მეზობლად ცხოვრობდნენ (თაქთაქიშვილები ქვემო ხითში, დიასამიძეები – ფხვენისში) და სავარაუდოა, რომ მათმა ახლო ურთიერთობამ დიასამიძის ბედზეც იქონია გარკვეული გავლენა.

მოგვიანებით დიასამიძეები არ ეთანხმებიან ერეკლე II-ს რუსეთსა და საქართველოს შორის გეორგიევსკის ტაქტატის გაფორმების მიზანშეწონილობაშიც, მაგრამ როგორც ქართული სამართლის ძეგლიდან ირკვევა, ეს არ გამხდარა მიზეზი მათი მთლიანად დამდაბლებისა. 1790 – ნი წლების ისტორიულ საბუ-

თებში მოიხსენიებიან **მინბაში*** **დიმიტრი და ტეტია დიასამიძეები და მორდალი**** **იესე დიასამიძე** (ზ.კაცელაშვილი, 1999:15).

ერეკლე მეორის პერიოდის ქალაქის სამოხელეო ინსტიტუტში მინბაშს გარკვეული ადგილი ეჭირა. იგი იყო ქალაქის ციხისთავი. ფეოდალურ საქართველოში ციხე იყო უნიშვნელოვანესი საფორტიფიკაციო ნაგებობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ციხეში მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობა. ამოტომაც ჰყავდა მას დამცველი ამალა და ციხის უფროსი, ანუ ციხისთავი. XVII–XVIII სს. საისტორიო საბუთებში ჩნდება ტერმინი–მინბაში ანუ ათასისთავი, თუმცა ქართულ სინამდვილეში მან ციხისთავის მნიშვნელობა შეიძინა.

მინბაში ინიშნებოდა მეფის მიერ. მის დიდ უფლებებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ თანამდებობის მფლობელის ყმა–მამულები სამეფო სამსახურისაგან თავისუფლდებოდნენ. ერეკლე II-ის ერთ-ერთ სიგელში გორის ციხისთავად//მინბაშად დასახელებულია **ივანე დიასამიძე:** „გორის **მინბაშობა დიასამიძე ივანეს რომ მივეცით**. თავისი ყმანი გაუთარხნეთ (თარხნობა–თავისუფლების მინიჭებას გულისხმობს, თარხნობა შეიძლება მიენიჭებინათ როგორც პიროვნებისათვის, მაგ. თარხან მოურავი, ისე დასახლებული პუნქტისათვის მაგ. ასტრახანი-თ.ფ.), რომ ციხეში თავისი კაცი უნდა დაეყენებინა“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ.Sd. საბ. 383).

მეფე ერეკლემ 1790 წ. 6 მარტის ბრძანებით მინბაშის უფლება-მოვალეობა ასე განსაზღვრა: „ქ. ჩვენი ბრძანება არის **დიასამიძე მინბაშო დიმიტრი!** მერე, გორის ციხის მინბაში შენა ხარ, იმისი ყველა საქმე შენ გაქვს თავსა და შენ გეკითხება, კაცსაც სხვა შენ უნდა დააყენებდე და სხვას იმ ციხის საქმესაც შენ უნდა არიგებდე. ეს უფრო პირველი ქალაქი არის, მაგრამ ამის ციხესაც სხვა მინბაში ჰყავს მიჩნეული და ყოველი იმ ციხის საქმე იმის მინბაშს ეკითხების, სხვას საქმე არავისა აქვს და ეგრევე შენა ხარ გორის ციხის მინბაში და თუ გაგიჭირდებოდეს

* .მინბაში–თურქ. ათასისთავი.

* მორდალი– სპარს-სამეფო ბეჭდის მცველი.

რამე ციხისთვის ან კაცის დაყენება, ან სხვა რამე, ამილახვარს შეატყობინებდე, გაარიგებინებდე და გამოართმევინებდე“ (დ. გვრიტიშვილი, 1968:370-371).

ე.ი. მინბაში აკონტროლებს ციხის დაცვის დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას, ციხის მცველთა განწესებას და უშუალოდ ხელმძღვანელობს ციხის დაცვის ორგანიზაციას. ციხეში შესვლა-გამოსვლაც ეფუძნებოდა გარკვეულ რეგლამენტს. მინბაშის ნებართვის გარეშე დაგვიანებული პირი ვერ შევიდოდა. დ. ბაქრაძის ცნობით გორის ციხეში მინბაშის მოსვლამდე მეფე ერეკლეც კი არ შეუშვიათ, რომელიც შეღამებისას მისულა ქალაქში (დ. ბაქრაძე, გორის ციხე, Кавказ, 1855, 48, 49., დ.გვრიტიშვილი, 1968:371).

ციხის მცველები მეფის ხაზინიდან იღებდნენ სურსათ-სანოვაგეს. ზაზა ამირეჯიბის მოხსენების მიხედვით, რომელიც მას გაუგზავნია ციციანოვის სახელზე, ირკვევა, რომ მინბაშს წლიურად ჯამაგირის სახით უხდიდნენ 30 თუმანს, ყოველდღიურად – 2 ლიტრა პურს, ერთი შაურის სანთელს, ყოველკვირეულად – სამ ლიტრა ცხვრის ხორცს, ერთ ლიტრა მარილს, სამ თუნგ ღვინოს, ასევე მარხოშს – სამარხოს, თევზსა და ხიზილალას, ადგილობრივი მაცხოვრებლები მეციხოვნეებს უზრუნველყოფდნენ შეშითაც.

რაც შეეხება მორდარს, იგი იყო ბეჭდის მცველი, შემნახველი და შედიოდა „სახლთუხუცესის სახელისუფლოში.“ პირველად ქართლის სამეფოში ორი მორდარი ყოფილა: მეფისა და დედოფლის. ქართლ – კახეთის გაერთიანების შემდეგ მეფეს ორი მორდარი ჰყავს: ქართლისა და კახეთის (დ. გვრიტიშვილი, 1968:371). ზაალ ბარათაშვილი წერს: „რაც საჯარიმო იჯარა იყო, ნახევარი–კახეთის მორდლისა იყო, ნახევარი ჩემი იყო. აქედან მერგებოდა წელიწადში 10 თუმანი“ (ვ. გაბაშვილი, 1943:177). ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია სხვა შემოსავლებიც და განსაზღვრულია უფლება-მოვალეობაც. მორდარი აკონტროლებს ბეჭდის მომზადებისა და დაბეჭდვის პროცესს, ზოგჯერ ასრულებს მეფის საგანგებო დავალებასაც (დ. გვრიტიშვილი, 1968:177).

დიმიტრი დიასამიძე მემკვიდრეობით გორის ციხის გარნიზონის სარდალი იყო. პოლკოვნიკის ჩინით (იმ დროს მინბაში). 1795 წ. კრწანისის ომის წინა ხანებში ერეკლე II-მ საგანგებო ბრძანება მისცა **დიმიტრი მინბაშ დიასამიძეს** გორის ციხისა და მისი შემოგარენის გასამაგრებლად. მეფესთან მის სიახლოვეზე მიუთითებს ისიც, რომ **იგი მეფე ერეკლეს „ცხედრის მტვირთველთა“ შორის იხსენიება**. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით ერეკლე მეფის „ცხედრისა მტვირთველნი ესენი არიან: ანდრონიკასშვილი იოსებ, ციციშვილი სვიმონ, ბეჟან მდივანბეგიშვილი რაფაილ, ბარათაშვილი იოსებ მინბაში, ბეჟან ყორჩიბაშიშვილი, **დიასამიძე დიმიტრი,** ციციშვილი იოანე... და სხუანი.“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, 1972:86). 1802 წლის ერთ დღეს, ჭექა-ქუხილის დროს, დიმიტრი დიასამიძეს თავისი კოშკის ზემო სართულის სარკმლიდან თავი გაუყვია, რათა ენახა რა ხდება გარეთ, მაგრამ ამ დროს მეხი ჩამოვარდნილა, დასცემია და მოუკლავს (გ.კობახიძე, 1990 წ. 28 აპრილი).

დიასამიძეთა შესახებ ცნობებს ვხვდებით 1800 წლის სიგელშიც. გიორგი XII-ის მიერ 1800 წ. დიასამიძეებზე ბოძებული წყალობის წიგნის მიხედვით, დიასამიძეთა ტრაქტატით 3 აზნაური ჰყოლიათ: მახვილაძე, გობირეხვაშვილი და ხუციშვილი. დოკუმენტის მიხედვით „ოდესცა შენნი პირველნი მამაპაპანი (დიასამიძეთა წინაპრები, თ.ფ) საქართველოში მოსულან, იმათი სამკვიდრო ყმა აზნაური – შვილი მახვილაძე თან მოჰყოლია მემკვიდრეთ, ყმათ, ერთგულათ სამსახურში ყოფილან იმ დროიდამ, აწცა იმყოფებიან კურთხეულის ბატონის პაპის, ჩვენის მეფის თეიმურაზის დროს მამაშენი მორდალი დავით და შენი სახლისკაცი იოანე რომ გაყრილან (ე.ი. დავით და იოანე დიასამიძეები, თ.ფ), მორდალს დავითს (დიასამიძეს) ზაალ მახვილაძე თავისის ყმით, მამულ-ადგილით... საუფროსოთ აუყვანია და წილშიც მამაშენსა რგებია, რომელიც ზაალ მახვილაძის განაყოფი იყო მახვილაძე, შენს განაყოფს და სახლიკაცს დიმიტრის ჰყავს წილში ნარგები, რადგან პირველითაგანვე თქვენი მამა-პაპათ მემკვიდრენი ყმანი ყოფილან მახვილაძეები და თქვენი აზნაურიშვილები არიან, თქვენის სახლისა. აწცა გვიბოძებია ზაალ

მახვილაძის აზნაურიშვილი მახვილაძე გლახა- თავისი შვილებითა და თავისი ჩამომავლობითა, თავისის ყმითა და მამულ-ადგილითა, სასაფლაოთი, ნასყიდითა და უსყიდითა და თავისი ციხითა, რისაც მქონებელი არის მოუკლებლად ყოვლითურთ გვიბოძებია (სცია, ფ. 1450, აღწ. I, დავთ. 24, საბ. N 9).

ამ საბუთში მოხსენებული ზაალ მახვილაძე XVIII ს. შუა ხანებში დავით (მორდალი) და იოანე დიასამიძეების გაყრისას რგებია დავითს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ მახვილაძე ცოტა ადრე გამოსულა დიასამიძეთა დამოკიდებულებიდან. 1800 წლის წყალობის წიგნით გიორგი XII იესე დიასამიძეს უბრუნებს მის სამკვიდრო აზნაურს – გლახა მახვილაძეს თავისი ყმა–მამულებით (გ. აკოფაშვილი, 1965:172).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიული გვარი კარგად იყო ცნობილი საქართველოში და 1783 წ. 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატის თანდართული ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა სიაში სათანადოდ იყო აღნიშნული, რუსეთის საიმპერატორო კარმა მთელი რიგი უსიამოვნება მაინც მიაყენა მათი „თავადობის“ ფორმალური დამტკიცების საქმესთან დაკავშირებით. „დიასამიძეთა საქმე“ ათეული წლები გაგრძელდა. 1820 წ. 14 დეკემბერს **საქაშეთელმა ლუარსაბ და დავით დიმიტრის ძე დიასამიძეებმა** (დიმიტრი დიასამიძე იყო გრიგოლ დიასამიძის პაპა) საქართველოს კეთილშობილთა დეპუტატების საკრებულოს წარუდგინეს თხოვნა: „თვით უპატივცემულესთა ჩვენთა ამა შეკრებილებისათა და საზოგადოებამან საქართველოსამან უწყიან რომელ: ოდეს სოფელ ჩუენი საქაშეთი ერთბაშად სახლითურთ ჩვენით 1784-სა წელსა აკლებულან უცებ მომხთომელის ლეკის ჯარისაგან, სადაცა მოკლულ არს ბიძაცა ჩუენი იოანე და სხვანი ყოველნივე დატყვევებულან, რომელნიცა გზაზედ წინ დამხვედრისა მხედრობასა როსსიისასა წაურთმევია მტერთა ხელთაგან მხოლოდ სულნი, მაშინ ყოველნი წერილნი ჩვენნი ერთბაშად ნივთთა თანა დაკარგულან და ამის გამო არღარა გვაქვს ჩვენ წერილნი წარმოსადგენად, არამედ აღმოსაჩენელად თავადობისა ჩვენისა უპატივცემულესად წარმოვადგენთ ამა შეკრებილებისა შინა. 1. ბრძანებასა შემდგომად აკლებისა მიწერილსა მეფის

ირაკლისაგან აწ გარდაცვალებულის დიმიტრი დიასამიძისადმი 1795 წელსა, რომელსაცა შინა ახსენებს დიასამიძეობასა. 2. მოწმობასა თორმეტთა ჩინოვნიკთა კეთილშობილთასა ვითარმედ ვართ ჩვენ თავადნი იგი, რომელიცა მეფისა ირაკლისაგან მირთმეულს 1783 წელსა როსსიის საიმპერატორო კარისა თანა დამტკიცებულს ტრახტატსა შინა ჩვენებულ არს. ამას თანავე წარმოვადგენთ შთამომავლობასა და ახალთა სიათაცა სახეულთა, ყმათა და მამულთა ჩვენთასა და ყოვლად უმდაბლესად ვითხოვთ, რათა შეტანილ ვიქმნათ ნათესავთ სითყვაობითის წიგნის შესაბამსა ნაწილსა შინა და მოგცეს ჯეროვანი ღრამატა შეკრებილებისა ამისაგან.

„თავადი დიასამიძე ლუარსაბ,
თავადი დიასამიძე დავით
დეკემბრის 14-ს დღესა
1820 — სა წელსა“ (გივი კობახიძე 1957:150-152).

ე.ი. დიასამიძეებმა 1784 წ. დატეხილი უბედურების გამო (ლეკების თავდასხმა) ვერ წარუდგინეს რუსეთის მთავრობას და „საქართველოს კეთილშობილთ დეპუტატთ შეკრებილობას“ თავადობის დამამტკიცებელი სიგელ — გუჯარი. ერთად-ერთი საბუთი იყო ერეკლე II — ის 1795 წ. ბრძანება დიმიტრი (ლუარსაბისა და დავითის მამა) დიასამიძისადმი: „ჩვენი ბრძანება არის, დიასამიძევ მინბაშო დიმიტრო. მერე შენ ახლავ უნდა წახვიდე გორსა და როგორც რომ გორის ციხეში მინბაშათ მდგახარ, ისევ უნდა იმინბაშო და გორის ციხე ისე უნდა შეინახო და შენს მდგომარეობაში უნდა იყო. როგორც დღევანდელამდინ ყოფილხარ, ისევ ისე უნდა იმყოფებოდე. არც უწინ გამოგვიყვანიხარ მაგ ციხიდამა და ახლაც ასე გვიბრძანებია. მიდი და ციხეში დადექ და ციხე შეინახე. ბატონო ამილახვარო ოთარ, ციხეში შეუშვი და ციხე ამას დაანებე, რომ თავისი მდგომარეობა და საქმე შეასრულოს“. . .

„ქნარს მიცემს დავით მიხმობს ძედ კახეთის
მეფე ცხებულ ერეკლე“ (გ. კობახიძე, 1957: 157).

ბრძანება დაწერილია 1795 წ. 29 იანვარს. ბრძანებიდან ჩანს, რომ დიმიტრი დიასამიძე გორის ციხის გარნიზონის ათა-

სის თავი ადრეც ყოფილა. ეს ციხე და მიმდებარე სანახები თავად ამილახვარების კუთვნილება იყო, ამიტომაა, რომ ერეკლე ოთარ ამილახვარსაც აძლევს ბრძანებას, რათა დიმიტრი მინბაშს გორის ციხის გარნიზონის ათასისთავობა ჩააბაროს, ე.ი. მეფე ენდობა დიმიტრი დიასამიძეს და აფასებს. ამიტომაც აბარებს მას გორის ციხეს. პოლიტიკური ვითარება ხომ იმ პერიოდში მეტად დაძაბულია. აღა-მაჰმად ხანი ემზადება საქართველოს დასალაშქრავად.

რაც შეეხება ლუარსაბ და დავით დიასამიძეების რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ თხოვნაში მოთხრობილ ამბავს — ლეკების მიერ დიასამიძეთა აკლების შესახებ, თავისთვად საინტერესოა. დიასამიძეთა სახლის აკლება იმ დროს ბევრს ეხსომებოდა, რადგან დიდი დრო არ იყო გასული. ამ ფაქტის შესახებ გვაუწყებს თხზულება „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“, რომლის მიხედვით რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის შესვლის შემდეგ ეკატერინემ მხოლოდ ორი ბატალიონი გამოაგზავნა საქართველოში. ცხადია, ორი ბატალიონი საქართველოსათვის არ იყო ხსნა, ამასთან, რუსთა ჯარის ნაწილების შემოსვლამ გააღიზიანა მტრები, მათ შორის ლეკებიც, რომლებმაც „აღიღეს საქაშეთი და ტყვე ჰყვეს სახლეული დიასამიძისა“. . . „მუნ დიაცმა ერთმან, ტყვეთა ქართველთამან შეიპყრა შემპყრობი თავისი ლეკი და მოიყვანა მხედრობასა შინა ქართლისასა“ (გ. კობახიძე, 1957:155). გ. კობახიძის თქმით მებატონის ეს ცნობა გრ. დიასამიძის არქივშიცაა შემონახული. ჩანს, რომ **დიაცი, რომელსაც თავისი შემპყრობი ლეკი შეუპყრია, უეჭველი დიასამიძე იქნებოდა**, რადგან მტერმა სწორედ დიასამიძის „სახლეულნი“ დაატყვევა. „თხოვნიდან“ ირკვევა აგრეთვე, რომ დიასამიძის სახლეულის აკლებისას მტრებს **მოუკლავთ იოანე დიასამიძე, რომელსაც უთანასწორო ბრძოლაში მტრისათვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევია**. წინააღმდეგ შემთხვევაში მასაც დაატყვევებდნენ. დიასამიძეთა სახლეულზე თავდასხმა თარიღდება 1784 წლით.

ლუარსაბ და დავით დიასამიძეებს თავიანთი თავადობის დასამტკიცებლად წარუდგენიათ მოწმობა 12 პირის



(შანშე ერისთავის, ელიზბარ ფალავანდოვი, იოსებ კალატოზოვი, დავით თარხან მოურავი, დავით ციციშვლი, ანტონ ავალოვი, იოსებ გედევანოვი, გიორგი ვეზიროვი, იოანე მაჩაბელოვი (მაჩაბელი), იოანე ბეგთაბეგოვი) ხელმოწერით. მოწმობაში ნათქვამია, რომ **ლუარსაბ და დავით დიასამიძეები ეკუთნიან თავადურ**

საგვარეულოს, რომ ეს გვარი მოხსენიებულია თავადთა შორის გეორგიევსკის ტრაქტატშიო. მოწმობის გაცემის თარიღია 1820 წ. 7 დეკემბერი (გ.კობახიძე, 1957:161).

ამრიგად, დიასამიძეები მიეკუთვნებიან თავადაზნაურთა საგვარეულოს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ოსმალთა მიერ სამცხე-სათაბაგოს დაპყრობის შემდეგ (ისლამის მოძალების გამო) დიასამიძეთა ნაწილი ქართლში, იმერეთსა და აჭარაში აფარებს თავს და იქედან განაგრძობენ დამპყრობლების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას. XX საუკუნის დასაწყისში მათ დიდი როლი შეასრულეს აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

დიასამიძეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის საზოგაროებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ გვარის წარმომადგენლებს ვხვდებით საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მარჯორი უორდროპთან შეხვედრაზე ერის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად მონაწილეობდა ორი დიასამიძე — ალეკო და გიგა, თუმცა სურათზე ისინი სანდროს და გენოს სახელით არიან დაფიქსირებულნი.

ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ დიასამიძეთა საგვარეულოზეც მოახდინა გავლენა. ამასიის ზავის შემდეგ მათზე ადრე ბოძებული ლორე-ბამბაკი ირანის ხელში მოექცა. ეს მხარე მუდმივი ცილობის საგანს წარმოადგენდა ირან-ოსმალეთს შორის. დიასამიძეებმა ალღო აუღეს შექმნილ სიტუაციას და განჭვრიტეს, რომ დაკარგული პოლიტიკური მდგომარეობისა და მამულების დაბრუნება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში. მათ იცოდნენ, რომ საერო და საეკლესიო ხელისუფლების შეთანაწყობილი მოქმედება სამშობლოს მტრისგან გათავისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო. ამ ფაქტორმა განსაზღვრა დიასამიძეთა აქტიურობა სასულიერო სფეროში. ისინი ცდილობდნენ ეკლესიის გაძლიერებით ხელი შეეწყოთ დამპყრობთა უღლისაგან სამშობლოს გამოხსნის მამულიშვილური საქმისათვის. ამ მისიის შესრულება წილად ხვდა ქართლის კათალიკოსს – **ევდემოზ I დიასამიძეს.**

ჯვრით ღვთისა და ქვეყნის სამსახურში

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიამ არაერთი ტრაგიკული და მძიმე პერიოდი იცის, მაგრამ გამორჩეულია მე-17 ს-ის პირველი ნახევარი, როცა შაჰ აბასის გამანადგურებელ ლაშქრობებს, გვირგვინოსანთა (ლუარსაბ II, ქეთევან დედოფალი) ტყვეობაში წამებით სიკვდილსა და ძმათამკვლელ ბაზალეთის ბრძოლას მოყვა სპარსეთის მიერ ქართლში გამაჰმადიანებულ ბაგრატიონთა გამეფების წესის დაკანონება. ამ პოლიტიკური მოვლენების შედეგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში უპრეცედენტო გამოდგა – **პირველმა გამუსლიმანებულმა მეფე როსტომმა ქართლის ორი კათალიკოსი შეიწირა: ერთი (ზაქარია) ქვეყნიდან გაიქცა, მეორე კი (ევდემოზ) სიკვდილით დასაჯა.** ევდემოზ კათალიკოსის მოღვაწეობას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა პროფ. ბ. დიასამიძემ, რომელსაც მკითხველს სრულად ვთავაზობთ:

„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივს მიაგებს იმ მღვდელთმთავრებს, რომელთაც ქრისტიანობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვას თავი შესწირეს და ამით მაგალითი მისცეს თანამემამულეებს რწმენისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის თავდადებისა. ისინი ეკლესიამ წმინდა მოწამეებად შერაცხა, ვითარცა წმიდა სამოციქულო ეკლესიისა და ქვეყნისათვის წამებულნი. წმიდა წამებულთა ამ გუნდიდან გამორჩეულია XVII საუკუნის 30-იანი წლების ქართლის კათალიკოსის – ევდემოზ I დიასამიძის სახელი, რომელსაც ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში (1634-1643 წწ.) როსტომ მეფის მმართველობისას მოუწია ქვეყნის ეკლესიის მესაჭეობა და სულიერი მამობა.



ევდემოზ პირველის მოღვაწეობა, მისი მოწამეობრივი აღსასრული ასახულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, მისი ღვაწლი ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე სათანადოდ დაფასდა წმიდა მოწამედ შერაცხვით, მაგრამ ბოლო ხანებში, ისტორიკოს – მკვლევართა ერთი ნაწილის შრომებში გაჩნდა შეფასებები, რომ „მაჰმადიანობის მიუხედავად, როსტომი პატივისცემას იჩენდა ქრისტიანობისადმი, ეხმარებოდა სასულიერო პირებს და აქტიურად მონაწილეობდა ეკლესია – მონასტრების აღდგენა – განახლებაში. ქრისტიანობისა და ეკლესიისადმი ასეთ ლოიალურ დამოკიდებულებას მხოლოდ პოლიტიკურ მიზნები არ ედო სარჩულად. ირანში დაბადებისა და იქ მისი ცხოვრების უდიდესი ნაწილის გატარების მიუხედავად, როსტომში ქართული ცნობიერება საკმაოდ ძლიერი იყო. ამიტომაც მისი კარგი დამოკიდებულება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული“ [მ. კაპანაძე, 2007:66). ამასთან ისინი ეყრდნობიან რა „ქართლის ცხოვრებაში“ მითითებულ მის ნათესაობას (მოყვრობას) თეიმურაზ პირველთან, ევდემოზ კათალიკოსის მცდელობას როსტომ მეფის დამხობისა და თეიმურაზ პირველის გამეფებისათვის ქართლში, მიიჩნევენ პირადი, ნათესაური ურთიერთობის გამოვლინებად და ამით აკნინებენ მის დამსახურებას ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე.

ამჯერად, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ევდემოზ კათალიკოსის დროის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, როსტომ მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის არსი და მკითხველი დავარწმუნოთ იმაში, რომ ევდემოზ კათალიკოსის

პოზიცია და ბრძოლა როსტომის წინააღმდეგ განპირობებული იყო არა პირადი ინტერესებით, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის ინტერესებით.

წმ. ევდემოზ პირველის კათოლიკოსად კურთხევას წინ უსწრებდა ჩვენი ისტორიის ტრაგიკული მოვლენები: შაჰაბასის ლაშქრობები და ათიათასობით ქართველის სპარსეთში გადასახლება, მეფე ლუარსაბ პირველისა და ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი აღსასრული სპარსეთის შაჰის კარზე, მარტყოფის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ, მარაბდის ტრაგედია, ბაზალეთის ძმათამკვლელი ბრძლა და სხვა, რომლებმაც შეამზადეს საფუძველი სპარსეთის ხელისუფალთა მიერ საქართველოს დამორჩილების ახალი სტრატეგიის შემუშვებისა – საქართველოს მეფეებად დაესვათ მხოლოდ გამუსლიმანებული ბაგრატიონები და მათი ხელით განეხორციელებინათ საქართველოს გამუსლიმანება, სახელმწიფოებრიობის დაკნინება და მისი საბოლოოდ დამორჩილება. ამით შესრულდებოდა მათი მეორე დიდი გეგმაც – კავკასიისაკენ მომართულ გაძლიერებულ რუსეთს ჩამოაცილებდნენ საიმედო მოკავშირეს – ქრისტიანულ საქართველოს.

1629 წელს (იანვარში) გარდაიცვალა შაჰ-აბას I. ამავე წლის ოქტომბერში, ოსმალეთის დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას ბრძანებით, **გიორგი სააკაძე სიკვდილით დასაჯეს.** გიორგის ბიძაშვილმა როსტომ ხან სააკაძემ (გიორგის ხელშეწყობით დაწინაურებულმა) და გამუსლიმანებული დაუდ ხანის შვილმა – როსტომ ხან ბაგრატიონმა ირანის შაჰინ-შაჰად სეფი I დასვეს. სწორედ, სეფი პირველს მოუწია იმ გეგმის განხორციელების დაწყება, რომელიც გამუსლიმანებულ ბაგრატიონთა გამეფებას ითვალისწინებდა ქართლში (ეს წესი მოქმედებდა 112 წელიწადს – 1632-1744 წლებში).

შაჰ აბასი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მიაღწია ქართლის საბოლოოდ დამორჩილებას, ამიტომ შაჰის კარზე ქართლის გამუსლიმანება-დამორჩილების ახალი, განსხვავებული გეგმა შემუშავდა: გამოენახათ სამეფო გვარის – ბაგრატიონთა გამუსლიმანებული შთამომავალი, რომლის ქართლის ტახტზე დასმა კანონიერ სახეს მიიღებდა. ასე გახდა ქართლის ვალი (მმართველი) დიდი სი-

მონ I-ის მოღალატე ძმის – დაუდ ხანის უკანონო შვილი როსტომი, რომელმაც შაჰისადმი ერთგულებით ჯერ მისი გვარდიის სარდლობას, შემდეგ კი ისპაჰანის ტარუღობასაც (მოურავობა) მიაღწია. ამ დროს ქართლ-კახეთის რეალური მმართველი იყო თეიმურაზ I. 1633 წელს შაჰმა 130 000-იანი ჯარით თეიმურაზის წინააღმდეგ გამოგზავნა როსტომ ხან ბაგრატიონი მისი ქართლში გამეფების პირობით. თეიმურაზ I იძულებული გახდა დედოფლით, ერთგული სასულიერო პირებით და სამასამდე დედაკაცით შეხიზნებოდა თავის სიძეს, იმერეთის მეფე ალექსანდრეს. მეფეს იმერეთში გაჰყოლია ქართლის კათოლიკოსი ზაქარიაც. მ. თამარაშვილი წერს: „რადგან თეიმურაზთან ერთად ზაქარია კათალიკოსიც გაიქცა იმერეთში, ამისათვის როსტომ ხანმა კათალიკოსად დანიშნა ერთი ახალგაზრდა ეპისკოპოსი, რომელიც არ იყო მეგობარი კათოლიკებისა და რომლის შესახებ მისიონერები ამბობდნენ: კაი მეომარი და მონადირე არისო“ [მ. თამარაშვილი, 1902:127]. ეს **ახალგაზრდა ეპისკოპოსი ევდემოზ I დიასამიძე იყო,** რომელიც, როგორც ჩანს, როსტომ მეფემ სწორედ ამ თვისებების გამო („კაი მეომარი და მონადირე „) შეარჩია კათალიკოსად, რადგან ფიქრობდა – ახალგაზდა კათალიკოსი ნაკლებად ღვთისმოსავი იქნებოდა, მაგრამ როგორც მოვლენების შემდეგმა მსვლელობამ აჩვენა, იგი შეცდა. „კაი მეომარი და მონადირე“ ახალი კათალიკოსი, ღრმად მორწმუნე და თავდადებული ქრისტიანი აღმოჩნდა.

როგორც როსტომის მოღვაწეობამ აჩვენა, იგი შაჰის კარის მიერ მკაცრად განსაზღვრული პროგრამით ჩამოვიდა საქართველოში. ამიერიდან სპარსეთის სახელმწიფო, ძალის ნაცვლად, მოქნილ, ლოიალურ პოლიტიკას გაატარებდა მუსლიმანი ბაგრატიონი მეფეების ხელით. ასე რომ, „როსტომ ხანმა თავისი მმართველობის 26 წლის მანძილზე გაცილებით მეტის გაკეთება შეძლო ქართველთა გადასაგვარებლად, ვიდრე შაჰ-აბასმა, თემურლენგმა და ჯალალედდინმა ერთად... რასაც ვერ გახდნენ ომითა და მახვილით, მშვიდობითა და ოქროთი შეძლეს“ [ს. მასხარაშვილი, 2006 : 242]. ბერი ეგნატაშვილი შემდეგნაირად აღწერს როსტომ ხანის მეფობის დასაწყისს: „ ამან აღაშენა სახლი ყიზილბაშური, კეკლუ-

ცად და ტურფად ნაგები, შემოიღო მოფენილობა, სმა-ჭამა, გამოჩუენება და კეკელაობა. და მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა, და გამრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არა წმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მრუშობა და დედათა თან აღრევა“ [ქცა, 1959:424] და ეს ყველაფერი კეთთებოდა ყაენის ნებით, რადგან როსტომ მეფე „უყაენოდ არავის მისცემოდა, და თუ ვინმე გასაკეთებლად უნდოდა, ყაენს შეეკითხებოდა. და ეს იყო მეფე როსტომ მორჩილი ყაენისა და მოყუარე სჯულისა მაჰმადისასა“ [ქცა, 1959:424]. მან ქართ-კახეთში ახალი ტიპის სახელმწიფოს დაუდო საფუძველი. ერთი მხრივ, შინაურთა და ადგლობრივთათვის რისტომი ქართველი მეფე იყო, რომელმაც ძველქართული სახელმწიფო სტრუქტურები და სახელმწიფო მმართველობაში ძველთაგანვე არსებული ქართული სახელო-თანამდებობები არ მოშალა, თავის თავსაც მეფეს უწოდებდა, მაგრამ მეორე მხრივ, მან გზა გაუხსნა ყიზილბაშურ რიგს, „ხელისუფალთა დასახელება სპარსეთის მიბაძვით შეცვალა, შემოიღო ყიზილბაშური თანამდებობები. როსტომმა თავის მმართველობას ორსახა ხასიათ მისცა: სპარსელებისათვის ის „ვასალია“ (ანუ შაჰის მოხელე). ქართველებისათვის „მეფე“ [ა. ჯაფარიძე, 2003:251]. მოსახლეობის გულისმოგებისა და მხარდამჭერთა გამრავლების მიზნით რიგი ისეთი ღონისძიებები გაატარა, რომლებიც მას ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, ქვეყანაში წესრიგის განმტკიცების და ქრისტიანობისადმი ლოიალური დამოკიდებულების იმიჯს უქმნიდა. ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს: „ხოლო სამღვდელონი ეპისკოპოსნი ამით დაიერთგულნა, რომე ყოველთავე ჯამაგირი განუწესა, თავმდაბლად და ტკბილად ექცეოდა, ამისათვის არღარა ზრუნვიდენ სამღვდელონი კრებულნი. ხოლო აღაშენა წმინდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხვანიცა რომელნიმე მოოხრებულნი ეკლესიანი აღაშენნა. და კუალად აღაშენა გატეხილი ხიდი“ [ქცა, 1959: 425].

მეფეს ესმოდა რა ვაჭრობის, აღებ-მიცემობის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ხელს უწყობდა ვაჭრობის სადავეების უცხოელთა ხელში (სომხები, ბერძნები, ებრაელები) გადას-

ვლას. მაკარი ანტიოქიელის ცნობებზე დაყრდნობით, პროფ. შ. მესხია XVII საუკუნის შუა ხანების ქართლში შექმნილ მდგომარეობას ასე ახასიათებდა: "მთელი ვაჭრობა ქართველთა ხელქვეითი სომხების, ებრაელების და ზოგიერთი ბერძენის ხელთაა... ეს სომხები და ებრაელები წარმოადგენენ მდიდართა კლასს საქართველოში და მათ წინაშე ყველა ქართველი დავალებულია განურჩევლად წარჩინებულობისა და მმართველობისა. ყოველ ამ ვაჭართაგანს ოჯახში ყავს ქართველი გოგო-ბიჭი მსახურად, რომლებსაც როგორც უნდათ, ისე ექცევიან" [შ. მესხია, 1983: 316].

როსტომ მეფის მოღვაწეობის ხანიდან დამკვიდრდა ქართლში ქრისტიან ქართველთა ტყვედ სყიდვა. თუ სიმონ ხანი ტყვეებად, საჩუქრებად არაქართველებს, არაქრისტიანებს აგზავნიდა, როსტომის მეფობიდან დაკანონებულა ქართველ ქრისტიანთა ტყვედ ქცევა. „ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „და ამან როსტომ მატა ყოველსა ფეშქაშსა და მეტადრე ტყვესასა. რაჟამს დაიდვა სვიმონ მეფემან, ამ წესით იქმოდა: ანუ ძესა ურიისასა, ანუ ნასყიდსა და ანუ ოსთასა გაგზავნიდა, ხოლო ამან გამოიყვანა ქართველთა გლეხობა, აზნაურთა, დიდებულთა ასულნი და ძენი და მას გაუგზავნიდა, ამიერითგან დაიდვა ეს: და ყოველნი მეფენი საქართველოსანი ესრეთ ჰყოფდნენ, ვიდრე მოდღეინდელად დღემდე" [ქცა. 1059: 425].

როსტომ მეფის დროს გახშირებულა ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანთა „გაკათოლიკება", „გასომხება", „გაბერძნება", თუ „გამუსლიმანება". ამ პროცესმა ძალიან ფართო და საშიში ხასიათი მიიღო. ამიერიდან ქართველად მხოლოდ მართლმადიდებელ ეთნიკურ ქართველს თვლიდნენ. ეთნიკურად ქართველი კათოლიკე ფრანგად იწოდებოდა, გრიგორიანელი – „სომხად", ბერძნული ეკლესიის წევრი – „ბერძნად" და ა.შ. ამ პროცესს ხელს უწყობდა უცხოელთა მიერ გლეხებით დასახლებული მიწებისა და სოფლების შეძენის მიღებული წესიც, რომელსაც ხელისუფლებაც უწყობდა ხელს. ავგუსტინიანი პატრი ამბროზიო 1640 წელს რომში გაგზავნილ წერილში წერდა: „თუმცა ქართველებს დიდი სიმძულვარე აქვთ სომხებისა სარწმუნოების მხრივ, გარნა როდესაც

მათი ყმები ხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზე. ამაზე უარესიც ვნახეთ: ზოგიერთმა მდიდარმა ურიებმა რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ, გააურიავეს რამდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე“ [მ. თამარაშვილი, 1902: 236]. საქმე იქამდეა მისული, რომ როცა ერთ-ერთი მართლმადიდებლის (ნასყიდა ლოპამონი) კათოლიკე მონაზონად შედგომის გამო სასამართლო შედგა, კათოლიკე პატრი ქართლის კათალიკოსს საყვედურით მიმართავს: „ყოველდღივ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, და უფრო მომეტებული მათგანნი მაჰმადის სარწმუნოებასაც ღებულობს, მაშ, ვისაც კი უნდა გაფრანგება, რად უნდა დაეშალოს?“ [მ. თამარაშვილი, 1902: 127].

XVII საუკუნის 30-იან წლების მეორე ნახევარში ევროპელი კათოლიკი პატრები ქართლიდან იმერეთსა და სამეგრელოში გადადიან. ამას მ. თამარაშვილი იმით ხსნის, რომ „ქართლში ველარ ხედავდნენ უწინდელებრ კათოლიკე სარწმუოების მოსარჩლე მეფეს (თეიმურაზს – ბ.დ.), მისიონის მფარველს დედოფალს (თეიმურაზის მეუღლე დარეჯანს მისიონის მფარველს და დედას ეძახდნენ) და აღარც თავიანთ ერთგულ კათალიკოსს (ზაქარია – ბ.დ.) ... არც ახალი კათალიკოსისგან (ევდემოზ I – ბ.დ.) დიდს სიკეთეს მოელოდნენ [მ. თამარაშვილი, 1902 : 131]. როსტომ მეფის საეკლესიო პოლიტიკის დამახასიათბელია ისიც, რომ ევდემოზ პირველის მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ კათალიკოსად დასვა არა გამოცდილი ღრმად განსწავლული სასულიერო პირი, არამედ „ლაშქარ-ნადირობით“ გამორჩეული ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი, რომელიც იყო „გამოცდილი საეროსა სამამაცოსა ლაშქარ ნადირობასა შინა, და არა ჰქონდა გამოცდილობა წერილთა, მცირე ოდენ წურთილ იყო“ [ქცა, 1959: 425].

ვფიქრობთ, ქართლში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების წარმოდგენილი სურათი იძლევა იმის საფუძველს, რომ ღრმად გავიაზროთ, კათოლიკოს ევდემოზ I დიასამიძის მოღვაწეობის არსი: ან უნდა შეგუებოდა როსტომ მეფის ქართველთა სულიერი გახრწნის, ეროვნული ცნობიერების გადაგვარების პოლიტიკას, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სა-

ხელმწიფოებრიობის დაკარგვას მოუმზადებდა საფუძველს, ან დაპირისპირებოდა მას, ეძებნა გზა ქვეყნის ხსნისა. როგორც ჩანს კათალიკოსმა მეორე გზა აირჩა. იგი ვერ ეგუებოდა მეფის მიერ ქვეყანაში დანერგილ ყიზილბაშური ცხოვრების წესსა და იმას, რომ „რომელნიღაცა იყვნენ ქართველნი“ მოყუარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილწების მოქმედნი, დიდად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხავდა და უსმენდა მათსა და, რომელნიცა იყვნენ სიმართლისა მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდნენ და შეუძლებელსა“ [ქცა, 1959: 425]. ამიტომ კათალიკოსი მეფეს სახალხოდ ეუბნებოდა „**მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანთა მამინაცვალიო**“ [წმინდანთა ცხოვრებანი, 2006: 307-307]. მისთვის ცხადი იყო, რომ შაჰისაგან გამოგზავნილი, სპარსეთში დაბადებულ-აღზრდილი მუსლიმანი როსტომი ირანის ხელისუფლების გეგმის მიხედვით მოქმედებდა, ამიტომ იგი თანამოაზრეებთან ერთად ქართლის ინტერესებისათვის მისაღები მეფის კანდიდატურად, სპარსელების წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლს, წამებული ქეთევან დედოფლის შვილს თეიმურაზს მიიჩნევდა, რადგან სწორედ მან გაიღო ყველაზე დიდი მსხვერპლი (შვილები, დედა...) დამპყრობლებთან ბრძლაში.

ამიტომ „შეკრეს პირობა (ზაალ) ერისთავმან, იოთამ ამილახორმან, ნოდარ ციციშვილმან, კათალიკოზმან **დიასამიძემან ევდემოზ,** გოჩიშვილმან გიორგი და ზოგმან რომელგანმე ქართველმანცა, ამით ინებეს განდგომა როსტომ მეფისა. და უფროსღა ცდილობდა კათალიკოზი ევდემოზ ამისათვის, რომე ამისი ძმის ასული დათუნას, ბატონი თეიმურაზის შვილს ცოლად ესუა. ამათ გაუგზავნეს ბატონს თეიმურაზს კაცი და მისცეს საფიცრები და პირობა დიდი და იხმეს:“ კუალად მოდი ქართლში და გაგაბატონებთო“ – ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“ [ქცა. 1959: 422]. შეთქმულება გასცეს. როსტომ მეფემ შეთქმულები შეიპყრო და სასტიკად დასაჯა. „შეიპყრა კათალიკოზი ევდემოზ როსტომ მეფემან და წარავლინა ქალაქის ციხეში და ტყუე-ყო და, ხანსა რაოდენსამე უკანა, მუნვე ციხეში მოაშთობინა“ [ქცა, 1959: 423]. ვა-

ხუშტი ბატონიშვილი შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ ამბავს: „შეიპყრა როსტომ მეფემან კათალიკოზ ევდემოზ და პატიმარ ჰყო თბილისის ციხესა შინა. შემდგომად გარდმოაგდო განჯის-კარის კოშკიდამ“ [ქცა, 1959: 442]. მარი ბროსე ამატებს: „კათალიკოზი შეიპყრეს, მაღალ კოშკიდან ხევში გადააგდეს“ [მ. ბროსე, 1895: 204-205]. „ქართველ წმინდანთა ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: როსტომ მეფემ „მისი გვამი შეურაცხყოფის მიზნით ნარიყალას ციხიდან გადააგდებინა აბანოების მხარეს. ქრისტიანობისათვის ნეტარხსენებული კათალიკოს-პატრიარქის გვამი ქრისტიანებმა ფარულად წამოასვენეს და ანჩისხატის ტაძარში დაკრძალეს, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში“ [ქართველ წმინდანთა…, 2003:235)

ანჩისხატი

ევდემოზ პირველის დასჯის ზემოთმოხსენიებული ფორმები (დატუსაღება, მოშთობა, ციხის კოშკიდან გადაგდება) აჩვენებს, რომ ევდემოზ პირველის მოქმედება, მისი მონაწილეობა

შეთქმულებაში, როსტომის ხელისუფლებამ შეაფასა, როგორც მეფისაგან განდგომა და ღალატი. როსტომის მეფობას ივ. ჯავახიშვილი ასე აფასებდა: ქართლში როსტომისა და კახეთში სელიმის გაბატონებით „ქვეყანა მთლიანად სპარსეთს ჩაუვარდა ხელში... ბრმისათვის ცხადი უნდა გამხდარიყო რომ თეიმურაზ მეფის ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობასა და მაინცდამაინც დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულის ბრძოლას მოასწავებდა, როსტომის მეფობა კი ჩვენი ქვეყნის მონობასა და სპარსთა ბატონობის მომავლინებელი იყო“ [ივ. ჯავახიშვილი, 1967: 369]. თუ ამ შეფასებას გავიზიარებთ, მაშინ ევდემოზ კათალიკოსის როსტომ მეფისაგან განდგომა, მის წინააღმდეგ აჯანყება – გმირობა, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის თავგანწირვა იყო და მისი ნათესაობა (მოყვარეობა) თეიმურაზ მეფესთან მხოლოდ რეალობის დაფიქსირებაა მემატიანის მიერ. აჯანყებულთა გამარჯვების შემთხვევაში ევდემოზ კათალიკოსი პირადად არაფერს ელოდა, რადგან იგი ისედაც უმაღლესი მღვდელთმთავარი, კათალიკოსი იყო. „კათალიკოს ევდემოზ I-ის პოლიტიკური ნაბიჯი („როსტომისგან განდგომა“) ნაკარნახევი იყო არა ვიწრო სუბიექტური (ნათესაური ურთიერთობა თეიმურაზ I-თან) მოსაზრებით, არამედ იყო ნაბიჯი ღრმად მოაზროვნე ეროვნული მოღვაწისა, ერის ჭეშმარიტი სულიერი მამისა და შორსმხედველი პოლიტიკოსისა“ [ზ. კაცელაშვილი, 1999].

როსტომ მეფის მხრივ ქრისტიანობის მიმართ ლოიალობა, ეკლესიების შენება და შემკობა, მშვიდობიანობა და ერთგვარი ეკონომიკური აღმავლობა ქვეყანაში არა მისი კეთილი ნების გამოვლინება იყო, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი თვლის, არამედ სპარსეთის სახელმწიფოს დამპყრობლური გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა ქართველი ხალხის გულის მოგებას, დამშვიდებას, სულიერ გახრწნას, ეროვნული ცნობიერების მოდუნებას, ქვეყანაში შექმნილი ვითარებისადმი შეგუებას, მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილის დამპყრობთა სამსახურში ჩაყენებას და საბოლოოდ, მშვიდობიანი გზით, რენეგატი გამუსლიმანებული მეფეების ხელით ქვეყნისათვის დამო-

უკიდებლობის წართმევას. ამიტომ როსტომ მეფის საქმიანობის გაზვიადება და დადებითად შეფასება ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობის დაცვისათვის თაავდადებული წმიდა მოწამე ევდემოზ კათალიკოსის ღვაწლის დაკნინებაა, რაც დიდი უმადურობა და უსამართლობაა ისტორიის წინაშე“.

კათალიკოს ევდემოზ I-ის მკვლელობის შემზარავი ფაქტი კვლავ განმეორდა 100 წლის შემდეგ. **1744 წ. სამეფო ნადიმზე აზნაურმა ტარიელმა თამაზის შვილმა ხანჯლით მოკლა კათალიკოსი ნიკოლოზ IX** (ზ.კაცელაშვილი, გაზ. თბილისი, 10 ივლისი, 1999). პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „უკეთურმა და ღმრთის შემცოდემ, იუდის მსგავსად აღშფოთებულან თამაზის შვილმა ტარიელ, ერთის უბრალო მიზეზისათვის სცა კათალიკოზს ნიკოლოზს სატევარი ზაკვით და მოკლა. ეგრევე ორი ყულუხჩი* ხმლით ზედა დააკავა, თავისი ბიძაშვილი პაატა ფრიად დააწყლულა. შეწუხდა მეფე (ერეკლე II), ვითაც მართებდა. თითონ ეშმაკის უბოროტესი ტარიელ დაიჭირეს და მოკლეს, ძმით, ცოლ-შვილით სულ აიკლეს. წაასვენეს წმინდა გუამი პატრიარქის დიდსა ეკლესიასა საპატრიარქოსა მცხეთას“ (ზ. კაცელაშვილი, 1999:14).

1918 წელს (226 წლის შემდეგ) კვლავ განმეორდა შემზარავი ტრაგედია. მუხანათურად მოკლეს კირიონ მესამე.

ჩვენი ერის ისტორიაში მომხდარი ეს შემზარავი ფაქტები გააზრებულ უნდა იქნას, როგორც რწმენისა და ეროვნული თავისთავადობისათვის მებრძოლი სულიერი მოძღვრების მოწამებრივი აღსასრული. ცხადია კათალიკოსს უმთავრესად ეროვნული ინტერესები ამოძრავებდა. ქრისტიანობისადმი როსტომ მეფის ლოიალური დამოკიდებულების მიუხედავად, კათალიკოსისათვის მიუღებელი იყო ყიზილბაშური ტრადიციების დამკვიდრების ტენდენცია, რაც გახდა მისი ტრაგედიის მიზეზი. სწორედ ამიტომ **ქართულმა ეკლესიამ ევდემოზ I წმინდანად შერაცხა და 4 (17) ოქტომბერი მისი ხსენების დღედ გამოაცხადა.** მისი ნეშტი განისვენებს ანჩისხატის ეკლესიაში.

---

* . ყულუხჩი-თურქ. ყარაულის უფროსი ოფიცერი.

წმ. ევდემოზის საფლავი ანჩისხატის ეკლესიაში

აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებად ევ-დემოზ I-ის შემდეგ დიასამიძეთა გვარის კიდევ ორ წარმომად-გენელს ვხედავთ. ისტორიული საბუთებით 1688-1692 და 1695-1700 წლებში კათალიკოს-პატრიარქად ჩანს **იოანე X – (იოანე დი-ასამიძე),** ქართლის, კახეთის, სამცხე-საათაბაგოს მაკურთხევე-ლი“ (ზ.კაცელაშვილი, 1999:14). 1688 წელს, ირანის შაჰმა ქარ-თლის ტახტზე რუსეთში აღზრდილი, შემდგომში ირანში მყოფი და ძალდატანებით გამაჰმადიანებული, ნაზარალიხანად წოდე-ბული ერეკლე I (1688-1703) დაამტკიცა. თბილისში მოსულ ერეკლეს ნიკოლოზ კათალიკოსი არ ეახლა, რის გამოც ერეკლე I-მა იგი გადააყენა კათალიკოსობიდან (შაჰის თანხმობით) და მისი ერთგულად ნამხახური **იოანე დიასამიძე** დანიშნა (საქარ-თველოს კათალიკოს-პატრიარქები, 2000:115). იგი მანამდე რუსთავის მიტროპოლიტი იყო. აღნიშნულ ფაქტს შემდეგნაირად

და გადმოგვცემს ვახუშტი: „**ამან შესცვალა და დასხნა თვსნი, კათალიკოსად დიასამიძე იოანე**“ (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, 2000:115). როგორც ჩანს, ერეკლე I-მა კათალიკოსთან ერთად გზიდან ჩამოიცილა მისი მოწინააღმდეგე მაღალი რანგის ოპოზიცია. 1689-1700 წლებში იოანეს გაუცია რამდენიმე წყალობის წიგნი. იგი 1700 წელს გარდაიცვალა და „**დასუა ერეკლემ ევდემოზ ძმისწული იოანესვე**“ (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, 2000:115).

მანამდე ევდემოზი საეკლესიო საბუთებში ბოდბელად (ბოდბის ეპისკოპოსი) მოიხსენიებოდა. სწორედ ევდემოზ მეორემ სპასპეტ ლუარსაბთან ერთად, მეფე ერეკლე I-ის დავალებით, ქართლში მოიწვია იმერეთში თავშეფარებული ვახტანგი, რომელსაც გიორგი XI-სა და ლევან ბატონიშვილის ჩარევით შაჰმა ქართლში დაბრუნების უფლება მისცა (ქრ. შარაშიძე, 1955:56). ქართული საისტორიო საბუთები ორივე კათალიკოსს ერეკლე I-ის ბიძად ასახელებს. მართლაც, დედოფალი თამარი, როგორც მარი ბროსეს მიერ შედგენილ ქართველ მეფეთა და მათ შთამომავალთა გენიალოგიურ ცხრილშია მითითებული, იმერთა მეფის გიორგი III-ის (1614-1639) თანამეცხედრე, შერმაზან დიასამიძის ასული იყო. ხოლო დედოფალი ელენე-ლეონ დიასამიძის ასული, თეიმურაზ მეფის ძის დავით ბატონიშვილის მეუღლეა (მ. ჯანაშვილი. 1915:.45). თეიმურაზს თავისი საყვარელი ძე დავითი მემკვიდრედ ჰყავდა მიჩნეული, მაგრამ იგი როსტომ მეფესთან გამართულ ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს და მეფობა აღარ ღირსებია: „ხოლო მაღაროს ყი-

დედოფალი ელენე
დიასამიძე

ზილბაშთა მოკლეს დათუნა, ძე ბატონის თეიმურაზისა და მოართუეს თავი როსტომს“ (ქართლის ცხოვრება, 1973:423). მიუხედავად ამისა, თეიმურაზმა თავის რძალს მაინც დედოფლის წოდება მისცა. დედოფლად იხსენიება ელენე ყველა წყაროში. იგი იყო დედა ერეკლე I-ისა (1688-1703), ბებია თეიმურაზ II-სა (1744-1762) და დიდი ბებია ერეკლე მეორისა. ერეკლე II, ელენე დიასამიძის შვილთაშვილი (შვილი შვილის შვილი) იყო.

ამრიგად, დიასამიძენი ქართველ მეფეთა სახლის შვილნი და ნათესავნი იყვნენ (გივი კობახიძე, გაზ. თბილისი, 28 აპრილი, 1990).

ვახტანგ VI-ის ინიციატივით (1703-1714; 1716-1724), 1705 წლის საეკლესიო კრებამ კათალიკოსობიდან გადააყენა ევდემოზ II. ვახუშტის თქმით ვახტანგ VI-სათვის, როგორც ბრძენი, ცოდნისმოყვარე, ეკლესიათმშენებელი და სამღვდელოების პატივისმცემელი პიროვნებისათვის მიუღებელი იქნებოდა ერეკლე I-ის მიერ დანიშნული კათალიკოსი. მას ეკლესიის სრული მხარდაჭერა სჭირდებოდა. ამის შემდეგ დიასამიძეთა საგვარეულო სახლი კვლავ იწყებს დაცემას. ამ გვარის წარმომადგენლები უკვე აღარ ჩანან მნიშვნელოვან საეკლესიო თუ სახელმწიფო თანამდებობებზე. თუმცა XVIII ს. ბოლოს ამ გვარის კიდევ ერთი წარმომადგენელი დაწინაურდა საეკლესიო იერარქიაში. თეიმურაზ ბატონიშვილის ნათლია (თეიმურაზი მარი ბროსესთან მეგობრობდა) **ანტონ დიასამიძე** – ჯვრის მამა ამაღლდა იერუსალიმის არქიმანდრიტობამდე. აღნიშნულის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის თედო ჟორდანია. გაზეთ „ივერიის“ 1893 წ. ერთ-ერთ ნომერში იგი წერდა: „1764 წელს ჯვრის მამად იჯდა ჯვარელი დიასამიძე. ამ საუკუნის დამდეგიდან დაწყებული ჯვრის მონასტერში თანდათან შემცირდა ქართველი ბერების რიცხვი“ (ახალი შვიდი დღე, 2-8 ივლისი, 2004). იგი ორჯერ იყო იერუსალიმში, 1764 და 1778 წლებში. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე II-თან და 1798 წ. მისთვის წირვაც გადაუხდია (მ. მეტრეველი, 1980:206-207).

არქიმანდრიტი ანტონ დიასამიძე მოხსენიებულია პლ. იოსელიანის გრამატიკის წინასიტყვაობაში. პლ. იოსელიანის თქმით

ანტონს XIX ს. დასაწყისში 3-ჯერ უმოგზაურია წმინდა ადგილებში და უმტკიცებდა საქართველოს უკანასკნელ მეფე გიორგის, რომ ათონის მთაზე სხვა მრავალ წიგნებს შორის ნახა ქართული გრამატიკა. ეს გრამატიკა, რომელიც მოხსენებულია ანტონ I-ის გრამატიკის 287-ე პარაგრაფში, იოანე პეტრიწის მიერ უნდა იყოს დაწერილი (ქართული ენათმეცნიერების ისტორია, 1995:503). გაზეთ „ივერიის“ 1889 წ. №73-ში გამოქვეყნებულ ა. ქუთათელაძის წერილში „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი, ბიბლიოთეკა და წარწერანი წიგნებზედ ჯვრის მონასტერში“ — მოტანილი წარწერა სწორედ არქიმანდრიტ ანტონს ეხება: „რომელნიც მიემთხვივნეთ სულთა განმანათლებლებსა წიგნსა ამას ცოდვილსა ჯვრის მამას **ანტონს დიასამიძეს** შენდობით მოიხსენებდეთ“.

ქვეყნის სამსახურს შეალია თავისი სიცოცხლე არქიმანდრიტმა **ევაგრე დიასამიძემ** (1887-1976 წწ.)



არქიმანდრიტი ევაგრე
დიასამიძე

იგი ერისკაცობაში ანდრიას სახელს ატარებდა. 1903 წლიდან იგი თბილისის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი გახდა. 1911 წ. 24 ნოემბერს მამკოდის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1913 წ. დიდმარხვაში თბილისის ფერიცვალობის სახელობის მამათა მონასტერში ბერად აღიკვეცა და ევარგე ეწოდა. იმავე წელს აკურთხეს დიაკვნად. 1914 წ. 3 ივლისს უკანა ფშავში, თამარისის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის მიძინების მამათა მონასტერში, გორის ეპისკოპოსმა ანტონმა მღვდლად დაასხა ხელი და გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში განამწესა. 1916 წ. 11 მაისს მარტყოფის მამათა მონსატერში გადაიყვანეს. 1910 წლის ბოლოს იგი დაჯილდოვდა ოქროს სამკერდე ჯვრით. 1922 წ. კომუნისტებმა მარტყოფის მონასტერი დაარბიეს და ბერები განდევნეს. ევაგრე თბილისში გადმოვიდა და კათალიკოს — პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ლოცვა — კურთხევით თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაში მედავითნედ მსახურობდა. 1924 წ. მისსივე თხოვნით მამკოდის მიტოვებულ მონასტერში მოღვაწეობდა. 1925 წლიდან კი ისევ თბილისში სიონის საპატრიარქო ტაძარში განამწესეს. 1920 — იანი წლების ბოლოს ილუმენის წოდება მიენიჭა. 1947 წ. გადაიყვანეს მარტყოფის მამათა მონასტერში და არქიმანდრიტის წოდება მიანიჭეს. 1955 — 1972 წწ. საგარეჯოს წმ. დოდო გარეჯელის სახ. ეკლესიის წინამძღვარია. სიცოცხლის ბოლო წლები მშობლიურ სოფელ აწყურში გაატარა. გარდაიცვალა 1976 წელს (გაზ. საპატრიარქოს უწყებები, 2007 წ. 26 აპრილი).

ამრიგად, დიასამიძეთა საგვარეულომ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში. მათმა თავგანწირვამ ქართველ ერს შეუნარჩუნა მართლმადიდებლობისადმი ერთგულება, დამპყრობთა ვერაგული პოლიტიკით გზააბნეულ ერს აჩვენა სარწმუნეობისა და ქვეყნისათვის თავდადების ბრწყინვალე მაგალითები, რაც ერთ-ერთი წინაპირობა იყო ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და თავისუფლების მოპოვებისა.

დიასამიძეები აჭარაში ოსმალთა ბატონობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში

ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ მოწინავე ქართველ პატრიოტთა ნაწილი აიყარა მამა-პაპისეული ადგილებიდან. რწმენის, სარწმუნოების დაცვა-შენარჩუნებისა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზების მიზნით ისინი მეზობელ ქართულ პროვინციებში პოულობდნენ თავშესაფარს. ეს პროცესები ყურადღების გარეშე არ დარჩენია ვახუშტი ბატონიშვილსაც. იგი აღნიშნავს, რომ სამცხიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში **განსახლდნენ „შემდგომად თათრობისა“ მესხი ამილახორაშვილები, დიასამიძეები, შალიკაშვილები, თაქთაქიშვილები“** (ქართლის ცხოვრება; 1973:34).

ამავე მომენტზე ყურადღებას ამახვილებენ არაქართველი ავტორებიც. ცნობილი რუსი მეცნიერის, ხელოვნების ისტორიკოსის ნიკოდიმ კონდაკოვის თქმით „დიასამიძეთა საგვარეულო სათავეში უდგას საათაბაგოს თავადაზნაურობას. ჰქონდათ ვრცელი მამული სამცხეში, ასპინძის სანახებში, ახლანდელი ახალციხის რაიონში და თურქების მიერ სამცხის დაპყრობისას არ ჰქონდათ რა სურვილი ეღალატათ წინაპართა სარწმუნოებისათვის, გადასახლდნენ ქართლში“ (გ.კობახიძე, გაზ. თბილისი, 28 აპრილი, 1990). აჭარაში გადმოსახლებული დიასამიძეების გარკვეული ნაწილი როგორც ჩანს, სოფ. გულებში დამკვიდრდა. ჯ. დიასამიძის აზრით, სწორედ გულებიდან მოხდა დიასამიძეთა განსახლება აჭარის სხვა სოფლებში (ჯემალ დიასამიძე, ი. დიასამიძე, 2013:28). ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, თუმცა ისმება კითხვა: რამდენად იყო შესაძლებელი ამ რაოდენობის დიასამიძეთა განსახლება ერთი სოფლიდან? ვფიქრობთ, რომ დიასამიძეთა ნაწილი აჭარაში სხვა სოფლებშიც მკვიდრობდნენ. არაა გამორიცხული მათი წინაპრების ცხოვრება თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე სამცხიდან მათ მიგრაციამდეც. ამის საფუძველს იძლევა 1516 წლის ერთი დოკუმენტი, რომლის მიხედვი-

თაც დიასამიძენი ფლობენ აბუსერისძეების ტერიტორიებს „სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“. ე.ი. ისინი აბუსერისძეთა მამულებს ფლობდნენ ოსმალთა შემოსევამდეც. სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ერთი პატარა სოფლიდან პრაქტიკულად აჭარის მთელ ტერიტორიაზე – უამრავ სოფელში მათი განსახლება.

მართალია, ოსმალებმა აჭარაც დაიპყრეს, მაგრამ მის მთიანეთში თურქთა ბატონობა (პირველ ეტაპზე მაინც) ნომინალურ ხასიათს ატარებდა. ერთი დოკუმენტის მიხედვით მთიელ აჭარელს სიამაყით განუცხადებია: **„რასა იქს კაცი, თვარა, იმ აბდალ თათრებს რავა დავაჩაგვრინებთ თავს. იქ არიან დიდგულაი, დედაგაქუცულები (ბარში), თორემ მთაში ვერ მოგვეკარებიანო“** (თ.ფუტკარაძე, 2005:25). ამდენად, მთიან აჭარაში მოსახლეობა შედარებით უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე ბარში, ზღვისპირა ზოლში. ამიტომაც იყო, რომ სამცხიდან გადმოსახლებულნი სწორედ მთიან რაიონებში დამკვიდრებულან. აჭარა სამცხის მოსაზღვრე იყო ტერიტორიულად და ისტორიული ბედის თანამოზიარე. თითქმის იდენტური ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და სამეურნეო პირობები (რაც იყო ხელშემწყობი პირობა გადმოსახლებულთა წარმატებული ადაპტაციისა და დამკვიდრებისათვის) იზიდავდა პირველსაცხოვრისიდან აყრილ მოსახლეობას და იგი აჭარაში სახლდებოდა. ამასთან, აჭარა ტრადიციულად გამოირჩეოდა სამეურნეო კულტურის მაღალი დონით. დ. ბაქრაძე წერდა: „თუ ახლანდელ აჭარლებს შევადარებთ ჩვენს მთიელ თვისტომებს რუსეთის საქართველოში, სახელდობრ, სვანებს, ხევსურებს, ფშაველებს, თუშებსა და მთიულებს, შეუძლებელია კულტურის მხრივ უპირატესობა არ მივანიჭოთ პირველთ მეორეთა წინაშე. ეს მთიელი ქართველები მუდამ ცივილიზაციის გავლენის ფარგლებს გარეთ იყვნენ და ამიტომ რჩებოდნენ წინათ და ახლაც რჩებიან განვითარების უმდაბლეს საფეხურზე. ამასვე ვერ ვიტყვით აჭარლებზე. ისინი ოდესღაც იმ ცივილიზაციის გავლენაში იყვნენ, რომელიც საბერძნეთიდან მოქმედებდა ძველ ზემო ქართლზე, ისე როგორც საერთოდ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე. აი მაგალითად, ხუროთმოძღვრების

ძეგლები, უხსოვარი დროიდან რომ შემორჩენილა აჭარაში: მისი ხიდები და სხალთის ტაძარი. ეს ცხადყოფს, რომ აჭარლებს ჰქონდათ თავისი კულტურა, რომლის მსგავსს ვერ ვხედავთ ქართველი მთიულებით დასახლებულ მთებში“ (დ. ბაქრაძე, 1987:74). ბუნებრივია, თავადაც სამეურნეო კულტურის მაღალი დონით გამორჩეული სამცხის მოსახლეობა საცხოვრისად იდენტურ ან მსგავსს სამეურნეო-კულტურულ გარემოს აირჩევდა. შესაძლოა, ესეც იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აჭარაში დიასამიძეთა რაოდენობრივი სიმრავლისა (მათ პირველსამკვიდრებელ სამცხესთან შედარებით). ამასთან, 1516 წ. დოკუმენტი, რომლის მიხედვით „დიასამიძეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ (დ. ბაქრაძე, 1987:75), ნათლად მოწმობს, რომ დიასამიძეები მანამდეც ფლობდნენ აბუსერისძეთა მამულებს, ე.ი. ისინი აჭარაში ოსმალობაზე უფრო ადრე, XIV–XV საუკუნეებში ცხოვრობდნენ. ესეც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უნდა იყოს აჭარაში დიასამიძეთა რიცხობრივი სიმრავლისა. თუმცა აქ სხვა მომენტიცაა გასათვალისწინებელი. გასაბჭოების შემდეგ, აჭარაში დაისვა ქართული გვარების აღდგენის აუცილებლობის საკითხი. ბევრს დავიწყებული ჰქონდა წინაპართა გვარი, ამიტომაც მათ წინაშე წარდგენილი გვართა ჩამონათვალიდან ზოგიერთებმა იგი მიიღეს ნებისმიერად. დიასამიძეები წარმოადგენდნენ წარჩინებულ საგვარეულოს და შესაძლოა იგი მიმზიდველი ყოფილიყო გვარდავიწყებულთათვის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ წარმოშობით დიასამიძეც, რომელთაც შესაძლოა ასევე დავიწყებოდათ თავისი ნამდვილი გვარი, სხვა გვარზე დაწერილიყო.

აჭარაში გადმოსახლებული დიასამიძეებისათვის აქაც მთავარი კრედო იყო ქართველობისადმი თავდადება და ერთგულება. დიასამიძეთა ანტიოსმალურმა პოზიციამ განაპირობა მათი დამცრობა (მაშინ, როცა არაერთი საგვარეულოს წარმომადგენელი ოსმალებისადმი მორჩილებამ აღაზევა, ზოგიერთმა კი ბეგობაც მიიღო).

XVI ს. დიასამიძეები უკვე ფლობენ მამულებს აჭარაში. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს დოკუმენტი „კათალიკოზის

სამწყსონი, თავადნი და სოფელნი სამცხე-სათაბაგოში.“ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ამ დოკუმენტის ორი ნუსხა, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ი. დოლიძის (იხ. მისი ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ. 1979) და ქრ. შარაშიძის (იხ. მისი „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები V-XVI სს, თბ. 1961) მიერ. ეს დოკუმენტი უფრო ადრე გამოაქვეყნა დ. ბაქრაძემ, რომლის მიხედვით დიასამიძეები ფლობენ აბუსერისძეთა მამულებს: „დიასამიძეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ (დ.ბაქრაძე, 1987:75). 1822 წელს გადაწერილი ეს სიგელი დ. ბაქრაძეს საჩხერეში უნახავს თავად ნესტორ წერეთელთან, რომელიც გადაწერილია დეკანოზ ოსე გაბაონის, მოძღვარ ზაქარიას მიერ. მეორე ნუსხა უნახავს თბილისში, ვახუშტის ხელნაწერ ისტორიაში, რომლის გადაწერა დამთავრებულა 1816 წ. ბაქოში, დავით ინაიშვილის მიერ (დ.ბაქრაძე, 1987:75). ამ დოკუმენტზე დაყრდნობით ცნობილი მკვლევარი ლ. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ **დიასამიძეები ჯერ კიდევ XIV საუკუნეში დაეუფლენ აბუსერისძეთა სამფლობელოებს და ეს უკანასკნელნი დიასამიძეთა ყმადნაფიც აზნაურებადაც გადაიქცნენ** (ლ.მუსხელიშვილი, 1941:23).

აღნიშნული ტექსტის სხვადასხვანაირად წაკითხვისა და გააზრების შესახებ დაიწერა რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის პროფ. ბიჭიკო დიასამიძისა (ბ. დიასამიძე 2004) და პროფ. რამაზ ხალვაშის (რ.ხალვაში, 2004) მიერ. ვიტყვით მხოლოდ, იმას, რომ **დიასამიძეთა ფეოდალური საგვარეულო XVI საუკუნეში (ამ დოკუმენტის გარეშეც) აღზევებულია**. მისი არაერთი წარმომადგენელი მონაწილეობს ზოგადქართული პოლიტიკის გატარებისათვის ბრძოლაში, აბუსერისძეები კი XIV შემდეგ აღარ ჩანან პოლიტიკურ ასპარეზზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შესახებ საისტორიო საბუთებში აუცილებლად იქნებოდა წარმოდგენილი შესაბამისი მონაცემები. **XIII ს. 40-ნი წლების შემდეგ აბუსერისძეთა გვარეულობა საისტორიო საბუთების მიხედვით საკმაოდ პასიურია**. ისინი ჩამოშორდნენ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. მათი ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ამირსპასალარი

ივანე აბუსერისძე ჩანს XIV ს-ში, რომელიც 1355 წლისათვის გარდაცვლილია.

ეს აზრი გატარებულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, რომლის ავტორია შ. ლომსაძე. მკვლევარი დარეჯან კლდიაშვილი თავის საყურადღებო სადოქტორო დისერტაციაში ამ მოსაზრებას დაუსაბუთებლად მიიჩნევს (დ. კლდიაშვილი, 2005:183), რაც ჩვენის აზრით ზემოთ დასახელებული სამცხე-საათაბაგოს საკათალიკოსო სამწყოს თავადთა და სოფელთა სიის შესაბამისი მონაკვეთის არასწორ წაკითხვასთანაა დაკავშირებული. მისივე აზრით არც ხურსიძეები დაპატრონებიან ღობიერთა მამულებს (დ. კლდიაშვილი, 2005:183). იგი თვლის, რომ დიასამიძეები დაეუფლენ ღობიერთა მამულებს XIV ს. დამლევიდან და ვარაუდობს მათ ნათესაობას (ერთ-ერთი საგვარეულო განშტოება) დიასამიძეებთან. ამას საკუთარი სახელი „დიასამი"-ს გავრცელებაც მიანიშნებს ამ საგვარეულოში. „დიასამი" იქცა გვარის სახელად.

XVI ს. 60-იან წლებამდე აჭარის მმართველებად, აბუსერისძეების შემდეგ სავარაუდოდ დიასამიძეები უნდა ყოფილიყვნენ. ამ ვერსიის საფუძველს იძლევა ქვემოთ მოტანილი მონაცემები. ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ იწყება ბრძოლა როგორც დამპყრობთა წინააღმდეგ, ასევე ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის.

ახალგაზრდა მკვლევარის ზაზა შაშიკაძის მიერ ოსმალეთის არქივებში მოძიებული 1561 წლით დათარიღებული (ჰიჯრით 968 წ.) დოკუმენტით ირკვევა, რომ **აჭარის ხეობის ბოლო ქრისტიანი მმართველი ყოფილა ბეჟანი, რომლისთვისაც 1561 წელს ჩამოურთმევიათ საგამგებლო ტერიტორია და გადაუციათ სპერის სანჯაყ-ბეგისათვის** (ზ. შაშიკაძე, 2002:149).

დოკუმენტში გარკვევითაა ნათქვამი, რომ აჭარის ხეობას „უფლების გარეშე" ფლობს „ქრისტიანი ბეჟანი," იგი „აწყობს არეულობებს და დაუმორჩილებელია". ამის გამო აჭარის ხეობა სამმართველოდ გადასცეს ისპირის სანჯაყ-ბეგს (ზ.შაშიკაძე, 2002:150). ამით ეს ტერიტორია ოსმალეთის რიგით პროვინციად იქცა. 1563 წელს ბეჟანს კვლავ დაუბრუნებია აჭარის ხეობა.

იგი ჩასულა სტამბოლში და მორჩილება გამოუცხადებია სულთანისათვის, მიუღია ისლამი, დაუდია ერთგულების ფიცი და მეჰმედის სახელით დაბრუნებულა უკვე ცალკე ლივაში ანუ სანჯაყში მმართველად (ხელფასი დაუნიშნავთ 300 ათასი ახჩის ოდენობით) მემკვიდრეობითი უფლებით და გარკვეული საგადასახადო შეღავათებით (ზ.შაშიკაძე, 2002:149). ბეჟანი (მეჰმედი) სანჯაყ-ბეგად მოიხსენიება 1566 წ. დოკუმენტშიც (ზ.შაშიკაძე, 2002:149).

ვინ იყო ბეჟანი? ზემოთხსენებულ ნაშრომებში პროფ. რ. ხალვაში მას აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენლად თვლის (რ. ხალვაში, გაზ. „აჭარა," 20 ივნისი, 2003), ხოლო პროფ. ბ. დიასამიძე ვარაუდობს, რომ იგი შეიძლება იყოს დიასამიძეთა გვარის შთამომავალი, რომელმაც საფუძველი დაუდო ამ გვარის ახალ შტოს-ბეჟანიშვილებს (ბეჟანოღლი) (ბ.დიასამიძე, 2004).

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე. მისი მონათხრობის მიხედვით (რომელიც ემყარება ხალხურ გადმოცემებს და ეს გადმოცემები დღესაცაა შემორჩენილი ხალხის მეხსიერებაში) **ბეჟანიძეთა ძველი გვარი დიასამიძეა, რომელთაც ადრე პირმსახურისძეებსაც უწოდებდნენ**. „ამათი ისლამთან დაკავშირება მიეწერება XVII ს. დამდეგს. ერთ მათგანს, რომელსაც ისლამი მიუღია, სახელად ბეჟანი რქმევია. ამიტომ ოსმალთაგან ამათ დიასამიძეს მაგიერ ბეჟანოღლი სწოდებიათ, ოსმალურის სახელის „თულუმბაზადეს" დამატებით. დღეს ესენი იწოდებიან ბეჟანოღლი თულუმბაზადეთ" (ზ. ჭიჭინაძე, 1911:15). ავტორის ცნობით, ათაბაგის კარზე აღზევებულმა ვარაზ შალიკაშვილმა თავისი სიძის, შაჰ-თამაზის დახმარებით ათაბაგთა მოდგმის ამოწყვეტა გადაწყვიტა, მესხეთის ტახტის დაუფლების მიზნით. ეს დროულად გაიგო ათაბაგის მეუღლემ-დედისიმედმა და ვარაზ შალიკაშვილი მოაკვლევინა. ამის გამო შაჰმა კახეთზე „გამზადებული რისხვა" სამცხეს მიაყენა, მოაოხრა იგი, დააქცია ეკლესია-მონასტრები, „შავი დღე მიაყენა საფარას, ვარძიას, სხალთას", ზარზმას. მოახრჩო რამდენიმე ბერი. შაჰ თამაზის ლაშქრობის გამო ათაბაგი ყვარყვარე თავისი ცოლშვილით აჭარაში გადავიდა და თავი შეაფარა

ციხეს, რომელსაც ფლობდა ზენდიდის მებატონე თავადი პირ-ფარეშისძე (იგივე დიასამიძე). ზენდიდი, რომელიც მდებარეობ-და ქედას მთის ძირას, გულების მახლობლად, 50 კომლიანი სო-ფელი ყოფილა. იგი, თავისი ციხითურთ, უნდა ყოფილიყო ერ-თგვარი ცენტრი იმ გზების შესაყარზე, რომელიც აკავშირებდა ბათუმ-გოდერძსა და ქედა-ჩაქვს. ეს ციხე დაჰყურებს ძველ სა-ვაჭრო გზებს.

ზენდიდის ციხე

აქედან შესაძლებელი იყო ოსმალეთისაკენ მიმავალი გზების გაკონტროლება-დაზვერვა, რომელიც გადიოდა ორცვა-მერისის კალთებზე. დასავლეთიდან მას აკრავს გვარამკალოს ქედი, აღ-მოსავლეთიდან სოფელი გულები. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, ზენდიდის ციხიდან 150-200 მეტრის მოშორებით ყოფილა IX-XI სს. ძველი, ბაზალტის ქვით ნაშენი პატარა დარბაზული ეკლესია (სიგრძე-6 მ., სიგანე 4,8 მ), რომელიც უკვე დაქცეული იყო. აქ პირმსახურიძეებს ოთხი სასახლე ჰქონდათ. ერთ ალაგას ქარ-თულწარწერიანი თლილი ქვაც ყოფილა, რომელიც 1889 წელს

დაკარგულა. ამ ციხიდან პირფარეშისძეები დიდხანს ებრძოდნენ ოსმალებს, „ეკამათებოდნენ და არ უშვებდნენ, რომ მათ აჭარაში ოსმალური ზნე-ჩვეულებები არ შემოეტანათ.“ ოსმალებმა მათ თავადობა ჩამოართვეს და ბეგიობა მისცესო.“ ისინი განაგებდნენ ამ მხარეს. „რომელიმე ამათგანი ძველად დიასამიძედ იწოდებოდნენ, პირფარეშისძეობა კი თამარ მეფისაგან მიიღეს.“ მათ შეკრიბეს „აჭარის ვაჟკაცობა“ და ფიცი დადეს, რომ შაჰთამაზის შემოსევის შემთხვევაში მტერს საკადრის პასუხს გასცემდნენ. ჩანს, რომ ეხლანდელი გულების სათავეში, საწუმპიასა და ზენდიდში არსებული ბეჟანიძე-დიასამიძეების ციხე ცალ-ცალკე ვერ გაუმკლავდებოდა ყიზილბაშებს, ამიტომ გულებელი ვაჟკაცებიც ზენდიდში უნდა გამაგრებულიყვნენ.

გულების (საწუმპიას) ციხე

შესაძლოა, ლორეს დაცემის შემდეგ ზენდიდს თავს ვახუშტი და შერმაზან დიასამიძეებიც აფარებდნენ. აქ საყურადღებოა დიასამიძეთა ორი შტოს სისხლით ნათესაობა. ერთი შტო შერმაზანისა და ვახუშტის მეთაურობით ბატონობენ ლორეს ციხეს, მეორე შტო კი ზენდიდის ციხეს. შალვა ვარშანიძის აზრით მათი განშტოება თამარის დროსვე უნდა მომხდარიყო (შ. ვარშანიძე, 1974:122). შემდეგ, როგორც ცნობილია, დიასამიძეები ეპატრონებიან აბუსერისძეთა მამულებს და ერისთაობისათვის იბრძვიან. ორივე შტო მტრობს შაჰ-თამაზს (ლორელი დიასამიძეები XVI ს. 50-იან წლებში განუდგნენ ათაბაგსაც) (ი.ჯავახიშვილი., IV:.250). ზენდიდის ბრძოლა ზაქარია ჭიჭინაძის თქმით 1575-1576 წლებში მომხდარა (ზ. ჭიჭინაძე, 1911:52-55; 1913:135; ი.სიხარულიძე, 1962:46). სპარსელებს აუღიათ ციხე. ზენდიდის ციხესთან გამართულ ბრძოლაში დიასამიძე-ბეჟანიძეთა ლაშქარი დამარცხდა. დედისიმედს სულთანისათვის უთხოვია დახმარება. ოსმალებს კი მისთვის გამუსლიმანება მოუთხოვიათ (ოსმალების მოსვლამდე ყიზილბაშებს ქართველები უკვე დამარცხებული ჰყავდათ), მაგრამ არ ჩანს, დაეთანხმა თუ არა ოსმალთა მოთხოვნას. ათაბაგად ყვარყვარე დარჩა.

როგორც ითქვა, ზ. ჭიჭინაძე ამ მოვლენას 1575-1576 წლებით ათარიღებს, მაგრამ ცნობილია, რომ შაჰ-თამაზი გარდაიცვალა 1576 წელს, ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, რაც ემთხვევა ყვარყვარეს ათაბაგობის დასაწყისს და ორიენტაციის შეცვლას. ამიტომ ეს ბრძოლა ადრე უნდა მომხდაროყო. მოსე ჯანაშვილის მიხედვით, აღნიშნული ბრძოლა გაიმართა 1573 წელს (ზ. ჭიჭინაძე, 1911:52-55; 1913:135), რაც ვფიქრობთ, გასაზიარებელია. მტრის წინააღმდეგ დაღუპულთა შორის იგი ასახელებს **„ძმანი დიასამიძეებს.“** ისინი თურმე „თავდგირიძეებსა და ათაბაგებსაც საყვედურობდნენ, რომ ოსმალთ ნუ ემხრობითო“ (ზ.ჭიჭინაძე, 1911:52-55).

სოფ. ზენდიდი

მოტანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ **ბეჟანიძეები წარმოადგენენ დიასამიძეთა განშტოებას**. დიასამიძეები აჭარაში გადმოსახლების შემდეგ აქტიურად ჩაბმულან ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, აუშენებიათ **„მოდი ნახეს“** ციხე (რომელსაც „აჭარის ციხესაც“ უწოდებენ), რომელიც შემდეგ პირველი გამუსლიმანებული დიასამიძის—ბეჟანის გაგვარებული სახელის მიხედვით სახელდებული ბეჟანიძეების//ბეჟანოღლების საგვარეულო ციხედ ქცეულა.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დასკვნები ხალხურ გადმოცემებს ემყარება, თუმცა იგი შიშველ ნიადაგზე არ აღმოცენდებოდა. მას აუცილებლად ჰქონდა რაღაც საფუძველი, მით უმეტეს, მკვლევარ ზაზა შაშიკაძის მიერ მოძიებული უტყუარი დოკუმენტებით მტკიცდება ზემოთაღნიშნული დასკვნების მართებულობა. მართალია, ქრონოლოგიურად ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ ზეპირსიტყვიერი მონაცემებისათვის ქრონოლოგიური უზუსტობა და ცდომილებები ჩვეულებრივი მოვლენაა (ბ. დიასამიძე, 2008).

სამშობლოსადმი დიასამიძეების თავდადებისა და წინაპართა რწმენის ერთგულებაზე მეტყველებს გულების ოსმალობისდროინდელი საკულტო ნაგებობის – მეჩეთის მოხატულობა. წვრილფრთიან კარებზე და სვეტებზე გამოსახულია ვაზი, ჯვარი და თორმეტფრთიანო ბორჯღალო (12 მოციქულის სიმბოლო). გამოსახულია აგრეთვე სახელურიან სურაში ჩაშვებული მილტუჩა ვაზი, რომელსაც შემოვლებული აქვს წრეები. სურის ქვემოთ ამოტვიფრულია მტევნები. საკულტო ნაგებობაში გამოსახულია ვაზშემოხვეული ხემცენარე (სიცოცხლის ხე) ჯვრისებურად განლაგებული ფოთლებით. ნაგებობის ეზოში არის ნაძვი და ბზები. ბზა ამ სოფელში მხოლოდ ამ ადგილასაა. სავარაუდოდ აქ ადრე ქრისტიანული სამლოცველო უნდა ყოფილიყო.

გულების მეჩეთი

ოსმალების დამკვიდრების შემდეგ **დიასამიძეთა ოსმალებისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ნაწილმა დაკარგა ძველი პრივილეგიები, დაქვეითდა, მეორე ნაწილმა** კი გაწეული წინააღმდეგობის უშედეგობის გამო ოსმალებთან შემრიგებლური პოზიცია

დაიკავა. ბეჟანი ჩავიდა სტამბოლში, მიიღო ისლამი, ჩადგა მათ სამსახურში და **შეინარჩუნა ძველი პრივილეგიები**. ვფიქრობთ, სწორედ ეს შემთხვევაა აღწერილი ზემოთ მოტანილ დოკუმენტში.

ზოგადად, აჭარის მოსახლეობა არასდროს შეგუებია დამპყრობთა ბატონობას. ოსმალური რეჟიმის წინააღმდეგ აქ არაერთ გამოსვლას ჰქონდა ადგილი. 1668 წ. აჯანყება მთელ აჭარაში გავრცელდა, რომელმაც შემდგომ ლიგანის ხეობა (1685), შავშეთ-იმერხევი (1690), მთელი სამხრეთ საქართველო (1697) მოიცვა (ᲮᲐ. ახვლედიანი, 1956:33). სახალხო გამოსვლებსა და აჯანყებებს ადგილი ჰქონდა მომდევნო პერიოდშიც. განსაკუთრებით ოსმალთა ბატონობის დამძიმების, თანზიმათის შემდეგ. ოსმალები ამ გამოსვლებს სისხლში ახშობდნენ და ამაში იყენებდნენ რენეგატ ქართველ ფეოდალებს, ბეგებს. **დიასამიძეები ყოველთვის იყვნენ ანტითურქული მოძრაობის აქტიური მონაწილენი და ოსმალებისათვის ქედი არასდროს მოუხრიათ.** სწორედ ამან განაპირობა, როგორც ადრე ითქვა, დიასამიძეთა დამცრობა-დამდაბლება. ნიშანდობლივია, რომ **სელიმ ხიმშიაშვილის წინამძღოლობით ოსმალთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეთა შორის ჩანს დიასამიძეთა გვარის წარმომადგენელიც**. იგი სელიმის მხარდამჭერთა შორის სახელდება **შირინ აღა აჭარელის სახელით, გვარად დიასამიძე**. გაზეთ „ტრიბუნის“ 1922 წ. 312-ე ნომერში ვკითხულობთ: „სელიმ ფაშის სიკვდილის შემდეგ ბაბა-ფაშამ, არზრუმის მხარის გამგებელმა დააჭერინა სელიმ ფაშის ყველა მომხრეები; ესენი იყვნენ ბევრნი, მრავლად. სელიმ-ფაშას მძლავრად ეხმარებოდა შირინ აღა აჭარელი, გვარათ დიასამიძე, აჭარის ყველა ბეგები და მუხთრები და ხალხიც. ყველა დაჭერილები ბაბა-ფაშამ დაატყვევა, ზოგს თავი მოჰკვეთა, ზოგიც ხხვაფრივ დასაჯა... სელიმ ფაშას არ აკმარა თავის მოკვეთა და სოფელ ნიგაზეულს და სხალთას ამათ სახლებსაც გაუსია ჯარი; მთლად აიკლეს სახლ-კარი და ქონება სელიმ-ფაშისა“ (შუშანა ფუტკარაძე, გაზ. „სხალთის ზარები,“ 2006 წ. N2 (23).

დიასამიძეთა საგვარეულოს წარმოადგენლები აქტიურობენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და სოციალური უსამარ-

თლობის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ყველაზე უფრო მკაცრად იგრძნობოდა თურქთაგან ახლადგათავისუფლებულ აჭარაში. მეფის რუსეთმა აჭარის მოსახლეობა არ მიიღო ქართველებად, შემოიღო მმართველობის ახალი წესები. ხშირი იყო უწესრიგობა და არეულობები, მასიური ხასიათი მიიღო ყაჩაღად გავარდნამ. მთავრობა პრობლემის მოგვარებას სახრჩობელების მომრავლებით ცდილობდა.

ერთ-ერთი ასეთი ყაჩაღი იყო **მევლუდ დიასამიძე,** რომელიც ტყეში ყაჩაღად გავარდნილი უნებლიე შეცდომის გამო აღმოჩნდა. ცნობილი მწერალი **დ. კლდიაშვილი** მის შესახებ წერდა: „მევლუდა იყო აჭარელი ყაჩაღი, რომლის ბრბოს დიდ გასაჭირში ყავდა მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია. მევლუდა, სიცოცხლით სავსე ბიჭი, ერთ დროს მსახურობდა მილიციონერად და დიდ პატივისცემაში იყო. ტყუილად თუ სამართლიანად, ერთ დღეს, მას დაბრალდა ვიღაც მოგზაურის გაძარცვაში მონაწი-

ლეობის მიღება და დაჭერილი იქნა. მევლუდა გამოძიების დროს გაიქცა, გადავარდა და წავიდა ყაჩაღად. მალე ამხანაგებიც იშოვა, შეადგინა ბრბო და მოსვენებას არ აძლევდა ადმინისტრაციას თავისი თამამი, გაბედული თარეშით“ (დ.კლდიაშვილი, 1952:152). მევლუდის შვილის – ადემის მონათხრობის მიხედვით, რომელიც ჩაგვაწერინა მისი ძმის შთამომავალმა მერი დიასამიძემ (65 წლის), მევლუდი გამოესარჩლა პატარა ბავშვს (რომელსაც ნავთობბაზიდან 1-2 ლ. ნავთი გამოჰქონდა) და ჩაფარი შემოაკვდა. ამ დროს იგი იყო 16 წლის. მას აღარ დაედგომებიდა ქალაქში და ტყეს შეაფარა თავი. ყაჩაღად იყო მთელი 20-25 წელი. ყაჩაღობისას შეურთავს ცოლი-ფატი შავიშვილი.

მევლუდმა ფართოდ გაითქვა სახელი, როგორც ნიმუშმა თავისუფლებისა და ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხისა. მთავარმართებელი გოლიცინი მოსახლეობას ემუქრებოდა – ჩაებარებინათ ხელისუფლებისათვის ყაჩაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ რეგიონს ააოხრებდა (დ. კლდიაშვილი, 1952:152). მოსყიდვითა და სულმდაბალი მოღალატეების დახმარებით იგი დაიჭირეს. ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობდა გმირისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, მაგრამ უშედეგოდ (აზ. ახვლედიანი, 1970:197). მევლუდის საქმე ირჩეოდა ბათუმში, მთელი ერთი კვირის განმავლობაში. ერთ-ერთ თარჯიმნად დაუნიშნავთ დავით კლდიაშვილი და პორუჩიკი, ვინმე პუჩინიანი (დ.კლდიაშვილი, 1984:31).

სასამართლოს თავმჯდომარეს წინასწარ ჰქონდა ნაბრძანები სიკვდილის განაჩენის გამოტანა, მაგრამ მევლუდის ადვოკატის, კაპიტან დუბროვსკის და თავად ბრალდებულის შესანიშნავ გამოსვლებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დარბაზზე. დ. კლდიაშვილს მევლუდის ნათქვამი სიტყვა-სიტყვით (სიტყვის დაცვით) უთარგმნია მოსამართლეებისათვის. ორ მათგანს - ლოიმინგს და არვანიტავის გული აჩუყებიათ და ატირებულან კიდეც. სასამართლოს თავმჯდომარის დიდი მცდელობის მიუხედავად, მევლუდისთვის ჩამოხრჩობის ნაცვლად სასამართლოს სამუდამო კატორღა მიუსჯია. თავმჯდომარემ ვერასგზით ვერ შეძლო სასამართლოს წევრების დარწმუნება მისი სიკვდილით

დასჯის აუცილებლობის შესახებ. განრისხებულ გოლიცინს სასამართლოს განაჩენი პეტერბურგში გაუგზავნია და უმაღლესი სამხედრო სასამართლოსათვის მოუთხოვია საქმის გაურჩევლად განაჩენის შეცვლა (დ. კლდიაშვილი, 1984:31). (მოგვიანებით გოლიცინს კოჯრის გზაზე „თავი გაუხეთქეს," იგი დაავადდა, იძულებული გახდა თავი დაენებებინა სამსახურისათვის და პეტერბურგში დაბრუნდა). მოთხოვნა შეიწყნარეს და მევლუდს ჩამოხრჩობა მიესაჯა ისე, რომ განაჩენი კასაციას აღარ ექვემდებარებოდა. მოსამართლეებს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური (დ. კლდიაშვილი, 1984:32). მევლუდი სიკვდილით დასაჯეს (ჩამოახრჩეს) 40 წლის ასაკში. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1905 წელს. მევლუდს დარჩა შვილი-ადემი, რომელიც დაბადებულა 1888-1890 წლებში. ადემს შვილი არ დარჩენია, 20 წელი უცხოვრია რუსეთში (მჯდარა მეტეხის ციხეში, გადასახლებული იყო ციმბირშიც), იქ შეურთავს ცოლი. ბათუმში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა მარქსის (ეხლანდელი ვაჟა-ფშაველას) ქუჩაზე, N94 სახლში.

მევლუდს ჰყოლია ორი და. ერთი გათხოვილა სურმანიძეების ოჯახში, სოფ. ურეხში. მათ შთამომავალთან – ნუგზარ სურმანიძესთან ინახება მევლუდის ხანჯალი; მეორე და კი გათხოვილა ვერძაძეების ოჯახში, რომელთა შთამომავალი ერთხანს ბათუმის სამშობიარო სახლის ხელმძღვანელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მევლუდი ხალხის საყვარელი გმირი იყო, მასზე ხალხური ლექსები არ შექმნილა. მკვლევარ აზიზ ახვლედიანს სიხალიძეებელი (ქედის რაიონი) ხუსეინ თურმანიძისაგან ჩაუწერია რამდენიმე სტროფი თურქულ ენაზე, რომელიც როგორც ჩანს, რომელიღაც ახალციხელი ან იმერხეველი აშუღის მიერ უნდა იყოს შეთხზული (აზ. ახვლედიანი, 1970:198). იგი რა თქმა უნდა ვერ იქცეოდა აჭარაში სასიმღერო ლექსად, მაშინ როცა ილიას ხელაძესა და მემედ ყირიმლიოღლზე (დიასამიძე) ხალხს შეუთხზავს ლექსები. ეს ლექსები ხშირად შერჩეული, კონტამინირებული სახით გვხვდება (აზ. ახვლედიანი, 1970:197). ილიასა ფურტიოელის ლექსის ბოლო ტაეპი გვაუწყებს, რომ მთავრობამ

„ილიასას დარჩობაზე, კიდევ გვაყურებია ჩვენა,
მის გარდა ის ტარაღაჯი, ყირიმლიოღლისაც (დიასამიძე) უჩ-
ვენა“ (აზ. ახვლედიანი, 1970:197).

ე.ი. ყირიმლიოღი (დიასამიძე) ქედაში ილასას ჩამოხრჩობისას (1898 წ. 28 დეკემბერი) ჯერ კიდევ ცოცხალია. იგი სოფლიდან ჩამოსული ბათუმელი მუშა იყო. მისი ძმა ახმედი მევლუდ დიასამიძის ჯგუფის წევრი და თანამონაწილეა. ა. ახვლედიანს ადემ დიასამიძისაგან (მევლუდის შვილი) ჩაუწერია მასალა, რომლის მიხედვით წონიარისში ხასან აღასთან იკრიბებოდნენ ყაჩაღები: **მევლუდ დიასამიძე, ახმედ დიასამიძე** და წაბლანელი ხუსია. „ერთ ღამეს უთხრეს ხასან აღას, „აჰა, შენ 3 მანეთი და ქედიდან სამი წუღა ამოგვიტანეო.“ ხასან აღა წამოვიდა ქედას და გზაში იფიქრა: მაგ ხალხისთვინ დადებულ 3 ათას მანათს ევღებ და ჰემ დიდი კაცი გავხდებიო. მივდა და გაამცხადა თავრობაში... გამთენიას 300 კაცი შემოეხვია სახლს... ჯარის მეთაურმა უთხრა ხასან აღას: ჩვენ ვერ შამუალთ შით. შენ მოაწყვე რამე და დახოცეო. ხუსნიას და ყირიმლიოღლის (დიასამიძე) არ გუუღვიძნიათ, ისე დახოცეს,“ მევლუდი დაიჭრა ფეხში... მეორე დღეს წამოიღეს კდრებიც და ცოცხლებიც ქედას. აი შეუტყვია ახმედ ყირიმლიოღლის (დიასამიძის) ძმას მემედას (ზავოტში მუშაობდა) და ამოვდა ქედას... მივდა დახედა კდარ ძმას... შუუქცია მის სოფელში და წევდა,“ შური იძია ძმის მკვლელზე და გავარდა ყაჩაღად (აზ. ახვლედიანი, 1970:206-207). აღნიშნული მიზეზით სოფელში რუსები შემოსულან:

„ყირიმლიოღლის ამბავი, ღალატობაზე წამოვდა,
ამ საქმიების მაჰანით, რუსი სოფელში შამოვდა“
(აზ. ახვლედიანი, 1970:206-207).

ხალხური ლექსის მიხედვით ყაჩაღად გავარდნილი მემედ დიასამიძე ოლქის უფროსს მიმართავს, თავი დაანებოს „მუნიანი სალდათებით“ მის დევნას.

დიასამიძეების გვარის წარმომადგენელთა ბრძოლა სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის რომელიმე ერთი კონკრეტული პიროვნებითა თუ პერიოდით არ შემოიფარგლება. ეფემერული არ ყოფილა მათი დამსახურება ქვეყნისა და ხალ-

ხის წინაშე. ამ თვალსაზრისით საკმარისია თუნდაც ერთი პიროვნების ჩანჩხალოელი **შახველედ დიასამიძის** დასახელებაც. იგი თურქეთში ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. ლეგიონის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ ლეგიონში ღირსეული წევრების გაერთიანების მიზნით აჭარისა და გურიის სოფლებში გაშლა ფართო პროპაგანდისტული მუშაობა. მალე ლეგიონის წევრთა რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა. გ. შარაძის ცნობით ტრაპიზონში დაარსებული ქართული ლეგიონი 1500 კაცს აერთიანებდა (საქ. ცსსა, ფ. 13, ს. 5413, ფ. 15; აბელ სურგულაძე, კახაბერ სურგულაძე, 1984:36). ესენი იყვნენ ძირითადად მაჰმადიანი ქართველები: მემედ, ოსმან და ყადირ თავდგირიძეები, ფეიზულ სურმანიძე (რომელსაც 200 თანამემამულე მოუყვანია ლეგიონში და შემდგომ მისი ოფიცერიც იყო) (აჭარის ცსა, ფ. 1, ან 1. ს. 765, ფურც. 17-18), შუქრი ხალვაში, ოსმან გვარიშვილი, მუსა ქესკინზადე **დიასამიძე ...**

მოგვიანებით აჭარიდან ათობით პატრიოტი ჩაეწერა ლეგიონში. ხელისუფლებამ ამ მიზეზით მთელი აჭარა მოღალატეებად გამოაცხადა, დაიწყო მოსახლეობის აყრა-გადასახლება, მათ ნაცვლად კი რუსებისა და სომხების ჩამოსახლება. რევაზ გაბაშვილმა პრესაში განგაში ატეხა, ამხილა ცარიზმის მზაკვრული ჩანაფიქრი და აიძულა ხელისუფლება უკან დაეხია.

ადმინისტრაციამ იცრუა, რომ თითთქოსდა აჭარაში არა უცხოელების, არამედ მცირემიწიანი იმერელი გლეხების ჩამოსახლება სურდა. „მოღალატეთაგან 192 -ს კი ჩამოხრჩობა მიუსაჯა (რ.სურმანიძე, 2001:112). მაგრამ მთავრობას მოუვიდა კოლექტიური წერილი იუნკერ ალი აღა სირაძის, თხილვანელი მამულაძის, სკვანელი ქელეშ აღა გაბაიძის, ხიხაძირელი მოლა სინან სურმანიძის, დარჩიძეებელი ხასან მახალაკიძის, ახალდაბელი თუფან თავდგირიძის, ჩანჩხალოელი **შახველედ დიასამიძის**, ფურტიოელი ინუს აღა ბერიძის, ალმელი სულეიმან ბოლქვაძის, ოლადაურელი ემინ ეფენდი ქარცივაძის და სხვათა ხელმოწერით (რ. სურმანიძე, 2001:112), რომელშიც ისინი მთავრობას აც-

ნობდნენ ოსმალეთის ხელისუფლების განზრახვას აჭარაში ჩეთნიკების, შემდეგ კი თურქეთის ჯარის შემოსვლის შესახებ, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ერთგულებას ადასტურებდა. ამ ფაქტს შთამბეჭდავად აღწერს სტეფანე ქემხაძე (სტ. ქემხაძე, 1958:15), რომელიც აისახა აგრეთვე რ. სურმანიძის ნაშრომშიც. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩვენ, აჭარის გლეხობამ საჭიროდ ვცანით, ვაუწყოთ მთავრობას ამის შესახებ, რომ დროულად მიღებულ იქნას ზომები საზღვრების გასამაგრებლად, შავი ზღვის ნაპირიდან ხოფას ზედა ნაწილის გასწვრივ, არდაგანის საზღვრამდე. ამ ზომების გატარებაში ჩვენ მზად ვართ. თუ მთავრობამ ვერ შეძლო თავის დროზე ამ საკითხის მოგვარება, შემდეგ ჩვენ ვერას გავხდებითო“ (რ.სურმანიძე, 2001:112).

ე. ი. აჭარის მოსახლეობა წინასწარ აფრთხილებდა ხელისუფლებას მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, თვითონაც გამოთქვამდა მზადყოფნას აგრესიის მოგერიების თვალსაზრისით. მთავრობამ კი მათ ღალატი დასწამა. ის ფაქტი, რომ ხელმომწერთა შორის დასახელებულია ჩანჩხალოელი **შახველედ დიასამიძე**, მეტყველებს ლეგიონის საქმიანობაში მის აქტიურ მონაწილეობასა და წამყვან როლზე. ამ დოკუმენტმა შედეგი გამოიღო. ჩამოსახრჩობლად განწირული 192 კაციდან 190 გადარჩა, ორს კი – ახალდაბელ **თუფან თავდგირიძეს და ჩანჩხალოელ შახველედ დიასამიძეს გამართლების საბუთმა ვერ მოუსწრო**. მათ მიმართ განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი და ხიჭაურში ჩამოახრჩეს (რ. სურმანიძე, 2001:112). პროფესორმა რამაზ სურმანიძემ გამოაქვეყნა ამ ტრაგიკულ მოვლენის თვითმხილველი დურსუნ სურმანიძის მონათხრობი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: „1914 წ. ზამთარი იყო. სოფელში ამბავი მოვიდა-მთავრობის ხალხია ამოსული და თხუთმეტ წლის ზევით ყველა კაცს ხიჭაურში გვიბარებენო. მეც წავედი. ხიჭაურის მინდორი „სალდათებით“ იყო სავსე. შუაში ორი ტარაჯაღი (სახრჩობელა) იყო დასობილი. როგორც ხალხი ამბობდა, კანცელარიის შენობაში 200 კაცი ჰყავდათ გამოკეტილი, რომელთაც ჩამოხრჩობა ელოდათ. ჩემს თვალწინ გამოიყვანეს ორი კაცი – შახველედ აბდიოღლი დიასამიძე და თუფან ბეგ თავდგირიძე და ტარაჯაღზე

აიყვანეს, განაჩენი გააცნეს და ჰკითხეს-საბოლოოდ რა გინდათო. თუფან ბეგმა საჭმელი მოითხოვა, პურის ნაჭერზე უარი თქვა და ფხალლობიო მოითხოვა (ალბათ დროის გაყვანის მიზნით, იქნებ ვინმემ გადამარჩინოსო). სასწრაფოდ ცხენიანი კაცი გააგზავნეს ახალდაბაში (სოფელი ხიჭაურთან ახლოს, თ.ფ) საჭმლის ჩამოსატანად.

შახველედ დიასამიძემ კი შეკითხვაზე ჯალათებს მწყრალად გადახედა, შემდეგ ხალხს მიუბრუნდა და გადასძახა: „ძმებო, მეზობლებო! თქვენ კარგად იცით, რომ დამნაშავე არა ვარ. ესენი მალე თქვენც ჩამოგკიდებენ და უკან არ დაიხიოთ, აქედან გაყარეთო.“ ჯალათებმა აღარ აცალეს, თავზე ტომარა და ყულფი ჩამოაცვეს, ფეხქვეშ ძელი გამოაცალეს და ჩამოკიდეს.

ამასობაში ახალდაბიდან საჭმელიც მოიტანეს. ცხოვრებაში თავდაჭერილი და დარბაისელი თუფან ბეგი ხარბად მიეძალა ნანატრ საჭმელს (ალბათ მანამდე აშიმშილეს). ბოლოს ჭამა შეაწყვეტინეს და ისიც ჩამოკიდეს.

სანამ სხვა განწირულებსაც მიიყვანდნენ, გზაზე რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. რამდენიმე ეტლი მოადგა. იქედან მთავრობის კაცები გადმოვიდნენ და ქაღალდებით ხელში ჯერ ოფიცრებისაკენ გაიკვლიეს გზა, შემდეგ შენობაში შევიდნენ. ერთი საათის შემდეგ ვიღაც ოფიცერმა გამოაცხადა, რომ დღეს დასჯა შეჩერებულია და სახლში წადითო. ჩვენც დავიშალეთ. რამდენიმე დღეში პატიმრებიც გამოუშვეს, მაგრამ 9 კაცი დაიტოვეს. დეკემბრის იმ სუსხიან დღეს აჭარლების უღალატობის საბუთი (რომ ისინი ოსმალებს კი არ ეხმარებოდნენ, პირიქით, მათთვის აჭარაში შემოსასვლელი გზების გადაკეტვას მოითხოვდნენ), თურმე ფურტიოს ქათიბმა (მწერალმა) **სტეფანე ქემხაძემ** ამოიტანა ხიჭაურში და ამდენი ხალხი სიკვდილს გადაარჩინა. იმ ცხრა კაცსაც ქართველი ვექილები გამოესარჩლენ და სასამართლომ გაათავისუფლა (რ.სურმანიძე, 2003:55-56).

1916 წ. 3 მარტს, აჭარიდან თბილისს ეწვია 20 კაციანი დელეგაცია მეფისნაცვალთან შესახვედრად — ქართველ მაჰმადიანთა „საყოველთაო სახელმწიფო ღალატის“ ბრალდების გასაბათილებლად. 4 მარტს, თბილისში დეპუტაციის საპატივცემუ-

ლოდ გაიმართა ბანკეტი, რომელზეც აჭარიდან ჩასულებს მ. მაჩაბელთან, ე. თაყაიშვილთან, ი. მაჭავარიანთან, გ. გვაზავასთან ერთად მიესალმა **გ. დიასამიძე** (ი. იმედაშვილის 125 - ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 2002:58 -63).

დიასამიძეთა წარმომადგენლები სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას უხამებდნენ ანტითურქულ, ანტიიმპერიულ საქმიანობას. ამ მხრივ საინტერესოა **აბდულ დიასამიძის, ძმების დაუთ და ოსმან დიასამიძეების** საქმიანობა დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობისა და სამუსლიმანო საქართველოს შემოერთებისათვის. 1920 წ. 7 ივლისს ბათუმის ოლქის – ე.წ. სამუსლიმანო საქართველოს ნაწილი ოფიციალურად დაუბრუნდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ საქმეში დიდია მკვიდრ პატრიოტთა: ხოჯა ისკენდერ ცივაძის, აჭარის მუფთის ჰაზიზ სურმანიძის, მაჰმუდ ხმალაძის, **აბდულ ეფენდი დიასამიძის (ყირიმლიოღლი)** და სხვათა წვლილი (რ.სურმანიძე, 2003:107). ამ ფაქტს თურქოფილ და ფუნდამენტალისტ ქართველთა უკმაყოფილება გამოუწვევია. პროთურქული ორიენტაციის პიროვნების მიერ დაწერილ ერთ-ერთ ლექსში ზემოთ დასახლებული პირები ქვეყნის (თურქეთის) მოღალატეებად არიან წარმოჩენილნი. ახალგაზრდა თურქოლოგის მაყვალა დუმბაძის მიერ შესრულებული ამ ლექსის ქართული თარგმანი შესულია რ. სურმანიძის წიგნში. ამ პიროვნებათა წარმოჩენისათვის მოგვყავს ამ ლექსის ერთი სტროფი, რომლის ავტორი ყოფილა ქართველობადაკარგული ახმედ აჯარი:

„ყირიმლიოღლი (დიასამიძე) აბდულ ეფენდიმ
თურქები გააძევა, ქართველები მოეწონა
სამ-ხუთ ყურუშ ფულს მიეყიდა
მას რომ კითხო, ნიჭიერი მორწმუნეა“.

როგორც ვხედავთ, აბდულ დიასამიძის (ისევ, როგორც სხვების) „ღალატი,“ თურქების გაძევებასა და ქართველების „მოწონებაში“ გამოიხატა, რის გამოც თურქოფილმა ავტორმა ისინი „ურწმუნოებად,“ „სჯულის(?!) მოღალატეებად, „უპატიოსნოებად“, „სამშობლოს (?!) მოღალატეებად“ წარმოაჩინა.

მეტად საინტერესოა **დაუთ და ოსმან დიასამიძეების** საქმიანობა. მემედ ბოლქვაძის მონათხრობის მიხედვით (რომლისგანაც ეს მონაცემები ჩაუწერია მის მოსწავლეს, მაჰმუდ ქამაშიძეს), დაუთ და ოსმან დიასამიძეები წინ აღუდგნენ ოსმალთა ამბიციურ გეგმებს ბათუმის ოლქის თურქეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც ქედის მაზრის წარმომადგენლობა ესწრებოდა, დაუთ დიასამიძეს თავის გამოსვლაში უთქვამს: „ჩემო ძმებო, ნათესავებო და მეზობლებო! ჩვენ ჩვენი საცხოვრებელი ადგილი არ გამოგვიცვლია და სხვის მიწაზე არ დავსახლებულვართ. ჩვენი დედა-ენა ქართულია და ჯერ არ დაგვივიწყნია. ვერ გამიგია, თურქებს რატომ უნდა ჩავბარდეთო," და მოსახლეობასაც მხარი დაუთ დიასამიძისათვის დაუჭერია (ჯ. დიასამიძე, ხელნაწერი, რვ. 1., გვ. 125-126).

ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში კიდევ ერთი დიასამიძის სახელი შემორჩა ისტორიას. ესაა **სულეიმან დიასამიძე** (1893-1962) ანტიოსმალური ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. იგი დაინტერესებული იყო ქართველი მუჰაჯირების ბედით. ამ მიზნით მოინახულა ტრაპიზონი, სამსუნი, სტამბოლი და სხვა ადგილები. ეს ის სულეიმან დიასამიძეა, რომლის სურათი ცნობილმა მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა მის მიერ დაარსებული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების" 1915 წლის 12 ივლისის ნომერში მოათავსა, როგორც ბათუმელი გიმნაზიადამთავრებულისა, რომელიც თბილისში მიდიოდა უმაღლესი განათლების მისაღებად. 1918 წელს, როცა ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს, იგი სხვა ადგილობრივ პატრიოტებთან ერთად თბილისში ჩავიდა და სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის მდივანი გახდა. მან დიდი მუშაობა გასწია ღარიბ გლეხთა კომიტეტების ჩამოსაყალიბებლად, არჩეული იყო ღარიბკომის ცენტრალური ბიუროს შემადგენლობაში, ებრძოდა პანისლამიზმის მიმდევრებს. 1921 წ. მუშაობდა აჭარის ფინანსთა სახალხო კომისრად, 1922 -1923 წწ. სათავეში ედგა აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს, 1929 წლიდან კი ბათუმის საქალაქო საბჭოს (ქსე, 1973:502).

აჭარის საქართველოსთან დაბრუნებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, სასაზღვრო ტერიტორიების კოლონიზაციის მიზნით, რუსეთისა და თურქეთის ხელისუფალთა შეთანხმების საფუძველზე, აჭარაში მასობრივი ხასიათი მიიღო ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლებამ ოსმალეთის იმპერიაში, რაც ისტორიაში მუჰაჯირობის სახელთაა ცნობილი. მუჰაჯირთა შორის იყვნენ ამ საგვარეულოს წარმომადგენლებიც.

მუჰაჯირობის შესახებ საკმაოდ უხვია სამეცნიერო და მხატვრულ-პუბლიცისტური ლიტერატურა. ამიტომაც მის მიზეზებზე, მუჰაჯირთა ცხოვრებაზე ბევრს არაფერს ვიტყვით, მაგრამ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ მათი ცხოვრება-მოღვაწეობიდან.

მუჰაჯირები

დიასამიძეთა გარკვეული ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში მუჰაჯირობის შედეგად დამკვიდრდა. ისინი სხვებთან ერთად გემ „იავუზენით“ ჩასულან გირესუნში და ქეშაჰის ილჩეში დასასახლებელი ადგილის ძებნას შედგომიან. აჭარის დამსახურებულ არტისტს ავთანდილ დიასამიძეს ქ. უნიაში მოუნახულებია ქობულეთიდან გადასახლებული მუჰაჯირი დიასამიძეები. მუჰაჯირთა ერთ-ერთი ოჯახის უფროსს, პროფსიით ექიმს ცოდნია თავისი ქრისტიანი წინაპრების სახელი და ჰქონია გენიალოგიური ხეც, რომლის სათავეში იყო მღვდელი **გაბრიელ ფაფაზი.** ავთანდილ დიასამიძე წვევია აგრეთვე ქ. კარა სუს-თან მდებარე დემირაჩმას მეზობელ ერთ-ერთ სოფელში მირვეთელი დიასამიძეების შთამომავლებს, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ მორწმუნეობით და თურქებს „კუდიანების“ სახელით მოიხსენიებდნენ. მუჰაჯირობას მირვეთი საგრძნობლად დაუზარალებია. სოფელი თითქმის დაიცალა მოსახლეობისაგან. დიასამიძეთა ერთი ნაკადი თურქეთში 1892 წ. გადასახლებულა და ქ. დუსჯუს აქჩაქოჯის რაიონის სოფელ მელენიპირში დასახლებულა. მათი მეექვსე თაობის წარმომადგენელი ბეჰჩეთ ქოშქუნის შთამომავალი ქოქსალ **ქოშქუნი დიასამიძე 2002 წ. გერმანიის მოქალაქე გამხდარა.** ხუსეინ დიასამიძის შვილს ჰაიდარს კი **გვარად გორუნი დაუწერია.**

მუჰაჯირებს შორის მრავლად უნდა ყოფილიყვნენ გულებელი დიასამიძეებიც. ამის საფუძველს იძლევა როგორც ხალხური გადმოცემები, ასევე 2018 წელს სტამბულში **მურად კასაფის** მიერ გამოცემული წიგნი „**Batum Muhagirleri”.** მონოგრაფია საარქივო მონაცემების საფუძველზეა დაწერილი. მასში ცალკეული სოფლების მიხედვით მუჰაჯირად წასულთა თურქულ ფორმანტიანი გვარებია წარმოდგენილი. მათ შორის დასახელებულია სოფელი გულებიც. რადგან გულებში მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა დიასამიძის გვარს ატარებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქედან გადახვეწილი მუჰაჯირების დიდი ნაწილიც დიასამიძეები იქნებოდნენ. გულებიდან გადასახლებულებს შორის ავტორი ასა-

ხელებს: ადუზბეკოღლებს, მურადოღლებს, იორგანჩიოღლებს, ვანლიოღლებს, ხალილოღლებს, ყირიმოღლებს, ბაბკეოღლებს, დოგანჩიოღლებს, იხტიოროღლებს, ხანძაროღლებს, კალაზაებს, ინჩეოღლებს, მოლაოღლებს, ბებეროღლებს, ბელიოღლებს, ჩიბუხჩოღლებს, ავჩიოღლებს, ლეზგიოღლებს, მისიროღლებს, კუკულოღლებს, ელიბირჰემოღლებს, უზუნოღლებს, აბდიოღლებს, ბექირბაირახტაროღლებს, მესიტოღლებს და ხასიოღლებს (Murat Kasap, 2018:36). ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ აქ დასახელებული ზოგიერთი თურქულფორმანტიანი გვარის წარმომადგენელი თანამედროვე გულებში არ გვხვდება. სავარაუდოდ მათში გულების მიმდებარე სოფლებიდან წასული მუჰაჯირებიც უნდა იგულისხმებოდეს.

მუჰაჯირად წასულან დიასამიძეები აგრეთვე გელაძეებიდან (ხულოს რაიონი), კვიახიძეებიდან (შუახევის რაიონი) და სხვა სოფლებიდან. მათი შთამომავლები სახლობენ ფაცაში, ინეგოლში და სხვა ქალაქებში. სტამბულის ქართულ სათვისტომოს გარკვეულ პერიოდში **დიასამიძე** ხელმძღვანელობდა. ინტერნეტ-რადიო ,,ჩვენებურებსაც“ იზმითელი ინჟინერი **ჯურეიტ მალკოჩი (დიასამიძე)** ედგა სათავეში.

გურჯი დედე (1867-?)
(ხულუს დიასამიძე)

სოფელ გულების მკვიდრთ გაუგონიათ და დღემდე ახსოვთ კაცურ-კაცობით, დამსახურებით, თავმდაბალობით, სიდინჯით და წინდახედულობით გამორჩეული პიროვნება — ბედის უკუღმართობამ სამშობლოს რომ მოსწყვიტა და უცხოობაში გაატარებინა ცხოვრების უმძიმესი წლები. ეს პიროვნება **ხულუს დიასამიძეა.**

ხულუს დიასამიძე დაიბადა 1867 წელს, ქედის რაიონის სოფელ გულებში. სრულიად პატარას მამა გარდაეცვალა, დედა კი გათხოვდა. ობლად დარჩენილმა წერა-კითხვა სხვათა დახმარე-

ბით შეისწავლა. იმოგზაურა საზღვარგარეთ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი დაქორწინდა (ჯ.დიასამიძე, ხელნაწერი, რვ.1:91).

პირველი ქორწინება უიღბლო გამოდგა. ახლადშერთული მეუღლე მძიმე დაავადებამ იმსხვერპლა. ოჯახურმა ტრაგედიამ ვერ გატეხა ხულუს დიასამიძის მტკიცე ნებისყოფა და ცხოვრების წყურვილი. მალე იგი კვლავ დაქორწინდა, ცოლად შეირთო ომერ ბასილაძის ქალიშვილი, რომელმაც ხულუსს 7 შვილი (5 ვაჟი და 2 ქალიშვილი) აჩუქა (ჯ.დიასამიძე, ი. დიასამიძე,2013:54).

ხულუს დიასამიძე იყო საოცარი მეოჯახე. მზრუნველი ქმარი და მამა უზარმაზარი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. მიზანსწრაფვამ და შრომის სიყვარულმა იგი შეძლებულ ადამიანად აქცია და უკვე 30 წლის ასაკში მდიდარი კაცის სახელი დაიმსახურა. ამის მიუხედავად იგი არასდროს არ თაკილობდა მძიმე და რთულ პირობებში შრომით საქმიანობაში მონაწილეობას.

ბატონი ხულუსი ყოფილა ქველმოქმედი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი და გაჭირვებულთა ქომაგი. ჯემალ დიასამიძის თქმით, იგი მთელ სოფელს უმართავდა ხელს, შრომას მოწყურებულ ახალგაზრდებს აწყობდა სამუშაოდ ბათუმის პორტში.

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ხ. დიასამიძის ბედი უკუღმა დატრიალდა. იგი არ თანაუგრძობდა რევოლუციას, არც მალავდა თავისი დამოკიდებულების გამოხატვას, რის გამოც ძმასთან – ეუბთან ერთად ციმბირში გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნებულებს ახალი საფრთხე ემუქრებოდათ. მათ აღარ მოასვენებდნენ სამშობლოში, ამიტომ ხულუსი თურ-

ქეთში გაიქცა 1932 წელს. უცხოეთში მყოფი თავის ოჯახზე, ცოლ-შვილზე და თანასოფლელებზე ფიქრობდა. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი სიყვარულისა. მას თურქეთში ცოლი აღარ შეურთავს. თავისი გონიერებით, ჭკუით და საზრიანობით ხულუს დიასამიძეს თურქეთშიც დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭია. ამიტომაც აურჩევიათ იგი **მეჯლისის წევრად** (ჯ.დიასამიძე, ი. დიასამიძე, 2013:54).

სამშობლოს მონატრებული „გურჯი დედა“ (ასე იცნობდნენ მას თურქეთში) ისე ჩავიდა საფლავში, რომ „არ დაუტირია სატრფოს გულისა“ და არღა „დაცემია ცრემლი“ თავისი ცოლ-შვილისა და ნათესავებისა.

ხულუს დიასამიძემ პატიოსნად განვლო თავისი ცხოვრების გზა და შეინარჩუნა ჭკვიანი, გონიერი, ალალმართალი და ქველმოქმედი კაცის რეპუტაცია. ამიტომაც სიყვარულით იგონებენ მის სახელს.

გიორგი დიასამიძე
(მუსტაფა ილქენჯი)

საკუთარი ფესვები ბავშვობაშივე გააცნობიერა, როცა მოისმინა მშობლების მონათხრობი მათი წარმომავლობის შესახებ. ახსოვს, თურქულ სკოლაში ქართულ ენაზე საუბრის გამო როგორ სჯიდნენ, მაგრამ ქართველობაზე ხელი მაინც არ აიღო. საქართველოში ყოფნისას მეგობარმა გიორგი შეარქვა. ასე იქცა მუსტაფა ილქენჯი გიორგი დიასამიძედ. ისწავლა მშობლიური წერა-კითხვა, დაეწაფა ქართული კულტურის შესწავლას.

მუსტაფა ილქენჯი//გიორგი დიასამიძე დაიბადა ბორჩხის რაიონის სოფელ ხებაში 1965 წელს. „ჭოროხის გაღმა საქართველოა, – გამოღმა თურქეთი, წერს მუსტაფა. ჩვენ თურქეთის მხარეზე დავრჩენილვართო“ - ამბობს იგი.

მისი წინაპრები მუჰაჯირობის პერიოდში გადასახლებულან მთიანი აჭარიდან. პირველ დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ მშობლებთან ერთად საცხოვრებლად გადასულა სტამბოლში.

გ. დიასამიძემ 1978 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1982 წელს კოლეჯი, 1982-1985 წლებში კი სწავლობდა სტამბოლის უნივერსიტეტში, პარალელურად დაიწყო მუშაობა სტამბოლის მერიაში, საიდანაც გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

გ. დიასამიძე ეწევა აქტიური საზოგადოებრივ მოღვაწეობას, არის სტამბოლის შოთა რუსთაველის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა. მისი მონაცემებით მხოლოდ მათ საბოიძაშვილოში 200-ზე მეტი დიასამიძეა.

მშობლიური ენა დედ-მამას უსწავლებია, თუმცა სკოლაში უკრძალავდნენ ქართულ ენაზე მეტყველებას: „თურქი მასწავლებლები მიბრაზდებოდნენ და მცემდნენ კიდეც – ქართულად რომ ვლაპარაკობდიო“ – იხსენებს გიორგი. მკითხველისათვის უფრო გასაგები რომ იყოს მუჰაჯირთა შთამომავალის განცდები, უცვლელად გთავაზობთ მის მონათხრობს: „ჭოროხის გამოღმაში თურქეთის მხარეს სოფლები სულ ნახული მქონდა, მაგრამ მენატრებოდა ჭოროხის გაღმა სოფლებში რატომ ვერ მივდივარ და რატომ არ ვიცი. პირველი ამაზე რომ შევეკითხე, მასწავლებლებმა მითხრეს: გაღმა რუსიაა. ჩემი ბიძის მამიდა დარჩენილი იყო ბათუმში, ფადიმე ქვიოდა. სულ ვეკითხებოდი რაღაცეებს და იმან მიპასუხა. ჩემ დედ-მამის შევეკითხე და მათაც გამაგებინენ მართალი. მამამ მითხრა: ჩემი დეიდაშვილები ჭოროხს გაღმით დარჩენ, ჩვენ კი თურქეთშიო. მა-

შინ მივხვდი ყველაფერი. ძალიან მინდოდა საქართველოს ნახვა. ის ხომ დედასამშობლოა. სამშობლო რა იცის ახალდაბადებულმა ბავშვმა. მოძებნის დედას, მისი სითბო მოუნდება. ესეც ასეა. პირველად საქართველოში 1994 წელს წავედი. ძალიან კმაყოფილი ვიყავი ჩემი ოჯახსავით. იმის მერე ხშირად დავდივარ. ქართულად წერა-კითხვა სტამბოლის ქართულ ცენტრში ვისწავლე. ორი ოცნება მქონდა: ქართული წერა-კითხვა უნდა მესწავლა და საქართველოს მოქალაქე გავხდიყავ. წერა-კითხვა ვისწავლე. საქართველოში ბედნიერი ვარ! ეს სხვა რაღაცაა და ამას ვერ გაგაგებინებთ და ვერ გაიგებთ მგონი. ფრიდონ ხალვაში ლექსში იძახის: ლუკმა არ მაკლია მართალია, მაგრამ სამშობლოთი ღარიბი ვარ“. საქართველოს მოქალაქეობა ავიღე და ძან კმაყოფილი ვარ. ფული-მოგება არ მაქ, მაგრამ პირადობა ხომ ჯიფეში მაქ და ყველას ვაჩვენეფ. ეს ჩემთვის ძალიან ბედნიერობა და დიდი რამეა. თურქეთში არაფერი არ მაკლიან, მაგრამ გულის ერთ ადგილში სამშობლოთი ღარიბი ვარ. ჩვენ თურქეთში რაც გავაკეთეთ, რაც ვისწავლეთ, ჩვენი ძალით გავაკეთეთ. თქვენგან ფულით დახმარება არც მინდა, გულის დახმარება მინდა, საქართველოში გვახსენდეს გვინდა, რო თურქეთში ქართველები არიან. ხომ იცით, ძალა ერთობაშია“

****

ძვირფასო მკითხველო, ამით ვამთავრებთ საგვარეულოს ისტორიის ერთ ნაწილს, რომელშიც მოთხრობილია გვარის მოწინავე შვილების მიერ შეტანილი წვლილის შესახებ საქართველოს ისტორიაში. მეორე ნაწილში მოგითხრობთ იმ პირების შესახებ, ვინც ბოლო ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საგვარეულო კავშირის საქმიანობასა და ცალკეული დარგების განვითარებაში. ასეთები საბედნიეროდ ბევრნი არიან. ამიტომ, „რჩეულთა“ შორის რჩეულები „ამოვარჩიეთ“. არ გამოვრიცხავთ, რომ ვინმე გამოგვრჩენოდა. ძალზე რთულია საკმაოდ მრავალრიცხოვან და დიდი ისტორიის საგვარეულოში „რჩეულთა“ შერჩევა. ჩვენ, წიგნის ავტორებს მათი სულგრძელობის იმედი გვაქვს.

ნაწილი II

დიასამიძეები საქართველოს პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში

დიასამიძეები და ქართული მეცნიერება

ქართველი ხალხის ინტელექტუალური წრეებისათვის ცნობილია **დიასამიძეების წვლილი ქვეყნის პოლიტიკურ თუ სულიერ ცხოვრებაში, მეცნიერებასა და კულტურის განვითარებაში.** მეცნიერები დიასამიძეთა საგვარეულოდან დღენიადაგ ცდილობენ აღადგინონ კავშირი მეცნიერულ ცოდნასა და სულიერ ფასეულობებს შორის. ქვეყნის სვე-ბედმა, ისტორიულმა ბედუკუღმართობამ და სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ დიდწილად განსაზღვრა დიასამიძეთა მეცნიერული თუ კულტურული განვითარების ორიენტირები, რაც წარმოჩნდა აღიარებული მეცნიერების: ჟუჟუნა, ბიჭიკო, ანზორ, იაშა, ლევან, ავთანდილ და დიასამიძეთა სხვა წარმომადგენლების გამოკვლევებში.

ლევან დიასამიძე
(1882-1969)

საუკეთესო ადამიანური თვისებებითაა შემკული მაღალი პროფესიონალიზმით, საქმის ცოდნით გამოჩეული პროფესორი, თბილისის მკვიდრი ლევან დიასამიძე. პროფესიით ინჟინერ-ჰიდრავლიკოსმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საზოგადო საქმეების კეთებას შესწირა. იგი დაიბადა ქ. თბილისში, 1882 წლის 19 სექტემბერს. უმაღლესი განათლება მიიღო შვეიცარიაში, ქ. ლოზანას საინჟინრო ინსტიტუტში, რომელიც 1912 წ. დაასრულა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ უმთავრესად მუშაობდა წყალსადენის სისტემაში. 1929-1935 წწ. იყო ნატახტრის წყალ-

სადენის პროექტის ავტორი და მშენებლობის მთავარი ინჟინერი. 1945 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრის გამგე. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. 1946 წ. მიენიჭა საქართველოს **მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება**.

ლ. დიასამიძე ავტორია არაერთი ნაშრომისა და პროგრამებისა. მათგან აღსანიშნავია: **წყალსადენის პროგრამა** -წყალსადენ-კანალიზაციის სპეციალობისათვის (თბილისი, 1933); **წყალსადენ-კანალიზაციის საგნის პროგრამა** – საარქიტექტურო სპეციალობისათვის (თბილისი,1933); **წყალსადენ-კანალიზაციის პროგრამა** – სამუშაოთა მწარმოებლის სპეციალობისათვის (თბილისი, 1933); **წყალსადენ-კანალიზაციის პროგრამა** – საკონსტრუქტორო სპეციალობისათვის (თბილისი,1933).

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გარდაიცვალა 1969 წელს– 87 წლის ასაკში.

ოთარ დიასამიძე
(1924-2013)

დაიბადა ქალაქ ბათუმში, 1924 წლის 11 მარტს, ცნობილი პროვიზორის გიორგი დიასამიძის ოჯახში. 1942-1947 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საავტომობილო გზების მშენებლობის სპეციალობაზე.

1947 წლიდან მუშაობდა საქართველოს გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ოჩამჩირის საგზაო უბანში. ინიციატივიანი და მცოდნე ახალგაზრდა მალე დაწინაურდა უბნის მთავარ ინჟინრად. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით აიგო ენგურსა და ცხენისწყალზე მრავალმალიანი საავტომობილო ხიდები, რთულ ბუნებრივ და რელიეფურ პირობებში განხორციელდა ათეულობით კილომეტრი საავტომობილო გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია.

1952-1955 წლებში ოთარ დიასამიძე სწავლობდა მოსკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის ასპირანტურაში, 1956 წელს დისერტაციის დაცვის შემდეგ დაინიშნა საქართველოს სამხედრო გზის მთავარ ინჟინრად. ამ თანამდებობაზე მუშაობის 5 წლის განმავლობაში მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით აშენდა ზვავსაწინააღმდეგო გალერეების მთელი სისტემა, საყრდენი კედლები და წყალგამტარი ნაგებობები, განხორციელდა საქართველოს სამხედრო გზის რიგი მონაკვეთების რეკონსტრუქცია.

1961-1968 წლებში მუშაობდა თბილისის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ჯერ უფროს მეცნიერ მუშაკად, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელობდა ენგურჰესის

მშენებლობის პრობლემათა ნატურალური კვლევის სექტორს, მისი მონაწილეობით შესწავლილი იქნა ამ რთული ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული არაერთი სამეცნიერო და საინჟინრო პრობლემა. როგორც გრუნტების მექანიკის ავტორიტეტული სპეციალისტი, ო. დიასამიძე მრავალი წლის განმავლობაში იყო მეწყრული მოვლენების სახელმწიფო კომისიის წევრი. მონაწილეობას იღებდა სიონის წყალსაცავის მშენებლობის ზედამხედველობის კომისიის მუშაობაში.

40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ოთარი მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების კათედრაის დოცენტად, შემდეგ კი პროფესორად. კითხულობდა ლექციების კურსს მაპროფილებელ დისციპლინებში. მრავალი წლის განმავლობაში იყო სახელმწიფი საგამოცდო კომისიის წევრი. ხელძღვანელობდა სტუდენტების სადიპლომო ნამუშევრებს პროექტირების და პრაქტიკული კუთხით, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. პარალელურად ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას. ო. დიასამიძის სამეცნიერო კვლევის შედეგები აისახა უცხოეთისა და საქართველოს სხვადასხვა გამოცემებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.

ოთარ დიასამიძე გარდაიცვალა 2013 წლის 13 ოქტომბერს.

ანზორ დიასამიძე
(1939-2016)

დიასამიძეთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელია ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კვალიფიციური სპეციალისტი ანზორ დიასამიძე.

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო — კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ ანზორ დიასამიძემ 1970 წელს ივანე ჯავა-

ხიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემზე: „ქიმიური მუტაგენების გავლენა ციტრუსების ცვალებადობისა და მტვრის მარცვლის გამანაყოფიერებელ უნარზე“.

1970 წლიდან ა. დიასამიძე შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრის დოცენტია. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ბიოლოგია — გეოგრაფიისა და ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის დეკანად, ზღვის თევზისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო — კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორად.

1995 წელს ა. დიასამიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქიმიური მუტაგენეზი და ცვალებადობის თავისებურებანი ციტრუსოვანთა სახეობათა შორის ჰიბრიბიდებში“. 1996 წლიდან იგი პროფესორია.

1987 წლიდან ანზორ დიასამიძე შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ბიოლოგიის კათედრის გამგეა. იმავდროულად იგი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მაგისტრატურის განყოფილებასა და მეთოდურ საბჭოს.

2002 წლიდან პროფ. ანზორ დიასამიძე ზოგადი ბიოლოგიის კათედრასთან არსებული იმუნოგენეტიკის ლაბორატორიის გამგე. მოგვიანებით იგი გახდა ემერიტუს პროფესორი.

პროფ. ანზორ დიასამიძე 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის 6 მონოგრაფია და ორი სახელმძღვანელო) ავტორია.

მეციტრუსეობის სელექციის პრაქტიკაში მან პირველმა მოახდინა ქიმიური მუტაგენეზისა (ყველაზე თანამედროვე მეთოდებით) და სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციის (ტრადიციული მიმართულება) მეთოდების შეუღლება და შეისწავლა მისი შედეგები. მის მიერ პირველად იქნა დამუშავებული და გამოყენებული ქიმიური მუტაგენებით ციტრუსოვანთა მტვერზე ზემოქმედების მეთოდები და სახეობათაშორის ჰიბრიდიზაციაში მისი გამოყენების შესაძლებლობები.

პროფ. ა. დიასამიძის კალამს ეკუთვნის მეთოდური ხასიათის ნაშრომებიც, რომლებიც ეხება როგორც მეცნიერული კვლევის მეთოდების დამუშავებას, ასევე უმაღლეს სასწავლებელში ზოგადი ბიოლოგიის ცალკეული დარგის სწავლების მეთოდიკის საკითხებს.

პროფესორი ანზორ დიასამიძე 1995 წელს არჩეულ იქნა საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათ აკადემიის ნამდვილ წევრად. ხოლო 2003 წლის 28 მაისს არჩეული იქნა აფხაზეთის მეცნიერული რეგიონული აკადემიის საპატიო წევრად.

ემერიტუსი პროფესორი ანზორ დიასამიძე დაჯილდოვებული იყო „ღირსების ორდენით“ და მთავრობის მედლებით. გარდაიცვალა 2016 წელს.

ბიჭიკო დიასამიძე
(1940-2020)

ჩვენს წარმოდგენაში მთიელი კაცი სიდინჯესა და დარბაისლობასთან, გულწრფელობასა და ხშირად მიამიტობასთან, გულისხმიერებასა და სიტყვის კაცობასთან არის ასოცირებული. ყველა ეს თვისება მოჭარბებულად ჰქონდა მომადლებული შუახევის რაიონის მაღალმთიან სოფელში – კვიახიძეებში დაბადებულსა და აღზრდილ ბიჭიკო დიასამიძის პიროვნულ ხასიათს.

მისი სახით ჩვენს წინაშე იყო ბროლივით სუფთა, ალალმართალი, უღალატო, სინდისითა და პირდაპირობით გამორჩეული კაცური კაცი, შესანიშნავი პედაგოგი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, რომელიც უკვე თითქმის ხუთი ათეული წელი დაუღალავად და უპრეტენზიოდ ემსახურა მომავალი თაობის აღზრდისა და სპეციალისტად ჩამოყალიბების ეროვნულ საქმეს.

ბ. დიასამიძე დაიბადა 1940 წლის 25 დეკემბერს, შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეებში. აქვე დაამთავრა რვაწლიანი სკოლა და ჩაირიცხა ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში. 1960 წელს, პედსასწავლებლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო გოგინაურის დაწყებით სკოლაში, საიდანაც გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ 1963-1964 წლეებში მუშაობდა წყაროსუბნის (შუახევის რ-ნი) დაწყებით სკოლაში გამგე-მასწავლებლად. 1964 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია. მან სწავლის პერიოდშივე მიიქცია პროფესორ - მასწავლებელთა ყურადღება. მალე იგი აირჩიეს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ, იმავდროულად – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად. 1970 წლიდან ბ. დიასამიძე ინსტიტუტის პროფკავშირული ორგანიზაციის სათავეშია, 1979-1982 წლებში ხელმძღვანელობს ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას, 1991-1997 წლებში კი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს, პარალელურად მუშაობდა უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობაზე (2005 წლის სექტემბრამდე). 2001-2005 წლებში იყო საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, 2009 წლიდან კი ემერიტუსი პროფესორი. პარალელურად მუშაობდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ტარდებოდა ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჩვენი სულიერების ბალავარი“ და „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“.

უნივერსიტეტში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის მიუხედავად, იგი ახერხებს აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას. ბატონი ბიჭიკო სამეცნიერო კვლევას აწარმოებდა ორი მიმართულებით: ა) სტუდენტთა მსოფლმხედველობის ფორმირება და ბ) საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიას. მომავალ სპეციალისტთა პროფესიული ორიენტაციისა და ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების

საკითხებს მიუძღვნა 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია.

განსაკუთრებით საინტერესოა პროფ. ბიჭიკო დიასამიძის გამოკვლევები, რომლებიც ქრისტიანობის ისტორიის საკითხებს ეძღვნება. აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ნაშრომებში გაანალიზებული და ახლებურად გააზრებულია ქრისტიანობის გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების, სახელმწიფო-საკანცელარიო და საეკლესიო ღვთისმსახურების ენის, უძველესი საეკლესიო ცენტრების წარმოშობისა და მათი ფუნქციის საკითხი ეგრისის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ეგრის-აფხაზეთის სამეფოსა და შემდგომ საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებაში ეკლესიის როლისა და ადგილის პრობლემა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ზემოთდასახელებულ პრობლემებს ავტორმა 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის ცამეტი წიგნი („ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში," ბათ. 1999; „უძველესი საეკლესიო ცენტრები დასავლეთ საქართველოში," ბათ. 2000; „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში," ბათ. 2002), რომელთაგან ამ ბოლო ნაშრომს მიენიჭა ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო პრემია. აქვე გვინდა მოვიტანოთ ამონარიდი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2002 წლის 29 მარტის №76 ნოემბერში დაბეჭდილი რეცენზიიდან: „ნაშრომის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი სახავს ახალ საკვლევ საკითხებს, ბიძგს აძლევს რიგი პრობლემების ახლებურ გააზრებას, საბუთების ძიებას იმ მოსაზრებათა დასასაბუთებლად ან უარსაყოფად, რომლებსაც ავტორი აყენებს." აღნიშნული პრობლემების მეცნიერული შესწავლა საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც წარმატებით დაიცვა 1999 წლის დეკემბერში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სპეციალიზებული საბჭოს სხდომაზე და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იმავდროულად, ბ. დიასამიძე აირჩიეს საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად, დაჯილდოებული

იყო ღირსების ორდენით და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საპატიო სიგელით.

პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე გამოირჩეოდა საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისითაც. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი იყო ეროვნული მოღვაწე. ბ. დიასამიძე იდგა ბრძოლის წინა ხაზზე ისტორიის ყველა ეტაპზე – XX ს. 70-იან წლებში —ქართული ენის დაცვისას, 1980-1990-იან წლებში-ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში თუ თანამედროვე ეტაპზე–მიუხედავად იმისა, რომ იგი უნივერსიტეტის იერარქიული კიბის საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. ამიტომაცაა, რომ მისი, როგორც მოღვაწის სიტყვას, აზრსა და პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონის თუ სრულიად საქართველოს მტკივნეული საკითხების გადაწყვეტისას. მის კალამს ეკუთვნის არაერთი პუბლიცისტური სტატია რეგიონალურ და ზოგადქართულ პრობლემატიკაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. 1988 წლიდან იგი რუსთაველის საინსტიტუტო საზოგადოების, 1990 წლიდან კი აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეა. იგი გაბედულად შეებრძოლა აბაშიძის რეჟიმს და პროფ. ამირან კახიძესთან ერთად აჭარაში და სრულიად საქართველოში პირველმა აღიმაღლა ხმა მოსალოდნელი დიქტატურის წინააღმდეგ ჯერ კიდევ აბაშიძის მმართველობის გარიჟრაჟზე – რადიოთი გამოსვლისას. მის მიერ ინიცირებული პაექრობა უნივერსიტეტის საქტო დარბაზში (2003 წ. 2 დეკემბერი) გახდა აბაშიძის მმართველობის დასასრულის დასაწყისი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემატიკის სხვადასხვა საკითხებს ეძღვნება მისი წიგნები: „ფიქრები ხვალინდელ დღეზე“, „გიორგობიდან გიორგობამდე.,“ და სამტომეული - „ისტორიული ეტიუდები“.

ბ. დიასამიძე არა მარტო სიტყვითა და კალმით, არამედ პრაქტიკულადაც აკეთებდა იმ საქმეებს, რის შესახებაც საუბრობდა. სოლომონ ფუტკარაძესთან და ავთანდილ დიასამიძესთან ერთად იგი იყო ინიციატორი გამონათლევის წმინდა გიორგის და ქედაში ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიების

მშენებლობისა. ქვეყნისათვის მძიმე წლებში, როცა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებს ვეღარ აუდიოდა ქვეყანა, მან 1993-1996 წლებში, ოთხსულიანი ვადაქარიების ოჯახი შეიკედლა საკუთარ სახლში და სამი წელი უვლიდა და პატრონობდა მათ.

ბატონი ბიჭიკო იყო ინიციატორი იმ საქველმოქმედო აქციებისა, რომლებიც ეწყობოდა 90-იან წლებში სტიქიით დაზარალებულებსა თუ დევნილებზე დასახმარებლად. ისტორიის დეპარტამენტში დღემდე ინახება ზონარგაყრილი წიგნი, რომელშიც აღრიცხულია საქველმოქმედო აქციებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

ბიჭიკო დიასამიძის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეებში. მას სასწავლო წლის დასაწყისში არაერთხელ გაუხარებია კვიახიძეებელი პირველკლასელები საკუთარი ხარჯით შეძენილი სახელმძღვანელოებით. იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა ქვედა სამების დაწყებით სკოლასაც, სადაც ერთი წელი ისწავლა.

ბიჭიკო დიასამიძე იყო საქართველოს დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, წმინდა მოწამე კათალიკოს-პატრიარქის ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობის ხელმძღვანელი, რეგისტრირებული კავშირი „მარეთის“ გამგეობის წევრი. მისი აქტიური მონაწილეობით ორგანიზაციამ განახორციელა არაერთი საქველმოქმედო აქცია მარეთის ხეობის სოფლებში (40 ათასი ლარის ფულადი გამოსახულებით).

ბატონ ბიჭიკო დიასამიძეს იცნობდნენ, როგორც შესანიშნავ პედაგოგს, აღმზრდელსა და კოლეგას. მისი ლექციები შუა საუკუნეების ისტორიაში (№24 აუდიტორია) წარმოადგენდა სტუდენტი ახალგაზრდობის რომანტიკულ მოგზაურობას ატილას ნაკვალევზე, გოთების სამყაროში თუ არაბთა მიერ დასაპყრობად განწირულ ქვეყნებში. ყოფილი სტუდენტები, დღევანდელი კოლეგები დღესაც ვიხსენებთ პროფ. ბიჭიკო დიასამიძის ლექციების სიღრმეს, ემოციურობას, გვავიწყდებოდა რომელ საუ-

კუნეში ვცხოვრობდით და გადავდიოდით იმ სამყაროში, რომელზედაც ლექტორი მოგვითხრობდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის იშვიათი თვისება, რასაც ბატონი ბიჭიკო ნიჭის აღიარებით გამოხატავდა. იგი პატივს სცემდა როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის ნიჭიერებას. მხედველობაში გვაქვს მისი დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებულ პროფესორ-ისტორიკოსებთან: როინ მეტრეველთან, დავით მუსხელიშვილთან, გურამ ლორთქიფანიძესთან, ნოდარ ლომოურთან, გურამ გრიგოლიასთან, ამირან კახიძესთან... ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვინც თავადაა კარგი მასწავლებელი და იცის მასწავლებლის ფასი.

კიდევ ერთ საოცარ თვისებას უნდა გაესვას ხაზი: ბატონი ბიჭიკო ყოველთვის ცდილობდა კოლეგის ავტორიტეტის ამაღლებას. მისთვის უცხო იყო აუგის თქმა, მით უმეტეს კოლეგაზე, არც არავის აძლევს ამის უფლებას. იგი ყოველთვის იყო და დარჩა ამაღლებული და თავისი პირადი მაგალითით სხვასაც უწყობდა ხელს წარმოჩენილიყვნენ პირადი ღირსების დონეზე.

ბატონი ბიჭიკო გამორჩეული იყო მიმტევებლობის, შენდობისა და პატიების უზარმაზარი უნარით. არაერთხელ ატკინეს გული დაუმსახურებლად, დაალევინეს „მწარე შარბათი," მაგრამ წყენა გულს არ გაუკარებია (რასაც ვერ ახერხებენ ჩვეულებრივი ადამიანები), აფთიაქის სასწორზე ასაწონად არასდროს არ დაუდია ცოდვა-მადლი და ჩვეული გულისხმიერებით ხვდებოდა ყველას — მტერსაც და მოყვარესაც.

განსაკუთრებით დასაფასებელი იყო პროფესორ ბიჭიკო დიასამიძის პოზიცია, მისი ეროვნულობა. სტუდენტებთან ურთიერთობისას არასდროს დაუთმია ადგილი პოლიტიკური კონიუქტურისა და ვნებებისათვის. მის ნაწერებში ვერ ნახავთ კუთხური კარჩაკეტილობის ვერავითარ ნიშანწყალს. ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა ზოგადქართულ, ზოგადეროვნულ ფასეულობებს.

ზეციერსა და მიწიერს, ყველას ჰყავს თავისი მეხოტბეც და მაგინებელიც. ბატონი ბიჭიკო კი ყველა ღირსეულს უყვარდა და მრავლადაც ჰყავდა დამფასებელი.

ხშირად კაცი წლებზე გაცილებით მხნედ გამოიყურება და ტოლს არ უდებს ახალგაზრდებს. ბატონი ბიჭიკოც მათ შორის იყო. მან თავისთავს ბოლომდე შეუნარჩუნა ბავშვობა. იგი ამაყად დააბიჯებდა ბათუმის ქუჩებში და ბავშვური გატაცებით სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა თავის საყვარელ საქმეს. მის მოღვაწეობას შეესაბამება შექსპირის სიტყვები: ,,ის კაცი იყო და შვენოდა კაცთა კაცობას". დიოგენე დღისით, მზისით ანთებული ჩირაღდნით დადიოდა — ,,კაცს ვეძებო". ბ. დიასამიძე რომ შეხვედროდა, იტყოდა - ,,ვნახე, ვისაც ვეძებდიო".

ღვაწლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე გარდაიცვალა 2020 წელს.

იაშა დიასამიძე

დაიბადა 1943 წელს, ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიონის სოფელ მარადიდში. საშუალო სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ 1967 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (საღამოს სექტორი) მათემატიკის სპესიალობით, 1976 წელს – ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგის) გერსენის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ალგებრის კათედრის ასპირანტურა. 1982 წელს კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2003 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და **სადოქტორო დისერტაციები.**

ი. დიასამიძე არის რუსულ ენაზე გამოსემული მონოგრაფიის „ბინარულ მიმართებათა სრული ნახევაროგუფების" ავტორი, რომელის აღნიშნულ მიმართულებაში პირველია. ფიზიკა-მათე-

მატიკის მესნიერებათა დოქტორ შ. მახარაძესთან ერთად გამოსასემად მომზადებული აქვს მეორე მონოგრაფიას. გარდა ამისა, ალგებრაში გამოაქვენა სამოსზე მეტი სამესნიერო სტატია, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთისა და საქართველოს სამესნიერო ჟურნალებში. 1962-1992 წლებში მუშაობდა სოფელ მარადიდის კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტრად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის ლაბორანტად, ასისტენტად, მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად და დოსენტად. 1992-2004 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის კათედრის დოსენტია, 2004 წლიდან – ამავე კათედრის პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით ნოფილი სსრკ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად იგზავნებოდნენ წარჩინებული კურსდამთავრებულები. მათგან უმეტესობამ ხარისხი დაისვა და ამჟამად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ან საზღვაო აკადემიაში მოღვაწეობენ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის სტუდენტები წარმატებით ისავენ სამაგისტრო ნაშრომებს. იგი არის რამოდენიმე დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი. აქტიურად თანამშრომლობს თურქეთის რესპუბლიკის ანკარის ჰაჯ ტეპეს უნივერსიტეტის პროფესორებთან – ალი ერდოგანთან და ნური ჩიმენთან, რომლებთან ერთად გამოსექული აქვს ერთობლივი შრომები. შპშ შნწ ალი ერდოგანის დოქტორანტშთ მელის თეკინის თანახელმძღვანელი, სამესნიერო და თვალსაჩინო პედაგოგიური მუშაობისთვის დაოილდოებულია ღირსების ორდენით.

ჰნავს მეუღლე და ორი შვილი – ილია და ლეილა.

ჟუჟუნა დიასამიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეოთხე სართულისაკენ მიმავალ კიბეებს ყოველდღიურად მიუყვება სიკეთითა და გულისხმიერებით, ღირსებითა და პატიოსნებით, პუნქტუალობით, კლდემამოსილებით, შინაგანი წესრიგით, ინტელექტითა და ინტელიგენტურობით გამორჩეული ქალბატონი, ერთი შეხედვით ამაყი და უკარება, სინამდვილეში კი თავაზიანი, მოსიყვარულე და თავმდაბალი პიროვნება. იგი მრავალი თაობის აღზრდელი, ღვაწლმოსილი და უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო მუშაკი, სტუდენტების უსაყვარლესი მასწავლებელი, **ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჟუჟუნა დიასამიძეა.**

ჟუჟუნა მემედის ასული დიასამიძე დაიბადა ბათუმში, 1945 წლის 26 თებერვალს. 1951 წელს სწავლა დაიწყო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-4 საშუალო სკოლაში და იმთავითვე მიიპყრო მასწავლებელთა ყურადღება. ცოდნამოწყურებული მოსწავლე ხარბად დაეწაფა მეცნიერების საფუძვლებს. შედეგმაც არ დააყოვნა და 1961 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლის სრული კურსი. იმავე წელს იგი ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე – ფიზიკის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1966 წელს. ცოდნის წყურვილმა, მონდომებამ, ძლიერმა ნებისყოფამ, გააფართოვა ჟუჟუნა დიასამიძის თვალსაწიერი. პროფესორ-მას-

წავლებლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სტუდენტი გოგონას მონდომება, გულმოდგინება და აქტიურად ჩააბეს საინსტიტუტო ცხოვრებაში. აქტიურად მონაწილეობს სტუდენტთა სამეცნიერო წრეებისა და კონფერენციების მუშაობაში. მალე იგი დაინიშნა ფიზიკის კათედრის ლაბორანტის თანამდებობაზე.

1968 წ. ქალბატონი ჟუჟუნა ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივ ასპირანტურაში თეორიული ფიზიკის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ აგრძელებს მუშაობას შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე. 1975 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გარეშე ცვლად ელექტრონულ ველში მოთავსებულ გარემოში დამუხტულ ნაწილაკთა გამოსხივების თეორიისათვის.“ იმავე წელს იგი აირჩიეს უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. 1981 წლიდან 2006 წლამდე (დეპარტამენტის ჩამოყალიბებამდე) ჟუჟუნა დიასამიძე სათავეში ედგა ფიზიკის კათედრას. ეს იყო ერთის მხრივ გამარჯვება, ამავე დროს ტვირთი და პასუხისმგებლობაც. ქალბატონმა ჟუჟუნამ ღირსეულად ატარა კათედრის გამგის საპატიო ტვირთი. არა ერთ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუხსნა გზა, დააკვალიანა, აღზარდა და გვერდში დაიყენა. საილუსტრაციოდ თუნდაც ედნარ გელაძისა და მადლენა დავითაძის დასახელებაც კმარა. ჟ. დიასამიძემ კარგად იცის, რომ როცა გიყვარს საქმე, როცა ინტერესითა და პასუხისმგებლობით ეკიდები დაკისრებულ მოვალეობას, დაუძლეველი არაფერი გრჩება.

ქალბატონმა ჟუჟუნამ ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. ფიზიკის სპეციალობის კურსდამთავრებული ედნარ გელაძე მაღალი ზნეობით, პროფესიონალიზმით გამორჩეულ მასწავლებლებს შორის ასახელებს ქალბატონ ჟუჟუნას, რომელიც თავისი ერუდიციითა და ზნეკეთილობით იპყრობდა სტუდენტთა გულს, გონებას და კეთილ კვალს ტოვებდა მათ სულში.

1998 წ. 20 ივნისს ჟუჟუნა დიასამიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტალღური პროცესების გამოკვლევა ტურბულენტურ ფენაში ტროფოსფეროს სიმაღლეებზე.“ სტატისტიკურ რადიოფიზიკაში ქალ მეცნიერებათა დოქტორებს შორის ქალბატონი ჟუჟუნა პირველია საქართველოში.

ცხადია, ავტორიტეტი და დაფასება თავისით არ მოდის. იგი უანგარო, დაძაბული შრომა-გარჯისა და ადამიანებზე დაუღალავი ზრუნვის შედეგია. ასეთია ჟუჟუნა დიასამიძე. იგი ბევრს კითხულობს, სწავლობს, აანალიზებს არა მარტო თავის სპეციალობაში, არამედ ისტორიისა და პედაგოგიკის სფეროშიც. იგი მუდამ ნახულობს დროს თავისთავზე, თვითგანათლებაზე მუშაობისათვის, ესწრება სამეცნიერო სესიებს, სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომებს, გამოდის მოხსენებებით სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების წინაშე.

ულმობლად გაირბინა დაუცხრომელი შრომის, ბრძოლის, ძიების მარცხის, წვისა და წარმატების შვიდ ათეულზე მეტმა წელმა, მაგრამ ჟამთა ცვლის მსახვრალი ხელი ვერ შეეხო მის ნიჭს, თავმდაბლობას, გულმოდგინებას, შრომისმოყვარეობასა და საქმისადმი სიყვარულს. იგი კვლავინდებური მონდომებითა და მუყაითობით ემსახურება საყვარელ საქმეს.

თეიმურაზ დიასამიძე

ხელმარდიანი მკურნალი, **მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ დიასამიძე** დაიბადა 1950 წ. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა სვერდლოვსკის (ეხლ. ეკატერინბურგის) სამედიცინო ინსტიტუტში. იქვე გაიარა ინტერნატურა ფთიზიატრიაში. 1975-1982 წწ. მუშაობდა ფთიზიატრად სვერდლოვსკის ოლქში, ფთიზიოქირურგად სვერდლოვსკის სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა რესპუბლიკური ტუბერკულიოზური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში. მან პირველმა დანერგა რეგიონში ბრონქოსკოპიური გამოკვლევები. 1990 წლამდე იგი აწარმოებდა რეგიდულ ბრონქოსკოპიას, 1992 წლიდან კი ფიბრობრონქოსკოპიურ გამოკვლევებს.

თ. დიასამიძემ 1990 წ. სვერდლოვსკში დაიცვა **საკანდიდატო, მოგვიანებით კი სადოქტორო დისერტაციები.** იგი ეწევა საკონსულტაციო, სამკურნალო საქმიანობას ბათუმის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში, ხელმძღვანელობს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დიაგნოსტიკურ განყოფილებას.

თ. დიასამიძე არის რესპიტარული ასოციაციისა და ევროპის რესპიტალური საზოგადოების წევრი, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული დეპარტამენტის ექსპერტი პულმონოლოგიაში, აჭარის მთავარი ექსპერტი ენდოსკოპიაში (ჯ. დიასამიძე, 2013:107).

ანზორ დიასამიძე

დიასამიძეთა საგვარეულოს ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა, **ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ანზორ დიასამიძემ** თავისი ცხოვრება ზღვას დაუკავშირა.

ანზორ ახმედის ძე დიასამიძე დაიბადა 1951 წ, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხში. 1971 წ. დაასრულა ბათუმის საზღვაო სასწავლებელი ტექნიკოს-გემთწამყვანის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მცურავი შემადგენლობის მატროსად. სხვადასხვა დროს იგი იყო კაპიტნის მე-4,

მე-3 და მეორე თანაშემწე ტანკერ „კრემენჩუკსა“ და ტანკერ „დავით გურამიშვილზე“, ხოლო კაპიტნის უფროს თანაშემწედ თბომავალ „ველიკიი ოკტიაბრზე“. 1987 წ. მიენიჭა ინჟინერ-გემთწამყვანის კვალიფიკაცია და დაინიშნა შორეული ნაოსნობის კაპიტნად გემებზე: „ფოთი“, „მხატვარი ფიროსმანი“, „ნოდარ დუმბაძე“. იგი არაერთხელ იქნა დასახელებული საზღვაო ფლოტის საუკეთესო კაპიტნად.

ა. დიასამიძე ოჯახთან ერთად

ა. დიასამიძე ითვლებოდა საზღვაო ფლოტის სამინისტროს საუკეთესო კაპიტნად და კაპიტნის თანაშემწედ. 1998 წლიდან მუშაობა განაგრძო ბათუმის საზღვაო აკადემიის უფროსის პირველ მოადგილედ, პარალელურად იყო შპს „საზღვაო-სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის“ გენერალური დირექტორი. 2005 წლიდან შპს საზღვაო-სასწავლო ცენტრ „ანრის“ გენერალური დირექტორია. 2010 წ. ამ ცენტრმა გაიარა აკრედიტაცია. ა. დიასამიძე არჩეულ იქნა ამ სასწავლებლის რექტორად.

ა. დიასამიძემ 1999 წ. დაიცვა საკანდიდატო, 2009 წ. კი სადოქტორო დისერტაციები. მისი წარმატებული საქმიანობა დაფასდა. ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტისა და საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ იგი არაერთხელ დაჯილდოვდა სხვადასხვა ჯილდოებით (NATO workshop innovation Network; 2009 – Train The Trainer Course – CESO international Services; 2009 Maritime English – CESO international Services; 2008 Advisory Directorale international 2008 Da Vinci Diamond ; 2008 – Man of Year in Science; 2008 – Golden Medal for Georgia; 2008 – Research Board of Advisors)

2006 წლიდან ა. დიასამიძე საქართველოს საზღვაო კაპიტანთა ასოციაციის პრეზიდენტია. იგი არის აგრეთვე საზღვაო კაპიტნების საერთაშორისო ფედერაციის ასოციაციის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი. ა. დიასამიძე ამჟამადაც აგრძელებს ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას.

ბეხრი დიასამიძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, პაციენტების საყვარელი ექიმი ბეხრი დიასამიძე დაიბადა 1959 წელს. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა კრასნოდარის სამედიცინო, შემდეგ კი თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში.

1990 წ. გაიარა სტაჟირება ოტოლარინგოლოგიაში ლენინგრადის (ეხლ. პეტერბურგი) N 1 სამედიცინო ინსტიტუტში. 1982-2004 წლებში მუშაობდა ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ოტოლარინგოლოგად. 2004-2009 წწ. ხელმძღვანელობდა ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილებას. წარმატე-

ბით **დაიცვა საკანდიდადტო და სადოქტორო დისერტაციები**. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს. 2009 წლიდან ბ. დიასამიძე შპს „ლორმედი"-ს ოტოლარინგოლოგია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

რუსუდან დიასამიძე

დაიბადა 1960 წელს. დაამთავრა ბათუმის N 22 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. პარალელურად მუშაობდა შავი ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიაში. არის **აგრომეტეოროლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,** ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ხელმძღვანელი.

1997-2000 წწ. რ. დიასამიძე იყო საქართველოს რადიო-ბიოლოგიისა და რადიო-ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი. 2003 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკოლოგიის დოქტორის სამეცნიერო წოდება. რუსუდან დიასამიძე არის არაერთი საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევის ავტორი.

კობა დიასამიძე

კობა დიასამიძე დაიბადა ქ. თბილისში, 1960 წელს. სპორტული ჟინით შეპყრობილი ახალგაზრდა ფეხბურთელი სწავლას აგრძელებს ლენინგრადის პავლოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე იგი ჩაება შრომით საქმიანობაში. მუშაობდა თვილისისა და ლენინგრადის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. 1994 წ. ლენინგრადში დაიცვა **საკანდიდატო დისერტაცია** 1996 წლიდან კ. დიასამიძე თბილისის სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების საავადმყოფო „ალსს“, 2008 წლიდან კი სამედიცინო ცენტრ „იუნანას“ ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის განყოფილებას უდგას სათავეში.

მზია დიასამიძე

მზია დიასამიძე დაიბადა 1964 წელს. დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ფიზიკის სპეციალობით. ერთხანს მუშაობდა ქალაქის პირველი პროფესიული გიმნაზიის პედაგოგად და შავი ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის ცენტრის მათემატიკური უზრუნველყოფის ტექნიკოს-ოპერატორად.

1996 წლიდან მუშაობდა საზღვაო აკადემიის ფიზიკა-ქიმია- ეკოლოგიის

ფაკულტეტის დოცენტის, ტრანსპორტის მენეჯმენტის ფაკულტეტის უფროსისა და სასწავლო განყოფილების უფროსის მოადგილედ. იყო სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, არის საზღვაო ნავიგაციის ფაკულტეტის **სრული პროფესორი.** გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი.

გუგული დიასამიძე (1936-2004)

ფილოლოგიის **მეცნიერებათა კანდიდატი გუგული დიასამიძე** დიასამიძეთა საგვარეულოს შესანიშნავი წარმომადგენელია. მან ქედის საშუალო სკოლა 1953 წელს დაამთავრა.

1956 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1968 წლიდან იწყებს მუშაობას კათედრის ლაბორანტად, შემდეგ კი მასწავლებლად. 1982 წ. დაიცვა საკანდიდატო დისეტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. გარდაიცვალა 2004 წელს.

დავით დიასამიძე (1940 - 1998)

დავით დიასამიძე ქართველ ეკონომისტთა იმ თაობის თანამოასაკე იყო, რომლებიც ახლა შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში არიან. ამ თაობის სტუდენტურ წლებში დავით დიასამიძე პერსპექტიული ჩანდა. ეს გამოვლინდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდგომში

უნივერსიტეტში მუშაობის დროს. მაგრამ იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ენერგიული და სიცოცხლეს მიწყურებული ადრე გაეცალა წუთისოფელს, თუმცა მან შეძლო მოესწრო მეცნიერული მემკვიდრეობის შექმნა, დაიმკვიდრა პოპულარული ლექტორის სახელი და დიდი როლი შეასრულა მისი და შემდგომი თაობების მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაში. ამიტომაა, რომ დღესაც მისი უდროო დაღუპვით გამოწვეული სინანული და ტკივილი არ განელებიათ მის თაობას, მის სტუდენტებსა და მასწავლებლებს.

დავით დიასამიძე დაიბადა 1940 წ. 7 მარტს ბათუმის რაიონის სოფელ ანგისაში. საშუალო სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებული ბატონი დავითი 1959 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. ჩარიცხვისთანავე იგი ჩაება სამეცნიერო საქმიანობაში. 1973-1977 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა **ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამწცნიერო წოდება.** სხვადასხვა დროს მუშაობდა მტვირთავის, მუშის, მასწავლებლის, სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორის, ლაბორანტის, დოცენტის თანამდებობებზე. იგი ორჯერ იმყოფებოდა კვალიფიკაციის ამღლების კურსებზე მინსკსა და სანკტ-პეტერბურგში. ბატონი დავითი იყო ერთ-ერთი გამოგონების თანაავტორი მოსკოველ კოლეგებთან ერთად და მიღებული ჰქონდა საავტორო მოწმობა.

დავით დიასამიძე თავის ირგვლივ მუდამ ამაღლებულ, სათნო, სასიამოვნო განწყობილებას ქმნიდა. იგი სხვებისაგან არასოდეს მოითხოვდა პატივისცემას. მისი პიროვნება უნებურად იწვევდა დ. დიასამიძისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. მასში ჰარმონიული იყო შეხამებული შინაგანი სილაღე, სისუფთავე და გარეგნული სიმშვიდე.

პირველად ბატონი დავითი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ვნახე. მე მაშინ სტუდენტი ვიყავი. იგი ახალგაზრდა იყო, მე კი დიდი მეგო-

ნა. მან ძალიან ლამაზი საუბარი იცოდა, გულისტკივილით საუბრობდა საქართველოს ტრაგიკულ ისტორიაზე. დახვეწილი ქართულით მეტყველებდა.

ბატონი დავითი მალე დამიახლოვდა, გაითავისა ჩემი ტკივილი თუ წარმატებები და უმცროს მეგობრად მიმიღო. ყოველთვის ვგძნობდი მის ყურადღებას, კეთილგანწყობილებას და ეს ძალიან მიხაროდა. როცა გამიჭირდა, ის უყოყმანოდ დადგა ჩემს გვერდით, მამხნევებდა, იმედს მაძლევდა. სამწუხაროდ ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერ მოვახერხე მადლობის თქმა.

ბატონი დავითი სიმართლით, სამართლიანობითა და ობიექტურობით გამორჩეული პიროვნება იყო. მართალია იგი საბჭოური პოლიტიკური ეკონომიის კურსს კითხულობდა, მაგრამ სტუდენტებთან და მეგობრებთან საუბრისას მინიშნებით, პირდაპირ და დაუფარავად გამოხატავდა თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას დოგმატური მარქსიზმისა და ე.წ. სოციალისტური ეკონომიკის შესახებ. ამის თქმას ყველა ვერ ახერხებდა. ამგვარი საკითხების მოსმენა დიდ გაოცებას იწვევდა. დღესაც ბევრს ახსოვს მისი დალაგებული საუბარი იმ დროის პრობლემურ საკითხებზე. გამბედაობითა და პირდაპირობით დავით დიასამიძე გამორჩეული იყო ბევრი მისი კოლეგისაგან. ამიტომაც განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ სტუდენტებს. დავით დიასამიძისა და მისი სტუდენტის იოსებ სანიკიძის მეგობრობა ნათელი მაგალითი იყო მასწავლებლისა და მოწაფის თანამშრომლობისა. დავით დიასამიძე ძნელად თუ ვინმეს დაიახლოვებდა, მაგრამ თუ დაიახლოვებდა გვერდიდან არ მოიშორებდა. თავგანწირული მეგობრობა იცოდა.

საქმეში მუდამ სერიოზული, თავის ფიქრებში ჩაღრმავებული ყოველდღიურ ცხოვრებაში მხიარული და ხალისიანი იყო. თვით მძიმე სულიერი განწყობილების ჟამსაც კი თავის განწყობას სხვებს თავს არ ახვევდა.

მძაფრი კამათის, აზრთა შეურიგებელი სხვადასხვაობის დროს წონასწორობიდან არასოდეს გამოდიოდა. სულით ხორცამდე ინტელიგენტს გრძნობების შეკავებაც შეეძლო და თავისი აზრის თავაზიან ფორმებში გადმოცემაც.

დავით დიასამიძე იყო მაგალითი კულტურული უნივერსალიზმისა. მასთან ხშირად იკრიბებოდნენ მისი თანამოაზრეები, მეგობრები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. სიცოცხლის ბოლო წლებში ყოველდღიური საზრუნავით დატვირთული ბატონი დავითი ოდნავადაც არ შეცვლილა. იგი კვლავინდებურად, ძველებურად აკვირდებოდა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს, გულს ტკენდა უმაღლესი სასწავლებლების პოლიტიზირება და პოლიტიკური მიზნებისათვის სტუდენტთა გამოყენების მახინჯი პრაქტიკა. იგი აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. იმჟამად, ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ხმის ამოღება მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასი იყო.

დავით დიასამიძემ თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე გვიჩვენა ჭეშმარიტი მამაცობის, მოქალაქეობის და ადამიანურობის მაგალითი. მოუწესრიგებელმა პირადმა ცხოვრებამ ვერ ჩაკლა მასში მომავლის იმედი. დარწმუნებული ვარ, დრო მიუკერძოებლად წარმოაჩენს მის დამსახურებას

გენრი დიასამიძე (1940-2010)

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გენრი დიასამიძე დიასამიძის საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელია. იგი დაიბადა ქედის რაიონის სოფ. საღორეთში (პირველი მაისი) 1940 წელს. ოქროს მედალზე დაამთავრა ბათუმის N 1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ლაბორანტის პოზიციაზე. 1965 წ. ჩაირიცხა ასპირანტურაში.

1969 წლიდან მუშაობს შავი ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1973 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა – პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის გამგე, მინისტრთა საბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების განყოფილების გამგე, საქმეთა მმართველის მოადგილე, კანცელარიის უფროსი და ა. შ. 1974-1981 წწ. იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. გარდაიცვალა 2010 წელს.

რევაზ დიასამიძე

რევაზ მერაბის ძე დიასამიძე, დაიბადა 1943 წელს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მირვეთში. საშუალო განათლება მიიღო ქ.ბათუმის 22-ე საშუალო სკოლაში.

1969 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს სამეცნიერო-კვლევით სათევზ-მეურნეო სადგურში (ახლანდელი ინსტიტუტი) უმცროს მეცნიერ მუშაკად. 1976 წლიდან იგი იყო უფროსი მეცნიერ მუშაკი, სექტორის გამგე, ბიორესურსებისა და მარაგის ლაბორატორიის გამგე. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში (1973-1977 წწ.) აითვისა და დაამუშავა ინსტიტუტისათვის

ბიოლოგიაში იმჟამად ახალი მიმართულება – **ფიზიოლოგიური ჰიდრობიოლოგია. 2009 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.**

რ. დიასამიძე აქტიურად მონაწილეობს შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და შიდა წყლების ჰიდრობიოლოგიურ კვლევაში, კერძოდ ბენთოსის შესწავლაში. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ანაკლიის, სუფსისა და გონიო-კვარიათის რაიონში მიდიების საცდელი მეურნეობა ხელოვნურ სუბსტრატზე-კოლექტორებზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია ძვირფასი ცილოვანი პროდუქტების მისაღებად.

რ. დიასამიძე მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებზე. 1981-1986 წლებში იგი იყო ჰიდრობიოლოგიური საზოგადოების საკავშირო ყრილობის დელეგატი. იგი არის აგრეთვე მრავალი საკავშირო კონფერენციების მონაწილე. გამოქვეყნებული აქვს ორმოცამდე ნაშრომი, როგორც საქართველოში ასევე საქართველოს გარეთ.

1991 წლიდან რ. დიასამიძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიისა და წყლის ბიო-რესურსების დეპარტამენტში. კითხულობს ლექციების კურსს ჰიდრობიოლოგიაში, ჰიდროფაუნაში, თევზის მეურნეობის ნედლეულის ბაზისა და უხერხემლო ცხოველთა კულტივირების ტექნოლოგიაში.

ჯემალ დიასამიძე



მედიცინის **მეცნიერებათა კანდიდატი ჯემალ** დიასამიძე დაიბადა 1944 წ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული

განყოფილების ორდინატორად, რეგიონის ბავშვთა მთავარ ქირურგად, ბავშვთა საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ. 1985 წ. მიენიჭა უმაღლესი კატეგორიის ქირურგის საპატიო წოდება.

1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, არის მრავალი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს და საკავშირო პედიატრთა ყრილობებისა და კონფერენციების მუშაობაში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ზურაბ დიასამიძე (1947-2007)

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ დიასამიძე დაიბადა 1947 წელს. სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე შეუდგა შრომით საქმიანობას და დაიმსახურა დიდი სიყვარული და პატივისცემა.

საქვეყნოდ იყო ცნობილი მისი მაღალი პროფესიონალიზმი, გულისხმიერება, კაცთმოყვარეობა და შრომისმოყვარეობა. ხელმძღვანელობდა აჭარის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ენდოსკოპიურ განყოფილებას. 1998 წ. დააჯილდოვეს საქართველოს მედიცინის საუკეთესო მუშაკის მედლით.

ალექსანდრე დიასამიძე

სიკეთისა და მადლიერების მაღალი გრძნობით გამორჩეული, სილაღით და უანგარობით, გულისხმიერებითა და გვერდში დგომის უნარით დაჯილდოებული პიროვნება. ასე იცნობენ ბათუმის ყოფილი მრავალდარგობრივი ინსტიტუტის რექტორს, გეოგრაფს, დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის აქტიურ წევრს – ალექსანდრე დიასამიძეს.

ალექსანდრე დიასამიძე დაიბადა 1950 წლის 29 ივლისს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კაპრეშუმში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელ კაპრეშუმის 8-წლიან სკოლაში. 1967 წელს დაამთავრა ახალშენის საშუალო სკოლა. 1969 წელს ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფია — ბიოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა განთიადის 8-წლიან სკოლაში პედაგოგად.

მოთავეობა, ინიციატივა, საკუთარი თავის რწმენა, დამოუკიდებლობა — ეს ის თანდაყოლილ თვისებებია, რომლებიც ალ. დიასამიძეს ბავშვობიდან აქვს შესისხლხორცებული. ხალხში ყოფნის სურვილიც ბავშვობიდანვე მოსდგამს. ამიტომაც მიაშურა საზოგადოება „ცოდნის“ ბათუმის საქალაქო ორგანიზაციას, სადაც 1977 წლიდან დაიწყო მუშაობა რეფერენტის თანამდებობაზე. 1982 წ. იგი გადავიდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის გათავისუფლებულ მდივნად.

1984 წლიდან ალ. დიასამიძე გეოგრაფიის კათედრაზე აიყვანეს მასწავლებლად, ხოლო 1993 წლიდან უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე აგრძელებს მუშაობას. 1991 წ. მან დაარსა კერძო სასწავლებელი — ბათუმის მრავალდარგობრივი კოლე-

ჯი, 1995 წ. კი მრავალდარგობრივი ინსტიტუტი, სადაც იგი არჩეულ იქნა რექტორის თანამდებობაზე.

ალ. დიასამიძე ეწეოდა სასწავლო — აღმზრდელობით, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი სილაღე, მეგობრების წრეში ტრიალი, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურობა გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეს კაცი საკუთარ თავზე მუშაობისათვის დროს არ იტოვებდა. სინამდვილეში, ალ. დიასამიძე საკმაოდ ბევს მუშაობს. 1985 წელს გამოსცა ნაშრომი – „აჭარის ასსრ ბუნებრივი რესურსები და მათი რეკრეაციული მნიშვნელობა“. პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მისი სტატიები ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის საკითხებზე. ამავე დროს ალ. დიასამიძე ორგანიზაციას უკეთებდა მასობრივ ღონისძიებებს საზოგადოებრივი აუდიტორიებისათვის. მისი ხელმძღვანელობით ეწყობოდა გასვლითი ღონისძიებები ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ტარდებოდა თეორიული კონფერენცები, თემატური საღამოები. ამავე დროს იგი არის დიასამიძეთა საგვარეულო საზოგადოების აქტიური წევრი.

მადლიანი კაცია ალ. დიასამიძე. იგი არის მცირეოდენი სიკეთის ასმაგად დამფასებელი. ეს კეთილშობილური თვისება ჩანს მის საქმიანობაში, მიხრა-მოხრასა თუ საუბარში. მას უყვარს ქართული სუფრა დარბაისელი მეინახეებით. ენერგიას და ხალისს მატებს თანამოაზრეთა შეხვედრა მეგობრების ოჯახებში. თავადაც შესანიშნავი ოჯახის პატრონია. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვილიშვილები. იგი კვლავაც ახალგაზრდული შემართებით აკეთებს თავის საკეთებელს. ამიტომაც უყვართ და აფასებენ.

ასმათ დიასამიძე

ასმათ ნიკოლოზის ასული დიასამიძე დაიბადა ქ. ჭიათურაში, 1951 წლის 21 იანვარს. 1967 წელს დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უც-

ხო ენათა ინსტიტუტში – გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს. მუყაითი გოგონა ხდება სახელობითი სტიპენდიანტი, მოგვიანებით კი გერმანული ენის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი.

1992 წ. ა. დიასამიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა გააგრძელა უცხო ენათა ინსტიტუტში გერმანული ენის კათედრის დოცენტის პოზიციაზე (1992-2001წწ). 1996 წლიდან იგი თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენის კათედრის დოცენტია. ამ პოზიციაზე ა. დიასამიძემ იმუშავა 2009 წლამდე. პარალელურად მონაწილეობდა გერმანულ-ქართულ პროექტებში, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას.

ა. დიასამიძე არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის, ასევე რამდენიმე დარგობრივი ლექსიკონისა და დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ავთანდილ დიასამიძე

ავთანდილ დიასამიძე დაიბადა 1952 წ. შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ხოლო 1996 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი, ბიზნეს-იურისტის სპეციალობით, გაიარა აგ-

რეთვე შვედეთის რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის კურსები. (Raoul Wallenberg Insstitute of human Rights and Humanitarian Lav, Sweden). 2011 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტურაში „სოციალური მეცნიერებები – პოლიტიკის მიმართულების“ სპეციალობით. 2016 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

სხვადასხვა დროს მუშაობდა შუახევის რაიონის ხაბელაშვილების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, რაიონული კომიტეტის პარტიული კომისიის თავმჯდომარედ, რაიონული გაზეთის „დროშის“ რედაქციის განყოფილების გამგედ, გონიოს კოოპერაციულ და ბათუმის სამართლის ინსტიტუტში, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტში, აჭარის სახალხო დამცველისა და შუახევის რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობებზე. ა. დიასამიძე პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 500- ზე მეტი საგაზეთო პუბლიკაცია. არის სოციალურ **მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.**

მალხაზ დიასამიძე

მალხაზ დიასამიძე დაიბადა ქ. ბათუმში 1971 წელს. ბათუმის N 6 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-ფილო-

ლოგიის ფაკულტეტზე. მოგვიანებით დაამთავრა აგრეთვე სამართალმცოდნეობის სპეციალობის სრული კურსი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა სადაზღვევო აგენტად „ტერმინალ-93“-ში, აჭარის საგადასახადო ინსპექციაში, ფინანსთა სამინისტროში, საზღვაო ნავსადგურში და ა. შ. პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც, კითხულობდა ლექციების კურსს საერთაშორისო საჯარო სამართალში. 2008 წლიდან არის შპს „ბლექსი პაილოტ სერვისის“ თანადამფუძნებელი და დირექტორი.

გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია საზღვაო სამართალში და სახელმძღვანელო საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში.

ეთერი დიასამიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ეთერ დიასამიძე დაიბადა ქ. ბათუმში 1973 წელს. დაამთავრა ჩაისუბნის (ხელვაჩაურის რაიონი) საშუალო სკოლა, შემდეგ კი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სწავლის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მდივნის პოზიციაზე.

მოგვიანებით ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. **2007 წ. დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.** არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. კითხულობდა ლექციების კურსს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

ზვიად დიასამიძე დაიბადა ბათუმში 1973 წელს. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ყაზანის უნივერსიტეტში, შემდეგ კი მაგდებურგისა და მიუნხენის უნივერსიტეტების მაგისტრატურასა და მოგვიანებით **დოქტურანტურაში.**

1998 წლიდან საჯარო სამსახურშია. მუშაობდა აჭარის იუსტიციის საბჭოში – მოსამართლეთა მომზადებისა და შერჩევის სექტორის უფროსად, CIM ექსპერტების (გერმანია) და აჭარის ტურიზმის ასოციაციათა ერთობლივი პროექტის კოორდინატორად აჭარის რეგიონში, არასამთავრობო ორგანიზაცია „რეგიონალური განვითარებისა და ინიციატივების ცენტრის“ დირექტორად. მუშაობდა აგრეთვე აჭარის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტში.

ზვიად დიასამიძე მაღალკვალიფიციური სპეციალისტია. მიღებული აქვს პრეზიდენტის მადლობა, მიუნხენის ქართული სათვისტომოს ღირსების სიგელი, გერმანული ენის, ბიზნესინტეგრირებული ფინანსური მენეჯერის სერთიფიკატები, იყო აჭარიდან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისა და სტაჟირე-

ბის 2007 წლის **მიზნობრივი პროგრამის სტიპენდიანტი.** ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ხათუნა დიასამიძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ხათუნა დიასამიძე დაიბადა 1974 წ. ქ. ბათუმში. დაამთავრა ქალაქის N 1 (ეხლ. მეორე) საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2009 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა **ისტორიის აკადემიური დოქტორის ხარისხი.** სხვადასხვა დროს მუშაობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის უფროს მასწავლებლად, ასისტენტ-პროფესორად, ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახურის უფროსად. ხათუნა დიასამიძე იკვლევს საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის საკითხებს. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაიარა მსოფლიოს არაერთ წამყვან უნივერსიტეტში. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ივდით დიასამიძე

ივდით დიასამიძე დაიბადა ქ. ბათუმში 1977 წელს. ბათუმის N 2 საშუალო სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის სახელმწიფო უნივესიტეტში ინგლისური ფილო-

ლოგიის განხრით. მალე დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, 2009 წ. დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ტექსტის გაფორმების გრაფიკული საშუალებანი და მათი ინფორმატულობა“.

2000 წლიდან კითხულობს ლექციებს. იყო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

კახა დიასამიძე

კახა დიასამიძე დაიბადა 1977 წ. ქ. ბათუმში. 1993 წ. წარჩინებით დაამთავრა ბათუმის N1 პროფილური გიმნაზია, 2001 წელს კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. ერთხანს მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე – უფროს მასწავლებლად. გაიარა ორდინატურა მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა კლინიკაში.

2006 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა **მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო** ხარისხი. პარალელურად საქმიანობდა რეანიმაციულ განყოფილებაში. 2008 წლიდან ამავე კლინიკის პასუხისმგებელი რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგია.

ინგა დიასამიძე

ინგა დიასამიძე – ამ სახელს განსაკუთრებული სიყვარულით წარმოთქვამენ არა მარტო თანატოლ-მეგობრები, არამედ უფროსი თაობის ადამიანები, მისი აღმზრდელ-პედაგოგები. სრულიად ახალგაზრდა მოვიდა იგი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ყველასათვის უცნობმა იმთავითვე დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა. წარმოსადეგი გარეგნობის, უშუალო, კეთილი, თავმდაბალი, საინტერესოდ მოსაუბრე, რაინდული ბუნების ქალბატონი პირველი შეხვედრისთანავე იზიდავს და ატყვევებს თანამოსაუბრეს.

ინგა დიასამიძე დაიბადა 1978 წ. დაამთავრა პროფილური გიმნაზია და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის სპეციალობაზე. წარმატებული ახალგაზრდა მოგვიანებით ასპირანტურაში აგრძელებს სწავლას. როგორც ინგლისური ენის უბადლო მცოდნე და პერსპექტიული მკვლევარი ექვსთვიან სტაჟირებაზე გაუშვეს პორტუგალიაში – აზორის უნივერსიტეტში. ი. დიასამიძემ გამოავლინა ენების ათვისების საოცარი უნარი და შეუდგა პორტუგალიური ენის შესწავლას.

ნიშანდობლივია, რომ ევროოდისეის პროგრამაში მონაწილე 11 ახალგაზრდიდან (5 ესპანელი, 4 ფრანგი, ერთი ბელგიელი) მხოლოდ ინგა იყო ქართველი. ყველას სხვადასხვა განხრით უტარდებოდათ სტაჟირების კურსები. ბოლოს პორტუგალიურ ენაზე წარმოდგენაც კი გაუმართავთ. ხელმძღვანელობას მოეწონათ ახალგაზრდები და სხვადასხვა კუნძულზე სამოგზაურო ბილეთებით დაასაჩუქრეს. ასე აღმოჩნდა ინგა სანტა მარიას კუნძულზე. პორტუგალიური ენის კარგად დაუფლებისათვის 11 მონაწილიდან მხოლოდ ერთს, ინგა დიასამიძეს დაენიშნა სტიპენდია

500 ევროს ოდენობით. დანამატის სახით კიდევ უხდიდნენ 700 ევროს. სანტა მარიას კუნძულზე ინგა აკვირდებოდა ატლანტის ოკეანის ფლორასა და ფაუნას და ყოველდღიურ მონაცემებს ინტერნეტით აგზავნიდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2001 წელს პორტუგალიის ჟურნალ-გაზეთებსა და ტელევიზიაში არაერთი წერილი და გადაცემა მიუძღვნეს ქართველ გოგონას, რომელმაც ექვს თვეში სრულყოფილად შეისწავლა პორტუგალიური ენა.

მალე ინგამ დაასრულა ასპირანტურა და წარმატებით დაიცვა **საკანდიდატო დისერტაცია.** ამჟამად ი. დიასამიძე არის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მედეა დიასამიაძე

მედეა დიასამიძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის მასწავლებელია.

1998 წ. მ. დიასამიძემ დაამთავრა ბათუმის N 2 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის განხრით. 2004 წ. დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი და ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დოქტურანტურაში. მ. დიასამიძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია. ამჟამად აგრძელებს მუშაობას განათლების ფაკულტეტზე, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე.

ლეილა დიასამიძე

ლეილა დიასამიძე დაიბადა 1982 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბაკალავრიატის შემდეგ დაასრულა მაგისტრატურის, მოგვიანებით კი დოქტორანტურის სრული კურსი და წარმატებით დაიცვა **სადოქტორო დისერტაცია** ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. პარალელურად ეწევა სამსახიობო საქმიანობასაც. აჭარის სინამდვილეში იგი არის **პირველი ოპერისა და ბალეტის დასის სოლისტი.**

მერაბ დიასამიძე

დაიბადა 1986 წ. ქ. ბათუმში. სწავლობდა ქალაქის N9 საშუალო სკოლაში. სკოლის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე. წარმატებით გაიარა სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით, სწავლობდა ბიზნესის სკოლის მენეჯმენტის სამთვიან და ბიზნესის ადმინის-

ტრირების სადოქტორო პროგრამაზე.

2007 წლიდან მუშაობას იწყებს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სასწავლო პროცესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერად. პარალელურად იყო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ტურისტული სააგენტო „UNITOUR”-ის დამფუძნებელი და დირექტორი.

დიასამიძეები სახალხო განათლების სფეროში

დიასამიძეებმა დიდი წვლილი შეიტანეს სახალხო განათლების განვითარებაში. ამ საგვარეულოში იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც მოტივირებულნი არიან მიიღონ მეტი განათლება, იზრუნონ თვითგანათლებაზე, გადასცენ მიღებული ცოდნა-გამოცდილება სხვებს და ხელი შეუწყონ ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებას. სწორედ ამითაა განპირობებული არაერთი წარმატებული პედაგოგი ამ საგვარეულოში, რომელთაგან ბევრს **მიენიჭა საქართველოსა თუ აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.**

იოსებ დიასამიძე (1915—1997)

ყოველ ადამიანს თავისი შინაგანი სამყარო, ღირსება და კეთილი საქმეები წარმოაჩენს. იოსებ დიასამიძე სწორედ ასეთ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება მისი სახით საზოგადოების წინაშე იყო ღირსეული პედაგოგი, მომავალი თაობის შესანიშნავი აღმზრდელი, კარგი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

იოსებ დიასამიძე დაიბადა 1915 წ. გაზაფხულზე, ქედის რაიონის სოფელ გულებში. 4 წლის ასაკში გარდაეცვალა მამა – აბდულ დიასამიძე. 9 შვილის აღზრდა დედასლუთბიეს დააწვა კისერზე. მძიმე ეკონომიკური პირობების გამო პატარა იოსები ბავშვთა სახლში მიაბარეს, სადაც დარჩა ორ წელიწადს. 1925 წ. იგი შევიდა ურეხის დაწყებით სკოლაში. ჯერ

კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო, იძულებულია ჩაებას შრომით საქმიანობაში. იგი მოეწყო ტიპოგრაფიაში მკინძავად. პარალელურად ხარბად დაეწაფა წიგნის კითხვას. 1929 წელს იოსები შევიდა ბათუმის ინდუსტრიული მუშფაკის მოსამზადებელ კურსებზე, 1930 წელს კი ჩაირიცხა ამავე მუშფაკში. დღისით მუშაობდა, საღამოს კი სწავლობდა. მუშფაკის დამთავრების შემდეგ, 1935 წელს ი. დიასამიძე ჩაირიცხა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტზე. ორი წლის შემდეგ დაინიშნა ბათუმის №11 არასრული საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. სულ მალე კი № 10 არასრული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ დააწინაურეს.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებისთანავე იოსებ დიასამიძე ჩაება ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო უკრაინის ფრონტზე. იგი № 733-ე მსროლელი პოლკის პოლიტხელმძღვანელად დააწინაურეს. როსტოვის მისადგომებთან ი. დიასამიძე დაიჭრა, მაგრამ მალე დაუბრუნდა ფრონტს. 1941 წ. დეკემბრიდან იგი ყირიმის ფრონტზეა. მას დაეკისრა განსაკუთრებული დანიშნულების მზვერავთა ჯგუფის ხელმძღვანელობა. გამბედაობითა და გონებამახვილობით გამორჩეული მეომარი დააჯილდოვეს მედლით, „მამაცობისათვის," შემდეგ კი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

მისი საბრძოლო თვისებების, მამაცობისა და გონებამახვილობის გათვალისწინებით იგი №404-ე მსროლელ დივიზიაში დაინიშნა ათეულის კავშირგაბმულობის უფროსად და პარტიული ორგანიზაციის მდივნად. 21 დეკემბერს გააგზავნეს ნოვოროსისკში დესანტის გადასასხმელად, დავალება ბრწყინვალედ იქნა შესრულებული.

ბატონი იოსები წარმატებით იბრძოდა ფეოდოსიაში, ქერჩის მისადგომებთან, ტამანზე, კრასნოდარის მხარეში, კავკასიაში, სევასტოპოლთან. ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის იგი დააჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით. 1942 წლის დეკემბერში მან მიიღო მთავარსარდლის ბრძანება, რომლის მი-

ხედვითაც ის, როგორც მთიანი რაიონის წარმომადგენელი, თავისუფლდებოდა სამხედრო სამსახურისაგან, მაგრამ იოსებმა უარი თქვა დემობილიზაციაზე და მოითხოვა მოქმედ არმიაში დარჩენა (ა.ზოიძე, იოსებ დიასამიძე, თ. კომახიძე, 2004:43-44). იგი სარდლობის დავალებებს ომის დამთავრების შემდეგაც ასრულებდა. მშობლიურ ოჯახს დაუბრუნდა 1946 წ. ნოემბერში. იგი დაჯილდოებულია ორი ორდენითა და 11 მედლით, 4-ჯერ აქვს მიღებული უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი დაუბრუნდა პედაგოგიურ საქმიანობას, 1947-1952 წლებში მუშაობდა ბათუმის № 9, 3 და 1 საშუალო სკოლების დირექტორად, შემდეგ კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილედ. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა ოთხი წელი და კვლავ დაუბრუნდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1960 წლიდან იგი № 3 საშუალო სკოლის, შემდეგ კი ახლადგახსნილი ბათუმის NNII (სალიბაურის) სკოლა-ინტერნატის დირექტორად დაინიშნა.

მისი დირექტორად მუშაობის პერიოდში აშენდა ტიპიური სასწავლო კორპუსი, სასადილო და სამეურნეო კორპუსები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საძინებელ კორპუსებს, მიწის ნაკვეთზე გააშენეს ციტრუსის ბაღი, ხოლო სკოლა–ინტერნატი აღიჭურვა კაბინეტ-ლაბორატორიებით. მაღალ დონეზე ტარდება გაკვეთილები, კლასგარეშე ღონისძიებები. მისი ინიციატივით სკოლა-ინტერნატში შეიქმნა საოპერო დასი, რომელმაც საქართველოში პირველი ადგილი დაიკავა. მაღალ დონეზე იდგა მხატვრული წრეებისა და სპორტული სექციების მუშაობა. ეს სასწავლებელი იქცა რესპუბლიკურ საბაზო სასწავლო დაწესებულებად, სადაც ეწყობოდა რესპუბლიკური და საკავშირო ღონისძიებები. 1970-ნი წლებიდან სკოლა-ინტერნატი გადაკეთდა მათემატიკურ სკოლა-ინტერნატად, რომლის ხელმძღვანელიც იყო ჭკვიანი, თადარიგიანი, განათლებული და ალღოიანი პედაგოგი. ამ სკოლის შინაარსიანი ცხოვრების შესახებ იბეჭდებოდა სტატიები „საბჭოთა აჭარაში," „სახალხო განათლებაში," „კომუნისტში," „უჩიტელსკაია გაზეტაში," „ლიტერატურნაია გაზეტაში," „ნედელიაში," „ნაროდნოე ობრაზოვანიეში" და ა.შ. ხოლო

ჟურნალისტმა გიორგი ალავერდაშვილმა ამ სკოლას მიუძღვნა წიგნი „დიდი ოჯახი.“

იოსებ დიასამიძის პიროვნებაში თანაბრად იყო შერწყმული განსწავლულობა, პრინციპულობა, გულისხმიერება, ორგანიზატორული ნიჭი. იგი იყო მოსწავლე ახალგაზრდობის საიმედო მრჩეველი და დამრიგებელი.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მიზნით ეფექტურად იყენებდნენ კეთილმოწყობილ სასწავლო სახელოსნოებს, კაბინეტებს, სასწავლო-საცდელ მიწის ნაკვეთს, დამხმარე მეურნეობას – მეღორეობას და მეფუტკრეობას.

შრომითი აღზრდის მაღალ დონეზე მეტყველებდა სკოლა-ინტერნატში დამკვიდრებული ტრადიცია: თითოეულ დამამთავრებელ კლასს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა შეექმნა და სამახსოვროდ დაეტოვებინა სასწავლებლისათვის. ამ გზით გაკეთდა გაზონები, მოეწყო ხეივანი, გაფართოვდა სპორტული მოედანი, მოეწყო სტადიონის ტრიბუნები, აშენდა მხატვრულად გაფორმებული საპატიო დაფა, აიგო 130 კუბური მეტრის წყალტევადობის აუზი (ა.ზოიძე, იოსებ დიასამიძე, თ.კომახიძე, 2004:49). და ა.შ. მნახველს აოცებს ტანაყრილი ფიჭვებისა და ნაძვების ხეივანი, ესთეტიკური გემოვნებით გაფორმებული ხეივნები, დეკორატიული გაზონები, აუზ-შადრევანი, მოსწავლეთა ხელით შექმნილი სხვა ღირსშესანიშნაობები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სკოლა-ინტერნატის ეზო-მიდამო ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფილიალად იქცა. დილიდან დილამდე იყო გათვლილი ი. დიასამიძის სამუშაო საათები. არავინ იცოდა, თუ 24 საათის განმავლობაში როდის მოაკითხავდა იმ დიდ ოჯახს, სადაც 400-მდე პატარას მშვიდი ძილით ეძინა. მისთვის უპირველეს მოვალეობას შეადგენდა მოსწავლეთა სწავლებისადმი დამოკიდებულება და კონტროლი. შედეგიც სახეზე იყო. 1976 წელს 30 კურსდამთავრებულიდან 28 უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა.

იოსებ დიასამიძე ბევრს მუშაობდა გაკვეთილების ეფექტურობის ამაღლებისათვის. თვით დირექტორი იძლეოდა სანიმუშო მაგალითს. მის გამოცდილებას იზიარებდნენ არამარტო ახალბედა, არამედ გამოცდილი კოლეგებიც. მან საფუძვლიანად დაა-

მუშავა და აღმზრდელ-პედაგოგთა მოწონება დაიმსახურა ისეთი პედაგოგიური პრობლემების გადაწყვეტით, როგორიც არის „შრომის ორგანიზაცია სკოლა-ინტერნატში, თავისუფალი დროის რაციონალური ორგანიზაცია, მოსწავლეთა შრომითი აღზრდა“ და ა.შ.

განსაკუთრებელი ინტერესი გამოიწვია ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზის“ 1979 წ. აგვისტოს ნომერში დაბეჭდილმა ი. დიასამიძის სტატიამ „ოთხასი ბავშვის მამა.“

იოსებ დიასამიძე აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. იგი არაერთხელ იყო არჩეული აჭარის უმაღლესი და საქალაქო საბჭოს დეპუტატად, პრესის ფურცლებზე სისტემეტურად იბეჭდებოდა მისი მეთოდური ხასიათის წერილები.

ღვაწლმოსილი პედაგოგისა და ხელმძღვანელის იოსებ დიასამიძის შრომა სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა **საქართველოსა და აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება,** დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენით, მედლით, საპატიო სიგელით, სსრ კავშირისა და საქართველოს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

იოსებმა და მისმა მეუღლემ ეთერმა ერთი საუკეთესო ვაჟკაცი – არმაზი აღუზარდეს ქვეყანას. სამწუხაროდ იგი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. შვილის დარდმა გატეხა სულით უტეხი იოსები და 1997 წელს გარდაიცვალა.

იოსებ დიასამიძეს არ დაკლებია მთავრობის ჯილდოები, ორდენები, მედლები, დიპლომები თუ სიგელები, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მაინც ისაა, რომ დღეს საქართველოში არიან მისი ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც იგონებენ მას, როგორც საუკეთესო პედაგოგს, აღმზრდელს და მზრუნველ პიროვნებას.

ლეილა დიასამიძე
(1915 – ?)

ლეილა ჯემალის ასული დიასამიძე დაიბადა 1915 წელს, ქედაში. 1950 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ფიზიკა-მატემატიკის სპეციალობით. 1944 წლიდან მუშაობდა ბათუმის პირველ სკოლაში ფიზიკა-მატემატიკის მასწავლებლად, **1964 წელს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.**

მერაბ დიასამიძე (1918 -2008)

ყველა დროსა და ეპოქას თავისი მოთხოვნები აქვს. ამიტომაცაა, რომ ამა თუ იმ ეპოქის „ფავორიტებს“ ძველი დიდებისაგან ზოგჯერ აღარაფერი რჩება. დიდი პიროვნული დამსახურების შესახებ შეთხზული მითი საპნის ბუშტივით სკდება და მათი სახელებიც აღარავის ახსოვს... მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა ნაღვაწნამოქმედარი უძლებს „ჟამთა სვლას“ და სიკვდილის შემდეგაც არავის ავიწყდებათ.

მერაბ დიასამიძე სწორედ იმ ბედნიერთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის ნათელ ხსოვნასაც მადლიერი ქვეყანა და შთამომავლობა სათუთად შეინახავს. ეს ბუმბერაზი სულის მქონე პიროვნება, მამულზე,

მშობლიურ ქვეყანაზე, რაიონსა და სოფელზე უზომოდ შეყვარებული ხალხი ურთულეს და უძნელეს დროს უანგაროდ ემსახურებოდა ქვეყანას და ხალხს. დამოუკიდებელი, ძლიერი საქართველოს შენებას სწორედ მერაბ დიასამიძისთანა ერთგული, უნარიანი, შეუპოვარი, დღედაღამ ხელებდაკაპიწებული მეურნე, გულისხმიერი ხელმძღვანელი და მოსარჩლე, მართალი და პატიოსანი, საზოგადოებასა და მის მომავალზე მზრუნველი პიროვნება სჭირდება.

თითქმის საუკუნე წელი გავიდა მ. დიასამიძის დაბადებიდან. გასული საუკუნის 50-იანი წლების და შემდგომი პერიოდის თაობებმა კარგად იციან, რითი იყო სხვებისაგან გამორჩეული და როგორ მოახერხა მან ასეთი დიდი ავტორიტეტისა და სიყვარულის მოპოვება.

მერაბ დიასამიძე დაიბადა 1918 წ. 14 დეკემბერს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მირვეთში. დაწყებითი განათლება ბატონმა მერაბმა მიიღო დედულეთში, დაბა ხელვაჩაურში. შვიდწლედის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის ლენინის სახელობის №1 პედაგოგიურ ტექნიკუმში. 1937 წელს მან წარმატებით დაასრულა პედაგოგიური ტექნიკუმის სრული კურსი და მუშაობა დაიწყო მშობლიურ სოფელში, სკოლის გამგემასწავლებლად. 1939 წ. მისაღები გამოცდები ჩააბარა მეჩნიკოვის სახელობის ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა მაღალი კონკურსის გამო ვერ მოხდა ჩარიცხულთა სიაში. მიუხედავად ამისა, სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას გული არ გაუტეხია. იგი ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად. 1941 წ. ივნისში დაიწყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მას არ მიეცა საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის საშუალება, რის გამოც იგი სამშობლოში დაბრუნდა. 1941 წ. აგვისტოდან იგი მუშაობს ხულოს რაიონის ღორჯომის საშუალო სკოლაში – ჯერ მასწავლებლად, შემდეგ კი დირექტორის თანამდებობაზე. პარალელურად აგრძელებს სწავლას პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1952 წელს.

ბატონი მერაბი სხვადასხვა დროს მუშაობდა ხელვაჩაურის

რაიონის აჭარისწყლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, დირექტორად, მოგვიანებით კი (1956 წ. აგვისტოდან) ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის №22 საშუალო სკოლის დირექტორად. მისი დირექტორობის წლებში სკოლამ იმდენად დიდ წარმატებებს მიაღწია, რომ მას „მერაბ დიასამიძის“ სკოლას ეძახდნენ.

ყველგან, სადაც კი უხდებოდა მუშაობა ბატონ მერაბს, იგრძნობოდა წესრიგი და პასუხისმგებლობა. როცა გაივლიდა ეს ალღოიანი კაცი დერეფანში, ეზოში თუ ქუჩაში, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა მოწიწებით ესალმებოდა. შესანიშნავი პედაგოგი ამავე დროს იყო კაცურ-კაცობისა და ქვეყნის სამსახურის ეტალონი. ამიტომაც უყვარდათ, განსაკუთრებით მის აღზრდილებს.

ბატონი მერაბი არ ცნობდა განსაკუთრებულ და გამორჩეულ ფუფუნებასა თუ პრივილეგიებს. იგი ბოლო ამოსუნთქვამდე ქვეყნის მომავალზე, ახლობლობაზე ფიქრით დაღლილი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა, არა და იმ დროს პედაგოგისათვის არსებული არც ერთი რეგალია არ აკლდა. **1947 წელს ბატონ მერაბს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ხოლო 1967 წელს–საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება**. 1978 წელს დაჯილდოვდა **„შრომის წითელი დროშის“ ორდენით და შეტანილ იქნა აჭარის განათლების სამინისტროს საპატიო წიგნში.**

ბატონი მერაბი იმით იყო გამორჩეული, რომ საკმაოდ რისკიანად ნერგავდა სწავლების პროგრესულ მეთოდებსა და ნოვაციებს.

ენციკლოპედიაში განმარტებულია: „დირექტორი–წარმოების ხელმძღვანელი, უფროსი“, თუმცა ბატონი მერაბი ამ კლასიკური განმარტების პარალელურად იმ კოლექტივის რიგითი წევრიც იყო, რომელსაც ხელმძღვანელობდა. იგი ნამდვილი პედაგოგი იყო, რომლის ცხოვრების გზა მაგალითია ბევრისათვის, ვისაც ქვეყანასა და ხეობაზე უანგარო სამსახური დაუსახავს მიზნად.

ფერიდე დიასამიძე

ფერიდე ალის ასული დიასამიძე დაიბადა 1920 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ ანგისაში. 1942 წელს დაამთავრა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობით. 1947-1971 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის საშუალო სკოლის მასწავლებელად. **1973 წელს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.**

ნიკოლოზ დიასამიძე (1923-1997)



ნიკოლოზ ლაზარეს ძე დიასამიძე დაიბადა ასპინძის რაიონის სოფელ აწყვიტაში 1923 წ. 15 მაისს. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ მოხალისედ წავიდა სამამულო ომში და აქტიურად იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე, კერძოდ, ირანის საცხენოსნო კავალერიასა და ქერჩის ბრძოლებში.

ომის დასრულების შემდეგ ნ. დიასამიძე ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სპარსული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით.

ომის დამთავრების შემდეგ ნ. დიასამიძემ მიაშურა მშობლიურ რაიონს, მუშაობდა ასპინძის რაიონის აღმასრულებელ სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა ასპინძის საშუალო სკოლასა და რაიონის განათლების განყოფილებას. უაღრესად განათლებულ, პრინციპულ და უმწიკვლო რეპუ-

ტაციის მატარებელ ნ. დიასამიძეს **მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის საპატიო** წოდება.

ნ. დიასამიძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი. მან ოთხი შვილი აღუზარდა ქვეყანას: ასმათი (თსუ-ს დოცენტი), ლეილა (ექიმი), ფატმანი (აღმოსავლეთმცოდნე) და გიორგი (ექიმ-კარდიოლოგი).

ნ. დიასამიძე გარდაიცვალა 1997 წელს.

მავილე დიასამიძე

მომავალი თაობა, ქედის რაიონის ახალგაზრდობა ღირსეულად შეაფასებენ ქართული პედაგოგიური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, **აჭარის დამსახურებულ მასწავლებელს, სახალხო განათლების წარჩინებულს, საპატიო ნიშნის ორდენოსანს, დამსახურებულ პედაგოგსა და აღმზრდელს, დიასამიძეთა გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელს – ქალბატონ მავილეს** ღვაწლს.

მავილე დიასამიძე დაიბადა 1931 წელს, ქედის რაიონის სოფელ გულებში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქედის პედაგოგიურ სასწავლებელში.

სწავლის დროს ქალბატონი მავილე მეგობრებში გამოირჩეოდა, როგორც მშვიდი, უწყინარი, სწავლის მოყვარული ნიჭიერი და მეცადინე ახალგაზრდა. ეს თვისებები მ. დიასამიძეს გამოყვა მამის ოჯახიდან., უკვე მოწიფული შეგირდი, თავისი ნაკითხობით, მომზადებით, აზროვნების სიღრმით პედსასწავლებელშიც

იქცევს ამხანაგებისა და მეგობრების ყურადღებას. შესაფერისი სიდარბაისლით და საქმის ცოდნით მონაწილეობას იღებდა პედსასწავლებელში მოსწავლეთა შორის გამართულ პაექრობაში. მისი მუყაითობა და შრომისმიყვარეობა გამოვლინდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდშიც. მისთვის რჩეული მუყაითობით მ. დიასამიძე ეწაფება ცოდნას, უხვად სარგებლობს უნივერსიტეტის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ბათუმის ა. წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავებით. 1953 წელს მავილე დიასამიძემ წარჩინებით დაამთავრა პედინსტიტუტის ფილოლოგიის სპეციალობის სრული კურსი და დაინიშნა ქედის რაიონის მერისის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იქ იმუშავა 3 წლის განმავლობაში. 1957 წელს იგი გადაიყვანეს დაბა ქედის საშუალო სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მ. დიასამიძემ სკოლაში მუშაობის პერიოდში სამართლიანად დაიმსახურა მასწავლებლისა და მათი მშობლების საერთო სიყვარული და პატივისცემა. როცა იგი მერისიდან ქედაში გადმოვილა სამუშაოდ, გულწრფელი სიყვარულით გამოაცილა მერისის საზოგადოებამ. ქედაში მასწავლებლობის პარალელურად 1958-1959 წლებში მუშაობდა ქედის განათლების მეთოდკაბინეტში ჯერ მეთოდისტად, შემდეგ კი გამგედ. 1960-1972 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ქედის საშუალო სკოლის სასწავლო დარგს, ხოლო შემდეგ, სიკვდილამდე იყო სკოლის რიგითი, მაგრამ ერთერთი ყველაზე აღიარებული და ავტორიტეტული მასწავლებელი. იგი შესანიშნავად ფლობდა სასწავლო პროგრამას, აქტიურად მონაწილეობდა საგნობრივი წრეებისა და კონფერენციების მუშაობაში. საგნის სწავლების პრობლემეტიკასთან დაკავშირებით რაიონულ და საოლქო პედაგოგიურ კითხვებზე მის მიერ გაკეთებული კვალიფიციური მოხსენებები ყოველთვის ისმსახურებდა სპეციალისტთა მაღალ შეფასებას (მერი დიასამიძე, 2004:228). მისი სტატიები ხშირად იბეჭდებოდა პრესაში. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რაიონის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებას.

წარმატებული იყო მავილე დიასამიძის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობის პერიოდიც. მისი სჯეროდათ პედაგოგებს. მისი გონება სასკოლო ცხოვრების ყველა უბანს სწვდებოდა და სათანადო უკუგდებსაც იღებდა (მერი დიასამიძე, 2004:228).

აღნიშნულ დამსახურებათა გამო მავილე დიასამიძეს მიანიჭეს **აჭარის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება,** დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორგენით, **„სახალხო განათლების წარჩინებულის“** სამკერდე ნიშნით, საპატიო სიგელებით.

დავით დიასამიძე

დავით ქამილისძე დიასამიძე დაიბადა 1938 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ მარადიდში. არასრული საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1953 წელს სწავლა განაგრძო ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, ხოლო 1962 ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მატემატიკის ფაკულტეტზე.

სწავლის პარალელურად დ. დიასამიძე მუშაობდა მარადიდის სკოლის შრომითი სწავლების, მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლად. მუშაობის პერიოდში მან თავი გამოავლინა როგორც უნარიანმა და ენერგიულმა პედაგოგმა, რის გამოც იგი 1986 წ. მარადიდის 9-წლიანი სკოლის დირექტორად დანიშნეს. მისი ხელმძღვანელობით სკოლა გადაიქცა მოწინავე სასწავლო-საამღმზრდელო დაწესებულებად და 2004 წელს გარდაიქმნა საშუალო სკოლად, რომლის დირექტორადაც

მუშაობდა 2005 წლამდე. აქედან მოყოლებული 2019 წლამდე იგი იყო ამ სკოლის მასწავლებელი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისათვის **მიენიჭა სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება**. დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

გოგი დიასამიძე (1943-2014)

შესანიშნავი პიროვნება, უანგარო, გულისხმიერი და სანდომიანი მეგობარი, დიასამიძეთა საგვარეულო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, კაცური კაცი – ასე ახასიათებენ **გოგი დიასამიძეს,** ილია ვეკუას სახელობის № 42 მათემატიკური სკოლის პედაგოგს, რომელიც ერთნაირი სიყვარულითა და გულწრფელობით უყვარდა ყველას, ვისაც კი ჰქონია მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის შესაძლებლობა. ერთი შეხვედრაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ბატონ გოგის პიროვნებაში ამოეცნო ქვეყანაზე შეყვარებული, სამშობლოს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობით გულდათუთქული, ცხოვრებისა და სამყაროს რომანტიკულად გამააზრებელი, სხვისთვის (და არა საკუთარი თავისთვის) თავგადადებული მოქალაქის სულიერი განცდები.

სრულყოფილი პიროვნება იყო ბატონი გოგი. პირველ რიგში ყურადღებას იქცევდა მისი სანდომიანი იერი, საქმის კეთების დაუოკებელი ჟინი, ზღვისფერი თვალებიდან მომდინარე სიკე-

თის სხივი და ღიმილი, მის ბაგეს რომ მუდამ დასთამაშებდა. ეს გარეგნული შთაბეჭდილება ახალი შინაარსით ივსებოდა, როცა ახლოს გაიცნობდი, გაუშინაურდებოდი, გაეხუმრებოდი, ჩაუღრმავდებოდი მის შინაგან სამყაროს და მისი სულიერი სამყაროს თანაზიარი ხდებოდი.

გოგი დიასამიძე დაიბადა 1943 წ. 11 აპრილს, ქართლის შუაგულში, ხაშურში. გადმოცემით, მისი წინაპრები მესხეთიდან ყოფილან. სოფელ ოშორაში (ასპინძის რაიონი) შალიკაშვილებთან დაპირისპირებისას, დიასამიძეები იძულებული გამხდარან აყრილიყვნენ მამა-პაპისეული სამოსახლოდან. დამარცხებულ დიასამიძეთა ერთი შტო წასულა დადეშის მიმართულებით, მეორე შტო – ზველის მიმართულებით (დღეს დადეში ნასოფლარია, ზველი//ძველი კი დასახლებული სოფელია). გოგი დიასამიძის წინაპარი – ნიკოლოზი სოფლის თავკაცი ყოფილა. XX ს. დასაწყისში ერთ-ერთი დარბევის დროს ნიკოლოზი სამცხის მაჰმადიანური მოსახლეობის ნაწილს (ახლა „თურქ-მესხებს“ რომ უწოდებენ) შეუპყრიათ, აუყვანიათ სხვენზე და თავი მოუკვეთიათ. ამიტომ გოგის წინაპრები გადასახლებულან ქართლში, ხაშურში.

გოგი დიასამიძემ ხაშურში დაამთავრა საშუალო სკოლა და 1965 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე – მათემატიკის სპეციალობით. ნიჭიერმა ახალგაზრდამ იმთავითვე მიიქცია პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. ამიტომაც სთავაზობდნენ ბ-ნ გოგის გაეგრძელებინა სწავლა და მეცნიერებაში მოესინჯა თავისი შესაძლებლობები. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. გ. დიასამიძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეო-ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მათემატიკური პრობლემების კვლევაში. მან მიზანმიმართულად წარმართა თავისი სამეცნიერო საქმიანობა, დაამყარა შემოქმედებითი კონტაქტები დედაქალაქის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, რამაც შესაძლებლობა მისცა განეხორციელებინა პრობლემების კომპლექსური კვლევა მათემატიკაში სპექტრალური ანალიზის მეთოდებზე. ამ პრობლემების

შესწავლას მან მიუძღვნა 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებმაც დაიმსახურა დიდი მოწონება და აღიარება. ამიტომაც იყო, რომ რამოდენიმე ნაშრომი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და დაიბეჭდა მსოფლიოს წამყვან მათემატიკურ ჟურნალებში.

სამწუხაროდ, ბატონმა გოგიმ აღარ გააგრძელა სამეცნიერო მუშაობა და ხელი მიყო პედაგოგიურ საქმიანობას. 1972 წლიდან იგი ემსახურება მოსწავლეთა აღზრდის საშურ საქმეს, მუშაობს ილია ვეკუას სახელობის № 42 მათემატიკურ სკოლაში, ასევე საქართველოს განათლების სამინისტროს მოსწავლე ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების ცენტრში, იყო მოსწავლე ახალგაზრდობის საუკეთესო და საყვარელი აღმზრდელ-მასწავლებელი.

პედაგოგის შრომატევადი საქმიანობის მიუხედავად, იგი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იგი იყო დიასამიძეთა საგვარეულო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, ამ საზოგადოების თანაპრეზიდენტიც. იგი თავს ამ საგვარეულოს ერთგულ შვილად თვლიდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაეახლოვებინა ერთმანეთისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები დიასამიძეები.

მისი აქტიური პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შედეგად გოგი დიასამიძე ჩამოყალიბდა, როგორც ავტორიტეტული პიროვნება, მოქალაქე, პედაგოგი. იგი მთელ დიასამიძეებში (და არა მარტო დიასამიძეებში) ერთ-ერთ ფრიად პოპულარული და საყვარელი კაცად ითვლება. მას ხშირად ეკითხებოდნენ და სთხოვდნენ დახმარებას, რადგან სწამდათ მისი კაცობისა.

ბევრი საამაყო შვილი მისცა დიასამიძეთა საგვარეულომ ქვეყანას. გოგი დიასამიძე მათ შორის ერთ-ერთი იყო, რომელიც ბოლომდე ღირსეულად და ამაყად (თუმცა მარტოხელად) აკეთებდა თავის საკეთებელს.

ტრაგიკულად დასრულდა ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლე. მარტოობაში დალია სული შესანიშნავმა ადამიანმა. გარდაცვლილის გვამი მხოლოდ ათი დღის შემდეგ ნახეს ახლობლებმა (2014 წ. იანვარში). განსვენებულის ანდერძის თანახ-

მად, მისი უძრავ-მოძრავი ქონება გაიყიდა, რომლის ათი პროცენტი ჩაირიცხა დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის ანგარიშზე.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

მიხეილ მირონის ძე დიასამიძე, დაიბადა 1947 წლის 19 მარტს, ქედის რაიონის სოფელ გუნდაურში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1962 წელს სწავლა გააგრძელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში-ფიზიკა მათემატიკის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1970-1971 წლებში განაწილებით მუშაობდა შუახევის რაიონის სოფელ ინწკირვეთში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. 1971- 1972 წლებში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1972-1993 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სოფლების – ინაშარიძეების და მერისის სკოლების მასწავლებლად და სასკოლო ინტერნატის გამგედ, საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ და დირექტორად. 1993 - 2006 წლებში მიხეილ დიასამიძე მუშაობდა ბათუმის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორად. განათლების სფეროში მრავალწლიანი ნაყოფიერი საქმიანობისათვის მინიჭებული აქვს **სახალხო განათლების წარჩინებულისა და აჭარის ავტონომიური რესპულიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდებები.**

იოსებ დიასამიძე

იოსებ ნუსრედინის ძე დიასამიძე დაიბადა 1950 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1968 წელს სწავლა გააგრძელა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობა დაიწყო პარტიის რაიკომში სტატისტიკოსის პოზიციაზე. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა შუახევის რაიონულ რადიოგადაცემათა რედაქტორად, ჩანჩხალოს საშუალო სკოლის ორგანიზატორად, ისტორიის მასწავლებლად, რაიონული გაზეთის – „დროშის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. 1997 წლიდან ი. დიასამიძე სათავეში ჩაუდგა ჩანჩხალოს საშუალო სკოლას. ამ პოზიციაზე მან იმუშავა 2010 წლამდე.

2011 წლიდან ი. დიასამიძემ მუშაობა გააგრძელა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის გიმნაზიაში – ისტორიის მასწავლებლად. 2016 წლიდან იგი დაინიშნა გიმნაზიის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ი. დიასამიძეს მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპულიკის **უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი,** საქართველოს განათლების სამინისტრომ კი მიანიჭა **ლაურეატი მასწავლებლის** წოდება. არის **საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი.** წერს ლექსებს, გამოსაცემად მზად აქვს პოეტური ნაწარმოებების კრებული.

ჰყავს 7 შვილი და 12 შვილიშვილი.

მერი დიასამიძე

ბრგე ქალბატონი, ვაჟკაცური შესახედაობის პიროვნება... საუბარში გრძნობ, რომ საქმე გაქვს მაღალმთიანი აჭარის ლაღი ბუნების ძუძუთი გამოკვებილ თამამ, შეუდრეკელ, ინიციატივიან და პოლიტიკური კონიუქტურისაგან თავისუფალ ადამიანთან – **მერი დიასამიძესთან,** პედაგოგთან, რომელსაც მოწიწების გრძნობით შესცი‌ცინებს ყველა: შეგირდიცა და მისი მშობელიც, მოხუციცა და ახალგაზრდაც. გამოჩნდება თუ არა მერი სოფელში თუ სკოლის შესასვლელ კარებში, ყველას მზე გადაეფინება სახეზე, გულსავსედ ეგებებიან, მოიკითხავენ, სუფრას გაუშლიან, გულს გაუთბობენ...

მერი დიასამიძე დაიბადა 1953 წელს, დაბა ქედაში. 1969 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა და იმავე ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია–ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ქართული ენის, ლიტერატუტისა და ისტორიის სპეციალობით. აქ ეზიარა იგი ქართული საენათმეცნიერო და ფილოლოგიური მეცნიერების საფუძვლებს, აქ ჩამოუყალიბდა კრიტიკული შეხედულებები იმჟამინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემისა და საბჭოთა იმპერიის მიმართ. აქ გაეცნო მოქალაქისა და ადამიანის მოვალეობის უზოგადეს კანონებს.

ცოდნასმოწყურებული ახალგაზრდა მალე შუქრი ნიჟარაძის, ნადია საბაშვილის, ნელი დუმბაძის და ხსვა მაწავლებლების საყვარელ სტუდენტად იქცა.

მერი დიასამიძემ 1974 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ზემოთაღნიშნული სპეციალობის სრული

კურსი და მუშაობა დაიწყო ქედის რაიონის აგარის საშუალო სკოლაში. 1978-1982 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში მასიური განყოფილების გამგედ. სხვადასხვა დროს მუშაობდა წონიარისის საშუალო, მეძიბნისა და ძეწმანის არასრულ საშუალო სკოლებში მასწავლებლად.

1982 წლიდან ქალბატონი მერი ქედის საშუალო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. იგი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მზრუნველი მასწავლებელი, მოსიყვარულე მშობელია. ამიტომაც უყვართ და აფასებენ როგორც სკოლაში, ისე სკოლის გამგედ. მისი აღზრდილები გამოირჩევიან ცოდნის მაღალი დონით, დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნებით, ხშირად მონაწილეობენ ქართული ენისა და ლიტერატურის შემოქმედებით კონფერენციებზე ბათუმსა და თბილისში (მ. დიასამიძე, 2004:266).

მ. დიასამიძე არის შემოქმედი, მოაზროვნე და უნარიანი პედაგოგი. იგი სწავლებისას არ მიყვება გატკეპნილ გზას. ამიტომაცაა, რომ მისი გაკვეთილები გამოირჩევა სიახლეებით, ნოვატორული აზროვნებით. მას გამართლებულად მიაჩნია ყველა მეთოდი, რომელიც ორიენტირებულია შედეგებზე. ქალბატონმა მერიმ ქართული ლიტერატურის კაბინეტში შექმნა მაიკო ორბელიანის სახელობის ლიტერატურული გალერეა – სალონი, სადაც ეწყობა პოეზიისა და მუსიკის საღამოები, შემოქმედებითი ღონისძიებები თუ გამოფენები.

მასწავლებელი მ. დიასამიძე არის საქართველოს პედაგოგთა I რესპუბლიკური ყრილობის (1977 წ.) დელეგატი, **„სახალხო განათლების წარჩინებული,“** საქართველოსა და აჭარის განათლების სამინისტროების არაერთი ჯილდოს მფლობელი. **დაჯილდოებულია ლაურეატი მასწავლებლის წოდებით**. იგი ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი იშვიათი და სანატრელი თვისებით – საქმის ცოდნით, გერმანული პუნქტუალობით, თავაზიანად, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ დღესაც აკეთებს თავის საკეთებელს ხვალინდელი დღის, მომავალი თაობის სრულფასოვან მოქალაქეებად და პატრიოტებად აღზრდის ამბიციით.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

დამსახურებული მასწავლებელი ავთანდილ ყედირისძე დიასამიძე - საგვარეულოს ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგელია. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1961 წელს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.**

დიასამიძეები სახელმწიფო-პოლიტიკურ საქმიანობაში

დიასამიძეები აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ ძალაუფლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ადამიანთა ცხოვრებისეული მოღვაწეობის განსაკუთრებულ სფეროში – სახელმწიფო-პოლიტიკურ მოღვაწეობასა და აღმშენებლობით საქმიანობაში. ამ საგვარეულოდან სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე დაწინაურდა არაერთი ღირსეული ადამიანი. მათგან რამოდენიმე იყო საქართველოსა და აჭარის უზენაესი, შემდგომში კი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ა. შ.

სულეიმან დიასამიძე (1895—1962)

„ ...ძე კაცისა იმისთვის კი არ მოვიდა, რომ სხვები იმსახუროს, არამედ რათა სხვებს ემხახუროს და მისცეს სული მრავალთა გამოსახსნელად“ (სახარება). **სულეიმან დიასამიძე** ერთი იმათგანია, ვინც მთელი თავისი ცხოვრება ხალხისა და ქვეყნის სამსახურს მიუძღვნა, აქტიურად ჩაერთო “სამუსლიმანო საქართველოს განმანთვისუფლებელი კომიტეტის“ მუშაობაში, დიდი როლი შეასრულა მოსახლეობის გათვიცნობიერებისა და თვითმყრობელობისაგან აჭარის გათავისუფლების საქმეში.

სულეიმან დიასამიძე დაიბადა 1893 წ. 22 ნოემბერს (ქსე, 3, 1978:502). 1915 წელს დაამთავრა გიმნაზიის სრული კურსი და სწავლა გააგრძელა თბილისში. მას კარგად ახსოვდა გაბატონებული რეჟიმი. 1897 წ. 14 სექტებმერს ბათუმის კლასიკური გიმნაზიის გახსნის დღეს მისმა პირველმა დირექტორმა განაცხადა, რომ გიმნაზია აღზრდიდა თვითმპყრობელობის ერთგულ ადამიანებს ეკლესიის დოგმების მიხედვით, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა რუსული ენისა და ლიტერატურის ცოდნა (ხ. ახვლედიანი, 1972:102). ასეთი განწყობის მიუხედავად სულეიმანი დაეწაფა ეროვნული ისტორიის შესწავლას. მას იტაცებდა საზოგადოებრივი საქმიანობა, აწუხებდა აჭარის ბედი, მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობა.

სულეიმან დიასამიძე იღწვოდა ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ერთიანობისათვის, თავდაუზოგავად ებრძოდა პანისლამიზმის მიმდევრებს. ამის გამო პოლიციის აგენტურამ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გიმნაზიელს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას დაუწყო თვალთვალი. პოლიცმეისტერმა პანინმა მას მკაცრად მოთხოვა „მავნე იდეების“ დაგმობა, აჭარა-საქართველოს ერთიანობის ქადაგების შეწყვეტა, პროკლამაციების გაუვრცელებლობა და რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობისაგან განდგომა (ხ.ახვლედიანი, 1972:103).

პანინის ბრძანებით 1911 წ. ს. დიასამიძე დააპატიმრეს, მაგრამ გავლენიანი პირების – თუფან ბეგ შერვაშიძისა და სხვათა დახმარებით მოხერხდა მისი გათავისუფლება.

პირველი მსოფლიო ომის დროს აჭარაში გაძლიერდა პანისლამიზმის პროპაგანდა. აზერბაიჯანელმა პანისლამისტებმა, მუსავატელებმა ბათუმში დაარსეს ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოება (ხ. ახვლედიანი, 1972:102). მათი მიზანი იყო ხელი შეეშალათ აჭარაში ქართული სკოლების გახსნისათვის და ცდილობდნენ თურქულ-აზერბაიჯანული სასწავლებლების დაარსებას. სულეიმან დიასამიძემ, ქალაქის თავის მოადგილე ზია აბაშიძესთან ერთად 1918 წელს ღიად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და ჩაშალა პანისლამისტების გეგმები.

სულეიმან დიასამიძე დაინტერესდა მუჰაჯირი ქართველების ბედითაც. ამ მიზნით მან მოინახულა ტრაპიზონი, სამსუნი, სტამბოლი, მუჰაჯირი ქართველებით დასახლებული სოფლები და ქალაქები, შეხვდა თავდგირიძეებს, ლორთქიფანიძეებს, ნაკაშიძეებს, ღლონტებს, ჭიჭინაძეებს და სხვებს, რომლებიც ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ, მუჰაჯირები „შორიდან ელოდებოდნენ სამშობლოს“. მათ ოსმალები ჰპირდებოდნენ სამოთხეს, „შემდეგ კი აბუჩად იგდებდნენ და „ფუშტ გურჯებს,“ ე.ი. მოღალატე ქართველებს ეძახდნენო“. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სულეიმანს მათთვის გაუგზავნია ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

1917 წ. თებერვლის მოვლენების შემდეგ მუსავატელებმა მაჰმუდ ეფენდიევის, იური გაჯინსკის, სულთანბეგ სულთანოვისა და სხვათა მეთაურობით ბათუმში მოიწვიეს პანისლამისტების კრება (საქველმოქმედო ორგანიზაციების სახელით) და სცადეს „ისლამის კომიტეტის“ დაარსება, რომლის მიზანი იყო მოემზადებინა ნიადაგი აჭარის ოსმალეთთან შეერთებისათვის. ს. დიასამიძემ სხვა პატრიოტებთან ერთად შეძლო ამ კრების ჩაშლა. კრებაზე იყო მძაფრი შეხლა–შემოხლა და კინაღამ სისხლიც კი დაიღვარა. სულეიმან დიასამიძეს ბრალი დასდეს ქართული ენის სწავლებასა და ქრისტიანობის შემოღების მცდელობაში. ამის შემდეგ აზიზიეს ჯამეში მ. აბაშიძისა და ს. დიასამიძის ინიციატივით მოიწვიეს კრება (ესწრებოდნენ ქრისტიანი ქართველებიც) და არჩიეს „სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტი,“ რომლის მიზანი იყო დედა სამშობლოსთან, საქრისტიანო საქართველოსთან აჭარის გაერთიანება.

1918 წ. ბათუმის ოლქში შემოვიდნენ ოსმალები. პატრიოტები იძულებული გახდნენ თბილისში გახიზნულიყვნენ. მათ 1918 წ. მაისში ჩამოაყალიბეს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი,“ რომლის მდივანი იყო ს. დიასამიძე.

სედაიმილეთელებმა და ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებამ საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენეს ამავე მიზნით ოსმალეთიდან ბათუმში შემოსული ვინმე ჰემდი ყარაღაზადე. იგი ბაქოს გაზეთებში აქვეყნებდა აბსურდულ წერი-

ლებს, რომ თითქოსდა ქართული სკოლები იხსნება მოსახლეობის გასაქრისტიანებლადო. ჰემდი ყარაღაზადე აჭარის მოსახლეობას მოუწოდებდა უარი ეთქვათ საქართველოსთან შეერთებაზე. ს. დიასამიძის ინიციატივით პატრიოტი აჭარლები ეწეოდნენ ახსნა-განმარტებით საქმიანობას და ამხელდნენ ყარაღაზადეს ვერაგულ გეგმებს. ოსმალებმა ს. დიასამიძე და მისი მომხრეები „ისლამისა და ოსმალეთის მოღალატეებად გამოაცხადეს (ხ. ახვლედიანი,1972:105-106).

1921 წელს ს. დიასამიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ დროს აჭარის მკვიდრთაგან უმაღლეს დამთავრებული იყო მხოლოდ სამი კაცი: რეჯებ ნიჟარაძე, ხასან ლორთქიფანიძე და ყადირ შერვაშიძე (აქ იგულლისხმებიან ის ადამიანები, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ისე კი, სტამბოლის და ოსმალეთის სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებელი არაერთ ქართველს ჰქონდა დამთავრებული). ამის შემდეგ ს. დიასამიძემ სწავლა განაგრძო თბილისის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს.

1921 წლიდან სულეიმან დიასამიძე იღწვის ღარიბ გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბებისათვის. იგი აირჩიეს ღარიბკომის ცენტრალური ბიუროს შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ აჭარის ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) წევრად და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარედ. უფრო ადრე, 1921 წ. 13 ნოემბრიდან იგი ფინანსთა კომისრადაც მუშაობდა.

სახკომსაბჭოს თავჯდომარედ ს. დიასამიძის მუშაობის პერიოდში განხორციელდა წარმოება-დაწესებულებებისა და კულტურული დაწესებულებების ნაციონალიზაცია. მისი ბრძანებულებით ქობულეთი გარდაიქმნა საკურორტო ქალაქად. მისი აქტიური მონაწილეობით დაიშალა „შავი მეჯლისი," ხელი შეუწყო ჩადრის ახდის პროცესებს.

ცოტა მოგვიანებით იგი სამუშაოდ გადაიყვანეს თბილისში. პრინციპული ხასიათის გამო ხშირად ჰქონდა კონფლიქტები ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკთან. ომის პერიოდში იგი მუშაობდა

ტექნიკური სასწავლებლის დირექტორად. აქტიურად ეხმარებოდა ფრონტს, რისთვისაც ორჯერ დაიმსახურა სტალინის მადლობა.

1947 წელს ს. დიასამიძემ მიიღო სამთო-ადმინისტრაციული სამსახურის პირველი რანგის დირექტორის წოდება. სხვადასხვა დროს არჩეული იყო აჭარის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ცაკის წევრად, დაჯილდოებული იყო ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელებით.

ს. დიასამიძე გარდაიცვალა 1962 წ. 18 მარტს. მომავალი თაობები მადლიერებითა და სიყვარულით მოიგონებენ მის ნათელ სახეს.

მემედალი დიასამიძე

დიასამიძეთა საგვარეულოს ღირსეულ წარმომადგენელთა შორისაა **მემედალი დიასამიძე.** 1925 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა ქედის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს. მ. დიასამიძემ ამ თანამდებობაზე მუშაობისას დაიმკვიდრა უნარიანი და სამართლიანი ხელმძღვანელის სახელი.

მის კომპეტენციას განეკუთვნებოდა შინაგანი მმართველობა, ეკონომიკის, მიწათმოქმედების, განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროები. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რაიონის აღმშენებლობით საქმიანობაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის ბავშვთა სახლის დირექტორად, ხელვაჩაურის რაიონის მეჯინისწყლის, ფერიისა და ურეხის კოლმეურნეობების

ბუღალტრად. მანამდე მას მურღულის სპილენძის საბადოებშიც უმუშავია.

ლევან დიასამიძე (1916-1989)

ლევან დიასამიძე დაიბადა 1916 წელს. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და დაიწყო მუშაობა ქედის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად. მოგვიანებით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის სპეციალობაზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქედის რაიონის ხარაულისა და მეძიბნის არასრული საშუალო სკოლების დირექტორად. 1942 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა. ჯერ იყო საქართველოს ალკკ ქედის რაიონული ორგანიზაციის, შემდეგ კი ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქედის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის სამმართველოს უფროსად, ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ, აჭარის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველად, ინსტრუქტორად.

არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ქედის რაიონული კომიტეტების შემადგენლობაში, ბათუმის საქალაქო და ქედის რაიონული საბჭოების დეპუტატად. დაჯილ-

დოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლებში შრომითი მამაცობისათვის“ და სხვა ჯილდოებით.

ლ. დიასამიძე გარდაიცვალა 1989 წელს.

ჰურიე დიასამიძე
(1922-1998)

ჰურიე დიასამიძე დაიბადა 1922 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. სწავლობდა სოფლის შვიდწლიან სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ, თავისი ბედი დაუკავშირა სოფელ ვაშლოვანში მცხოვრებ არჩილ ჯაყელს.

სხვადასხვა დროს მუშაობდა კოლმეურნეობის მევენახედ, ბრიგადირად. იგი იყო ვენახის, სახელდობრ ცოლიკაურის კულტურის აღდგენის ერთ-ერთი პირველი პიონერი მთიან აჭარაში. სწორედ ამიტომ აირჩიეს იგი აჭარის **მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი იყო სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი და დარგის წარჩინებული.** დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლები.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ (1925-1989)

ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი და მეცნიერი, ღვაწლმოსილი, უანგარო და სპეტაკი ადამიანი **დავით დიასამიძე** იმ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც თავისი საქმიანობით ნათელი კვალი დატოვეს ერის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება უხდებოდა ურთულეს პირობებში, მან შეძლო საკუთარი ნიჭისა და უნარის სრული გამოვლენა, შეინარჩუნა ვაჟკაცობა, ალალმართლობა, პრინციპულობა და სრულიად სამართლიანად დაიმკვიდრა ქვეყნის, მშობლიური კუთხის აღორძინებისათვის თავდადებული მებრძოლის სახელი.

დავით დიასამიძე დაიბადა 1925 წ. 20 მაისს ხულოს (ეხლანდელი შუახევის) რაიონის სოფელ ჩანჩალოში. მამა – დურსუნი თავისი დროისათვის გამორჩეული, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება იყო, დედა კი ცნობილი საგვარეულოს–კეკელიძეების (ნიგაზეულიდან) ღირსეული შთამომავალი გახლდათ.

შრომისმოყვარეობამ, წიგნისადმი სიყვარულმა, ნიჭმა და კეთილსინდისიერებამ, რითაც ხასიათდებოდა დავით დიასამიძე, ბავშვობიდანვე მიიპყრო მასწავლებლების ყურადღება. მან წარმატებით დაამთავრა ჩანჩხალოს შვიდწლიანი სკოლა და სწავლა განაგრძო ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში, მოგვიანებით კი ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტი) ისტორიის სპეციალობაზე. სწავლის პერიოდსში ბატონმა დავითმა

შრომისმოყვარეობასა და წიგნიერებასთან ერთად გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭიც, რის გამოც ჯერ კიდევ სტუდენტი კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად დააწინაურეს.

1948 წ. დავით დიასამიძემ წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. 1950 წლიდან კი უკვე პარტიულ სამუშაოზეა. წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტად, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ, ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად, პოლიტიკური განათლების სახლის გამგედ, პროპაგანდისა და აგიტაციის, პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ (დავით დიასამიძე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, თბ.2003:7).

დავით დიასამიძემ 1959 წელს დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა და ასპირანტურა. 1963 წელს იგი აირჩიეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად და ექვსი წლის განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების, კულტურისა და განათლების სფეროს (დავით დიასამიძე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, თბ.2003:7).

მოვლენათა და ღირებულებათა გადაფასების, წარსულისადმი კრიტიკული დამოკიდებულების არასასურველი ფონის მიუხედავად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტოტალიტარიზმის პირობებშიც კი პარტიულ და სახელმწიფო სტრუქტურებში უამრავი კეთილსინდისიერი ადამიანი მუშაობდა და ბევრი სასიკეთო საქმეც კეთდებოდა. ერთ-ერთი მათგანი სწორედ დავით დიასამიძე იყო.

პარტიული მუშაობის პარალელურად, 1963-1969 წლებში ბატონი დავითი არჩეულ იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარედ (იმჟამინდელი კონსტიტუციით მაშინ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობასთან ერთად იყო უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის თანამდებობაც). მისი პირადი ინიციატივითა და დავალებით

არაერთხელ გაუწიეს მატერიალური დახმარება ხელმოკლე ოჯახებს, ინვალიდებს, სტუდენტებს.

1969 წელს ბატონი დავითი აირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარედ. ამ თანამდებობაზე იგი გარდაცვალებამდე – 1989 წლამდე მუშაობდა. პარალელურად იგი არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს მრავალი მოწვეწვის დეპუტატად. ყველაზე მეტად ამ სფეროში გამოჩნდა დავით დიასამიძის, როგორც მამულიშვილის, ხალხის მსახურის საოცარი თვისებები. დ. დიასამიძის საქმიანი თვისებების შესახებ საინტერესოა აჭარის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შოთა მესხიძის მოგონებები. მისი ინფორმაციით, დ. დიასამიძე შეურიგებელი იყო ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი, მოურიდებლად გამოთქვამდა შენიშვნებს და სხვებისაგანაც მოითხოვდა გამბედაობასა და პრინციპულობას, ინტერესდებოდა დაქვემდებარებული უწყებების საქმიანობითა და მოწოდებული ინფორმაციებით, მტკივნეულად განიცდიდა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.

მას ყოველთვის გულთან მიჰქონდა ადამიანების გასაჭირი, გაბედულად ებრძოდა ბიუროკრატიზმს, სხვა ნეგატიურ მოვლენებს. რა თქმა უნდა, იმ დროს, თითო-ოროლა კაცის ბრძოლას არ შეეძლო სასურველი შედეგის მოტანა. იგი კარგად გრძნობდა, რომ საჭირო იყო რადიკალური ცვლილებები, ამიტომაც გამოთქვამდა კრიტიკულ შენიშვნებს. ამის გამო ზოგიერთი მას სიჯიუტეს სწამებდა, მაგრამ უსაფუძვლოდ. მისთვის უცხო იყო მონური მორჩილება, მაღალი რანგის ხელმძღვანელი მუშაკების მიმართ მლიქვნელობა, რასაც ადასტურებენ მისი თანამედროვენი (შოთა მესხიძე, გაზ.„აღორძინება,“ 28 ივლისი, 2001). იგი იყო სიახლეთა ინიციატორი, ქომაგი და მხარდამჭერნი, აქტიურად უჭერდა მხარს მაშინდელ საბჭოთა კავშირში დაწყებულ გარდაქმნებს, დიდ იმედებს ამყარებდა ეროვნული მოძრაობის აღმავლობაზე, ემზადებოდა ახალი ბრძოლისა და ცხოვრებისათვის (ახლობლები, მეგობრები. გახსენება. გაზ.საქართველოს რესპუბლიკა, 18 ივლისი, 1999).

საკმაოდ რთულ, წინააღმდეგობრივ პირობებში, როცა ხელისუფლების ორგანოები გამუდმებული პარტიული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ (რაც ნიშანდობლივია ერთპარტიული სისტემისათვის), ბატონი დავითი ახერხებდა უმაღლესი საბჭოს ეფექტურობის ამაღლებას, დეპუტატთა კორპუსის მაღალ დონეზე ფუნქციონირებას, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, განათლების აღმავლობაში აღნიშნული ორგანოს როლის ზრდას. სწორედ მისი აქტიური მონაწილეობით 1970-1980-იან წლებში აჭარაში აშენდა 150-მდე მრავალსართულიანი სახლი, 100-ზე მეტი საშუალო და 8-წლიანი სკოლა, 80-მდე ბავშვთა ბაღი, სკოლა-ინტერნატისა და სპორტული სკოლის კაპიტალური შენობები, მათ შორის მისი მშობლიური სოფლის–ჩანჩხალოს საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობაც, რომელიც დღეს დავით დიასამიძის სახელს ატარებს (დავით დიასამიძე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, 2003:9).

პროფესორი შოთა ჯაფარიძე იხსენებს: „სამოციან წლებში ქობულეთის რაონის სოფელ წყავროკის მოსახლეობა დაბეჯითებით ითხოვდა საშუალო სკოლის ახალი შენობის აგებას. ზემდგომ ორგანოებში განცხადებებთან ერთად წარმომადგენლებსაც გზავნიდნენ. მაგრამ ახალი სკოლის მშენებლობაზე მაშინ საუბარი შეუძლებელი იყო, ასეთი გახლდათ ნ. ხრუშჩოვის განკარგულება. საქმეს აფერხებდა მიწის ნაკვეთის გამოყოფა და სახსრები. სადაც სკოლის აგება ჰქონდათ განზრახული, კოლმეურნეობის ნაკვეთი იყო. ზემდგომ ორგანებს მობეზრდათ სოფლის მცხოვრებთა ჩივილი. მასალებმა თავი მოიყარა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან. ერთ დღეს მირეკავს ბატონი დავითი საკმაოდ ნაწყენი კილოთი (მაშინ პარტიის ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანი ვიყავი), ნუთუ არ შეიძლება აუხსნათ მოსახლეობას, ცოტა გვადროვონ, იქნება სახსრები გაჩნდეს, შემდეგ მივხედავთ საქმესო. მაგრამ როცა ვუთხარი, რომ წყავროკის საშუალო სკოლა მეჩეთის შენობაშია მოთავსებული, მოსწალეები ვეღარ თავსდებიან და თანაც მოსახლეობამ სკოლის ასაგებად თანხის შეგროვება დაიწყო-მეთქი, დაფიქრდა. რამდენჯერმე შევეხმიანე, ბოლოს მითხრა, ახლავე მოვდივარო...ორი საათის შემდეგ სოფელი

ფეხით შემოვიარეთ. გავეცანით საქმის ვითარებას. ბოლოს ბატონმა დავითმა ჩვეული სიდინჯით მითხრა: რა კარგი ჰქენი, რომ ჩამაყენე საქმის კურსში, სად ვიყავით აქამდე, თუ სკოლა მეჩეთის შენობაში იყო მოთავსებულიო. სკოლის მშენებლობა კონტროლზე აიყვანა და ერთი წლის შემდეგ სოფელს უკვე სკოლის ახალი შენობა ჰქონდა“ (შ. ჯაფარიძე, 2002:38)

დავით დიასამიძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი იყო ბუნების დაცვის საზოგადოების აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგეობის ხელმძღვანელი. მრავალი წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა საზოგადოება „ცოდნას.“

მაღალ თანამდებობაზე მუშაობის მიუხედავად დავით დიასამიძე დარჩა უბრალო, სამართლიან და პრინციპულ პიროვნებად. კადრების შერჩევასა და განაწილებაში დაშვებული შეცდომების გამო არაერთხელ მიუთითებია და გაუკრიტიკებია უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი, რაც იმ დროისათვის დაუშვებელი იყო. სულიერი ტკივილების წნეხში გამოტარებულ ადამიანს თან უნდა გამოჰყოლოდა შემგუებლობა კაენური ცოდვებისადმი, მაგრამ მის პიროვნებაში ყოველთვის ხარობდა უპირველესი საწყისი–კაცთმოყვარეობა, ურთიერთმიმტევებლობა, შინაგანი პატიოსნება. შრომის სიყვარული იყო მისი ცხოვრების ძირითადი მიზანი. მან საზოგადოება „ცოდნა“ აქცია მეცნიერული და ეროვნული იდეოლოგიის გავრცელების მნიშვნელოვან ორგანიზაციად.

მისი გულისხმიერების, თანადგომის, სამართლიანობისა და ობიექტურობის დასადასტურებლად საკმარისია ერთი კონკრეტული მაგალითი. 1920-ნი წლების ისტორიის საკითხებზე საუბრისას პროფ. პარმენ ცქვიტარიას იმჟამინდელმა სტუდენტმა ოთარ თურმანიძემ რეპლიკა ესროლა – „ჩემს სოფელში ნეპისდროინდელი პირობებიაო“. ამის გამო ოთარ თურმანიძე გარიცხეს პარტიის რიგებიდან. დავით დიასამიძის თანადგომით იგი პატიმრობას გადაურჩა (დავით დიასამიძე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, 2003:9).

ადამიანური თანადგომის ნათელი მაგალითია კიდევ ერთი ფაქტი რომელსაც შეესწრო პროფ. დ. ბალაძე. სამშობიარო საავადმყოფოდან გამოსულ ახლადდაქვრივებულ და ახლადნამშობიარებ დედას (9 დღის ბავშვი) ბინა დალუქული დახვდა. სადაო ბინის თაობაზე მას ადრეც მიუმართავს სხვადასხვა ინსტანციებისათვის, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. სასოწარკვეთილ დედას ხელები უკანკალებდა. ბ-მა დავითმა იგი მიიღო, ხელი შეაშველა, სავარძელში ჩასვა, მოუსმინა. ქალი გულწრფელად ყვებოდა, რომ ერთოთახიანი ბინა მასა და მის ქმარს მამამ უყიდა. გამყიდველმა ვერ მოახერხა ბინის მასზე გადაფორმება – მეორე შვილს ელოდები, გარეთ ვერ გამოგაგდებენო, წაიღო ფული და წავიდა. ამასობაში ქმარი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ახლა კი ბინის გაუფორმებლობის გამო გარეთ აგდებდნენ. ბატონმა დავითმა ტელეფონით იხმო ვახტანგ გეგელია (პრეზიდიუმის მუშაკი) და ამ საქმის შესწავლა დაავალა. მისი თანადგომით გამწარებულ დედას პრობლემა მოეხსნა (დ.ბალაძე, კვალი ნათელი, დავით დიასამიძე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, 2003:77).

დავით დიასამიძე შუახევის რაიონის მკვიდრი იყო, მაგრამ არასდროს გამოხატავდა თავის წარმომავლობას, საერთო სატკივარით, თანაბარზომიერი ურთიერთობის პრინციპით ცხოვრობდა და სხვის მიერ გამოვლენილ კუთხურობას, ტენდენციურობას, მიუკერძოებლობას მოზომილი თავაზიანობით მაგრამ შეუვალი პრინციპულობით ებრძოდა.

ბატონი დავითი ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწეოდა. იგი წარმატებით იკვლევდა აჭარის ისტორიას და გამოაქვეყნა არაერთი საყურადღებო ნაშრომი. მის წიგნს, რომელიც 1964 წელს დაისტამბა და აჭარაში კულტურული რევოლუციის განხორციელებას ეძღვნებოდა, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამ გამოკვლევისათვის მას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

1967 წელს დავით დიასამიძემ ნადიმ ნიჟარაძის თანაავტორობით გამოაქვეყნა მონოგრაფია – "აჭარის ასსრ". ამ წიგნის ისტორიული ნაწილი დავით დიასამიძეს ეკუთვნის. მასში პირ-

ველწყაროებზე დაყდნობით საინტერესოდაა განხილული აჭარის წარსული და დღევანდელობა. ამ წიგნში ნათლად ვლინდება მისი ღრმა განსწავლულობა, ისტორიის მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა, წერისა და აზროვნების მაღალი კულტურა.

დავით დიასამიძე იკვლევდა საზოგადოებრივი მეცნიერების ზოგადთეორიულ საკითხებსაც და 1970 წელს გამოაქვეყნა სათანადო მონოგრაფიაც.

დავით დიასამიძე იყო აგრეთვე შესანიშნავი პუბლიცისტი. გაზეთ "კომუნისტის" კორესპოდენტად მუშაობისას გამოაქვეყნა საინტერესო სტატიები, რომლებშიც ობიექტურადაა წარმოჩენელი იმდროინდელ აჭარაში მიმიდინარე პროცესები, აღმშენებლობა და ნაკლოვანებები, განზოგადოებულია გამოცდილებები.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აჭარისათვის პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი მას გაუმართლებლად მიაჩნდა და მას დროებით მოვლენად თვლიდა.

დავით დიასამიძე გარდაიცვალა 1989 წლის ივნისში, მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშობაში მონაწილეობისას. დაკრძალულია ბათუმში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მას დარჩა ორი შვილი: ლევანი და გუგული.

დავით დიასამიძის ღვაწლი მის სიცოცხლეშივე დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით, ხოლო სიკვდილის შემდეგ, 2000 წ. 17 აგვისტოს შუახევის რაიონის ჩანჩხალოს საშუალო სკოლას ეწოდა მისი სახელი.

ბატონმა დავითმა 64 წელი იცოცხლა. მან ამ ხნის მანძილზე ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ამიტომაც დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეთა შორის.

ფრიდონ დიასამიძე (1931-2015)



ფრიდონ მურადისძე დიასამიძე დაიბადა 1931 წელს, ქედის რაონის სოფელ ორცვაში. 1948 წელს დაამთავრა ქედის პედაგოგიური სასწავლებელი, 1953 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ისტორიის სპეციალობით. 1953- 1957 წლებში მუშაობდა სოფელ დანდალოს 8 – წლიანი და წონიარისის საშუალო სკოლების ისტორიის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ, ქედის კომკავშირის რიკომის მეორე და პირველი მდივნის თანამდებობებზე.

1959 წელს იგი გადაიყვანეს კომპარტიის ქედის რაიკომის ინსტრუქტორად,. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, რაიკომის მდივნის, მეორე მდივნის თანამდებობებზე, 1973 წ. კი აირჩიეს ქედის სახალხო დეპუტრატთა რაიონული **საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.** ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 1985 წლამდე. 1985-1992 წლებში მუშაობდა აჭარის ხილბოსტანვაჭრობის გაერთიანების გენერალურ დირექტორად, საიდანაც გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. ფრიდონ დიასამიძე მრავალგზის არჩეული იყო **რაიონული საბჭოს დეპუტატად,** 2013 წელს რაიონის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის მიენიჭა საპატიო ქედელის წოდება. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. გარდაიცვალა 2015 წელს.

ისმეთ დიასამიძე (1932—1996)



1996 წლის აგვისტოს ცხელ დღეებში (10 აგვისტო) მოულოდნელად დადუმდა სამშობლოზე შეყვარებული ერთი ადამიანის — **ისმეთ დიასამიძის** სიცოცხლე, ჩამოგვშორდა საზოგადოების ერთი მოჭირნახულე და გულშემატკივარი. მისი სახით ბათუმმა დაკარგა აჭარის ლაღი ბუნებით შემკობილი ლაღივე შვილი, თამამი შეუდრეკელი, შემმართებელი, მორალური სისპეტაკით, შინაგანი წესრიგით, დისციპლინითა და პუნქტუალობით გამორჩეული, ერთი შეხედვით მკაცრი და უკარება, მაგრამ ძალზე გულისხმიერი ადამიანი.

ისმეთ დიასამიძე დაიბადა 1932 წ. 25 მაისს, ხელვაჩაურის (ყოფილი ბათუმის) რაიონის სოფელ მირვეთში. ცხოვრების სირთულეებმა ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში ჩაუნერგა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა. უამრავი პრობლემების მიუხედავად, არასოდეს შეშინებია, სიძნელეებისათვის ზურგი არ შეუქცევია, პრინციპულად, მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ამაყად მიაბიჯებდა დასახული მიზნისაკენ. მიზანსწრაფვამ და შრომის სიყვარულმა ნაყოფი გამოიღო. სრულიად ახალგაზრდა, მეორე მსოფლიო ომის პირველსავე წლებში აქტიურად ერთვება გონიოში ჩამოყალიბებული სასკოლო-სამხედრო ბანაკის მიერ ორგანიზებულ წვრთნებში. ომის შემდეგ, 1947 წელს შაშხანით სროლაში ი. დიასამიძე საკავშირო პრიზიორი ხდება.

ი. დიასამიძემ წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და 16 წლისა ჩაება შრომით საქმიანობაში. იგი სამუშაოდ გაუშვეს სკოლაში, სადაც ზოგჯერ მასზე ასაკით უფროს მოსწავლეებთანაც უხდებოდა ურთიერთობა.

1948 წელს დაამთავრა აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ჩიქუნეთის საშუალო

სკოლაში – მასწავლებლად. 1953 წ. ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, გეოგრაფიის სპეციალობით. სწავლის პერიოდში ბატონმა ისმეთმა თავი გამოავლინა, როგორც ქვეყანასა და ხალხზე შეყვარებულმა პიროვნებამ. მას სწამდა, რომ განათლებული თუ გაუნათლებელი, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა ვალდებული იყო მოფერებოდა მამა-პაპისეულ კერას, წინაპრების სისხლით გაპოხიერებულ მიწა-წყალს და თავად იძლეოდა მშობლიური მიწის სიყვარულის მაგალითს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს უფროსის გრიგოლ ლეჟავას გულისხმიერებითა და თაოსნობით ი. დიასამიძე სასწავლებლად გაიგზავნა ოდესაში, საიდანაც სამშობლოს დაუბრუნდა ინჟინერ-მეტეოროლოგის კვალიფიკაციით. ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდა მუშაობას იწყებს თბილისში, ავიამშენებელი ქართლის საფოსტო ყუთის ინჟინრად.

1966 წ. ი. დიასამიძემ საკავშირო სამეცნიერო–კვლევითი ჰიდრომეტცენტრის ასპირანტურაში განაგრძო სწავლა.

სიყვარულით, უყვედრებელი პატიოსნებითა და სამაგალითო ზნეობით გაატარა თავისი ცსოვრება ი. დიასამიძემ. ასეთები სხვაც ბევრი იყო, მაგრამ ყველანი მაინც რაღაცით განირჩეოდნენ მისგან. ი. დიასამიძის უმწიკვლო პატიოსნება სავსებით შეესაბამებოდა მის გარეგნობას და საქმიანობას.

ბატონი ისმეთი 1956 წლის სექტემბრიდან მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის მთავარი სამმართველოს (იმჟამად დაპარტამენტის) სისტემაში რიგითი ინჟინრის თანამდებობიდან შავი ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის ცენტის უფროსის თანამდებობამდე. მან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „შავი ზღვის ჰიდროლოგიური და მოლისმოლოგიური მონიტორინგი (ორგანიზაცია, რეალიზაცია, შედეგები)“ და მიენიჭა მეცნიერე-

ბათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, თუმცა ვეღარ მოასწრო უკვე დამუშავებული სადოქტორო დისერტაციის დაცვა. გამოქვეყნებული ჰქონდა 71 სამეცნიერო ნაშრომი შავი ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიის, ნავსადგურების აკვატორიებში ზღვის გრძელპერიოდიანი ტალღების ზემოქმედების, ეკოლოგიისა და გარემოს მონიტორინგის საკითხებზე.

ი. დიასამიძე უაღრესად შრომისმოყვარე პიროვნება იყო. მისი სამუშაო მაგიდა მუდმივად იყო გადატვირთული საქაღალდეებით, დოკუმენტებით, წიგნებით. მუშაობდა სამუშაო საათების შემდეგაც, დასვენების დღეებშიც. მისთვის არ არსებობდა ცუდი ამინდი, ყოველთვის პუნქტუალურად ცხადდებოდა სამსახურში და სხვებისაგანაც იგივეს ითხოვდა.

სიკვდილმა ნაადრევად გამოსტაცა ქვეყანას ხელიდან ეს ნიჭიერი მკვლევარი, მაგრამ მას დარჩა შესანიშნავი შთამომავლობა. ქალბატონი რუსუდანი – ბატონი ისმეთის საამაყო შვილი ღირსეულად აგრძელებს მამის ტრადიციებს და უნარიანად ხელმძღვანელობს იმ დაწესებულებას, რომელშიც მისმა მამამ გაატარა შემოქმედებითი ცხოვრების საუკეთესო წლები.

ნოდარ დიასამიძე (1940-2013)

დაიბადა 1942 წელს, ქედის რაიონის სოფელ გულებში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქ. კრასნოიარსკის იურიდიულ ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს მუშაობდა აჭარის არ იუსტოციის სამმართველოში კონსულტანტად, აჭარის პროფსაბჭოს შრომის მთავარ სამართლებრივ ინსპექტორად, ბათუმის სახალხო სასამართლოს მოსამართლედ, იურიდიული კონსულტაციის ადვოკატად.

1991 წ. ნ. დიასამიძე აირჩიეს **აჭა-**

რის არ უზენაესი საბჭოს დეპუტატად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სარფის საბაჟოს, შემდეგ კი აჭარის იუსტიციის უწყებას ჩაუდგა სათავეში. იგი იყო აგრეთვე აჭარის უმაღლესი სასამართლოსა და უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

გარდაიცვალა 2013 წელს.

რევაზ დიასამიძე



რევაზ ხულუსის ძე დიასამიძე დაიბადა 1943 წლის 9 დეკემბერს. 1962-1966 წწ. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1967 წლიდან იგი მუშაობდა ბათუმის სახლსაშენი კომბინატის მებეტონედ, მებეტონეთა ბრიგადირად.

რ. დიასამიძე არჩეული იყო **საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეათე მოწვევის დეპუტატად (1980-1985 წწ.).** იყო უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის წევრი.

ალექსანდრე დიასამიძე

ალექსანდრე დიასამიძე დაიბადა 1943 წელს, ქედაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინჟინერ-მანქანათმშენებლის სპეციალობით.

შრომითი ნათლობა მიიღო ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში, სადაც მუშაობდა საამქროს უფროსის, მთავარი ეკონომისტის, დირექტორის მოადგილის და დირექტორის თანამდე-

ბობებზე. **1991 წელს აირჩიეს აჭარის არ უზენაესი საბჭოს წევრად.** 1992 წ. კი დაინიშნა აჭარის საგადასახადო სამსახურის უფროსად. ამავე პოზიციაზე გააგრძელა თავისი საქმიანობა საქართველოს დედაქალაქშიც.

ა. დიასამიძე გამოირჩევა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითაც. იგი იყო დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის პრეზიდენტი. მისი თაოსნობით მოეწყო წმ. ევდემოზის საფლავის მატურა ანჩისხატის ეკლესიაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა წმ. ევდემოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში. დაჯილდოებულია აჭარის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

მანანა დიასამიძე

– რა გახარებთ ყველაზე მეტად?

– პაციენტის გამოჯამრთელება.

ეს კითხვა–პასუხი ორიგინალურად არ ჩაითვლება, თუ შეხვდებით თბილისის ბალნეოლოგიური კურორტების ექიმ–პედიატრს – **მანანა ამბერკის ასულ დიასამიძეს.** მისი არჩევანი პროფესიაში ადამიანების დახმარების სურვილმა განაპირობა. ბავშვობიდანვე ეცოდებოდა და ებრალებოდა გაჭირვებული და დავრდომილი ადამიანები.

ადამიანებისათვის ყველაზე ლამაზს, ყველაზე აუცილებელს – სიცოცხლეს რომ ემსახურებოდე, ძლიერი პიროვნება უნდა იყო, უნდა განსაკუთრებით გიყვარდეს ადამიანი. ეს დიდ გარჯასა და შრომას მოითხოვს, მაგრამ ამ სიმძიმის შეგრძნება მა-

შინვე ქრება, როცა მიაღწევ სასურველ შედეგს. ასე სწამს და სჯერა ხელმარდიან მკურნალს მ. დიასამიძეს, რომელიც თავისი სამუშაო დროის დიდ ნაწილს პაციენტებთან ატარებს.

მანანა ამბაკოს ასული დიასამიძე დაიბადა 1944 წ. 15 ოქტომბერს, ქ. თბილისში, მომსახურის ოჯახში. 1951 წელს მანანას მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ ვანში, სადაც მიიღო პირველდაწყებითი განათლება. 1961 წელს მანანა დიასამიძემ ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო–სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიის სპეციალობით. სწავლის პერიოდში ქ-მა მანანამ თავი გამოიჩინა, როგორც სწავლასმოწყურებულმა სტუდენტმა, ენერგიულმა ახალგაზრდამ, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით გამორჩეულმა მოქალაქემ. ქ-ნი მანანა II კურსიდანვე ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობაში. პროფესორ-მასწავლებლები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქ-მა მანანამ მუშაობა დაიწყო ქალაქის კურორტების ექიმ-პედიატრად, სადაც საყოველთაო სიყვარულითაა გარემოცული მუშაობს დღემდე. მისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე პაციენტების სიყვარულია, მისმა პროფესიონალიზმმა, საზოგადოებრივმა აქტიურობამ განაპირობა ის, რომ 1975 წელს არჩეული იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ქ-ნ მანანას მომადლებული აქვს მაღალი ადამიანური თვისებები. იგი ირგვლივ მხოლოდ სიკეთეს სთესავს, ულმობლად ხარჯავს თავის ცხოვრებას მეგობრებზე, ნათესავ-ახლობლებზე, პაციენტებზე. იგი მუდამ თუხთუხებს, კამათობს, დაუფარავად, მაგრამ თავაზიანად ამბობს სიმართლეს. აქვს ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების უნიკალური ნიჭი. მანანა დიასამიძე ყველა საქმეში პირველია, მაგრამ ეს არაფრით არაა დაკავშირებული პატივმოყვარეობასა და თავის გამოჩენის სურვილთან.

რასაკვირველია ქ-ნ მანანასაც აქვს ისეთი დღეები, როცა განმარტოვდება და შესაძლოა არაფერი გააკეთოს, მაგრამ ექიმის პროფესია პრაქტიკულად არ უტოვებს თავისუფალ დროს.

იგი დღენიადაგ იღრმავებს ცოდნას, რომელსაც ეფექტურად იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

ჰყავს მეუღლე თამაზ ნაცვლიშვილი და ორი შვილი: ნიკა პროფესიით ექიმი და გიგა ტექნოლოგი.

რევაზ დიასამიძე

კაცი პუნქტუალური, წესრიგიანი, ერუდირებული, ინტელექტუალური, თავმდაბალი და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული პედაგოგი – ასე იცნობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ დოქტორს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს **რევაზ ჯემალის ძე დიასამიძეს**, მაღალი ზნეობით, ერუდიციით, პედაგოგიური ტაქტითა და პროფესიონალიზმით გამორჩეულ პიროვნებას.

რევაზ დიასამიძე დაიბადა 1948 წლის 16 აპრილს ბათუმის (ეხლანდელი ხელვაჩაურის) რაიონის სოფელ ანგისაში. ბათუმშივე, 1966 წელს წარჩინებით დაამთავრა №7 საშუალო სკოლა. 1967-1969 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. დემოლიბიზაციის შემდეგ, 1970 წელს, ბატონი რევაზი ჩაირიცხა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე. ნიჭიერმა ახალგაზრდამ იმთავითვე მიიპყრო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ყურადღება. თავდაუზოგავმა შრომამ, წიგნის სიყვარულმა, ცოდნის წყურვილმა იგი ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვალსაჩინო სტუდენტად აქცია.

იგი აქტიურად ჩაება სხვადასხვა საუნივერსიტეტო ორგანიზაციების საქმიანობაში და აქცია არაოფიციალურ ლიდერად.

ისტორიული ტრადიციების, კარგი ოჯახური აღზრდისა და შესაბამისი უმაღლესი განათლების საფუძველზე ჩამოყალიბდა მასში ის საუკეთესო თვისებები, რომლითაც იგი გამოირჩევა, როგორც მეცნიერი, აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე.

უნუვერსიტეტის სრული კურსი რ. დიასამიძემ 1976 წელს დაასრულა. ამავე წელს ჩაირიცხა ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასწრებულ ასპირანტურაში, ისტორიის სპეციალობით. იქვე 1980 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ცოდნით დახუნძნული ახალგაზრდა მკვლევარი მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა და 1980 წლიდან მუშაობა დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ინსტიტუტის პრორექტორად იდეურ- აღმზრდელობით მუშაობის დარგში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლად, დეკანის (ორჯერ), უნივერსიტეტის სასწავლო-აღმზრდელობითი განყოფილების ხელმძღვანელად, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხემძღვანელად, მეთოდური საბჭოს თავჯდომარედ, კათედრის გამგედ და ა. შ. 2005 წლიდან კი რექტორატის მთავარი კონსულტია. კითხულობს ლექციების კურს რუსეთის, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი დროის ისტორიის ძირითადი პრობლემების შესახებ. ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას, ბატონი რეზოს თანამდებობებსა და რეგალიებს ჩემი ინიციატივით ერთსაც დავამატებ. იგი ღირსების კაცია. ცხოვრების უკუღმართობამ ვერ ჩაკლა მასში უმთავრესი ადამიანური გრძნობები–სიკეთე, გულისხმიერება, თანადგომა, რაც ესოდენ დეფიციტია თანამედროვე საზოგადოებაში. იგი ბოლომდე დარჩა თოვლის ფიფქივით სუფთა, პატიოსან და სპეტაკ ადამიანად და კოლეგებსაც ამ ნიშნის მიხედვით აფასებს. ამავე დროს, იგი არის ენციკლოპედიური განათლების კაცი, ყველა დარგის სპეციალისტს კონსუნტატად რომ გამოადგება. ამიტომაცაა, რომ იგი

განსაკუთრებულად, სხვებისაგან გამორჩეულად უყვართ, ეფე-რებიან და აფასებენ. თვითონ ხომ უზომოდ გასცემს სითბოსა და სიყვარულს.

ბატონი რეზო უზარმაზარი პატივისცემით სარგებლობს სტუდენტ ახალგაზრდობაში. მისი ყოფილი სტუდენტი (მოგვია-ნებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი) ხატია ანანიძე იგონებს: “ წარუშლელი კვალი დააჩნია ჩემს სტუდენტობას ბატონი რეზო დიასამიძის ლექციებმა და სემინარებმა. მადლობელი ვარ ჩემი მასწავლებ-ლის. მან მე ფიქრი მასწავლა, საგნების, მოვლენების ანალიზს შემაჩვია (ამას ამბობენ ჩემი თანაკურსელებიც). ბატონი რეზო ყოველთვის იყო პროფესიონალიზმის, ელეგანტურობის, სიკოხ-ტავის, თავდაბლობის და პატიოსნების ეტალონი. ასეთ ადამია-ნებს საზოგადოება განსაკუთრებულ პატივს უნდა სცემდეს. სა-ზოგადოება ვალშია ბატონი რეზოს წინაშე.“

უხარვეზო და შინაარსიანია ბატონი რეზოს ურთიერთობა სტუდენტებთან. იგი ყოველთვის მზადაა დაუსრულებლად გაუ-წიოს სტუდენტებს მეცნიერული კონსულტაციები. საგნობრივ წრეებზე, სტუდენტთა კონფერენციებზე წარსადგენ მოხსენე-ბებსა და საბაკალავრო თუ სადიპლომო ნაშრომებს ყოველთვის ატყვია ბატონ რეზოს ხელი.

ბატონი რევაზი ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი წლების განმავლობაში იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ასრულებდა მნიშვნელოვან საპასუხისმგებლო დავალებებსაც (საზოგადოებრივ საწყისებზე). იყო **აჭარის უმაღ-ლესი საბჭოს დეპუტატი (1991-1996 წწ.) და საქართველოს პარლა-მენტის წევრი** (1995-1999 წწ.).

რ. დიასამიძე საზოგადოებისათვის მეტად სასარგებლო, უნივერსიტეტისათვის კი ძალზე საჭირო მუშაკია. იგი გულ-წრფელად და უანგაროდ იღწვის სტუდენტთა ცოდნის ამაღლე-ბის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდისათვის და თავის შეხედულებებს (ბევრისთვის მიუღებელს), განცდებს და ფიქრებს ცხოვრებაზე, დღევანდელობასა და ხვალინდელ დღეზე

გულწრფელად გამოხატავს. ამიტომაც სიყვარულით წარმოთქვამენ მის სახელს.

იგი ღირსია სიყვარულისა და პატივისცემის.

ოთარ დიასამიძე

ოთარ დიასამიძე დაიბადა 1950 წელს. დაამთავრა ბათუმის N 22 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა მოსკოვის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კომკავშირულ სამუშაოზეა. ჯერ საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო ორგანიზაციის ინსტრუქტორი, საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს ალკკ ცკ-ის წევრი, შემდეგ კი საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის სექტორის გამგე, საქართველოს კპ ცკ-ის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორია.

მალე იგი გადაიყვანეს საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად. სხვადასხვა დროს ო. დიასამიძე მუშაობდა: აჭარის უზენაესი საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილედ, აჭარის კონტროლის პალატის მთავარ მრჩევლად, საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის აპარატის უფროსის მოადგილედ, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ, აჭარის არ მთავრობის აპარატის უფროსად. არის შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, არჩეული **იყო ბათუმის საქალაქო საბჭოსა და აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატად.**

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

ალექსანდრე მევლუდისძე დიასამიძე დაიბადა 1951 წლის 29 ოქტომბერს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში. 1969-1971 წლებში გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური. შემდგომ წლებში მუშაობდა კვების მრეწველობის სისტემაში წამყვან სპეციალისტად.

1982-1988 წლებში სწავლობდა ლატვიის რესპუბლიკის ქალაქ ელგავის საოფლო სამეურნეო აკადემიაში კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობაზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1989 წელს დააფუძნა **შპს „პრესტიჟი“** და წარმატებით განახორციელა **სოფლის მეურნეობის პროგრამა ჩაის კულტურის განვითარების მიმართულებით**, რომელშიც დასაქმებული იყო 3000-ზე მეტი თანამშრომელი.

ა. დიასამიძე 1996-2000 წლებში იყო **აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი** (ხელვაჩაურის რაიონიდან). ბოლო წლებში ეწევა კომერციულ საქმიანობას. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

ლეილა ოსმანის ასული დიასამიძე დაიბადა 1956 წლის 1 ივლისს. 1973 წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა. იგი მუშაობდა ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მუშად. 1985-1990 წლებში არჩეული იყო **საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის დეპუტატად.**

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანო-

ში მუშაობისას იგი ასრულებდა უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრის მოვალეობას.

თამაზ დიასამიძე

ადამიანის პორტრეტს დრო აქანდაკებს. სიყვარულითა და კეთილსინდისიერებით, პატიოსნებითა და თავდადებით, ძიებითა და ბრძოლით გავლილი წლები თავისი გამომსახველობითი შტრიხებით ძერწავს სახეს, რომელიც ცნობადი ხდება საზოგადოებისათვის და ჟამთასვლის ძლევამოსილება ვერ ახერხებს მისი სახელის დავიწყებას. ასეთი ადამიანები სიცოცხლეშივე იქცევენ საზოგადოების ყურადღებას, თუმცა ყოველთვის როდი ხერხდება მათი სათანადოდ დაფასება. პირიქით, ხშირად უანგარობა, სიკეთე აუხსნელი რჩება ცნობიერება დამახინჯებულ ადამიანთათვის.

ზოგჯერ უმადურობის ტალღა ახერხებს კიდეც წალეკოს სიყვარულით ნალოლიავები სიკეთის ყლორტები, მაგრამ გამორჩეული ადამიანები ჯიუტად მოუყვებიან სიკეთის ბილიკებს, რადგან სწამთ, რომ „ბოროტებას და ლიქნობას, სიყვარული სჯობს ძამა.“ (ზ.გორგილაძე). ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა **თამაზ დიასამიძე,** ისტორიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს უზენაესი საბჭოს რამოდენიმე მოწვევის დეპუტატი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის იმჟამინდელი წევრი. ძლევამოსილმა მოქანდაკემ – დრომ ვერ შეძლო თამაზ დიასამიძის სრული პორტრეტის შექმნა, რადგან იგი ჯერ კიდევ

საკმაოდ ახალგაზრდაა და ჩვეული ენერგიით ემსახურება ხალხს, ქვეყნის კეთილდღეობას. ამდენად, მის პორტრეტს კვლავ ბევრი ახალი შტრიხიც შეემატება.

ახალგაზრდა პოლიტიკოსი და ისტორიკოსი, ღირსებისა და პატიოსნების ქომაგი –ასე იცნობს დღეს ქართული საზოგადოება თამაზ დიასამიძეს. მე და ჩემს მეგობრებს ხშირად შეგხვედრია ბათუმში, გორგასლის ქ. №57-საკენ აჩქარებული ჯანღონითა და ენერგიით სავსე ახალგაზრდა კაცი, მოგვისმენია მისი მოსაზრებები, ხშირად ნერვიულად და მრავლისმეტყველი ჟესტებით გამოხატული საქვეყნო სატკივარი, პოლემიკა და დისკუსია ქვეყნის სვებედზე, მის მომავალზე, დაკარგულ ტერიტორიებზე, ჯავახეთსა და ქვემოქართლში შექმნილ ეთნოდემოგრაფიულ სიტუაციასა და იქ ჩასახლებულ მიგრანტთა მდგომარეობაზე, სამხრეთ საქართველოს აღორძინების ფონდის დაარსებასა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. მისთვის ისტორიკოსობა და პოლიტიკოსის ურთულესი პროფესია მოწოდებაა, ორივე დარგს დიდი სიყვარულით ემსახურება. მას მუდამ აქვს გულის ჯიბეში უბნის წიგნაკი, რომელშიც მუდმივად აკეთებს ჩანაწერებს, აყალიბებს ახალ იდეებს და უზიარებს თანამოაზრეებს. როცა რაიმე ახალს მოიფიქრებს, ვერ მოისვენებს, გული მეგობრებისაკენ მოუწევს, რომ გააცნოს ნაფიქრალ-ნააზრევი მის გარშემომყოფთ. მისგან შორსაა ხელოვნური ინტელექტის დემონსტრირება. მისი სიტყვა და ფრაზა მარტივია, ზოგჯერ უხეში და გაურანდავი. სწორედ ეს ანიჭებს ბუნებრიობას მის სიტყვასა და საქმეს.

თამაზ დიასამიძე დაიბადა 1959 წლის 2 ივნისს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. საშუალო სკოლა დაამთავრა ხულოში და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია—უცხოენის (გერმანული) სპეციალობაზე. ნიჭიერმა ახალგაზრდამ მაშინვე მიიქცია პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. იგი აქტიურად ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო წრეებისა და კონფერენციების მუშაობაში. 1981 წელს თამაზ დიასამიძემ წარჩინებით დაამთავრა ისტორია-უცხო ენის სპეციალობის სრული კურსი. ინ-

სტიტუტის დამთავრებისთანავე, 1981 წელს იგი გაიწვიეს სავალდებულო-სამხედრო სამსახურში. არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1984-1985 წლებში თამაზ დიასამიძე მუშაობს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე (ხელშეკრულებით), 1985-1986 წლებში–აჭარის საარქივო სამმართველოში განსაკუთრებულ საქმეთა რესტავრატორად, აჭარის არქიტექტურის მუზეუმში მეთვალყურედ, აჭარის სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად. მალე იგი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1983 წელს. ამავე წელს გაიარა უცხო ენების (ინგლისური) ორწლიანი კურსები. 1989-1995 წლებში მუშაობდა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის, შემდეგ კი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე.

ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად თ. დიასამიძე ეწევა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასაც. ჯერ კიდევ, 1990-იანი წლების დასაწყისში იგი ჩაება აბაშიძის პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პრაქტიკულად იგი იყო ამ ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში თამაზ დიასამიძემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად, სადაც საქმიანობდა 1992 წლის იანვრის სახელმწიფო გადატრიალებამდე. 1992 წ. მაისიდან ოქტომბრამდე იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი.

1991 წ. ივნისში ჩატარდა აჭარის არ უზენაესი საბჭოს არჩევნები, რამაც თამაზ დიასამიძეს მორიგი წარმატება მოუტანა. იგი აირჩიეს ამ ორგანოს დეპუტატად, სადაც ხელმძღვანელობდა ფრაქცია „აჭარას.“ აჭარის უზენაესი საბჭოს სხდომებზე თავის გამოსვლებში იგი ჩვეული პირდაპირობითა და გამბედაობით გმობდა აჭარის იმჟამინდელი ლიდერის დიქტატორულ მისწრაფებებს, ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს. ფრაქცია „აჭარა“ თ. დიასამიძის ხელმძღვანელობით იქცა ანგარიშგასაწევ ძალად

აჭარის უზენაეს საბჭოში, რის გამოც შეუძლებელი შეიქმნა აბაშიძის პოლიტიკური შეკვეთების რეალიზაცია. ამიტომ აბაშიძემ 1992 წ. გაზაფხულზე პრაქტიკულად დაითხოვა აჭარის საკანონმდებლო ორგანო. შესაბამისად, მისი უმოქმედობის გამო შეწყდა თ. დიასამიძის საქმიანობაც აჭარის უზენაეს საბჭოში.

1992 წ. შემოდგომაზე ჩატარდა საქართველოს საპარლამენტო არჩევნები, აჭარის მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან ბლოკ „11 ოქტომბრის“ სიით რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატად არჩეულ იქნა თამაზ დიასამიძე, სადაც მოღვაწეობდა 1995 წლამდე, პარალელურად გამოსცემდა და რედაქტორობდა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთებს: „საქართველოს კარიბჭე“ და „თავისუფალი სიტყვა,“ სადაც იბეჭდებოდა ა. აბაშიძის რეჟიმის მამხილებელი პუბლიკაციები. ამის გამო გაზეთებს არაერთხელ დაემუქრა დახურვის საფრთხე, რამოდენიმე ნომერი ძალდატანებით ამოღებული იქნა ქსელიდან მოსახლეობაში გაზეთის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

1996-2000 წლებში ბ-ნი თამაზი ხელმძღვანელობდა „განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის“ რეგიონალური კვლევების პროგრამას. 2000-2004 წლებში იყო „რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი“-ს ხელმძღვანელი.

განსაკუთრებით აქტიური იყო თამაზ დიასამიძის საქმიანობა 2003 წ. დეკემბერი – 2004 წ. მაისში, როცა იგი სახალხო მოძრაობა „ჩვენი აჭარის“ ეგიდით ხელმძღვანელობდა მოსახლეობის წარმატებულ მასობრივ კამპანიას აბაშიძის პროვინციულ-ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ. ამ მოძრაობაში ახალი ძალით გამოვლინდა თ. დიასამიძის, როგორც პოლიტიკური ფიგურის მთელი სიდიადე და სიძლიერე, ისე მისი ორგანიზატორული ნიჭი, შრომისმოყვარეობა, ვაჟკაცობა და გამბედაობა. მაშინ, როცა „ჩვენი აჭარის“ ზოგიერთი ლიდერი აჭარაში შექმნილი ურთულესი და საშიში პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ვერ ბედავდა ბათუმში ჩამოსვლას, თ. დიასამიძეს ბათუმიდან ფეხი არ მოუცვლია. სწორედ ამიტომ დაუდგა ბატონ თამაზს გვერდში გულმხურვალე პარტიოტთა მრავალრიცხოვანი არმია.

ისინი დღესაც მის გვერდით არიან, რადგან მასში დაინახეს მოუსყიდელი პოლიტიკოსი, პრინციპული, პირდაპირი და რაც მთავარია უპატიოსნესი ადამიანი, რომელსაც არც საკუთარი ბინა ჰქონდა და არც საკუთარი ცხოვრება (დაოჯახდა სულ ახლახანს, 2013 წ. ნოემბერში). მან საკუთარი თავი საზოგადო საქმეებს მიუძღვნა. ერთხელ ერთ-ერთმა მეგობარმა უსაყვედურა კიდეც: „თამაზ, შენს ცხოვრებას მიხედე, რაღაც გააკეთე, სულ სხვებისთვის რომ ხარ თავგადადებული, საკუთარი თავი აღარ გახსოვს.“ – „მცდარი ფილოსოფიაა, უპასუხა ბ-მა თამაზმა, სულაც არაა აუცილებელი ყველა ადამიანი მესაკუთრე იყოსო.“

აბაშიძის რეჟიმის დამხობის შემდეგ თ. დიასამიძე იყო აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს წევრი, საკანონმდებლო რეფორმების კომისიის თავმჯდომარე, 2004 წ. მარტში აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იგი მომდევნო, 2008 წლის არჩევნების დროსაც იქნა არჩეული.

თ. დიასამიძის მდიდარ და საინტერესო ბიოგრაფიას წითელი ზოლივით გასდევს ქვეყნის სიყვარული, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სურვილი, პატიოსნება, სამშობლოს ბედზე კაცური ფიქრი, სიყვარულისა და გატანის დიდი უნარი.

ადამიანებს შეუძლიათ სიკეთე მოუტანონ ერთმანეთს, დარდი და ტკივილი ააცილონ, სიცოცხლე გაუხანგრძლივონ. ერთ ადამიანურ სიტყვას, კაცურ დამოკიდებულებას შეუძლია ბრძოლაში გაგვამარჯვებინოს, გულისტკივილი გაგვიქარვოს, რწმენა და იმედი შეგვმატოს. ამ იდეით ცხოვრობს და მოღვაწეობს თამაზ დიასამიძე. ამიტომაც არავის წყენს მისი ემოციურობა, ხმამაღალი და სითბონარევი საყვედურები, რადგან ყოველივე ამის უკან იმალება უდიდესი კეთილგანწყობა, პატიოსნება და გულისხმიერება.

ნაყოფიერ პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად თ. დიასამიძე აქტიურად სამეცნიერო საქმიანობასაც ეხება. იგი არის რამდენიმე სამეცნიერო სტატიისა და პუბლიცისტური წერილების ავტორი. 2002-2005 წლებში საქართველოში რეგიონული კონფლიქტების შესახებ მისი ავტორობით გამოიცა 6 წიგნი ქარ-

თულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (იხ. ინტერნეტი – www.rcc.ge), რომელიც გამოქვეყნებისთანავე იქნა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად. წიგნებს მაღალი შეფასება მისცეს საქვეყნოდ ცნობილმა მეცნიერებმა.

საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის გრანტით „ევროპის ინიციატივით დემიკრატიისა და ადამიანის უფლებისათვის“ გამოცემულ წიგნში „რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ 1989-2005)“ თავმოყრილია იმ პერიოდში მიღებული პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტები. ნაშრომი ავტორის მიერ ადრე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული და ინტერნეტში განთავსებული ანალოგიური სახელწოდების კრებულების შევსებული გამოცემაა. შეიძლება ითქვას, რომ კრებული წარმოადგენს სამაგიდო წიგნს სახელმწიფო სტრუქტურებისა და სპეციალისტებისათვის. ფაქტობრივად ესაა ქრესტომათიული გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილია 1989-2005 წლებში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განვითარებული კონფლიქტების ამსახველი ავტონომიური რეგიონების ხელისუფლების, საქართველოს მთავრობის, მეზობელი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების 585 პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს უკეთ გაეცნოს რეგიონალური კონფლიქტების შესახებ დაგროვებულ ინფორმაციას ერთ კრებულში.

დასასრულს, კიდევ ერთხელ გვინდა მკაფიოდ გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ შესანიშნავი პიროვნებისადმი. თამაზ დიასამიძე ჩემს წარმოდგენაში არის კაცი. ამ სიტყვაში ყველაფერია ნათქვამი. პიროვნება ვერ იქნები, თუ ბუნებრივი, ზეციური, ღვთიური ცეცხლით არა ხარ ანთებული. თამაზი შუაცეცხლში დგას ხელგაშლილად და გულითადად გვიკრებს მის გარშემო. მასთან შეხვედრის შემდეგ სრულიად ამაღლებული ვბრუნდებით შინ და მისი ენერგიულობითა და გულისხმიერებით განცდილი სიხარული მიგვაცილებს.

ხანდახან ვფიქრობ – მარტო მე ხომ არ შემექმნა ასეთი აზრი თამაზ დიასამიძეზე. მაგრამ სხვებიც ამას ადასტურებენ.

„ამისთანა კაცი პარლამენტში მეორე არ არის, იგი სრულად უქონელი, ყველაზე ღარიბი დეპუტატია, მაგრამ ყველაზე პატიოსანი. იგი უნიკალური ადამიანია“ – ამბობს ოთარ ცეცხლაძე.

რამ განაპირობა თ. დიასამიძის ასეთი პოპულარობა? – საქმის ცოდნამ, ადამიანების სიყვარულმა, სიტყვისა და საქმის ერთიანობამ განსაზღვრეს მისი, როგორც მოქალაქის პოპულარობა და აღიარება.

თამაზ დიასამიძე შემოქმედებითი სიმწიფის ასაკშია. იგი ბევრ ახალ სიურპრიზს პირდება საზოგადოებას.

მანანა დიასამიძე

მანანა ხუსნის ასული დიასამიძე დაიბადა 1960 წლის 20 იანვარს ქედის რაიონის სოფელ ზვარეში. 1979 წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა. იყო ქედის რაიონის სოფელ ზვარეს კოლმეურნეობის მეთამბაქოე. მოგვიანებით იგი არჩეული იქნა **საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის (1985-1990 წ.წ.) დეპუტატად.**

იყო უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის წევრი.

ბადრი დიასამიძე

ბადრი დიასამიძე დაიბადა 1961 წელს, ქედაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. 1984-2002 წწ. მუშაობდა ბათუმის სამ-

შენებლო ტრესტ „საქართველოს კოოპმშენებლობისა და აჭარ-კოპკავშირის სარემონტო კანტორის“ სამუშაოთა მწარმოებლად, აჭარის რეგიონალურ საბაჟო სამსახურში.

2003 წ. სწავლა გააგრძელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2004-2008 წწ. ხელმძღვანელობდა ქედის საოლქო საარჩევნო კომისიას. 2008-2010 წწ. იყო აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლად ქედის მუნიციპალიტეტში. **2010 წლიდან სათავეში ჩაუდგა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.**

ასმათ დიასამიძე

აკადემიური დოქტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ასმათ დიასამიძე** დაიბადა 1968 წ. ქ. ბათუმში. ქალაქის N 6 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად, სკოლის დირექტორის მოადგილედ, დირექტორად, სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელად.

2008 წლიდან არჩეულია აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტა-

ტად, იყო უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (2008-2012 წწ.). ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

გიორგი დიასამიძე

ქალაქ ბათუმის საკრებულოს დეპუტატი **გიორგი დიასამიძე** დაიბადა 1972 წ. ქ. ბათუმში. დაამთავრა ქალაქის N 1 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო აჭარის რესპუბლიკურ ვენეროლოგიურ დისპანსერში. მოგვიანებით გ. დიასამიძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო-სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გაიარა ინტერნატურა აკადემიკოს ღუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1997 წლიდან იგი მუშაობს ტრავმატოლოგად. არჩეულია ქ. **ბათუმის საკრებულოს წევრად.** 2016 წელს არჩეული იქნა **აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.** ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ვაჟა დიასამიძე

დაიბადა 1974 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ორთაბათუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, პარალელურად დაამთავრა ბათუმის უმაღლესი საფინანსო სკოლის ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობა.

1998 წ. მუშაობა დაიწყო აჭარის არ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მთავარი ბუღალტრის მოადგილედ, შემდეგ კი სამინისტროს საბიუჯეტო სამსახურის უფროსად. 2003-2204 წწ. მონაწილეობდა აჭარის ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მარკეტინგული კვლევების პროექტებში. 2004 წ. ვ. დიასამიძე დაინიშნა აჭარის არ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსად, 2005 წ. კი მინისტრის მოადგილედ. მოგვიანებით იგი გადაიყვანეს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

ლევან დიასამიძე

ლევან დიასამიძე – დაიბადა 1976 წელს ქ. ბათუმში. თბილისის № 186-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის სპეციალობაზე.

მუშაობდა თბილისის სამართლის ინსტიტუტში, იყო ახალგაზრდული პარლამენტის წევრი. 1999 წ. მუშაობა დაიწყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. გაიარა კვალიფიკაციის კურსები ევროპაში. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. 2005-2010 წწ. გერმანიაში **საქართველოს საელჩოს პირველი მდივნის მოვალეობას ასრულებს, 2010 წლიდან კი ავსტრიაში საქართველოს საელჩოს მთავარი მრჩეველია.** ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

დიასამიძეები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

დიასამიძეებმა სამშობლოს არაერთი მედიკოსი აღუზარდეს, რომლებმაც დიდი რისკის ფასად მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. მაღალი ფსიქოემოციური დატვირთვა, სადღეღამისო შრომა, საშიშ ნივთიერებებთან (წამლებთან, ნარკოტიკებთან, ლაბორატორიის რეაქტივებთან, რადიაციული გამოსხივების მქონე პრეპარატებთან, სისხლთან) მუდმივი კონტაქტები მათ კიდევ უფრო უძლიერებდა პროფესიისადმი ერთგულებისა და პაციენტისადმი სიყვარულის გრძნობას. სწორედ ამან განსაზღვრა სახელგანთქმულ ექიმთა სიმრავლე დიასამიძეთა საგვარეულოში, რომელთაგან არაერთმა დაიმსახურა საქართველოსა და მათ შორის აჭარის დამსახურებული ექიმის წოდება.

ალექსანდრე დიასამიძე (1872-1941)

ალექსანდრე დიასამიძე – დიასამიძეთა გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი დაიბადა 1872 წ. დაამთავრა მოსკოვის სამედიცინო უნივერსიტეტი და გაემგზავრა პარიზში, სადაც დაიწყო მუშაობა დერმატოლოგიის და ვენეროლოგიის კლინიკაში. მოგვიანებით იგი ბრუნდება სამშობლოში და ინიშნება თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ვენეროლოგიური განყოფილების გამგედ (1906 წ.).

პროფესიულ საქმიანობასთან ერთად ა. დიასამიძე დიდ ინტერესს იჩენდა პოლიტიკური პროცესებისადმი, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია პოლიციას. 1910 წ. ა. დიასამიძე დააპატიმრეს და გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1914 წ. იგი გაიწვიეს არმიაში. 1923 წ. დაინიშნა თბილისის მე-3 ვენერიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად. კანისა და ვენერიულ სნე-

ულებათა სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ ა. დიასამიძე ინიშნება დირექტორის მოადგილედ და ინსტიტუტის დისპანსერის გამგედ. იგი იყო აგრეთვე კავკასიის სამედიცინო საზოგადოების წევრი.

ა. დიასამიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ვენერიულ სნეულებებთან ბრძოლაში, რისთვისაც 1934 წ. მას პერსონალური პენსია დაენიშნა (ტატიშვილი, დეკანოიძე თ. 1960:80)

შალვა ყიფიანის წიგნში „ალექსანდრე ჯავახიშვილი“ (თბ. 1971) მეექვსე გვერდზე განთავსებულ ფოტოსურათებზე გამოსახულ პიროვნებათაგან მინაწერების მიხედვით ორი დიასამიძეა. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი ალ. დიასამიძე და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი დ. დიასამიძე. ხომ არ არის **ალ. დიასამიძე „შემდგომში ცნობილი ექიმი**“ – გალაქტიონის მიერ მოხსენებული მცხეთელი **„ცნობილი ექიმი დიასამი?“** სურათი გადაღებულია მოსკოვში. გალაქტიონი მას 1934 წლის წერილში მოიხსენიებს. სწორედ ამ წელს დაენიშნა ალ. დიასამიძეს პერსონალური პენსია.

გალაქტიონ ტაბიძე წერს: „მცხეთაში რომ ჩავედით დიასამი ვიკითხე. . . . ბავშმაც კი იცის ვინ არის დიასამი. იგი უბრალო ქართველია. XI საუკუნიდან XIX ს. გარიჟრაჟამდე მთელი საქართველო მოფენილი იყო დიასამის მსგავსი მოღვაწეებით. . . რა ლეგენდარული სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. დიასამის პაპა, პაპის პაპა, სულ ყველანი ექიმები იყვნენ. დიასამის წინაპრებიც მგზნებარე პატრიოტები იყვნენ თავიანთი დარგისაო“ და დიასამს მოიხსენიებს „ჩემი მეგობარი ექიმის“ სახით. მისივე თქმით, არ არის მეორე ისეთი ქვეყანა, „სადაც ხალხური მედიცინა ისეთი მდიდარი და მრავალმხრივი იყოს, როგორც ეს ჩვენშიო“ (გ. ტაბიძე, 1989:447-448). გალაქტიონი მაშინ ავად ყოფილა და დიასამისათვის წერილი ლ ექსად მიუწერია. პასუხად, დიასამი დიდ პოეტს თბილისში წვევია და განუკურნავს კიდეც. შემოკლებით გთავაზობთ გალაქტიონის ლექსს, მიწერილს დიასამისადმი:

„თუმცა ცოცხალი ვარ, არა მჯერა, რომ სული მედგას;

ჩემი ცოდვა მას, ვინც მომიხმო ასეთი მტერი. . .
. . . . . .
მტერი — ეს არის, ათასგვარი ცხოვრების ჟანგი,
წამალი ჩემი, ბუნებისა, წამალი მწველი,
ცხარე ომის დღეს, სანდობარი არის აბჯარი,
ექიმი მინდა, ვით მეაბჯრე და ამხანაგი;
რომ სიკვდილს (. . . . .)
გამოსტაცოს პოეტის ჩანგი“ (გ. ტაბიძე, 1989:448).

ალ. დიასამიძე გარდაიცვალა 1941 წელს. უეჭველია, რომ გ. ტაბიძის ადრესატი დიასამი, შ. ყიფშიძის წიგნში დასახელებული ალ. დიასამიძე (სურათი) და ცნობილი ექიმი ალექსანდრე დიასამიძე ერთი და იგივე პიროვნებაა.

ავნი დიასამიძე (1912-1975)

ყოველ ადამიანს თავისი ბიოგრაფია, შრომითი და მოქალაქეობრივი გრძნობით განვლილი ცხოვრების გზა ამშვენებს. მათგან გამორჩეულია **ავნი დიასამიძის** ღვაწლი და დამსახურება.

იგი დაიბადა 1912 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მირვეთში. 1924 წელს დაამთავრა დაწყებითი სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის ლენინის სახელობის პედაგოგიურ ტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში ბა-

ტონმა ავნიმ თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა, ცოდნას მოწყურებულმა ახალგაზრდამ და პერსპექტიულმა ექიმმა. მან წარმატებით აითვისა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა, წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის სრული კურსი და მუშაობა დაიწყო ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ქირურგად (ჯ.დიასამიძე, რვ.1:93). სწორედ აქ გამოვლინდა მკურნალისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები: პროფესიის სიყვარული, პაციენტისადმი გულისხმიერება, უღალატობა, პატიოსნება და კომპეტენტურობა. უბრალოებამ, მომთხოვნელობამ (როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ), პრინციპულობამ ავნი დიასამიძეს შეუქმნა უდიდესი ავტორიტეტი ავტონომიური რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებაში, რისთვისაც იგი ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯამრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ დანიშნეს (1932 წ.).

ამ თანამდებობაზე მუშაობისას ავნი დიასამიძემ სრულად გამოავლინა თავისი შესაძლებლობა და ერუდიცია. იგი მაღალკვალიფიციურ დონეზე ასრულებდა განყოფილების გამგის მძიმე და საპატიო ტვირთს.

ავნი დიასამიძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილეც იყო. იგი მუშაობდა ზურგის ჰოსპიტალში, კავკასიის ფრონტზე, ქერჩის სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში (მიმღებ-გამანაწილებელი პუნქტის უფროსად), იბრძოდა ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთის განმათავისუფლებელ ბრძოლებში. ყველგან, სადაც კი შრომობდა თუ იბრძოდა, გარემომყოფთა სიყვარულით იყო გარემოსილი.

დემობილიზაციის შემდეგ, 1947 წლიდან მუშაობა დაიწყო ქალაქ ბათუმის ცენტრალური პოლიკლინიკის, 1949 წლიდან კი ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორად. 1962 წლიდან განაგებდა ქალაქის პირველ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას. მუშაობის პარალელურად იგი მუდამ ცდილობდა თავისი ცოდნის გამდიდრებას ახალი ლიტერატურით, ოპტიმისტური განწყობით ითვისებდა ახალ სამკურნალო მეთოდებს, მაგრამ არც წლების განმავლობაში დაგროვებულ ტრადიციულ

მეთოდებზე ამბობდა უარს. იგი სიახლეს გაატარებდა სამედიცინო ქუჩაში და მერე გამოიყენებდა.

გადიოდა წლები, მდიდრდებოდა მისი ცოდნა-გამოცდილება და პროფესიული ოსტატობა. იგი ქალაქში ერთ-ერთ პროფესიონალ ექიმად ითვლებოდა. ამიტომაც მიენიჭა მას საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება (1957).

კვალიფიკაციურმა მედიკოსმა მეცნიერებაშიც თქვა ღირებული სიტყვა. განსაკუთრებულია მისი დამსახურება ჩიყვის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში. 1958 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიტო დისერტაცია თემაზე – „ჩიყვი და მის წინააღმდეგ ბრძოლა აჭარაში“ და მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მის კალამს ეკუთვნის 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამი მონოგრაფია.

შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში შემოაღამდა სახელოვან დასტაქარს. იგი გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, 1975 წლის 15 თებერვალს.

ავნი დიასამიძემ თავისი ცხოვრების გზა პატიოსნად განვლო და შეინარჩუნა გულმართალი და გულისხმიერი კაცის რეპუტაცია. შეიძლება ბევრჯერ გაუჭირდა, „ცდუნების“ შესაძლებლობაც არაერთხელ ჰქონია, მაგრამ მას არასდროს უღალატია ერთხელ არჩეული გზისათვის. კაცობის გამოცდა მან ბრწყინვალედ ჩააბარა.

სწორედ მისნაირ კაცზეა ნათქვამი აკაკი ბაქრაძის სიტყვები: „ძლიერი ის კი არაა, ვინც ტალახში არ ჩავიდა, არამედ ის, ვინც ჩავიდა და სუფთად გაიარა”.

ირაკლი დიასამიძე
(1915—1979)

დიასამიძეთა საგვარეულოს თვალსაჩინო წარმომადგენლის **ირაკლი დიასამიძის** არსებაში სრულად გამოვლინდა სამცხის ერთ-ერთი საპატიო გვარის წიაღში არსებული გენეტიკური კოდი. მისი სახით, სამშობლოს მოევლინა სულიერად და ფიზიკურად ამაღლებული ვაჟკაცი. მისთანანებზე იტყვიან: ასეთი ადამიანები ბედნიერ ვარსკვლავზე იბადებიანო.

ირაკლი დიასამიძე დაიბადა ქედის რაიონის სოფელ გულებში, 1915 წ. 12 ივნისს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წარჩინებით ჩააბარა მისაღები გამოცდები სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და დაეუფლა ქირურგის მეტად საპასუხისმგებლო პროფესიას. მისი თაობა სამედიცინო ინსტიტუტში გამოირჩეოდა პროფესიული ძმობით, გულღიაობით, ურთიერთპატივისცემით. ისინი დაუფარავად, გულღიად უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ აზრს, არ ჩქმალავდნენ ერთმანეთის ნაკლს თუ უნებლიე შეცდომას. ამიტომაც იყო, რომ ამ თაობას ახასიათებდა საქმისადმი კოლექტიური პასუხისმგებლობა. ამავე დროს, ისინი არ იკეტებოდნენ საკუთარ ნაჭუჭში, არ იყვნენ მარტო პირადი პრობლემებით დაკავებულნი, ხშირად ბაასობდნენ საპრობლემო სამედიცინო, სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საკითხებზე. ასეთი კამათი და ბჭობა გამოირჩეოდა ჭეშმარიტი ძმობის დამახასიათებელი შინაგანი კავშირით, უანგარობით, გულღიაობის ატმოსფეროთი.

ირაკლი დიასამიძემ წარმატებებით დაამთავრა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი. მასში მალე ამოიცნეს ექიმისათვის დამახასიათებელი საგანგებო ნიჭი და ქალაქ ბათუმის ჯამრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ დანიშნეს. ამ დროიდან მოყოლებული იგი უწყვეტად მოღვაწეობს ჯამრთელობის დაცვის სისტემაში. სხადასვა დროს იგი მუშაობდა ბათუმის სამშობიარო საავადმყოფოს მთავარ ექიმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკურორტო სამმართველოს ხემძღვანელად, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად. ი დიასამიძე ამავე დროს იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს ხუთი მოწვევის დეპუტატი, 1973 წლიდან გარდაცვალებამდე – 1979 წლამდე ვ. მაქაცარიას სახელობის რესპუბლიკური სისხლის გადასხმის სადგურის მთავარ ექიმად. სამსახური იყო მისი დედა, მისი სიცოცხლე. იგი მუდამ შთაგონებული იყო იმ პრობლემების გადაწყვეტის სურვილითა და მზადყოფნით. რომელიც არსებობდა ჯამრთელობის დაცვის სისტემაში.

მედიცინის პრობლემებით გატაცებასა და დაინტერესებას არ მოუწყვეტია იგი მშობლიური ნიადაგიდან. იგი ჩახედული იყო ეროვნული ისტორიისა და ლიტერატურის პრობლემატიკაში (თუმცა იმ პერიოდში საქართველოს ისტორიის სწავლებას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება). იგი სულით ხორცით იყო გამსჭვალული საქართველოს, მისი რაიონისა და მშობლიური სოფლის სიყვარულით და წუთითაც არ შეყოვნდებოდა, რომ საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს ხვალინდელი დღისათვის, თუ ეს აუცილებელი გახდებოდა.

ბინი ირაკლის ეს თვისებები განაპირობებდა მის საზოგადოებრივ აქტიურობას. იგი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხუთი მოწვევის დეპუტატი, **მინიჭებული ჰქონდა ჯანდაცვის ორგანიზატორის უმაღლესი კატეგორია, იყო საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმი.** დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, მედლებითა და სიგელებით (ჯ.დიასამიძე, ი. დიასამიძე, 2013:98).

ი. დიასამიძე გარდაიცვალა 1979 წელს. მისი განშორებით გამოწვეული ტკივილი ირაკლის ახლო მეგობრებსა თუ ნათესავებს ვერასოდეს ვერ მოუშუშდება. ბატონ ირაკლის თავისებური ჰქონდა გარეგნობა, შინაგანი სამყარო, სხვანაირი მეგობრობა და სიყვარული იცოდა. ელეგანტურობა, დახვეწილი მანერა, ლამაზი და მადლიანი გამოხედვა მაშინვე იპყრობდა გარშემომყოფთა ყურადღებას. ვინც ახლოს იცნობდა ბატონ ირაკლის, ყველა მოხიბლული იყო მისი სულიერი სამყაროთი, იტელექტით, ბავშვური გულჩვილობითა და სხვა ჰუმანური თვისებებით. ხშირად ემოციები იპყრობდა ბატონი ირაკლის გონებას, თუმცა ვერსად ნახავდით ხელოვნურობის კვალს. მას სიკეთის კეთებისათვის მოწოდებული დიდი გული ჰქონდა, საიდანაც თანაბრად ანაწილებდა სითბოსა და სიყვარულს. თანდაყოლილი თავდაბლობის გამო არავის ჭრიდა თვალს, არ პოზიორობდა, წინა პლანზე არ წევდა თავის პიროვნებას. ასეთი ადამიანები სიცოცხლეში შეუმჩნეველნი არიან, მაგრამ როცა ქვეყანას ტოვებენ, მაშინვე ჩნდება სიცარიელე, რომლის ამოვსება ვეღარასოდეს მოხდება.

ადამიანის გონიერი სიცოცხლე ორი ასაკისაგან შედგება. პირველი ასაკი ახალგაზრდულია, როცა შენს წრეში ახალ-ახალი მეგობრები შემოდიან. შესაბამისად ფართოვდება ადამიანის სულიერი სამყაროც. ამ დროს ცხოვრება ნაირფერ ყვავილთა თაიგულს ჰგავს. ადამიანიც ყველაფერს ვარდისფერი სათვალეებით უცქერს. მეორე ასაკში ეს ყვავილები თანდათან ჭკნება, იზრდება სიცარიელე. ამ დროიდან ცხოვრება მოკლებულია რომანტიკულ სილაღეს და მომხიბლელობას. ბატონი ირაკლი მეგობრობის თაიგული იყო. მისი დაჭკნობა აცნობიერებინებს ადამიანს მეორე ასკის სიმძიმეს. ეს განცდა მუდამ აწუხებს ადამიანს, რაც გვავალდებულებს სიცოცხლეშივე ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემას.

ვლადიმერ დიასამიძე

ადამიანი, მითუმეტეს ამაგდარი და დამსახურებული პიროვნება მის მიერ ხანგრძლივი შრომით განვლილ გზას რომ გადახედავს, ახარებს ის ფაქტი, რომ ერთი დღეც არ უცხოვრია მოვალეობის მაღალი გრძნობისა და უდიდესი პასუხისმგებლობის გარეშე, როცა აცნობიერებს, რომ მასაც აქვს შეტანილი ქვეყნის მშენებლობაში, მასაც მოუტანია სარგებელი თანამემამულეებისათვის, გაუთბია ადამიანთა გულები.

ერთ-ერთი ამათგანია **სამედიცინო სამსახურის მაიორი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, აჭარის დამსახურებული ექიმი,** შესანიშნავი მოქალაქე, ქართული სამედიცინო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი **ვლადიმერ დიასამიძე.**



ცხოვრების სასახელო გზა განვლო ვლადიმერ დიასამიძემ. იგი დაიბადა 1915 წელს. 1933 წელს დაამთავრა დაბა ქედის საშუალო სკოლა, შემდეგ კი მიაშურა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელს და აქაც ერთი უწყინარი, უსაზღვროდ კეთილი, მოყვასის გამკითხავი, გულისხმიერი და ამავე დროს ცოდნისმოყვარე ადამიანის იმიჯი შეიქმნა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1941 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. ერთი წლის შემდეგ, 1942 წელს სწავლა განაგრძო ხარკოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. პროფესორ- მასწავლებლებმა მაშინვე შენიშნეს გულმოდგინე და ალალმართალი ახალგაზრდა ქართველი სტუდენტის მოწადინება, უნარი და შესაძლებლობები. უცხო გარემოში მყოფს არ გა-

ჭირვეგია ახალ პირობებთან შეგუება, გაიჩინა უამრავი მეგობარი და კეთილის მსურველი.

ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ვლადიმერ დიასამიძე ბრუნდება სამშობლოში და მუშაობას იწყებს ქალაქ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის სანიტარულ-ეპიდემიურ სადგურში მორიგე ექიმად. 1950-1963 წლებში მუშაობდა მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ: ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში ექიმ-ვენეროლოგად, პოლიკნიკის განყოფილების გამგედ, მთავარ ექიმად. 1968-1975 წლებში მუშაობდა ბათუმის №-2 საავადმყოფოში.

თავისი ცხოვრების მანძილზე თითოეულ ჩვენთაგანს ურთიერთობა გვაქვს უამრავ ადამიანთან, რომლებიც სხვადასხვაგვარად ასრულებენ მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მათ შორის თითზე ჩამოსათვლელია ისეთ ადამინთა რიცხვი, ვინც "ვერ ახერხებს" უგულისყურობას, მოვალეობის სათანადო დონეზე შეუსრულებლობას. ვლადიმერ დიასამიძე ყოველთვის დიდი ყურადღებით, სიზუსტით, სიყვარულით აკეთებდა თავის საკეთებელს. მის მიერ განვლილი გზა – დიდი გზაა. ეს გზა ეკლიანიც იყო და ვარდ ყვავილიანიც, მწარეც და ტკბილიც, სალხენიც და სამწუხაროც, მაგრამ ყოველთვის, სუფთა და გამჭვირვალე, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ამოსუთქვაზე პატიოსნებით ნათელცხებული, დიდსულოვანი, საქმიანი, აზრიანი. სწორედ ამის გამო უყვარდათ ყველას, ვისაც კი მასთან შეხვედრის ბედნიერება ჰქონია.

ღვაწლმოსილი ადამიანის დამსახურება სათანადოდ დაფასდა. მას დაუმადლებლად მიენიჭა **აჭარის დამსახურებული ექიმისა** და **სამედიცინო სამსახურის მაიორის წოდება, დაჯილდოეს "შრომის წითელი დროშის"ორდენით**ა და საპატიო სიგელით.

ვახტანგ დიასამიძე* (1910-1985)

არიან ადამიანები, რომელთა თავდადებული გარჯა, ხალხის სიყვარული და ბუნებით მომადლებული ძველქართული კეთილშობილება მისაბაძი და სამაგალითოა გარშემომყოფთათვის. ერთ-ერთი მათგანია **ვახტანგ დიასამიძე.** ერთ დროს ხალხმრავალ და მუჰაჯირობის შემდეგ თითქმის დაცარიელებულ სოფელში – მირვეთში დაიბადა ბატონი ვახტანგი, აღიარებული და დაფასებული დასტაქარი.

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ქართული სოფელი იქცა დაძაბული ბრძოლების ასპარეზად. გლეხობის ნაწილი ხსნას განათლებაში ხედავდა. ამიტომაც იყო, რომ ბატონი ვახტანგი და მისი ბიძაშვილი ავნი დიასამიძე ერთ-ერთი პირველები მიაბარეს მშობლებმა ქართულ სკოლაში. გაივლის წლები და ბ-ნი ვახტანგი, როგორც სამხედრო ექიმი 18-ე არმიის რიგებში იბრძოლებს ქერჩის სრუტესთან, ბ-ნი ავნი კი – ისიც ექიმი, გერმანიაში, ფრონტული ჰოსპიტლის საოპერაციო მაგიდასთან შეხვდება ომის დასასრულს.

მანამდე კი იყო სწავლისა და თავაუღებელი შრომის მძიმე წლები. „პირველი ქართული წიგნი, ხელში რომ ავიღე, დედაენა იყო – იგონებს ბატონი ვახტანგი. კითხვა ავნიმ მასწავლა. მერე

* სტატია ეფუძნება ვ.ზოიძის ნარკვევს. იხ. ვ.ზოიძე, მგზნებარე მამულიშვილები, II, ბათ. 1994:289-310.

იგი ჰაიდარ აბაშიძის მიერ დაარსებულ ყოროლისთავის სკოლაში შეიყვანეს, მე კი ხელვაჩაურის ოთხწლედში. იქედან ბათუმის პედსასწავლებლის საბაზო სკოლა-ინტერნატში დამსვეს – პირდაპირ მეოთხე კლასში.“

ბათუმის პედსასწავლებელში მასწავლებლობდნენ ცნობილი პედაგოგები: ნიკოლოზ ლორთქიფანიძე (დირექტორი), ლავრენტი შარაშიძე, მიხეილ ჩიმაკაძე, გრიგოლ გიორგაძე, ალიოშა გრიგოლია, დათა ჯავახიშვილი, გიორგი ჩხაიძე, მხატვარი ილიუშინი და სხვები.

რვა წელი დაჰყო დიასამიძემ პედსასწავლებელში. ჯერ საშუალო დაამთავრა, შემდეგ კი სასწავლებელი. 1934 წელს, პედსასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ხულოს რაიონული გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად დანიშნეს. გაზეთის რედაქტორი მაშინ ნესტორ მალაზონია იყო. მალე ბატონი ვახტანგი გააგზავნეს აჭარისწყლის 8-წლიან სკოლაში მასწავლებლად. ზოგიერთი მოსწავლე მასზე უფროსი იყო ასაკით, მაგრამ სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე ძალზე მაღალი ავტორიტეტი მოიხვეჭა.

1935 წელს ვ. დიასამიძე ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1940 წელს და დაინიშნა რესპუბლიკური საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ორდინატორად. ის იყო შეეჩვია ახალ გარემოს, რომ იგი მოხალისედ წავიდა ხულოს რაიონის სოფელ დიოკნისში – საექიმო პუნქტის გამგედ. იმ დროს სოფლად ექიმბაშები მძლავრობდნენ და უნდობლად ეკიდებოდნენ ქალაქიდან ამოსულ ექიმს, მაგრამ მალე იგი ისე დაუახლოვდა ხულოელებს, რომ ორსული ქალებიც აღარ ერიდებოდნენ და მშობიარობის დროსაც სოფლის ექიმს უხმობდნენ.

1941 წლის აპრილის ერთ ღამეს მოულოდნელად გაუღვიძებიათ ახალგაზრდა ექიმი და სოფელ კორელოხში წაყოლა უთხოვიათ – მშობიარე ქალი კვდება, ბებია ქალებმა ვერაფერი გააწყეს და თქვენ უნდა დაგვეხმაროთო. 7 კმ. ფეხით გაიარა შუაღამისას და დახმარება გაუწია მშობიარე ქალს. ექვსი შვილი

ჰყოლია პაციენტს, ექვსივე გოგონა. განთიადისას ბიჭი დაბადებულა.

1942 წ. 1 მარტს ვახტანგ დიასამიძე ომში გაიწვიეს. მალე იგი საზენიტო პოლკის სანიტარული სამსახურის უფროსად დანიშნეს. 1942 წ. ნოემბერში პოლკი გადაიყვანეს ნოვოროსიისკის მიდამოებში. ახლა ვახტანგის ნაწილი მე-18 არმიის შემადგენლობაში იბრძოდა, სადაც დაიჭრა კიდეც.

ფრონტიდან დაბრუნებულს, მერე კი დემობილიზებულს არავისთვის არ უჩვენებია ჭრილობა. რაოდენ დიდი გასაჭირიც არ ყოფილიყო, იგი არასდროს წუწუნებდა, არავის მიატირებდა თავის სატკივარს, პირიქით, აქეთ ჰკითხავდა – რაიმე ხომ არ გიჭირსო. ბევრის მნახველი კაცის თვისებაა ეს — მამა-პაპათაგან მომადლებული მოთმინებისა და გამძლეობის უნარი ჰქონდა ამ ღირსეულ კაცს.

სოჭში მძიმე დაჭრილს დიზენტერია დაემართა. ცოტა რომ მომჯობინდა, ერთი თვით შვებულება მისცეს სახლში წასასვლელად. ოჯახში ჩამოსულს ჭრილობა გაეხსნა და მოათავსეს ქობულეთის ჰოსპიტალში. მთელი ექვსი თვე ებრძოდა სიკვდილს. ოქტომბერში ჰოსპიტლიდან გამოეწერა და კომისარიატში გამოცხადდა. ფრონტისთვის უვარგისი ხარო – უთქმიათ მისთვის და თბილისში, ერთ-ერთ ნაწილში გაუმწესებიათ, შემდეგ კი გადმოიყვანეს ბათუმში ნაწილის სამედიცინო სამსახურის უფროსად.

დემობილიზაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა რესპუბლიკური საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებას. ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის იგი დააჯილდოვეს „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

40-იანი წლების მეორე ნახევარში ვ. დიასამიძე ბათუმის №2 პოლიკლინიკის მთავარი ექიმია. მისი მოთავეობით ბათუმში გაიხსნა ბავშვთა სპეციალიზებული საავადმყოფო. იმ დროს ხულოში იფეთქა ეპიდემიამ. ვ. დიასამიძე კვლავ ხულოშია. მან მალე დაადგინა ეპიდემიის გამომწვევი მიზეზები და დაიწყო ნამდვილი ბრძოლა ინფექციის კერების სალიკვიდაციოდ. ხულოში იგი დარჩა 1952 წლამდე – ჯამრთელობის დაცვის განყოფილე-

ბის გამგედ. მისი ინიციატივით რაიონის შორეულ სოფლებში – თხილვანაში, კალოთაში, ვერნებსა და ფუშრუკაულში გაიხსნა საფერშლო-საბებიო პუნქტები.

მალე ვ. დიასამიძე მოსკოვში გააგზავნეს სპერანსკის კლინიკაში, მაგრამ დისერტაციას ისევ ბავშვთა მკურნალობა არჩია და უკან დაბრუნდა. მისი აქტიური მონაწილეობით ანგისაში დაიწყეს ბავშვთა 150 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა, რომელიც გაიხსნა 1964 წელს. ბატონი ვახტანგი ყოველ დღეს დადიოდა მშენებლობაზე. 30 წელი იმუშავა მთავარ ექიმად ვ. დიასამიძემ. მერე პენსიაზე გავიდა. ჩვეულებად ჰქონია — დილაადრიანად ჩამოივლიდა საავადმყოფოს, მერე ჩამოჯდებოდა და ისვენებდა. ეს ჩვევა პენსიაზე გასვლის შემდეგაც შერჩენია. „ბატონო გახტანგ, – ეხვეწებოდნენ თურმე ექიმები – მანდ ნუღარ ჯდებით, თორემ დაგვიანებულები რომ მოვდივართ სამსახურში, ისევ მთავარი ექიმი გვგონიხართ და გვეშინიაო.“ გულიანად გაუცინია დასტაქარს და უთქვამს: მე ამ ჩვევას ვერ მოვიშლი, სჯობს თქვენ აღარ დაიგვიანოთო.

რამდენი ადამიანის ლოცვა ახსოვს მადლიან მკურნალს. ბევრ მათგანს იგი ახლოს იცნობდა. ბევრი წერილიც მიუღია მათგან. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთი პაციენტის წერილმა:

„პატივცემულ პატარების მკურნალს!

1966 წ. 15 იანვრის გაზეთ „კომუნისტში“ ვნახეთ თქვენი სურათი, რომელმაც აღგვაფრთოვანა ღვანიების იჯახი. ჩემი პატარა ჩვილი ბიჭი თქვენთან, ბათუმის რესპუბლიკის საავადმყოფოში დავაწვინე. თქვენ იყავით მისი მკურნალი ექიმი. ბავშვი მძიმედ ავად იყო. კარგი მკურნალობის შემდეგ ბავშვი გადამირჩინეთ. დღეს ის პატარა 27 წლისაა და მუშაობს თბილისის მეტროპოლიტენში.

1940 წლიდან ვმუშაობდით მირვეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მე და ჩემი მეუღლე ლავრენტი ღვანია. ბინად თქვენს ოჯახში ვიყავით, თქვენს დედასათან. უფასოდ გვივლიდა საკუთარი შვილებივით. ომის დაწყებისას ჩემი ქმარი ჯარში გაიწვიეს. მე და ჩემი პატარა კიდევ ხუთ წელს დავრჩით მირვეთში.

დიდ მადლობას გწირავთ პატივცემულო ექიმო და ძმაო ვახტანგ. გისურვებთ ჯამრთელ სიცოცხლეს და წარმატებებს ...

ლუბა და ლავრენტი ღვანიები. 18 01-1966 წელი".

ალბათ მარტო ამ წერილისთვის ღირდა ცხოვრებაო – უთქვამს ბ-ნ ვახტანგს. 14 წლის მანძილზე — 1952 წლიდან 1966 წლამდე ვ. დიასამიძე ბათუმის სამედიცინო სასწავლებელშიც მუშაობდა. იყო კლინიკური საგნების მეთოდკომისიის თავმჯდომარე, ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, მისი ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით გადაწყდა არა ერთი საავადმყოფოს აშენების საკითხი, მათ შორის ქობულეთშიც.

ვ. დიასამიძეს ბავშვთა ასაკში თირკმლების დაავადების, ბრონქიალური ასთმის, კუჭის წყლულის მკურნალობასა და სხვა საკითხების შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.

ომის დროს, 1944 წელს დაოჯახდა ვ. დიასამიძე. მისი მეუღლე მარიამ ქოიავაც ექიმი, ფარმაცევტი იყო. ექიმია მათი ქალიშვილიც, რომელიც მამასთან მუშაობდა. ბავშვების მკურნალია მისი ძმისშვილი – ჯემალი, მეცნიერებათა კანდიდატი. ასე, რომ ხარობს სიკეთის ნერგი, რომელსაც გახმობა არ უწერია.

შესანიშნავი ექიმი – ბრწყინვალე მოქალაქე —ერთგული მეგობარი, არაჩვეულებრივი თამადა. ასე აცნობდნენ ვახტანგ დიასამიძეს. უზომოდ ღვინოს არ სვამდა. მაგრამ მამაპაპური მოლხენა და შექცევა სცოდნია.

ხანდახან იტყვიან – ექიმებს, პოეტებისა არ იყოს, არ უყვართ ერთმანეთიო. ეს მოარული გამოთქმა ალბათ იმათი მოგონილია, ვისთვისაც მედიცინა და პოეზია სახელის და გამოჩენის წყაროა მხოლოდ. ბათუმში ვერც ერთი ექიმისაგან ვერ გაიგონებ აუგს ბატონი ვახტანგის შესახებ.

უკანმოუხედავად მირბიან წლები. ბევრი რამ, რაც ასე ნათელია დღეს, ძნელადსაცნობი ხდება დროთა ვითარებაში, ხშირად ვივიწყებთ ადამიანებს. ბატონი ვახტანგის სახელი კი დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

ᲓᲣᲠᲡᲣᲜ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ (1926-2018)

ვინ იცის მერამდენედ მოუსმენიათ ავადმყოფის მავედრებელი ხმა აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილებაში. ვინ იცის, უკვე მერამდენედ ჰპირდებიან ექიმები პაციენტებს, რომ არაფერია საშიში, მერე კი თავისებურად ცდილობენ „არ ატკინონ,“ უფრო ზუსტად, მდგომარეობა შეუმსუბუქონ.

თანდათან დასტაქარები უფრო სანდომიანი და ახლობლები ხდებიან და იწყება პაციენტ-ექიმის ურთიერთობა, რომელიც მეგობრობაშიც გადაიზრდება ხოლმე.

მიმღებ განყოფილებაში არის სტატისტიკა იმ პაციენტებისა, რომლებიც საჭიროებენ სტაციონალურ მკურნალობას. ამ სტატისტიკაში გარკვეული წილი მოდის ყელ-ყურ ცხვირის განყოფილების მუშაობაზე.

განყოფილების არსებობის მანძილზე ვინ იცის, რამდენი პაციენტი შესულა საავადმყოფოში. ყველა ფიქრობს, რომ აუცილებლად ეტკინება, მაგრამ ექიმი „თამაშობს“ ავადმყოფთან, ცდილობს პაციენტის ნდობის მოპოვებას, რაც არც თუ ისე ადვილი მოსაპოვებელია ჩვეულებრივი ადამიანისათვის. Nდობის მოპოვებისათვის საჭიროა ტაქტი, პაციენტის სიყვარული, პატივისცემა, ტკბილი ენა და ზოგჯერ მსახიობობაც. ყველა ეს თვისება მოჭარბებულად აქვს აჭარისა და საქართველოს დამსახურებულ ექიმს, „ხალხთა მეგობრობის“ ორდენის კავალერს, ბათუმის საპატიო მოქალაქეს, ბატონ **დურსუნ დიასამიძეს.**

დურსუნ ხუსეინის ძე დიასამიძე დაიბადა 1926 წ. ბათუმის რაიონის სოფელ ანგისაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დ. დიასამიძემ სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში. 1945 წელს იგი ჩაირიცხა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1950 წ. მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონში – უბნის ექიმად. სპეციალიზაციის კურსების გავლის შემდეგ ბ-ნი დურსუნი კვლავ ბრუნდება ხულოს რაიონში ექიმ-რენტგენოლოგად. 1952 წლიდან ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით სამუშაოდ გადმოდის ბათუმში, ჯერ ტუბერკულოზურ დისპანსერში, შემდეგ კი ქალაქის №1 და რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმ-რენტგენოლოგის თანამდებობაზე.

ცოდნას დახარბებულმა დასტაქარმა 1955-1957 წლებში გაიარა ორწლიანი კლინიკური ორდინატურა ლენინგრადის (ეხლ. პეტერბურგის) №1 სამედიცინო ინსტიტუტის ლარინგოლოგიის კათედრაზე.

სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონულ და ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოებში ექიმ-ლარინგოლოგის, განყოფილების უფროსი ორდინატორის თანამდებობაზე, 1963-წლიდან კი ამ განყოფილების გამგეა. იმავე დროს, იგი ხელმძღვანელობს აჭარის ლარინგოლოგთა საზოგადოებას. 1964 წლიდან ბატონი დურსუნი არის აჭარის მთავარი ლარინგოლოგი.

ბატონ დურსუნს პრაქტიკა და ცოდნის გაღრმავება არასოდეს დაუშორებია ერთმანეთისათვის. იგი ყოველდღიურად ზრუნავდა ცოდნის გაღრმავებისათვის, საუკუნეებით ჩამოყალიბებული მდიდარი სამედიცინო ტრადიციების შენარჩუნებისათვის, ცდილობდა თავისი გამოცდილება, პროფესიისადმი სიყვარული და მისთვის დამახასიათებელი შესაშური პასუხისმგებლობა ჩაენერგა ახალგაზრდა კოლეგებისათვის.

მისი ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით აჭარაში ჩამოყალიბდა ოტოლარინგოლოგიური, ცოტა მოგვიანებით ბავშთა ლარინგოლოგიური განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მისი აღზრდილი ექიმი, ბრწყინვალე დასტაქარი, ზრდილობიანი და წესიერი ახალგაზრდა რეზო პერტია.

დურსუნ დიასამიძემ თავის კოლეგებთან ერთად თანამედროვე გამოკვლევებისა და მკურნალობის მეთოდების დანერგვით ლარინგოლოგიის ბათუმის სკოლას შეუქმნა სათანადო ავტორიტეტი. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი სიყვარულითა და პატივისცემით არაერთ ახალგაზრდას აურჩევია ექიმის ურთულესი პროფესია, რაც მიღწევათა შორის ყველაზე უფრო მაღალი ჯილდოა ნებისმიერ ადამიანისათვის.

ჯანდაცვის სისტემაში შეტანილი წვლილისათვის ბატონ დურსუნს **1967 წელს მიენიჭა აჭარის, ხოლო 1987 წელს – საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. იგი იყო ქირურგის უმაღლესი წოდების მფლობელი, დაჯილდოებულია "ხალხთა მეგობრობის" ორდენით (1986 წ), აჭარის უმაღლესი, შემდეგ უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელებით (1976, 1984 და 1996 წლებში), მინიჭებული აქვს ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება (1987 წლიდან), არჩეული იყო ლარინგოლოქთა VI-VII-VIII საკავშირო ყრილობების დელეგატად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.**

ბატონი დურსუნი შესანიშნავი მეოჯახეცაა. ჰყავს მეუღლე (პროფესიით ექიმ-გინეკოლოგი) და სამი შვილი. უფროსი ვაჟი – ბეხრი დიასამიძე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კვალიფიციური ექიმი, განყოფილების გამგე-აგრძელებს საოჯახო ტრადიციას და პაციენტთა საყვარელი მკურნალად ითვლება.

მეორე შვილი-ელდარი ინჟინერ-ეკონომისტია, უფროსი ვაჟი კი ასევე ღირსეული დასტაქარია.

ბატონი დურსუნი 8 ათეულ წელზე მეტ ხანს იცხოვრა. გარდაიცვალა 2018 წელს.

ლევან დიასამიძე (1935-1990)

დიასამიძე ლევან ხემდისძე დაიბადა 1935 წელს, სოფელ მირვეთში. 1965 წელს დაამთავრა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი. 1966 წლიდან გარდაცვალებამდე (1990 წლამდე) მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის სანიტარულ – ეპიდემილოგიური სადგურის უფროსის მოადგილედ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 7 ივლისის ბრძანებუ-

ლებით **მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის წოდება.**

ავთანდილ დიასამიძე

ჩვენი თაობის (და არა მარტო ჩვენი თაობის) ადამიანები კარგად იცნობენ სიმართლითა და მგზნებარეობით, უმწიკვლო პატიოსნებითა და ღრმა რწმენით, მეგობრობითა და პროფესიონალიზმით გამორჩეულ დასტაქარს, ტრავმატოლოგ-ორთოპედს, უმაღლესი კატეგორიის მკურნალს, საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური განყოფილების გამგეს, აჭარის არ ჯამრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ექსპერტს ტრავმატოლოგია-ორთოპედიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორ ბატონ ავთანდილ დიასამიძეს – კაცს რომელსაც თავდავიწყებით უყვარს თავისი პროფესია და თავის საკეთებელს აკეთებს გულის კარნახით, დიპლომატიური ზიგზაგების გარეშე. შესაბამისად, ბავშვური უშუალობით განიცდის წარმატებით განპირობებულ სიხარულს თუ წარუმატებლობით გამოწვეულ მწუხარებას. მთავარი ისაა, რომ მას სწამს, რასაც აკეთებს და აკეთებს იმას, რაც სწამს. ეს მისი გამორჩეული თვისება – მონოლითურობა, რწმენა, პრინციპულობა, პაციენტებისადმი სიყვარული და პროფესიისად-

მი ერთგულება შთამბეჭდავად აისახა მისი მეგობრების, სტუდენტებისა თუ ახლობლების მეხსიერებაში.

ავთანდილ დიასამიძე დაიბადა 1942 წელს, ქედის რაიონის სოფელ გულებში. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქედის დავით გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლა. ცოტა მოგვიანებით, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. სწავლასმოწყურებულმა ჭაბუკმა იმთავითვე მიიპყრო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. ავთანდილ დიასამიძე ჩაება საგნობრივი წრეებისა და სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, სტუდენტთა ახალგზრდობის საინსტიტუტო ორგანიზაციების საქმიანობაში. მის მეგობრებს კარგად ახსოვთ ის დღეები და გაოცებული იყვნენ იმ საოცარი ინთუზიაზმით, რომლითაც მოკიდა ხელი სამკურნალო საქმის შესწავლას. ბატონი ავთანდილი რომანტიკული გატაცებით ეუფლებოდა ქართული სამედიცინო სკოლის სახელოვან ისტორიას და რამოდენიმე წლის შემდეგ საზოგადოების წინაშე წარსდგა, როგორც მაღალკვალიფიციური ექიმი, ხელმარდიანი დასტაქარი.

ა. დიასამიძემ 1965 წელს წარჩინებით დაასრულა სამკურნალო ფაკულტეტის სრული კურსი და განაწილებით მუშაობა დაიწყო მშობლიური რაიონის მაშინდელი ოქტომბრის სასოფლო საბჭოს საექიმო ამბულატორიის ქირურგად. 1968-1969 წლებში იგი ქალაქ მოსკოვის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური სათავო ინსტიტუტის კლინიკური ორდინატორია, ხოლო 1971-1975 წლებში გაიარა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა. Iქვე, 1976 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ძიებული ხარისხი და უკვე სამეცნიერო ცენზით დამშვებული დაუბრუნდა მშობლიურ ქვეყანას. მალე ავთანდილ დიასამიძემ მუშაობა დაიწყო ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში – ჯერ უფროს ორდინატორად, ხოლო 1979 წლიდან ქალაქის №1 საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში ჯერ უფროს ორდინატორად, შემდეგ კი (1994 წლიდან) ამავე განყოფილების გამგედ.

ბატონ ავთანდილს მომადლებული აქვს კოლექტივთან მუშაობის, პაციენტებთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი ნიჭი. მან თავის განყოფილებაში დაამკვიდრა „სათაყვანო ადმინისტრატორის“ და ხელმძღვანელის ტრადიცია, ხოლო პაციენტებისათვის იქცა უსაყვარლეს ექიმად. მისი კაბინეტიდან არცერთი პაციენტი არ გამოსულა გულნატკენი. “ბატონი ავთოს ენა მედიკამენტებზე უფრო უკეთ მოქმედებსო“ – არ მალავენ მადლიერი პაციენტები.

პრინციპულობას, მკაცრ მომთხოვნელობას იგი ყოველთვის უხამებს გულტკბილობასა და ზრუნვას თითოეული თანამშრომლისა და პაციენტისადმი. ას გულთან ახლოს მიაქვს პაციენტთა პირადი სატკივარზე. საავადმყოფოს მრავალრიცხოვანი კოლექტიდან, მეგობრებიდან და პაციენტებიდან ბევრს ახსოვს მისი ძმური დახმარების მადლყ. იგი მუდამ მზადაა ადამიანის დასახმარებლად ბოლომდე დაიხარჯოს, შეაწუხოს ყველა, ხელქვეთი თუ იერარქიული კიბის მაღალ საფეხურზე მყოფი პიროვნება, რათა სიკეთე ბოლომდე მიიყვანოს. ამიტომაც უყვართ ყველას. რაოდენ მწვავეც არ უნდა იყოს მისი გამონათქვამი, ყველამ იცის, რომ ა. დიასამიძის მკერდში ალალი გულია და უსამართლოდ არავის მოეპყრობა.

ბატონი ავთანდილი უყვართ და პატივს სცემენ არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. წლების განმავლობაში იგი იყო ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ორთოპედია-ტრავმატოლოგიის სამეცნიერო საზოგადოების წევრი, შემდგომში აჭარის ახალგაზრდა მეცნიერ-მედიკოსთა სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე. იგი არის 40-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, ოთხჯერ მიიღო მონაწილეობა იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის ორთოპედ-ტრავმატოლოგთა საკავშირო ყრილობის, მრავალი სამეცნიერო კომფერენციისა და სიმპოზიუმის მუშაობაში, მის მიერ დაინერგა არაერთი სიახლე ორთეპედიულ-ტრავმატოლოგიური დაავადებების მკურნალობაში.

შესანიშნავი ექიმი სტუდენტთა საყვარელი მასწავლებელიცაა. ბატონი ავთანდილი სტუდენტთა პროფესიულ დაოსტატებისა და აღმზრდელობითი მუშაობის დიდი ენთუზიაზტია, რაშიც დიდ

დახმარებას უწევს წლების განმავლობაში დაგროვილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. იგი ჭეშმარიტი პატრიოტია, რომელსაც ხელეწიფება ყველა თაობის ადამიანთან (განურჩევლად პროფესიისა) ახლო ურთიერთობის დამყარება. ბუნებით ინტერნაციონალისტი ყოველთვის დგას მშობლიური ერის ინტერესების სადარაჯოზე, გამოირჩევა პირდაპირობით, ისტორიული სიმართლის აღდგენის მკაცრი მოთხოვნით.

საოცრად თავისებური, შეიძლება ითქვას, განუმეორებელია ბატონი ავთანდილი პირად ცხოვრებაში, რომანტიკულად ამაღლებული სუფრასთან, თავდავიწყებული ამხანაგურ ურთიერთობაში. მის საქმიანობაში არაფერია ხელოვნური და ნაძალადევი. იგი ზოგჯერ არღვევს კიდეც ეგრეთწოდებულ "საწესდებო" ნორმებს, მაგრამ ასეთი დარღვევები კიდევ უფრომეტ კოლორიტულობას ანიჭებს მის პიროვნებას. მთავარი ისაა, რომ მას ბუნებით, ტრადიციით, პროფესიით მოდგამს ზრუნვა ადამიანებზე და გაუცნობიერებლადაც კი სიკეთეს თესავს.

ბატონ ავთანდილს ჰყავს შესანიშნავი მეუღლე (მზევინარ ქიქავა, ექიმ-რეპტოდუქტოლოგი), ორი ვაჟიშვილი (რომელთაგან ერთი მამის კვალს გაჰყვა და მუშაობს მის გვერდით) და ერთი შვილიშვილი.

ტკბილი მოსაუბრე, საკუთარი თავისადმი ყველაზე ნაკლებად მზრუნველი, უპრეტენზიო მაგრამ ნათელი იდეალების მატარებელი დასტაქარი კვლავაც ამაყად დააბიჯებს ბათუმის ქუჩებში, იღწვის და შრომობს, რათა კვლავაც გაათბოს დროის უკუღმართობით გაციებული ადამიანთა გულები.

დიასამიძეები სამართალდამცავ სტრუქტურებში

განუსაზღვრელია დიასამიძეთა წვლილი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის, ფაშიზმის განადგურების, ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნების განთავისუფლებისა და ცივილიზაციის ფაშიზმისაგან გადარჩენის, ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მათი სახელები ჩვენთვის მუდამ დარჩება თავისუფლებისათვის ბრძოლის, სამშობლოს სიყვარულისა და თავგანწირვის მაგალითებად.

იუსუფ დიასამიძე (1909-1979)

პოდპოლკოვნიკი იუსუფ დიასამიძე – ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კიბის მკვიდრია. 1940 წ. გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მონაწილეობდა სახელმწიფო საზღვრების გამაგრებაში. იგი ახალგაზრდებს საარტილერიო ტექნიკისა და საომარი ხელსაწყოების ათვისებაში ეხმარებოდა. პირველი საბრძოლო ნათლობა ი. დიასამიძემ მიიღო მოსკოვთან. იგი იყო 58-ე არმიის მეოთხე მსროლელი დივიზიის საარტილერიო შეიარაღების მომარაგების უფროსის მოადგილე. მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში როსტოვის მიმართულებითაც. მონაწილეობას იღებდა სადაზვერვო ოპერაციებში. ბრძოლაში გა-

მოჩენილი მამაცობისათვის იგი ორჯერ დაჯილდოვდა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით. ბალტიისპირეთის და გათავისუფლებისა და კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის დაჯილდოვდა მედლებით – **„საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“.** ომის პერიოდში ი. დიასამიძემ დაიმსახურა 12 საბრძოლო ჯილდო. 1944 წლიდან ი. დიასამიძეს მიანდეს ახალბედა არტილერისტების აღზრდა. მალე მან დაასრულა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და სამხედრო აკადემია.

სხვადასხვა დროს მუშაობდა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის და ციტრუსკომბინატის მთავარ მექანიკოსად, ბათუმის სასმელ-მექანიკური ქარხნის დირექტორად, **მოგვიანებით კი საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.**

გარდაიცვალა 1979 წელს.

ადამ დიასამიძე (1912-1973)

ადამ ივანეს ძე დიასამიძე დაიბადა 1912 წელს თბილისში. 1938 წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და არჩეული იქნა თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლედ.

1941-1947 წლებში საბჭოთა არმიის რიგებშია, აქტიურად მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. 1947-1961 წლებში სხვადასხვა დროს მუშაობდა ქარელის რაიონის სახალხო მოსამარ-

თლედ, ახალქალაქის რაიონის პროკურორად, საჩხერის რაიონის პროკურორად. 1961 წლიდან გარდაცვალებამდე (1973 წ.) იყო საქართველოს პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილების პროკურორი, **მინიჭებული ჰქონდა იუსტიციის მრჩევლის წოდება. დაჯილდოებული იყო წითელი დროშის, 2 საბრძოლო წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და 6 მედლით.**

მიხეილ დიასამიძე*
(1913 – 1993)

ერთი იმათგანი, ვინც ქართველი ხალხის საამაყო შვილებთან ერთად სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში, გახლდათ იმერეთის მკვიდრი, ვანის რაიონის სოფელ გაღმა ვანში დაბადებული ვაჟკაცი, პატრიოტი, შემდგომში საბჭოთა კავშირის **გმირი მიხეილ სტეფანეს ძე დიასამიძე.**

მიხეილ დიასამიძე დაიბადა 1913 წელს, ღარიბი გლეხის ოჯახი. მის მშობლებს ორი ქალიშვილი და სამი ვაჟი ჰყავდათ. მრავალშვილიანი გლეხის ოჯახს უჭირდა ცხოვრება და პატარა მიხეილი ეხმარებოდა მშობლებს მეურნეობაში. იგი მხოლოდ ორი წელი იყო სოფლის სკოლაში.

1925 წელს ბიძამისმა ამბროსი დიასამიძემ მიხეილი აღსაზრდელად წაიყვანა ქალაქ ბაქოში, სადაც დაამთავრა 7-წლიანი

* სტატიის ძირითადი ნაწილი ამოღებულია წიგნიდან „მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო,“ თბ.1964, გვ. 163-166.

შრომის და ბაქოს სამხედრო სკოლა. 1933 წელს იგი გააგზავნეს ნოვოროსიისკში 22-ე მსროლელი დივიზიის 65-ე პოლკში სასწავლო ოცეულის მეთაურად. 1937 წელს დივიზია შორეულ აღმოსავლეთში გადაიყვანეს, სადაც სხვადასხვა დროს (1937-1941 წლებში) მეთაურობდა პოლკის სკოლას და ბატალიონს. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო იაპონელების განადგურებაში ხასანის ტბასთან. 1942 წლის მარტში მ. დიასამიძე 87-ე მსროლელ დივიზიაში დააწინაურეს პოლკის მეთაურად. 1942 წ. ივლისში ეს დივიზია გადაიყვანეს სტალინგრადის ფრონტზე, სადაც მ. დიასამიძემ და მისი პოლკის მებრძოლებმა გასაოცარი გმირობა გამოიჩინეს.

ერთ-ერთ გააფრთებულ ბრძოლაში მტერმა შეუნელებელი ცეცხლის ქვეშ მოაქცია პოლკი. მტრის ქვემეხებთან ერთად პოლკს ბომბავდა ავიაცია. მ. დიასამიძემ სწრაფად ჩაასანგრა თავისი მეომრები, მაგრამ მტერმა ისეთი ცეცხლი გახსნა, რომ დიასამიძის მეომრებს თავის წამოწევის საშუალებაც კი არ ჰქონდათ. ბრძოლაში ჩაება გერმანელთა სატანკო კოლონა 18 მანქანით. მტერმა შეავიწროვა მეზობლად მყოფი ერთ-ერთი ჩვენი ნაწილი და გეზი აიღო მ. დიასამიძის პოლკის პოზიციისაკენ. პოლკის მებრძოლებმა ახლოს მოუშვეს მტერი და მეთაურის ბრძანებისთანავე მძლავრი ცეცხლი გაუხსნეს ტანკსაწინააღმდეგო და სხვა სახის იარაღით. მტრის 6 ტანკი დამსხვრეული იქნა, ხოლო დანარჩენებმა უკან მოკურცხლეს. ამით ისარგებლეს მეომრებმა, გრიგალისებული ცეცხლი გაუხსნეს უკუქცეულ ჰიტლერებს და ბრძოლის ველი მათი გვამებით აავსეს. ამრიგად, მ. დიასამიძის პოლკმა პირველი საბრძოლო გამოცდა თვალსაჩინო გამარჯვებით დააგვირგვინა.

მტერი არ ცხრებოდა. მეზობელ უბანზე დასახლებული პუნქტი აიღო და წინ მოიწევდა. დივიზიის მეთაურის ბრძანებით მ. დიასამიძის პოლკს შეჩერება დაევალა. 25 აგვისტოს, გათენებისას დაიწყო შემხვედრი ბრძოლა. ჩვენმა მებრძოლეებმა გზები ჩაკეტეს და ჩასაფრდნენ ახალ პოზიციაზე.

მ. დიასამიძის პოლკმა მძიმე ბრძოლაში მოსპო მტრის მანქანები და დაიწყო ქვეითი ჯარების განადგურება, მაგრამ გერმა-

ნელებს მიეშველა მოტომექანიზებული ნაწილები. მდგომარეობა ძალზე გართულდა, მაგრამ საბჭოთა მეომრებმა ახლოს მოუშვეს მტრის მანქანები, შემდეგ ძლიერი გადამღობი ცეცხლი გახსნეს და გადავიდნენ მედგარ შეტევაზე. გერმანელები პანიკამ მოიცვა და გაიქცნენ, დიდძალი საჭურველი, მანქანები და სურათის მარაგი ადგილზე მიატოვეს. ამ ბრძოლაში მ. დიასამიძის პოლკმა მტრის ერთ ბატალიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა, მოკლა გერმანელთა პოლკის უფროსი, ხელთ იგდო მტრის საპოლკო დროშა, 70-მდე სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა, დიდძალი იარაღი, საჭურველი და სურსათი.

ბევრი სასახელო ბრძოლა გადაიტანეს მ. დიასამიძის პოლკის მეომრებმა, მაგრამ განსაკუთრებულია იმ გმირობისა და თავდადების ამბავი, რაც მათ 1942 წ. დეკემბერში ჩაიდინეს.

ეს მოხდა დაუვიწყარ დღეებში, როცა გადამწყვეტ შეტევაზე გადასული საბჭოთა ჯარები გარშემოერტყნენ ვოლგასთან მისულ გერმანელ ფაშისტთა ჯარების უდიდეს დაჯგუფებას. ჰიტლერული სარდლობა ყოველ ღონეს ხმარობდა გადაერჩინა მძლავრ მარწუხებში მომწყვდეული თავისი ნაწილები.

ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი უბნის დაცვა და შეტევაზე გადმოსული მტრის ნაწილების განადგურება მ. დიასამიძის პოლკს დაეკისრა. 5 დღე-ღამის განმავლობაში დიასამიძის მებრძოლები მტრის შეუწყვეტელ და გააფრთებულ კონტრიერიშებს იგერიებდნენ. მტერი 5-6-ჯერ მეტი ძალებით თავს ესხმოდა დიასამიძის პოლკს. მტერმა 1500-ზე მეტი თვითმფრინავგაფრენა მოაწყო, არტილერიამ ათასამდე ყუმბარა დააყარა პოლკის პოზიციას, ტანკებიც ძლიერი ცეცხლით უტევდნენ, მაგრამ დიასამიძის მეომართა რკინისებურმა ნებისყოფამ და საქმის ცოდნამ გაუძლო ყველა განსაცდელს, მტრის შეტევა მოგერიებულ იქნა, დიასამიძის პოლკმა გაანადგურა მტრის 94 ტანკი, 12 ჯავშნიანი მანქანა და დიდძალი სამხედრო ნადავლი ჩაიგდო ხელში.

ბრძოლებში მ. დიასამიძემ გამოავლინა მეთაურის შესანიშნავი უნარი, პირადი გამბედაობა და გმირობა. იგი ყოველთვის იქ ჩნდებოდა, სადაც დიდი გასაჭირი იყო და ბრძოლის ბედი წყდე-

ბოდა. მ. დიასამიძე ორჯერ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ არც ერთხელ არ დაუტოვებია ბრძოლის ველი. დაჭრილ მ. დიასამიძესთან მივიდა მისი დივიზიის მეთაური, დაიხარა ძირს და უთხრა-ძვირფასო მიხეილ სტეფანესძევ მომილოცნია! მივიღეთ ტელეფონოგრამა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით თქვენი პოლკი გარდაქმნილია გვარდიულ პოლკად. აგრეთვე მადლობა გამოგეცხადათ თქვენ და თქვენი პოლკის მთელ შემადგენლობას. დიასამიძეს სახე გაუბრწყინა ღიმილმა. ამ მოკლე ცნობამ გულის სიღრმემდე ააღელვა იგი. პოდპოლკოვნიკმა მაგრად ჩამოართვა ხელი გენერალს.

სსრ კავშირის უმაღლესი სამჭოს პრეზიდიუმის 1942 წ. 22 დეკემბრის ბრძანებულებით მრავალგზის ორდენოსან პოდპოლკოვნიკს მიხეილ სტეფანესძე დიასამიძეს პირადი თავდადებისა და პოლკისადმი უნარიანი ხელმძღვანელობისათვის **მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება**.

თავის შესანიშნავ საფრონტო ნარკვევში „დიდების ხმები“ (გაზ. „იზვესტია,“1942წ. 1 იანვარი) ნ. ტიხონოვი წერდა: „ქართველი ხალხის შვილი ებრძვის გერმანელთა ურდოებს, როგორც შავ ქაჯებს: ბრძოლის ოსტატები იყვნენ ძველი ქართული ეპოსის გმირები, მაგრამ დიასამიძე როდი ჩამოუვარდება მათ. დახოცილთა გვამებით მოჰფინა დიასამიძემ გერმანელთა ბატალიონების გზა, ცეცხლმოკიდებული ტანკებით გააშუქა იგი, როგორც ჩირაღდნებით“.

მძიმე ჭრილობების განკურნების შემდეგ მ. დიასამიძე კვლავ არმიის რიგებში ჩადგა. ყველამ გაიგო დიასამიძის პოლკის მებრძოლების გმირობა, რაც გამოიხატა კურსკთან 1958 წ. ოქტომბერში აღმოჩენილი დიდი დანაღმული ველის გაუვნებლობაში.

ასაფეთქებლად გამზადებული, გერმანელ ფაშისტების მიერ ჯერ კიდევ 1943 წელს დანაღმული ველი წარმოადგენდა მსხვილი ყალიბის საარტელერიო ყუმბარების მძლავრ საწყობს, რომლის აფეთქება, როგორც გამოირკვა, ვერ მოუსწრიათ ჰიტლერებს. მისი განაღმვა მოითხოვდა უდიდეს სიფრთხილეს. აფეთქების შემთხვევაში დაიღუპებოდნენ არა მარტო ოპერაციის შემ-

სრულებლები, არამედ ახლომახლო დასახლებული ადგილების ათასობით მცხოვრები.

გვარდიის პოლკოვნიკ მ. დიასამიძის პოლკის მებრძოლებმა და მეთაურმა, რომელთა შორის იყვნენ ქართველი მეომრები: დ. მარღიშვილი, გ. ურუშაძე და სხვები, სიკვდილის საფრთხის ქვეშ გააუვნებლყვეს დანაღმული ველი და საქვეყნო სახელი მოუხვეჭეს, რასაც გაზეთმა „პრავდამ“ მიუძღვნა სპეციალური სტატია სათაურით: „უშიშართა გმირობა“ („პრავდა“, 1958 წ. 7 იანვარი).

მ. დიასამიძე ომის შემდეგაც აგრძელებს სამხედრო სამსახურს. ერთხანს მუშაობდა ბათუმშიც. ჯერ კიდევ ომამდე, სტავროპოლში ყოფნის დროს დაქორწინდა რუსი ეროვნების ქალზე – თამარზე, რომლისგანაც შეეძინა 4 შვილი (ორი გოგო და ორი ვაჟი).

სიცოცხლის ბოლომდე მ. დიასამიძე საქმიანობას აგრძელებს ქ. კურსკში. იგი გარდაიცვალა 1993 წელს. **დასაფლავებულია კურსკში, ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა კი ატარებს მიხეილ დიასამიძის სახელს. გმირის სახელის უკვდავსაყოფად კურსკში დაიდგა მისი ბიუსტი.**

მიხეილ დიასამიძე
(1926 -1984)

მიხეილ დიასამიძე დაიბადა 1926 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე.

იგი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქობულეთისა და ხელვაჩაუ-

რის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების საგამომძიებლო ჯგუფის უფროსად და გამომძიებლად, **ქედის რაიონის სახალხო მოსამართლედ,** აჭარის ადვოკატთა კოლეგიის წევრად, ხელვაჩაურის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ხელმძღვანელად. მ. დიასამიძე გამოირჩეოდა პრინციპულობით, განსწავლულობით, ერუდიციით. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. რამოდენიმეჯერ იყო **არჩეული ქედის რაიონული საბჭოს დეპუტატად**, დაჯილდოებული იყო სამთავრობო ჯილდოებით.
მ. დიასამიძე გარდაიცვალა 1984 წელს.

ალი დიასამიძე (1933-2012)

პოლკოვნიკი ალი დიასამიძე (დაიბადა 1933 წ. სოფ. ჩანჩხალოში) დიასამიძეთა საგვარეულოს შესანიშნავი წარმომადგენელია. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში და თავი გამოიჩინა თავისი პრინციპულობითა და სამართლიანობით. იგი იყო ხულოს რაიონის მილიციის უფროსის მოადგილე, შუახევის რაიონის მილიციის უფროსი, მახინჯაურის ქვეგანყოფილების უფროსი.

ყველგან, სადაც კი ა. დიასამიძეს უწევდა საქმიანობა, იყო იდეალური წესრიგი. ამიტომაც უყვარდათ და აფასებდნენ. ღვაწლმოსილი თანამშრომელი გაუშვეს დამსახურებულ პენსიაზე, თუმცა მისი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით პენსიაში მყოფი კვლავ დააბრუნეს ძალოვან სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

ა. დიასამიძე გარდაიცვალა 2012 წელს.

გივი დიასამიძე (1937 – 2010)

კაი ყმა, ახლობელ-ნათესავთა და მეგობართა სიხარული, სევდისა და ჭირ-ვარამის გამზიარებელი, სოფლისა და კუთხის მოამაგე – ასე იცნობენ **გივი დიასამიძეს,** შესანიშნავ მოქალაქესა და ბრწყინვალე პიროვნებას, როგორც მის მშობლიურ კუთხეში, ისე სრულიად საქართველოში.

გივი იბრაიმის ძე დიასამიძე დაიბადა 1937 წლის 6 მარტს, ქალაქ ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. 1954 წელს დაასრულა ქალაქის 1 საშუალო სკოლის სრული კურსი, ცოტა მოგვიანებით კი, 1957 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ იგი ჩაირიცხა სვერდლოვსკის სახელმწიფო იურიდიული ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. 1965 წ. მუშაობა დაიწყო ნოვოსიბირსკში, შინაგან საქმეთა სამმართველოში, განყოფილების გამომძიებლად (ჯ.დიასამიძე, ი. დიასამიძე, 2013:100).

თავისი პრინციპულობით, ობიექტურობით, სამართლიანობითა და გულისხმიერებით გამორჩეულმა პიროვნებამ იმთავითვე მიიპყრო თანამშრომელთა ყურადღება. იგი გულით შეიყვარეს. იქ მოღვაწეობის ძალიან ხანმოკლე პერიოდის მიუხედავად, გივი დიასამიძემ მოახერხა იქაური მეგობრების ჭირისა და ლხინის თანაზიარი გამხდარიყო.

მეგობრებისა და კოლეგების სიყვარულით გარემოსილს მშობლიური ქვეყნისაკენ – საქართველოსაკენ მიუწევდა გული. 1966 წ. იგი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში – საგამომძიებლო განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1968 წლიდან იგი ქობულეთის შინაგან საქმეთა განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსია. აქაც ბატონმა გივიმ გამოავლინა შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა და სამართლიანობა. ამასვე მოითხოვდა იგი სხვებისგანაც. მარტოს ვერასოდეს ნახავდით, მის ირგვლივ ყოფელთვის საქმიანი გარემო იყო შექმნილი. იგი ყველას უსმენდა, პრობლემების გადაწყვეტასა და შემსუბუქებაში შველოდა. სიკეთე და ჰუმანურობა ხომ მისი თანდაყოლილი თვისება იყო. ამიტომაც იყო, რომ ადამიანებთან ურთიერთობებს სრული ჰარმონიულობით აწესრიგებდა.

სწავლას მოწყურებულ;ი ახალგაზრდა მალე (1972 წ.) სვერდლოვსკის იურიდიული ინსტიტუტის სისხლის სამართლის კათედრის ასპირანტი ხდება. 1976 წელს გ. დიასამიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიტო დისერტაცია **და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი**. მის გამოკვლევას მაღალი შეფასება მისცეს დარგის ცნობილმა სპეციალისტებმა.

1974 წლიდან ბატონი გივი მუშაობას იწყებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის სისტემაში და აქაც თავი გამოავლინა, როგორც პუნქტუალურმა, საქმიანმა და კომპეტენტურმა მუშაკმა. 1980 წლიდან იგი გადაიყვანეს სასამართლოს სტრუქტურებში, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის განყოფილების უფროსად.

ბატონი გივი შესანიშნავი პედაგოგიცაა. იგი კითხულობდა ლექციების კურსს ბათუმის ივანე ჯავახიშვილის სამართლის ინსტიტუტში. სტუდენტების საყვარელი ლექტორი გამორჩეული იყო თავისი ადამიანური თვისებებით, სტუდენტებისადმი სიყვარულითა და მომთხოვნელობით. იგი დღე მუდამ სიახლეების ძიებაში იყო და ამ სიახლეებს უშურველად გადასცემდა ახალგაზრდებს.

ბატონ გივის მისი თაობის უამრავი ადამიანი იცნობს და ესიყვარულება. იგი დღესაც უზიარებს კოლეგებს თავის გამოცდილებას და მხარდაჭერას სთავაზობს მეზობელს თუ მეგობარს, ნაცნობსა თუ უცნობს.

„კაცურკაცობა ბუნების ჯილდოა, მაგრამ ძვირია.“ ამ ქართული ანდაზის ჭეშმარიტებაში დარწმუნდება ყველა, ვისაც მასთან ერთხელ მაინც ჰქონია შეხვედრის შესაძლებლობა. ბუნების ეს ჯილდო ყველა დანარჩენ თვისებას სჭარბობს ქართული სიდარბაისლით გამორჩეული გივი დიასამიძის პიროვნებაში.

ბედნიერია ბატონი გივი. მას ჰყავს შესანიშნავი ოჯახი: მეუღლე, სამი შვილი და სამი შვილიშვილი.

ცხოვრება გრძელდება, შთამომავლობა მრავლდება, „დრო კი მიდის, მიდის, მიდის მდინარესავით,“ მაგრამ ბატონი გივი კვლავ ჩვეული შემართებით დააბიჯებს ქალაქში, საზოგადოების წინაშე ვალმოხდილი, ზნეკეთილი, დარბაისელი მოქალაქე, მომღიმარი, სალმიანი და მადლიანი, მხნე და ქედმოუტეხელი.

გარდაიცვალა 2010 წელს.

გურამ დიასამიძე (1940-2006)

გურამი დიანოზის ძე დიასამიძე დაიბადა 1940 წლის 26 სექტემბერს ქალაქ ხაშურში. (წარმოშობით მესხეთიდან). 1957 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1967 წელს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაციის სპეციალობით დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ხაშურის ენერგომომარაგებაში ინჟინრად. 1971 წელს გადაიყვანეს ხაშურის უშიშროების განყოფილებაში თანამშრომლად, ხოლო 1979 წელს – ხაშურის უშიშროების განყოფილების უფროსის მოადგილეობიდან

სამტრედიის უშიშროების განყოფილების უფროსად, შემდეგ მუშაობა გააგრძელა ხაშურის ნავთობაზაში უფროსის მოადგილედ. მუშაობის **პერიოდში მიღებული აქვს პოლკოვნიკის წოდება**, ქების სიგელი, მედალი და მადლობა.

გურამ დიასამიძე გარდაიცვალა 2006 წლის 23 ოქტომბერს.

რაჟდენ დიასამიძე (1943 – 2009)

შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოახმარა შინაგან საქმეთა სტრუქტურებში საქმიანობას დისამიძეთა საგვარეულოს კიდევ ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა **რაჟდენ დიასამიძემ.**

რ. დიასამიძე დაიბადა 1943 წელს შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეებში. ვერცხლის მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში – საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რ. დიასამიძე კომკავშირულ სამუშაოზეა. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კომკავშირის შუახევის რაიკომის სასკოლო განყოფილებას, შემდეგ კი გადადის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორად, საზღვაო ნავსადგურის მილიციის ქვეგანყოფილების უფროს ინსპექტორად, ბათუმის მილიციის სამმართველოს დივიზიონის უფროსის მოადგილედ, ხულოს რაიონული მილიციის უფროსად, აჭარის არ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსის მოადგილედ, სისხლის სამართლის სამძებრო

განყოფილების, შტაბისა და კანცელარიის უფროსად. **იგი პოლკოვნიკის ჩინით გავიდა პენსიაზე.** კითხულობდა ლექციების კურსს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს საინტერესო წიგნი **„ჩემი ცხოვრების გზაზე“.**

რ. დიასამიძე გარდაიცვალა 2009 წელს.

ზურაბ დიასამიძე
(1943-2019)

ზურაბ მამუდისძე დიასამიძე დაიბადა 1943 წლის 1 დეკემბერს ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურში. სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიარა სამხედრო სამსახური. 1971- 1981 წლებში დაამთავრა შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ქალაქ ირკუტსკის საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები, პროფესიით იურისტი, მუშაობდა ირკუტსკის სატრანსპორტო მილიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1981 წლიდან მუშაობდა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო განყოფილებაში,

1986 წლიდან ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსად. 1991 წლიდან ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის პირველი მოადგილე, წლინახევრის განმავლობაში განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი იყო. პენსიაში გასვლამდე აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. განვლო გზა **რიგითი მილიციელიდან პოლიციის პოლკოვნიკობამდე.**

ზ. დიასამიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის საქმიანობაში. გარდაიცვალა 2019 წლის დეკემბერში.

ვაჟა დიასამიძე
(1954-2007)



თავისი პრინციპულობით, სამართლიანობითა და ობიექტურობით დაამახსოვრა ხალხს თავი ძალოვან უწყებაში მომუშავე დიასამიძეთა გვარის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ვაჟა დიასამიძემ.

ვ. დიასამიძე დაიბადა 1954 წელს, ქედის რაიონის სოფელ გულებში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის სპეციალობაზე, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი ვ. დიასამიძემ დაამთავრა წარჩინების დიპლომით და მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის შინაგან საქმეთა განყოფილებაში პოლიტგანყოფილების უფროსად, შემდეგ იგი გადაიყვანეს აჭარის შიონაგან საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. **სამსახურებრივი კარიერა ვ. დიასამიძემ დაასრულა პოლკოვნიკის ჩინით.**

ჯუმბერ დიასამიძე

ჯუმბერ მამუდისძე დიასამიძე დაიბადა 1961 წელს, ქალაქ ბათუმში. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა ლენინგრადის (ეხლ. სანკტ-პეტერბურგი) სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე. მუშაობდა ლენინგრადის შინაგან საქმეთა ორგანებში.

1986 წელს სანკტ-პეტერბურგში შეიქმნა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი საინფორმაციო საგამოძიებო სააგენტო „АЛЕКС“, სადაც მუშაობდა იურისტის პოზიციაზე.

1999 წლიდან მუშაობას აგრძელებს ლენიგრადის ოლქის იუსტიციის სამმართველოს ნოტარიატისა და დოკუმენტების ლეგალიზაციის სექტორში გამგის თანამდებობაზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა: რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს ქ. სანკ-ტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის იუსტიციის მთავარი სამმართველოს წაყვან, მთავარ სპეციალისტად, განყოფილების უფროსის მოადგილედ, უფროსად. ამჟამად არის მთავარი სამმართველოს მოქალაქეთა წერილების, მომართვების, საჩივრებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზების განყოფილების უფროსი, თანამშრომლობს სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრასთან, სადაც ამზადებს საკანდიდატო დისერტაციას. **შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობისას მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება,** არის იუსტიციის პირველი კლასის მრჩეველი.

რამაზ დიასამიძე

დაიბადა 1964 წლის 14 იანვარს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1990-1995 წლებში სწავლობდა ბათუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში. 1990 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლად.

2012 წლიდან მუშაობს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აჭარის სამმართველოს განყოფილების უფროსად, **მინიჭებული აქვს პოლკოვნიკის წოდება.**

ავთანდილ დიასამიძე

ავთანდილ გიგლას ძე დიასამიძე, დაიბადა 1967 წლის 16 აპრილს, ქალაქ ვანში. 1983 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სოხუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1988 წელს. 1989-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოში სპეციალისტად, შემდეგ განყოფილების უფროსად. 2005-2010 წლებში დაამთავრა თბილისის აგრარული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი და დავით გურამიშვილის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი.

1996-2010 წლებში მუშაობდა **საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურში სახვადასხვა თანამდებობებზე, მიენიჭა ვიცე პოლკოვნიკის** წოდება. 2013-2018 წლებში მუშაობდა თბილისის მერიაში, სხვადასხვა პოზიციებზე, კერძოდ: სამგორისა და ისანის რაიონების გამგებლის მოადგილე, მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე. 2018 წლიდან მუშაობს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროში საავტომობილო გზების დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს სამსახურის უფროსად. გულების დიდი წვლილი შეიტანა გულების წმ. ევდემოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში. მის სახელს უკავშირდება ეკლესიის ეზოს დამცავი კედლის ჩამოსხმა (ცენტრალური გზის გაყოლებაზე), ეკლესიასთან დამაკავშირებელი გზის მოპირკეთება. მანვე შეწირა ეკლესიას სამრეკლოსათვის ორი ზარი.

ფრიდონ დიასამიძე

პოლიციის პოლკოვნიკი ფრიდონ დიასამიძე დაიბადა 1975 წ. 6 იანვარს. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, შემდეგ კი (2002 წელს) სსიპ თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში კონსტიტუციური სამართლის, ადმინისტრაციული და მუნიციპალური სამართლის სპეციალობით (შიფრი 12.00.02).

1998-2002 წლებში მუშაობდა თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „აჭარაში“ მასწავლებლის, შემდეგ კი უფროსი მასწავლებლის პოზიციაზე. 1999-2001 წწ. იგი იყო საქართველოს იურისტთა და ადვოკატთა კავშირის დამფუძნებელი-პარტნიორი. 2001 წლიდან იგი მუშაობას აგრძელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში ზედამხელველობის დეპატრამენტის იურისტად. სხვადასხვა დროს ფრ. დიასამიძე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის იურიდიული დისციპლინების ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, კათედრის გამგე, სასაზღვრო პოლიციის წვრთნისა და გადამზადების ცენტრის უფროსი ინსტრუქტორი, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამომძიებლო დეპარტამენტის ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი. თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მთავრი სამმართველოს უფროსი. ამჟამად იგი მუშაობს თბილისის აეროპორტის მომსახურების სააგენტოს სამთავრობო გასასვლელის უფროსის თანამდებობაზე. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნიკოლოზ დიასამიძე

პოლიციის **პოლკოვნიკი ნიკოლოზ დიასამიძე** შინაგან საქმეთა სამინისტროში 2005 წ. მივიდა. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოში დეტექტივ-გამომძიებლად (2006-2009 წწ.), თბილი-

სის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივ-გამომძიებლად (2009-2012 წწ.), გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილების უფროსად (201302014 წწ.).

2014 წლიდან იგი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელია, 2017 წ. კი დაინიშნა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. ამ პოზიციაზე მან 2018 წ. მარტამდე იმუშავა. მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მალე გადაიყვანეს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპატრამენტის დირექტორად, შემდეგ კი შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. ამჟამად იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს უფროსია.

ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ

ხელოვნება და კულტურა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი ამაღლებს ადამიანის ინტელექტს, აძლიერებს და სულიერ საზრდოს აწვდის მას. დიასამიძეებმა ამ სფეროშიც გამოიჩინეს თავი და ცოდნისა და ოსტატობის მაღალი დონე აჩვენეს საზოგადოებას ხელოვნების სხვადასხვა სფეროში.

ᲘᲚᲘᲐ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ (1919-1984)



ილია ეუბისძე დიასამიძე დაიბადა 1919 წელს, ქედის რაიონის სოფელ გულებში. 1959 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა. 1937-1949 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა განყოფილების მეხანძრე ინსპექტორად, სახანძრო რაზმის უფროსად.

1949-1963 წლებში ქედის რაონული არქივის გამგედ, 1963 -1964 წლებში არჩეული იყო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 1964-1972 წლებში ხელმძღვანელობდა ქედის რაიონულ არქივს .აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ი. დიასამიძეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათის 1967 წელს მიენიჭა **აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.**

ნიაზ დიასამიძე (1927 – 1969)

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მოლექსე, მომღერალი, მხატვარი, მთარგმნელი, დახვეწილი იუმორის პატრონი – ასე იცნობენ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის სულეიმან დიასამიძისა და ვალერია დუმბაძის უმცროსს ვაჟიშვილს, თბილისის კოლორიტს, 1950-იანი წლების მახვილსიტყვათა კორიფეს, ქალაქურ-თბილისური იუმორის ლეგენდარულ ზეპირშემოქმედს, ბოჰემური ცხოვრების მოყვარულ **ნიაზ დიასამიძეს,** რომელიც დედაქალაქმა ლეგენდებში გააცოცხლა.

იგი 1927 წლის ნოემბერში დაბადებულა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, სულეიმან დიასამიძის ოჯახში. ახლობლებს კარგად ახსოვს მისი ამქვეყნად მოვლინება: „იმ დღეს საბავშვო ბაღში ვიყავი, მოულოდნელად თოფის ხმა გაისმა, დაბნეული ბავშვები შიშისაგან გავისუსეთ, მაგრამ დაგვამშვიდეს უფროსებმა და გვაცნობეს, რომ ჩვენს ოჯახში მესამე შვილი დაბადებულა. ახალდაბადებული ვაჟის სიხარულით გამოწვეული ემოციები ბათუმიდან ჩასულმა ბიძებმა თოფის გასროლით აღნიშნეს“.

ნიაზი ძალიან ლამაზი და ამავე დროს ცელქი ბავშვი ყოფილა, ამიტომაც ყოველთვის ვიღაცა ახლდა ქუჩაში გამოსვლისას, ბავშვი რომ არავის მოეტაცა. ნიაზის ბავშვობაში მათ ოჯახში (ბელინსკის ქუჩაზე) სამი წლის განმავლობაში ფრანგი ქალბატონი ცხოვრობდა და 30 მოწაფე ჰყავდა. იგი ბავშვებს (მათ შორის ნიაზის დებსაც) ფრანგულს ასწავლიდა. ღამღამობით თმებს ბიგუდების ნაცვლად ქაღალდით იხვევდა. ერთ მშვენიერ

დილას გაიღვიძა და თავზე აღარაფერი ჰქონდა. თურმე, ნიაზი შესულა, ქაღალდები შეუკრეჭია და თანაც თმებიც მიუყოლებია, მასწავლებელი ისე გამწარებულა, რომ თბილისიდან წასვლა გადაუწყვეტია. ნიაზის მამა მას საფრანგეთში გამგზავრებაში დახმარებია. „ნიაზს სამ წელიწადში ფრანგული (მისი დების მეცადინეობისას) შეუსწავლია, ინგლისური კი დამოუკიდებლად უსწავლია“, იგონებს მისი და ტასია დიასამიძე. ნიაზს რამდენიმე სკოლა გამოუცვლია. იგი ქალაქის 25-ე სკოლაში სწავლობდა. მასთან ერთად სწავლობდა გიგა ლორთქიფანიძეც. ბატონი გიგა დირექტორს ეშმაკობისა და ცელქობისათვის სკოლიდან გაუგდია. იგი მე-15 სკოლაში გადაუყვანიათ. 25-ე სკოლის დირექტორს დაურეკია 15-ე სკოლის დირექტორისათვის და უთქვამს: „რადგან თქვენთან მოვიდა, ალბათ ნიაზიც მაქ გადმოვა. მათ ერთად ყოფნა უნდათ და არ მიიღო რადგან ისინი აიკლებენ სკოლასო“. მართლაც ასე მოხდა. ნახევარი საათის შემდეგ ნიაზი ანიკო მახარაძესთან (მე-15 სკოლის დირექტორი) მისულა და იქ გადაყვანის ნებართვა უთხოვია. დირექტორს სხვა რომ ვერაფერი მოუხერხებია, უთქვამს: ნიაზ შვილო, სკოლაში ადგილი არ მაქვსო. ნიაზი უხმოდ გაბრუნებულა კაბინეტიდან. ერთი საათის შემდეგ ოთხ ბიჭს ანიკო მახარაძის კაბინეტში მერხი შეუტანიათ და უთქვამთ: აჰა, ადგილიო“. ნიაზი მაინც არ მიუღიათ ამ სკოლაში (იხ. გაზ. „ვერსია,“ 2002 წ. 25-31 მარტი). სკოლის დამთავრების შემდეგ ნიაზი ორჯონიკიძეში (ახლ. ვლადიკავკაზი) ჩაირიცხა სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლა მიატოვა. მას ერთი და იგივე პროფესია არასოდეს ჰქონია. მოგვიანებით ნ. დიასამიძემ მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში–ისტორიის ფაკულტეტზე.

ნიაზ დიასამიძის პიროვნება ყველა თაობის ადამიანში აღძრავს ცნობისმოყვარეობას. მისი ჩვევები, თვისებები, ცხოვრების წესი უფლებას არ იძლევა მის შესახებ ყველაფერი ვიცოდეთ. ნიაზ დიასამიძე, შესანიშნავ იუმორთან ერთად პროფესიულ საქმიანობასაც კარგად ართმევდა თავს.

გაზეთ „თბილისში“ კორესპონდენტად მუშაობდა, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ – უფროს რედაქტორად, ფილარმონია-

ში-სალიტერატურო ნაწილის რედაქტორად. თითქმის ყველა ჟანრის და ხასიათის მასალებზე მუშაობდა და აქვეყნებდა. მისი პირადი არქივი ინახება დის, ქ-ნ ტუსიას ოჯახში. სხვადასხვა გაზეთში და ჟურნალებში დაბეჭდილია მისი ანოტაციები, მიმოხილვები, თარგმანები. ბევრმა არ იცის, რომ კომპოზიტორების: ნუნუ დუღაშვილის და გიორგი ცაბაძის სიმღერების საკმაო ნაწილი ნიაზ დიასამიძის ლექსებზეა შექმნილი („მე თბილისის მოტრფიალე ვარ," „გამიღიმე, ნუ მაწვალებ," „ფიროსმანის ქალაქი" და სხვა). საოჯახო არქივში მრავლადაა გამოუქვეყნებელი ლექსები, ზღაპრები ნახატები, კომპოზიციები, რომანსები. ნიაზ დიასამიძის მრავალმხრივი შემოქმედების ეს მცირე ნაწილი ფურცლების ნაგლეჯებზეა შესრულებული და განადგურებას (ავტორისგანვე) შემთხვევით გადარჩენია.

ნიაზ დიასმიძემ ინგლისურიდან ქართულად თარგმნა ცნობილი ამერიკელი მწერლის თომას ჯადისის დოკუმენტური მოთხრობა „ალკატრაზელი პატიმარი". თარგმანი 1969 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში". ნაწარმოები აშშ-ს მოქალაქის, რობერტ სტრაუდის ცხოვრებას ეხება, რომელიც 1909 წ. დააპატიმრეს და 55 წელი ციხეში გაატარა. აქედან 48 წელი ერთკაციან საკანში იჯდა.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი ბავშვობაში სამკურნალო თაბაშირებითაც „ერთობოდა." ერთხელ მას სულ რაღაც 20-30 წუთში გამოუქანდაკებია ცხოველებისა და ადამიანების რამდენიმე ფიგურა. მშობლებს ნამუშევარი მეზობლად მცხოვრები მოქანდაკისათვის უჩვენებიათ. „ამ ნაკეთობაში ისეთი ნიუანსებია, პროფესიონალის ნამუშევარიაო", უთქვამს მოქანდაკეს. ნიაზი მაშინ 5–6 წლის ყოფილა. ის ქანდაკებები მოგვიანებით თვითონვე დაუმტვრევია. ერთ-ერთი, ბეთჰოვენის ქანდაკება შემთხვევის წყალობით გადარჩენილა, რადგან იგი თავისი მეგობრის თეიმურაზ ნაცვლიშვილისათვის უჩუქებია (იხ. გაზ. „ახალი 7 დღე", 6-12 მარტი, 1998 წელი). აღნიშნულის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გ. ლორთქიფანიძე: „ნიაზი გასაოცარ ლექსებს წერდა, გადასარევად ხატავდა. წარმოუდგენლად ნიჭიერად აკეთებდა პატარა სკულპტურებს პლას-

ტმასისაგან და თაბაშირისაგან. მაშინ შემოსვლა დაიწყო ამერიკულმა, ინგლისურმა ე.წ. „ტროფეის“ ფილმებმა: „სერენადა მზიური ველისა,“ „ველური ჯაზი“. ფილმის – „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“ ნახვის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ პიანისტი ზუსტად იჯდა და უკრავდა, როგორც ნიაზი აკეთებდა ხოლმე, ოღონდ ისე, რომ ჯერ მას ეს ფილმი ნანახი არ ჰქონდა. ფეხიფეხზე გადადებული უკრავდა და პირში სიგარეტი ჰქონდა გაჩხერილი. ამას ჰქვია მუზიცირება. მხოლოდ მელოდიას კი არ უკრავდა, არამედ ფანტაზიას ამ მელოდიის გარშემო. ეს იყო ისეთი ნიჭიერებით შესრულებული, რომ კონსერვატორიის ხალხი, პიანისტები ჭკუას კარგავდნენ, უკვირდათ – რანაირად უკრავს ეს კაცი ისე, რომ ფაქტობრივად მუსიკალური განათლება არ მიუღიაო“ (გაზ. „ვერსია,“ 25-31 მარტი, 2002 წ.).

ქ-ნ ტუსა მოგვითხრობს: „ნიაზი შევიდოდა თავის პატარა ოთახში, წერდა სიმღერებს, ლექსებს, მაგრამ ჩვენ, ამის შესახებ მისი გარდაცვალების შემდეგ შევიტყეთ. მაგალითად, ნიაზის დაწერილია სიმღერა „ცოდვა თუ ჩადენილი რამე.“ „ფიროსმანიც“ ნიაზმა დაწერა, „თეთრი ვარდები“ კი თავისივე დაწერილ ტექსტზე შექმნა. ამ სიმღერას მედეა ძიძიგური ასრულებდა“. ნიაზს შედგენილი ჰქონია გურული დიალექტის განმარტებითი ლექსიკონი, რომელსაც დღის სინათლე არ უნახავს.

ნიაზ დიასამიძე მუდამ მეგობრების წრეში ტრიალებდა. მისი მეგობარი ანზორ სალუქვაძე მოგვითხრობს: „ნიაზ დიასამიძე – იშვიათია ასე პოპულარული გამხდარიყოს კაცი, რომელიც არც დიდი მეცნიერი ყოფილა, არც დიდი პოეტი ან მწერალი, არც დიდი მომღერალი და კომპოზიტორი, არც ყაჩაღი და აკლაპონეს მსგავსი ვინმე.. პირიქით, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელიც ვერასგზით ვერ შეეწყობოდა ცხოვრების საბჭოურ წესს ... აშკარად დედამიწის საპირისპირო მხარეს იყო დაბადებული. იქნებ იმიტომაც ეამაყებოდა ყველას მასთან სიახლოვე. „ნიაზმა მითხრა,“ „ნიაზი შემხვდა,“ „ნიაზთან ვიყავი“... ამას ისე ამბობდნენ, როგორც – „აინშტაინმა მითხრა,“ „ჟელალ ფილიპს შევხვდი,“ „უელსის პრინცთან ვიყავი.“

„ნიაზს თავადაც ძლიერ უყვარდა საზოგადოებაში ყოფნა...

მახსოვს, ერთხელ როცა ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, „შატალოზე“ ბელინსკის ქუჩით მიმავალი ქვემოთ ვეშვებოდი... დიასამიძეების სახლს რომ გავუსწორდი, სტვენა შემომესმა. ოთახის სარკმელი გამოეღო – იქედან დამისტვინა. ამოდიო! – მანიშნა... უშველებელი წიგნი მაჩვენა – უნდა მოვიპაროთო, ჩამჩურჩულა. წიგნი „ტექნიკურ სიტყვათა ლექსიკონი“ აღმოჩნდა... მამამისს, ბატონ სულეიმანს სამაგიდო წიგნი მოვპარეთ, ბუკინისტებთან მივიტანეთ და ექვს თუმნად გადავულოცეთ... იმ ფულით ჩვენებურად, თბილისურად მოვილხინეთ... შემდეგი შეხვედრისას ნიაზმა მითხრა – დავიღუპეთო. კინაღამ გაგიჟდა სულეიმანი. იცი რა მითხრა? შენ და იმ შენმა ლაწირაკმა ქურდმა მეგობარმა ან ახლავე უკან მოიტანეთ ჩემი ლექსიკონი, ან დაჯექით და თავად შეადგინეთო“ (ნიაზ დიასამიძე, 1992:55-56).

ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი ჰყავდა ნიაზ დიასამიძეს. მათ შორის მას, ყოველთვის ეკავა ღირსეული ადგილი, მაგრამ მუდამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ტანჯავდა. მისი უმთავრესი ნიშანი მარტოხელობა და სევდიანობა იყო. მეგობრები არ აკლდა და მაინც მარტოდ დარჩა იგი. ნიაზის სულიერ მდგომარეობას კარგად ახასიათებს ნანა კანდელაკი. იგი იმოწმებს მეგობრის საუბარს და ნიაზს უიღბლო კაცად მიიჩნევს, რომელიც „მოვლენებს სხვანაირად აღიქვამს, მაგრამ ამავე დროს თვლის, რომ ის ყველა ჩვენთაგანზე მეტად ბედნიერია, რადგან თავისუფალი, თვითმყოფადი პიროვნებაა, იგი წერს, მღერის და აკეთებს იმას, რაც სიამოვნებს“ (ნიაზ დიასამიძე, 1992:44).

ახლობელთა შეცდომების გამო მისი ცხოვრება ზოგჯერ ტრაგიკულიც იყო. ნიაზ დიასამიძის პირველი და უკანასკნელი ქორწინება ქალბატონ მელიტა იოსელიანთან დაიმსხვრა, მაგრამ უკვალოდ არ გამქრალა. დაქორწინებიდან სულ მალე, მათი ვაჟიშვილი თემური დაიბადა. იგი დავაჟკაცდა, დღეს არქიტექტორია, სამშენებლო ფირმა „არქსტუდიას“ გენერალური დირექტორი, იერსახით და აღნაგობით მომხიბლავი, ჩვევებით და თვისებებით მამას მიმსგავსებული, ნაადრევად გაჭაღარავებული ახალგაზრდა, შესანიშნავი ქართველი. მას ეამაყება, რომ მისი

ბაბუის, სულეიმან დიასამიძის ოჯახიდან დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი არაერთმა თანამემამულემ აჭარიდან, მათ შორის: მეხბულე დიასამიძემ, მინირე აბაშიძემ და სხვებმა. ამაყება, რომ ბაბუამისის სახელს უკავშირდება ქობულეთის საკურორტო ქალაქად გამოცხადება.

თემურ დიასამიძემ 1951 წელს, ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა თბილისში და შევიდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში – არქიტექტურის ფაკულტეტზე. ბატონი თემური, როგორც არქიტექტორი, შემდგომში საპროექტო ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი და ამჟამად არქსტუდიის დირექტორი, არის უამრავი პროექტის ავტორი, რომელთაგან 15-მდე უკვე რეალიზებულია. მათ შორის: ბანკი „რესპუბლიკის“ სათაო ოფისი, საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის ქუჩაზე, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი კომპლექსი ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე და ა.შ. იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს მამასთან გატარებულ დღეებს: „მამაჩემი კეთილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო. ჩვენ ცალკ-ცალკე ვცხოვრობდით, რადგან მშობლები ჩემს ბავშვობაშივე დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ მამას ხშირად ვხვდებოდი... დაშორების მიზეზი არასოდეს მიკითხავს. ჩანს, ქალებს ქმრებად არ მოსწონდათ ორიგინალური და კოლორიტული პიროვნებები (გაზ. „თბილისი,“ 1997 წ. 25 ოქტომბერი). თემურის ჰყავს მეუღლე ანუტა წულაძე (დედით ფრანგი) და ორი ვაჟი, რომელთაგან უფროსს ნიაზი დაარქვა. მეორე შვილი ჯაბა 24 წლისაა და სწავლას გააგრძელა საფრანგეთში.

ნიაზი დაიბადა 1973 წელს, თბილისში, დაამთავრა №6 გერმანული სკოლა, სამხატვრო აკადემია – სამრეწველო გრაფიკის სპეციალობით. 14-15 წლის ასაკიდან დაინტერესდა მუსიკით და ჩამოაყალიბა ანსამბლი 33 (მისი საცხოვრებული სახლის ნომერი). არის უამრავი ნახატის ავტორი. მას კარგად ესმის, რომ მხოლოდ ფუნჯითა და ფანქრით ვერ შეძლებდა სათქმელის ბოლომდე გამოხატვას და თავისი სულის საიდუმლო გაანდო სიტყვას, მელოდიას. მისი მუსიკა ყოველთვის საინტერესო და მშვენიერია. მასში ჩანს სიყვარული, სილამაზე, რომანტიკა, ქართული კლასიკური პოეზიის („ვეფხისტყაოსნის,“ გალაქტიონის პოე-

ზიის) ხიბლი. „5 წლიდან დავდივარ პარიზში, ბებიასთან. ჩემი მუსიკაც ჰგავს რაღაცით ქართულისა და ფრანგულის ნაზავს. ოღონდ გემოვნებაში და არა რამე კონკრეტულ სტილში, ანუ ჩამომიყალიბდა რაღაც ჩემებური ხედვა, რომელიც გადმოვეცი მუსიკაში“ – ამბობს იგი. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უწევს პარიზში ყოფნა, მისთვის მთავარ ქალაქად მაინც თბილისი რჩება, რადგან იგი არის მისი ქალაქი, იმიტომ რომ იქ დაიბადა და გაიზარდა. ნიაზი ამაყობს, რომ ატარებს ბაბუის სახელს, რომ არის შთამომავალი აჭარელთა შორის პირველი უმაღლესგანათლებული სულეიმან დიასამიძისა, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აჭარის ეროვნულ-განმთავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში (სხვათა შორის მისი ხელნაწერებიდან, რომელსაც ოჯახში სათუთად ინახავენ, ჩანს, რომ იგი წინააღმდეგი იყო აჭარისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებისა).

ნიაზი განსაკუთრებული მოწიწებით იხსენებს მისი ბაბუის, დიდი ნიაზის სახელს: „როცა ბაბუის სახელი გქვია, მოქმედებს. რა თქმა უნდა, რა კაციც იყო, მერე შენზე გადმოდის ის მადლი, გენები. ის ხარ შენ, ცუდს აკეთებ თუ კარგს, მისი „ბრალია“ მეტი წილი. მითუმეტეს, როცა ყველასათვის საყვარელი ადამიანები აღმოჩნდნენ ჩვენი ბაბუები... ჩემი სახელი ნიაზი ინტერესს იჩენდა ბაბუის გამო. ბაბუაჩემს ისე ვაფასებ, რომ მასზე უკეთესობას ვერ ვიგრძნობ, ნაღდად ვერასდროს. დიდი ნიაზი ბევრად უფრო საინტერესო ტიპი იყო, ვიდრე მე. მეც ვცდილობ, რომ მისი გენები, რაც გადმომეცა მაქსიმალურად გამოვიყენო“... პატარა ნიაზს ჰყავს მეუღლე – მაია გელოვანი და ერთი ვაჟი-თემური.

42 წლის ასაკში გარდაიცვალა ნიაზ დიასამიძე (დიდი ნიაზი) სიცოცხლის ბოლო წლებში დასთან გუგულისთან და დიშვილთან ერთად ცხოვრობდა. თითქოსდა გრძნობდა კიდეც სიკვდილის მოახლოებას. ერთხელ ნიაზს გია ლეჟავასთვის უთხოვია – წამომყევი ერთ ადგილას, დედაჩემი მომენატრაო (დედა უკვე მკვდარი იყო). ვაკის სასაფლაოსაკენ მიუწევდა გული. ყვავილები დაუწყია დედის საფლავზე, შემდეგ უკან გამობრუნებულს

ეკლესიაში შეუვლია, დაჩოქილა ღვთისმშობლის ხატთან და ქვითინით უთქვამს: „დედავ და მამავ, სულ მალე მოვალ თქვენთანო“ (ნიაზ დიასამიძე, 1992:50). ვაკეში დაასაფლავეს დედაქალაქის სიამაყე და კოლორიტი.

ბევრმა სცადა, გაეთავისებინა თბილისი, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან თბილისელობა არ იყო ადვილი. მას შეუვალი კანონები ჰქონდა – რაინდობის, ერთგულების, მაღალზნეობრიობის და სიკეთის კანონები, რომელიც იქმნებოდა დედაქალაქის ცალკეულ უბნებისა თუ უბნების „ცხოვრებისეულ სკოლებში.“

„თბილისელობა შეძლო ნიაზ დიასამიძემ, რადგან მას თბილისი აწუხებდა და ახარებდა, ატირებდა და აცინებდა, ამღერებდა, ახატვინებდა, აძერწინებდა, ათრობდა და აფხიზლებდა. მისით დაიბადა ბევრი ახალი ლექსი, სიმღერა, იუმორი. ამიტომაც ძნელი წარმოსადეგია ნიაზი უთბილისოდ და თბილისი უნიაზოდ“ (თემურ ნამორაძე). თბილისს და სრულიად საქართველოს ახსოვს ნიაზი, ახსოვს არა მარტო დიდი იუმორისტი, არამედ მრავალმხრივი შემოქმედი. 40-იანი წლების თბილისის ინ-

ტერნაციონალური სულის, განუმეორებელი კოლორიტის წარმოსაჩენად გიზო ნიშნიანიძემ თავის დოკუმენტურ პოემაში სხვა ღირსეულ თბილისელებთან ერთად ნიაზსაც განსაკუთრებული ადგილი დაუთმო (გიზო ნიშნიანიძე, 1991:240-246):

„ნიაზას გაუმარჯოს, ბიჭებო დიასამიძეს
და იმის ხარივით ბულდოგს.
ყველა სახლს და ქუჩას, ყველა მერცხლის ბუდეს-
ბედის ბუდეს
სადაც ჩვენი ბუდა ბუდობს
ჩიტივით ჭამდა და ჩიტივით სვამდა, მგონი ჩიტი იყო
თვითონაც
ფიროსმანის იყო ჯიშის და ჯილაგის,
ეს კაცმაც იცოდა, ხვითომაც.
იზამდა — მსგავსს სხვა ვერ იზამდა;
იცვამდა — სხვის წესს არ იცავდა;
დალევდა — ზეცას ახედავდა;
იტყოდა — ქვასაც გახეთქავდა...
ვერავინ იტყოდა ნიაზზე უკეთესად,
ვერავინ დაუკრავდა როიალზე,
ვერავინ ფიქრსაც ვერ გაბედავდა,
უფრო მოხდენილსა და შნოიანზე.
. . . . . .
მას თავის სიმდიდრე ფეხებზე ეკიდა,
მიტომ გაიხარჯა ჰაი-ჰარად,
ჯიბეამოტრიალებული წავიდა ქვეყნიდან,
ჩვენი გახარებით გაიხარა
. . . . . .
კაცთან კი არა, ხესთან ნახავდა ნიაზა საერთო ენას,
თუ რამე დააკლო, თავისთავს დააკლო,
ისე კი მოგეცათ ლხენა.
წლისთავზე ერთმა ხისტვინამ ბრძანა:
ნიაზმა შეაწუხაო ქალაქი
ქაჯმა ქაჯური იცის შესანდობარიც,

სახეში გვესროლა ტალახი.
ავდექი, მის სიტყვას – სიტყვა შევაგებე,
წარსულზე არ ითქმის ძვირი
(ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოთ ბიჭებო,
არც როცა ყროყინობს ვირი)...
ნიაზი თბილისს ისე უხდებოდა,
როგორც ნიავი დილის —
- მე დავავიწყდები,
შენ დაავიწყდები,
ის არ დაავიწყდება თბილისს!“

ნიაზი მთელ საქართველოს უყვარდა, მაგრამ მისდამი სიყვარულითა და სითბოთი იმდენი ვატრიალეთ მისი სახელი, რომ ხუმრობა-ხუმრობაში ნიაზის ნამდვილი პორტრეტი ცოტათი შემოგველახა, ხოლო როცა მის რესტავრაციას შევუდექით, ნ. დუმბაძის ქალიშვილის მანანა დუმბაძის თქმით – „პროფესიონალი მხატვრისა და ნამდვილი ოსტატის ნაცვლად, პორტრეტი მღებავებს ჩავუგდეთ ხელში – ნიაზ დიასამიძე ანეკდოტებისა და სალაღობო გამონათქვამების ხელოსნად ვაქციეთ და ბევრი ისეთი უკბილო ხუმრობაც მივაწერეთ, ცხოვრებაში რომ არ იტყოდა.

აბდულ დიასამიძე (1931 – 2004)

სცენას, მომავალი მოცეკვავეების აღზრდას მოახმარა თავისი შეგნებული ცხოვრება **აბდულ დიასამიძემ.** პროფესიით ინჟინერმა ხელოვნებაში თავისი წარმატებული მოთვაწეობით გაითქვა სახელი.

ა. დიასამიძე დაიბადა 1931 წელს. ჯერ კიდევ ხელვაჩაურის რაიონის ურეხის 8-წლიანი სკოლის მოსწავლე 10 წლის ასაკში ენვერ ხაბაძემ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამლში ჩარიცხა და პროფესიონალ ქორეოგრაფად ჩამოაყალიბა. ა. დიასამიძე ცნობილი ქართველი ბალეტმეისტერის გივი ოდიკაძის მეთვალყურეო-



ბითაც ეზიარებოდა ცეკვის ხელოვნებას. ერთხანს, რკინიგზის № 25-ე საშუალო სკოლაში სწავლისას სოლისტად გამოდიოდა ადგილობრივ ანსამლში. მე-10 კლასის მოსწავლე ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელად ინიშნება და დამოუკიდებლად იწყებს ცეკვების დადგმას. მე-11 კლასის მოსწავლემ სკოლის მოცეკვავეთა ჯგუფი სამტრედიაში თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერებაზე გამოიყვანა და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.

ა. დიასამიძე ყველგან სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. ეწეოდა ქორეოგრაფიულ საქმიანობას სუფსაში, ქობულეთში, შუახევში, ხელვაჩაურში, წინსვლაში, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. დღენიადაგ ცდილობდა ქორეოგრაფიულ ქმნილებაში ხალხური მონაპოვრების შეტანას, ყოველთვის იყო ახლის ძიებაში და ახალისებდა ინოვაციებს. მის სახელს უკავშირდება აჭარული საცეკვაოების – „ჯაყდანანას“, „ყოლსამას“, „განდაგანას“, „ლაზურის“, „შრომის ცეკვის“, „აჭარული სიუიტის“ ხალხური ელემენტების გამოყენებით დადგმა.

ა. დიასამიძე იყო ბარის ხალხური ხელოვნების პოპულიზატორი, სხვისი ნიჭისა და უნარის უბადლო დამფასებელი. იგი ვერ ეგუებოდა მლიქვნელობას, პირფერობას, ორგულობას. დაუმსახურებელ ქებასა და ტაშს იგი შეურაცხყოფად იღებდა. ხშირად იტყოდა: „ტაშზე თავგადაკლულ ადამიანებს უნელდებათ ხელოვნებისადმი თავდადებაო“.

ა. დიასამიძემ აღზარდა ცნობილი ქორეოგრაფები: რეზო ჭანიშვილი, ზაურ ლაზიშვილი, ენვერ ბოლქვაძე, ჯემალ ჩიჩუა, თემურ ბიბილეიშვილი და მრავალი სხვა. ქართული ხალხური შემოქ-

მედების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის არაერთხელ დაუმსახურებია სხვადასხვა სახის ჯილდო. იგი იყო ორგზოს საკავშირო ფესტივალის ლაურეატი.

ა. დიასამიძე გარდაიცვალა 2004 წელს.

ავთანდილ დიასამიძე (1937- 2014)

ცნობილი მსახიობი, რეჟისორი, მწერალი, აჭარის დამსახურებული არტისტი თავისი გვარის დიდი გულშემატკივარი ავთანდილ დიასამიძე დაისამიძეთა საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელია. იგი დაიბადა ქ. ბათუმში, 1937 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დამწყებ მსახიობად და მსახიობად. 1960 წ. ჩაირიცხა თბილისის თეატრალურ სასწავლებელში. პარალელურად მუშაობდა რკინიგზის სახალხო თეატრში მსახიობად, სადაც (ისე როგორც ბათუმის დრამატულ თეატრში) განასახიერა არაერთი საინტერესო როლი. 1965 წლიდან ახალშენის კულტურის სახლის დირექტორია. სწორედ იქ შექმნა მუსიკალური, ქორეოგრაფიული ანსამბლები და დრამატული დასი, რის საფუძველზეც შემდგომში ჩამოაყალიბა ყოფილი საბჭოეთის სოფლის

მასშტაბით პირველი სახალხო თეატრი. 1979 წლიდან ა. დიასამიძე სათავეში ჩაუდგა ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრს. პარალელურად, ბიზნესსაქმიანობასაც მიყო ხელი. 1980 წ. სასტუმრო „მედეაში“ დააფუძნა ტურისტული კომპანია, ხოლო 1987 წ. ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე გახსნა დისკო კლუბი.

ა. დიასამიძე ფინანსურ დახმარებას უწევდა ბათუმის დრამატულ და თოჯინების თეატრებს, იყო მრავალი თეატრალური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფესტივალების ლაურეატი. მოგვიანებით, 2005 წლიდან იგი იყო გულების წმ. მოწამე ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობის იდეის ერთ-ერთი ავტორი და დამფინანსებელი. გარდაიცვალა 2014 წელს.

ლეილა დიასამიძე

ხელოვანის ცხოვრება ათასი კაცის ცხოვრებას ჰგავს. ეს ათასი კაცი ერთ ადამიანში იბადება, ერთმანეთს არ ჰგავს და მაინც ერთი დიდი სიყვარული, სულის წვა, გრძნობათა მთელი სამყარო აერთიანებთ. რაც უფრო ძლიერია მათი ხასიათები, მით უფრო შორს არიან ისინი ერთმანეთთან და უფრო დიდია არტისტის ხელოვნებაც. ერთი ასეთი გამორჩეული ხელოვანია აჭარის დამსახურებული არტისტი **ლეილა დიასამიძე,** რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სცე-

ნას დაუკავშირა. სცენა იყო მისი სიხარული, იმედი, ხვალინდელი დღე.

ლეილა ჯემალის ასული დიასამიძე დაიბადა 1942 წ. 10 აგვისტოს, ხელვაჩაურის (მაშინდელი ბათუმის) რაიონის სოფ. ანგისაში. მომავალი ხელოვანი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ბათუმის კულტ–საგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეგრაფიულ განყოფილებაზე (1960-1964 წწ.) სწავლასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა ქორეგრაფიული წრეების მუშაობაში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1964 წ. მარტიდან ქალბატონი ლეილა განაწილებული იქნა მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამლში-მოცეკვავე მსახიობად.

ყველა ბათუმელს, მის ახლობლებსა და მეგობრებს აინტერესებდათ და აღელვებდათ, თუ როგორ წარსდგებოდა სცენაზე ახალგაზრდა ხელოვანი. მისი სასცენო ხელოვნება ნახა ათობით მაყურებელმა. შთაბეჭდილება კი ერთია. ქალბატონმა ლეილამ გაიმარჯვა. მან დაადასტურა, რომ იგი შეუჩერებლივ იზრდება და სრულყოფს თავის მხატვრულ ოსტატობას. ლ. დიასამიძის მოხდენილი ცეკვა აღაფრთოვანებს მაყურებელს. მისი მიხრა-მოხრა, მხატვრული ილეთის შესრულება ბუნებრივ მთლიანობაშია მოქცეული. თავისი მხატვრული ოსტატობით, შესრულების მანერით, უბრალოებით, სისადავითა და ბუნებრიობით ქალბატონი ლეილა სცენაზე ქმნის საოცარ მხატვრულ ჰარმონიულობას, ძირითადად მასობრივ სცენებში. ნაცნობს თუ უცნობს ლეილა დიასამიძე ხიბლავს ოლიმპიური სიმშვიდით, შეუნიღბავი გულწრფელობით, არაჩვეულებრივი უშუალობით. სცენაზე იგი აფრქვევს ულევ ტემპერამენტსა და საამო მღელვარებას ანიჭებს მაყურებელს.

მოხდენილი აღნაგობა, ლამაზად მორგებული კოსტიუმები, უშუალობა – აი ის, რაც ახასიათებს ამ მსახიობს. მისეული „ქალთა ხევსურული“ – გრაციულობისა და რიტმის შერწყმის კლასიკური ნიმუშია. იგივე შეიძლება ითქვას „განდაგანას,“ „ოსურის,“ „ხანჯლურის“ და „მოპატიჟების“ შესახებაც. მოხდე-

ნილია ლ. დიასამიძის ეპიზოდური როლები. თეატრის არტისტებისა არ იყოს, სწორედ ასეთ, ერთგვარად შეზღუდულ ატმოსფეროში მკაფიოდ წარმოჩნდება შემოქმედებითი შესაძლებლობანი და ოსტატობა.

ბევრის მიმართ როდი გამოუჩენია ბუნებას ისეთი სიუხვე, როგორიც ლეილა დიასამიძის მიმართ გამოიჩინა. მისი მოხდენილი ტანი, მდიდარი ჟესტები, დახვეწილი მიმოხვრა, დიდებული პროფილი, იშვიათი პლასტიკა და მართლაც რომ დაუოკებელი ტემპერამენტი ანდამატივით იზიდავდა მაყურებელს. ვინ იცის, რამდენს უნატრია–ნეტავ დიდხანს იყოსო სცენაზე.

სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი არაერთხელ დააჯილდოვეს საფესტივალო თუ საიუბილეო მედლებით, სიგელებით, დიპლომებით. 1983 წელს ლ. დიასამიძე დააჯილდოვეს „შრომის ვეტერანის“ მედლით. გასული საუკუნის 70-იანი წლების ახალგაზრდები სწორედ ლ. დიასამიძისა და სხვა ხელოვანთა შემოქმედებაზე აღიზარდნენ, მათი მეშვეობით შეითვისეს ის საოცრება, რასაც ქართული ცეკვა ჰქვია. **გამოჩენილ ხელოვანს 1985 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული არტისტის წოდება**. ეს იყო დაფასება იმ დიდი ღვაწლისა, რაც ლ. დიასამიძემ დასდო ქართულ ცეკვას.

მაყურებელი კვლავაც ბევრს მოელის ლეილა დიასამიძისაგან. მან 6 ათეულს გადააბიჯა, მაგრამ შრომამ და გარჯამ შესაშური ჯანი და მხნეობა შეუნარჩუნა. გამორჩეულმა ნიჭმა, სცენის სიყვარულმა და შრომისმოყვარეობამ ლეილა დიასამიძე აქცია დიდი მასშტაბის არტისტად, ცეკვის ჯადოქრად.

თვით უმაღლესი დიდების ჟამსაც ლეილას ოდნავადაც არ დაუკარგავს საუკეთესო ადამიანური თვისებები – თავმდაბლობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მომთხოვნელობა. არა და ბევრი საბაბი ჰქონდა „გადიდკაცებულიყო“! იმდენი, რამდენიც ალბათ არავის – მის ტოლ-მეგობართაგან.

ზურაბ დიასამიძე

ზ. დიასამიძე დაიბადა 1965 წელს. დაამთავრა ბათუმის N 22 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე. სადიპლომო ნაშრომი – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – წარმოადგინა ბათუმის დრამატულ თეატრში, რასაც დიდი გამოხმაურება მოყვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

ზ. დიასამიძე გადაღებულია მხატვრულ და მოკლემეტრაჟიან ფილმებში: „ დროის ძახილი“ და „მგლების ხორუმი“. ამჟამად მოღვაწეობს მოსკოვში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გია დიასამიძე

დაიბადა ბათუმში, 1971 წელს, დაამთავრა ქალაქის N 22 საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისში, დამოუკიდებელი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბიზნესსაქმიანობას მიჰყო ხელი. 1996-

1999 წწ. იყო შპს „მარისკა“-ს , 1999-2002 წწ. კი „მი-ფასი“-ს პრეზიდენტი.

2002-2004 წწ. სწავლობდა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში კინორეჟისორის სპეციალობაზე, რის შემდეგაც დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო სარეჟისორო საქმიანობა. იგი არის ავტორი დოკუმენტური ფილმებისა: „მოგზაურობა ფოლკლორში“, „ადილა“, „არტგენის ჩანახატები“, „გაბრწყინება“, „მოლოდინი“. მოღვაწეობდა აგრეთვე მუსიკალურ ჯგუფებში: „ზუმბალენდი“, „აუტსაიდერი“. შექმნა კლიპები: „გურიშ ვარდი“, „მოდი დავიწყოთ ერთად“, „ნენე-ნენა“, „ალილო“, „შევაერთოთ გზები“. იგი დღესაც აგრძელებს სარეჟისორო საქმიანობას. **იყო დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის პრეზიდენტი.** ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნიაზ დიასამიძე (უმცროსი)

ნ. დიასამიძე დაიბადა 1973 წ. თბილისში. დაამთავრა თბილისის N 55 საშუალო სკოლა, შემდეგ კი სამხატვრო აკადემია სამრეწველო გრაფიკის სპეციალობით. 13-14 წლის ასაკში გაიტაცა მუსიკამ. სწორედ მის სახელს უკავშირდება ფალიაშვილის ქ. N 33-ა – ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ცნობადობის ამაღლება. მეგობრებთან ერთად მან შექმნა ჯგუფი „33-ა“. მანვე დაწერა სიმღერა „თოვლი“. არის არაერთი სიმღერისა და მუსიკის ავტორი. იგი არის ამავე დროს საუკეთესო შემსრულებელიც.

ნ. დიასამიძემ მუსიკალურად გააფორმა რამოდენიმე სატელევიზიო მხატვრული ფილმი. ეამაყება, რომ არის თბილისის კოლორიტის ნიაზის შვილიშვილი. თავადაც ხომ მის სახელს ატარებს. ნოვატორობასა და პატრიოტობისათვის **2010 წელს ნ. დიასამიძე დააჯილდოვეს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით**.

ალექსანდრე დიასამიძე

ბათუმის N4 მუსიკალური სკოლის კურსდამთავრებული **ალექსანდრე დიასამიძე** წარმატებული პიანისტია. მუსიკალური სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში. სწავლის პარალელურად მონაწილეობდა ამერიკაში ქ. ლოს-ანჟელოსის ჯოვანა ჰოლგესის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში, სადაც დააჯილდოვეს გრან-პრითა და ლაურეატის წოდებით. იგი არის **საფრანგეთის, დანიის, იტალიის, ავსტრიის, უკრაინის საერთაშორისო გრან-პრისა და ლაურეატის წოდების მფლობელი**, საქართველოს არაერთი კონკურსის ლაურეატი. დაამთავრა გერმანიის ქ. ფრაიბურგის კონსერვატორია და ასპირანტურა. პარალელურად ეწევა პედაგოგურ საქმიანობასაც.

ეკატერინე დიასამიძე

ეკატერინე ნიკოლოზის ასული დიასამიძე დაიბადა 1981 წლის 27 ნოემბერს, ქალაქ თბილისში. დაამთავრა "ნიჭიერთა ათწლედი" მუსიკის თეორიის განხრით. არის თბილისისა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორიების კურსდამთავრებული, სადაც სწავლობდა მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, მუსიკალური ფოლკლორისა და საეკლესიო მუსიკის მიმართულებებზე. მოგვიანებით მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე განაგ-

რძო სწავლა. დაცული აქვს დისერტაცია კულტურისა და მუსიკის ანთროპოლოგიის მიმართულებით ("ქართული საეკლესიო გალობა ქართველთა კულტურული იდენტობის კონტექსტში"), რის შედეგადაც **მიენიჭა ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.** იგი არის არაერთი სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე, ასევე სამეცნიერო სტატიების ავტორი. მუშაობს სხვადასხვა ბეჭდვით თუ აუდიო გამოცემებზე

ეკატერინე დიასამიძე იყო კლასიკური მუსიკის პირველი 24 საათიანი მაუწყებლის – რადიო "მუზა"-ს პროგრამების ხელმძღვანელი და რადიოწამყვანი. იგი მღეროდა კლასიკური და ტრადიციული მუსიკის ისეთ გუნდებსა და ანსამბლებში, როგორებიცაა: **"Ключ Разумения" (სანკტ-პეტერბურგის კონსერვატორია), "Handel Society" (დართმუთის კოლეჯი), "Yale Camerata"(იელის უნივერსიტეტის საეკლესიო მუსიკის ინსტიტუტი).** ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მხატვრული შემოქმედება

საზოგადოებრივი ყოფიერების, ადამიანური ურთიერთობებისა და ემოციების გამოსახატავად დიასამიძეები ეფექტურად იყენებენ ფუნჯსა თუ მხატვრულ სიტყვას. მათ საზოგადოებრივად ღირებული არაერთი ფერწერული ტილო და ლიტერატურული ნაწარმოები შექმნეს. მკითხველს ვთავაზობთ მოკლე ინფორმაციას რამდენიმე მათგანის შესახებ.

შოთა დიასამიძე

შოთა დიასამიძე დაიბადა ჭვანის ხეობაში, სოფელ ჭალაში (შუახევის რაიონი). დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო სოფელ წყაროთაში, სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად შ. დიასამიძე შემოქმედებითი საქმიანობითაცაა დაკავებული. მისი პოეტური მრწამსი შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„არ მისურვია საბრძანო სკამი,
რაზეც ბევრსა აქვს სურვილი დიდი,
ანგელოზების თვალებს ვუმზერდი,
ყმაწვილთა სულის ჩუქურთმას ვჭრიდი“

მან მართლაც და არ გაცვალა თავისი მრწამსი არავითარ თანამდებობაზე. შემოთავაზებულ წინადადებას იგი უარით პასუხობდა და ამას ასაბუთებდა მომავალი თაობის აღზრდაში საკუთარი მონაწილეობის საჭიროებით:

„ბრძენს, მოამაგეს, ჭეშმარიტ მოძღვარს,

ყოფა წალკოტად ვის ჰქონდა შლილი?
ვინც უანგაროდ იღვაწა ქვეყნად,
აი ის არის მამულიშვილი“.

შ. დიასამიძის პოეტური შემოქმედება მოექცა ირაკლი აბაშიძის, ზურაბ გორგილაძის, ფრიდონ ხალვაშის ყურადღების ცენტრში. გინესის მსოფლიო რეკორდსმენმა, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრმა ელმანზორ თავაძემ შ. დიასამიძეს ლექსიც კი მიუძღვნა.

პოეტური კრებულის ავტორი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა. შ. დიასამიძემ თარგმნა რასულ გამზათოვის, ჰოვანეს შირაზის, ვიტატას მონტავილას, თეოდორ ტოუჩევის, იაკობ უსხიას და სხვათა ლექსები.

დიასამიძეთა საგვარეულოსადმი საკუთარი დამოკიდებულება შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„მრავალჟამიერ კურთხევა შენი,
გვარო ძველო და ლიბო მაგარო,
სამშობლოსათვის მართვეთა მზრდელო,
ქართული გენის დიდო ლაშქარო!“

თამაზ დიასამიძე (1946-1999)

როგორ დააკლდებოდა რომანტიკული **ხიბლი ჩვენს ქალაქს თამაზ დიასამიძის კოლორიტული ფიგურის გარეშე.** დაიბადა ბათუმში 1946 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ფერმწერის სპეციალობით. შემდეგ კინოთეატრ ,,თბილისის” მხატვარ-რეკლამისტია. ეს ის დროა, როცა ბათუმში კინოსა და თეატრის ბუმია. განსაკუთრებული გასავალი აქვს კინოს. კინოთეატრის წინ, სალაროსთან გრძელი რიგებია.შენობაზე თამაზის მიერ შესრულებული ვეებერთელა ბანერი მაყურებელს ფილმის სანახავად ეპატიჟება. 1980-იანი წლების დასაწყისიდან იგი გამომცამლობა ,,აჭარის” სამხატვრო რედაქტორია. ამ გამომცემლობას ყოველთვის ყავდა გამორჩეული მხატვრები, მაგრამ თ. დიასამიძე ყველასგან განსხვავებული იყო აზრის

სიღრმით და ორიგინალური გააზრებით. მან გააფორმა 100-მდე მწერლის წიგნის ყდა, მათ შორის სულიკო დიასამიძის პოეტური კრებული „ლურჯი კოცონი“. მუშაობდა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში - ფერწერაში, გრაფიკაში, ჭედურობაში, გამოყენებით ხელოვნებაში. იყო მხატვართა კავშირის წევრი. მეგობრები სიყვარულით ფიროსმანს ეძახდნენ. მათ შირის იყო საოცარი გარეგნული მსგავსება. თამაზი სულიერი წყობითაც ენათესავებოდა გენიალურ ნიკალას.

ღომანტიკული იყო თამაზი სუფრასთანაც. უყვარდა მოლხენა. ხშირად წაიმღერებდა კიდეც: ,,ჩემს სატკივარს ვინც გაიგებს, მისი ჭირიმეო” და დაამატებდა: ,,მართლაც ჭირიმეო”. უხაროდა ყველას წარმატება, ვერ წარმოედგინა ხელოვნებაში ვინმესთან შესულიყო კონკურენციაში.

თამაზი ფიროსმანივით დაუდევრად ეპყრობოდა თავის ტილოებს. არც კატალოგი შეუდგენიაოდესმე. ნახატებს უსასყიდლოდ სთავაზობდა ყველა მსურველს. ამიტომაც იყო, რომ მისი დაბადების 60 წლისთავზე, როცა მეგობრებმა განიზრახეს მისი ნამუშევრების კატალოგის შედგენა, ხელთ მხოლოდ 40 სურათი, რამდენიმე ფერწერული ტილო და 30-მდე გრაფიკული ნამუშევარიღა შერჩათ, ძირითადად გამოცემული წიგნების ყდები. ამ ნამუშევრების შეკრება მეტად საშური საქმეა და დასანანი იქნება თუ ისინი მისი ავტორის ტრაგიკულ ბედს გაიზიარებენ.

1985 წლიდან იგი ბათუმის ლადო გუდიაშვილის სახელობის მხატვრის სახლის დირექტორია. **მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება.**

ბათუმში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩის N 47-ში გაატარა თავისი ცხოვრების ბოლო წლები .ამ სახლში კარგად იციან მისი ფასი, უფრთხილდებიან იმ ნახატებს, რომელიც შემორჩათ.

თამაზ დიასამიძე გარდაიცვალა 1999 წელს.

თამაზ დიასამიძე

თამაზ დიასამიძე შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეების მკვიდრია. დაიბადა 1957 წელს. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა კვიახიძეების 8-წლიან სკოლაში, გოგინაურისა და დღვანის კოლმეურნეობების პარტიული ორგანიზაციის მდივნად, კვიახიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. **გამოსცა სამი წიგნი: „ვთქვი“, „მთაში ნაქსოვი ფიქრები“ და „კვიახიძეები“.**

ნუკრი დიასამიძე

ნუკრი დიასამიძე დაიბადა 1960 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კაპრეშუმში. იყო საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (1977 წ.). საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა გააგრძელა ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, შემდეგ კი მუშაობა დაიწყო გემზე მოტორისტის პოზიციაზე.



2007 წელს დაასრულა ბათუმის საზღვაო აკადემია-გემთმექანიკოსის სპეციალობით. 1995 წლიდან საზღვაო შემადგენლობის მთავარი ინჟინერია. **არის პოეტური კრებულის „ბედის იალქანი“-ს** ავტორი, რომელიც გამოიცა 2011 წელს. ნ. დიასამიძე აქტიურ მონაწილეობას (ფულად დახმარებას) იღებდა გულების წმ. ევდემოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი

ჟურნალისტიკა

დისამიძეთა საგვარეულოში არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება დაუკავშირეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისეთ სფეროს, როგორიცაა ჟურნალისტიკა. მათ თავი გამოიჩინეს აქტუალური ინფორმაციის შეგროვებით, დამუშავებითა და საზოგადოებისათვის ობიექტური და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდებით. მათ შორის არიან: გრიგოლ დიასამიძე, ავთანდილ დიასამიძე და სხვები.

გრიგოლ დიასამიძე
(1870-1960)



„დაბადებით მე ვეკუთვნი საქართველოს ისტორიაში არაუცნობ გვარს დიასამიძეებისას. ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის მოწმობით, რომელიც გამოიხატა გაზ. „თემში“ დაბეჭდილ წერილ-გამოკვლევაში, დიასამიძეთა გვარი იხსენიება ჯერ კიდევ X საუკუნეში, როდესაც ცხოვრობდა ჩვენი წინაპარი სახელად შვენიერ დიასამიძე“ — წერდა **გრიგოლ დიასამიძე** იოსებ იმედაშვილისადმი მიწერილ მიმართვაში (გ.კ ობახიძე, გაზ. თბილისი, 28 აპრილი, 1990).

ჭეშმარიტად, გრიგოლ დიასამიძე საქართველოს ისტორიაში ცნობილი გვარის ღირსეული წარმომადგენელია. იგი დაბადებულია თბილისის გუბერნიის გორის მაზარის სოფელ საქაშეთში – 1870 წლის 25 იანვარს (7 თებერვალი —ახალი სტილით). იგი იყო ნიკო დავითის ძე დიასამიძისა და ნინო გრიგოლის ასულ

ბებურაშვილის უფროსი ვაჟი (შვიდიდან). 1879-1880 წლეებში იგი სწავლობდა თბილისში, ბარონესა ტიზენჰაუზენის პანსიონ-ში.

1888 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია და ჩაირიცხა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1893 წელს წარმატებით ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და დაბრუნდა სამშობლოში. სათანადო სტაჟის შეს-რულების შემდეგ გახდა სრულუფლებიანი ნაფიცი მსაჯული, მაგრამ იურისტობას ჟურნალისტობა არჩია და ბოლოს რედაქ-ტორ-გამომცემელის მძიმე ტვირთის ტარებაც მოუხდა. „ჩემს სიცოცხლეში ერთი სასამართლო პროცესი მქონდა და ისიც წა-ვაგეო“– სიცილით იგონებდა მოგვიანებით გრიგოლი (გ.კობახი-ძე, გაზ. თბილისი, 28 აპრილი, 1990). მას სიცოცხლეში არც ერთ სახელმწიფო სამსახურში არ უმუშავია და არც რომელიმე პარტიას მიკედლებია. 1894-1895 წლებში მუშაობდა თბილისის ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტე-რატურის მასწავლებლად. 1896-1901 წლებში მუშაობდა ნაფიცი მსაჯულის მოადგილედ. 1899-1904 წლებში გრიგოლი მუშაობდა გორის მაზრის მემამულეთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა-ში. იყო ამხანაგობის სამმართველოს თავმჯდომარეც. 1901-1910 წლებში მას ეკავა სხვა საპატიო თანამდებობებიც: თბილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოში მივლინებული იყო, როგორც დეპუტატი გორის მაზრის თავადაზნაურთაგან, ამავე დროს გრიგოლი იყო საქართველოს „წითელი ჯვრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მუდმივი წევრი. 1894 წ. იგი ხმოსნად აირჩიეს თბილისის საქალაქო საბჭოში, მაგრამ პრინ-ციპული მოსაზრებით ამაზე მან უარი განაცხადა. 1902-1904 წლებში გრ. დიასამიძემ დააარსა საკრედიტო ამხანაგობა. მისი-ვე ინიციატივითა და მხარდაჭერით დაარსდა: სკოლები ჭრება-ლოში (რაჭა), საქაშეთში, ალში (გორის მაზრა), ფოსტის განყო-ფილება, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა – სამკითხველო (ჭრელო-ბაში); პირველი ელექტროსაბეჭდი „გუტენბერგი“ (თბილისში); შემნახველი სალარო და მებაღეობა-მევენახეობის ამხანაგობა „ალექსანდროული“- თბილისში და ა.შ.

1897 წელს გრ. დიასამიძემ ცოლად შეირთო დიმიტრი ხიმშიაშვილის ასული სოფიო. მეორე წელს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ვერაგულად მოკლული მამის სახელი — ნიკოლოზი დაარქვეს (იგი 1888 წელსავე გარდაიცვალა). 1900 წლის 27 აპრილს შეეძინათ ქალი-ელენე. 1906 წლის 25 ივლისს გრიგოლს მეუღლე – სოფიო გარდაეცვალა. ამის შემდეგ მას აღარც კი უფიქრია დაქორწინება. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა პირველი სიყვარულისა. სოფიოს დედა იყო ქაიხოსრო ბაჭიას ძე გელოვანის და. ქაიხოსრომ მთელი თავისი მამული დაუტოვა დას -სოფიოს. სწორედ აქედანაა ის მტკიცე კავშირი, რომელიც გრიგოლს რაჭასთან აკავშირებდა და ჭრებალოში დაარსა კიდეც სკოლა, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა.

გრ. დიასამიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილიასთან, აკაკისთან, იოსებ იმედაშვილთან და ქართველი ერის სხვა საამაყო შვილებთან. საქართველოს კათაკიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე იგონებს: „1905 წ. აპრილის პირველ რიცხვებში გრიგოლ დიასამიძემ („თემის“ რედაქტორმა) მიმიწვია შვილის მოსანათლად. ჩემს მისვლისას, საღამოს რვა-ცხრა საათზე, უკვე დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. იყვნენ აკაკიც და ილიაც. ეტყობოდა ნათლობა საბაბად გამოეყენებინათ მიტინგის გამართვისათვის“ (გრ. დიასამიძე 1957: 47 — 48).

ეს ამონაწერი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა ტრადიციებს იცავდა გრიგოლ დიასამიძე. მისი სახლი იყო ისეთ ადამიანთა საკრებულო, როგორებიც იყვნენ ილია და აკაკი. გრ. დიასამიძის ილიასთან მეგობრობას ადასტურებს თბილისში სტამბის პატრონის — ექვთიმე ხელაძის ძმისშვილის ალფეზის მონათხრობი: ექვთიმე ხელაძის სუფრასთან (1905 წ.) თამადას, გრ. დიასამიძეს უდღეგრძელებია ილია და უთქვამს: „ილია, შენ საპრეზიდენტო კაცი ხარო“. ილიას ღმილით გაუცია პასუხი: „ჩემო გიგო, პრეზიდენტობისა რა მოგახსენო, მე მისკენ მისწრაფება არასოდეს არ მქონია, მაგრამ თუ რევოლუცია ამ გზით წავიდა, ეს ხალხის დიდი მონაპოვარი იქნებაო“ (გივი ჟორდანია, 1905:11). გრიგოლი აკაკის დიდი მეგობარი იყო. აკაკიმ 1912 წ. ზაფხულში რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა. ეს ვითარება ვასილ

ამაშუკელმა გადაიღო სრულმეტრაჟიან ფილმად (კინემატოგრაფიის ისტორიაში ეს იყო პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი). გიგო დიასამიძე იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი ამ მოგზაურობისა. იგი ამაშუკელის მიერ შექმნილი ფილმის მრავალ კადრშია ნაჩვენები დიდ აკაკისთან ერთად. ეხება რა აკაკისთან ურთიერთობის საკითხებს, გრ. დიასამიძე, როგორც აკაკის ლიტერატურული ანდერძის აღმსრულებელი, უარყოფს საზოგადოებაში გავრცელებულ ჭორებს იმის შესახებ, თითქოს აკაკი გაყრილი იყო მეუღლესთან. „ეს ხმა უნდა იქმნას უკუგდებული, როგორც ჭორი და ცილი. ისინი მუდამ მეგობრულ მიმოწერებში იყვნენ“, წერდა გრ. დიასამიძე (გრ. დიასამიძე, 1957:47 — 48).

გრიგოლ დიასამიძესთან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ექვთიმე თაყაიშვილსა და გრ. რობაქიძეს. ექვთიმე გიგოს ავალებდა ემიგრაციაში მცხოვრებ ქართველთა ოჯახებში შემორჩენილ სიძველეთა შეგროვებას, ისტორიული დოკუმენტების შეკრებას, ფოტოსურათების, ხელნაწერებისა და ნივთების აღნუსხვას.

1955 წელს გრ. რობაქიძემ დახატა გიგოს (გრიგოლის) ბრწყინვალე პორტრეტი. მისი „გრიგოლ დიასამიძის პროფილი“ დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე ნიუ-ორკის ორენოვან (ქართლ-ინგლისურ) ჟურნალში „ჩვენი გზა“ (მთ. რედაქტორი გ.კობახიძე). იგი წერდა: „იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, ვინც ასე ღრმად ტკბებოდა თანამეინახეთა წრეში... როცა იგი რუსთაველის გამზირზე ვიდოდა, იგი იყო პირველი მიმსალმებელი. მას ვერავინ მოასწრებდა სალამს. არა მარტო ეს, არა მარტო... იგი შედგებოდა ნაცნობთან, გამოესაუბრებოდა, მოიკითხავდა... და რასაც იგი ამბობდა, ეს მოდიოდა გულის სიღრმიდან... ამიტომ იყო, რომ გრიგოლ დიასამიძეს ნახავდით ყველგან, ბანკეტზე თუ იუბილეზე და სადაც გნებავთ (გრ. დიასამიძე, 1957:47 — 48).

გრ. რობაქიძე იმასაც იხსენებს, რომ „გიგომ ახალგაზრდობიდანვე მოიშორა თავიდან მისთვის ეწოდებინათ „თავადი“. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ყოველთვის იყო მზად დახმა-

რებისათვის, ეხმარებოდა, გზას უხსნიდა, აწინაურებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს. „ბოლშევიკების მიერ თბილისის დაკავების წინა დღეს – წერს რობაქიძე, მე ვისადილე გრიგოლ დიასამიძესთან. არასოდეს წინათ არ მეხილა იგი ასე აღელვებული. მეორე დღეს მან დატოვა სამშობლო. იგი დასახლდა ბერლინში. ბოლოს მეც მას შეუერთდი იქვე. გრიგოლ დიასამიძის ღარიბული ბინა ბერლინში იყო კერა, სადაც ქართული ცეცხლი გიზგიზებდა. როცა მარტოობა, მოწყენილობა შემიპყრობდა, როცა სამშობლოს ნატვრა კლანჭს ჩამჭიდებდა, იმ წამსვე გავეშურებოდი მისკენ (გრ. დიასამიძე, 1957:47 — 48).

გრ. დიასამიძემ ყველაზე დიდი ამაგი დასდო ბეჭდვით სიტყვასა და ქართულ პრესას. 1911-1915 წლებში იგი გამოსცემდა და რედაქტორობდა საკუთარ ყოველკვირეულ გაზეთ „თემს.“ გიგო აქტიურად მოღვაწეობდა აგრეთვე ქართლ, რუსულ და სხვა ენებზე გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში, სცემდა წიგნებს, ბროშურებს. 1917-1918 წწ. ლიტერატორ ალ. ჯაყელთან ერთად რედაქტორობდა ყოველდღიურ რუსულენოვან გაზეთ „რესპუბლიკას.“ 1920 წლიდან იგი ყოველთვიური კულტურულ-პოლიტიკური (დასურათებული) ჟურნალის „Братство“–ს რედაქტორია, რომელშიც თანამშრომლობდნენ ცნობილი მწერლები, ლიტერატურის მცოდნეები, მხატვრები: ლანსერე, შარლემანი, სორინი, სუდეიკინი და ხხვები. ეს გამოცემა იყო „კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის მცირე ერების უფლებათა დაცვის ლიგის“ ორგანო, მაგრამ მოულოდნელი გართულებების გამო 2 ნომრის შემდეგ გამოცემა შეწყდა. XIX ს. 80-იანი წლების ქართულ პრესაში ხშირად მოიხსენიება გრ. დიასამიძე, როგორც თერგდალეულთა იდეური თანამოაზრე, ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი. გაზეთი „ივერიის“ 1902 წ. ერთ-ერთი ნომერი იუწყებოდა გრ. დიასამიძის მუხანათურ მკვლელობას (ზ. კაცელაშვილი, 1999:21).

1909 წელს გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითში ნინო ჯავახიშვილისა და მისი მეუღლის – ილია მაჭავარიანის თაოსნობით გაიხსნა ოთხწლიანი სასწავლებელი. მათთვის დიდი დახმარება გაუწევიათ თავად ნიკოლოზ მიხეილის ძე დიასამიძესა და

მის მეუღლე თამარს. მათ თავიანთი ორსართულიანი სახლის ნაწილი სკოლისათვის დაუთმიათ. ამ სკოლაში გამოდიოდა საკვირაო ლიტერატურული გაზეთი „ლამპარი“, რომელიც ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ეს სკოლა საშუალო სკოლის სტატუსით ფუნქციონირებდა 1970-იან წლებამდე. 1989 წ. 12 მაისს, ზ. კაცელაშვილის ინიციატივით ჩატარდა ამ სკოლის დაარსების 80 წლისათვისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მის შემდეგ იგი გადააკეთეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმებად (ზ. კაცელაშვილი, 1999:21).

დიასამიძეთა მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დღესაც აგრძელებს ღირსეული წინაპრების სახელოვან ტრადიციებს.

1921 წლის 25 თებერვალს გიგომ შვილთან — ელენესთან ერთად დატოვა თბილისი. ისინი ჩავიდნენ პარიზში, შემდეგ კი მუდმივ საცხოვრებლად გადავიდნენ ბერლინში. ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმის მიუხედავად იგი რჩეული ენერგიით განაგრძობდა მოღვაწეობას, უწყვეტი კავშირი ჰქონდა პარიზის, ლონდონის, რომის, მადრიდის, ბრიუსელის და ამერიკის ქართველებთან. პირველსავე წელს მან დაარსა საგამომცემლო საზოგადოება, რომელიც კრებდა და აქვეყნებდა საქართველო–კავკასიის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალებს. ამ საქმეში მას გვერდში ედგა ცნობილი ქართველოლოგი და ლექსიკოგრაფი, „გერმანულ–ქართული“ და „ქართულ–გერმანული“ ლექსიკონების ავტორი დოქტორი რიჩარდ მეკელაინი. მასთან ერთად გიგო რედაქტორობდა ჟურნალ „მორგენლად“–ს („ახლო აღმოსავლეთი“) 1922 წ. გრ.დიასამიძემ ბერლინში შექმნა ქართული სათვისტომო. იგი იყო სათვისტომოს პირველი თავჯდომარე. ვლადიმერ ახმეტელთან (ყოფილი ელჩი–დამოუკიდებლობის პერიოდში) და დოქტორ ტიტე მარგველაშვილთან ერთად მან ბერლინში დააარსა წითელი ჯვრის ქართული განყოფილება, მაგრამ ჰიტლერის ძალაუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ იგი დაიშალა.

1936 წ. გრ. დიასამიძეს ირჩევენ აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის შემსწავლელი ინსტიტუტის მუდმივ წევრად და ამ ინსტიტუტის ჟურნალ „აღმოსავლეთ ევროპის“–სარედაქციო კო-

ლეგიის წევრად. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასია“–სთან. 1935-1944 წლებში გრიგოლმა გამოაქვეყნა არაერთი მოგონება ქართულ და რუსულ პრესაში. მან დიდი წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის საქმეში. გრიგოლი მრავალი წლის განმავლობაში ეხმარებოდა კონსტანტინე ბალმონტს პოემის თარგმნის დროს. ბალმონტის თარგმანი „ინ ფოლიო“ პარიზში გამოიცა 1933 წელს. იგი დაიბეჭდა დავით ხელაძის სტამბაში მ. ზიჩის სურათებით და ქართველიშვილის 1888 წლის გამოცემიდან აღებული ჩარჩოების რეპროდუქციის გამოყენებით, ფართო წინასიტყვაობითა და შენიშვნებით რუსულ, ფრანგულ და ინგლისულ ენებზე. ბალმონტი შესავალში წერს: „ვბეჭდავ, რა ამ ბრწყინვალე საგალობლებს დიდი ქართველი პოეტისა და, არ ძალმიძს არ დავასახელო მადლობითა და სიყვარულით რამოდენიმე სახელგვარი იმ ადამიანთა, რომლებთანაც სულიერმა სიახლოემ მიაპყრო ჩემი ყურადღება რუსთაველის პოემისადმი, და თან მდევდა მთელი ამ მუშაობის დროს – თამარ ყანჩელი, სანდრო ყანჩელი, თავადი გიგო დიასამიძე და ჩემთვის დაუვიწყარი ოლივერ უორდროპი“. ყანჩელები იყვნენ გრიგოლის უახლოესი მეგობრები და ნათესავები, ხოლო უორდროპებს იგი საქართველოდან იცნობდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გრიგოლი თავისი ელენეთი და 6 წლის შვილიშვილით (ნინო) საცხოვრებლად გადავიდა დას. გერმანიის ქ. ვანგენში, 1952 წ. მარტიდან კი ნიუ-იორკში. ნიუ-იორკში ცხოვრების პერიოდში ხანდაზმული გრიგოლ დიასამიძე არ წყვეტს მუშაობას. იგი იყო მუდმივი თანამშრომელი ნიუ-იორკში არსებული ჟურნალების „კრებულისა“ და „ჩვენი გზისა.“ მათში იგი აქვეყნებდა მოგონებებსა და წერილებს საყურადღებო თემებზე, იყო ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს საპატიო თავჯდომარე, „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ წევრი და უხუცესი მრჩეველი.

გრიგოლ დიასამიძეს საქართველოში დარჩა დიდი ბიბლიოთეკა და არქივი. საარქივო მასალები, ავტოგრაფები, წერილები ამჟამად დაცულია საქართველოს მუზეუმების ხელნაწერთა განყოფილებაში, კატალოგიზირებულია და შეტანილია აღწერილო-

ბათა წიგნში. მან არქივის ერთი ნაწილი ბერლინში ჩაიტანა, რომელიც იქ შეავსო ახალი მასალებით. ომის დროს ეს დოკუმენტები მიაბარეს ბერლინის უნივერსიტეტს.

8 წელი იცოცხლა გიგომ ამერიკაში. იგი გარდაიცვალა 1960 წ. 14 მარტს „ჰასაკითა დამშვენებული, 90 წლისა, კაცი, რომლის „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი მარად იბრწყინებს „ცხოვრებაი ქართლისაიში.“ იგი განისვენებს ნიუ-იორკის ერთ-ერთი მართლმადიდებლური ეკლესიის სასაფლაოზე, რამდენიმე ქართველის გვერდით, რომელთა საფლავებს შეემატა 1968 წელს ელენე დიასამიძის საფლავიც.

გრიგოლ დიასამიძის პიროვნების სრულყოფილი გააზრებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველს უცვლელად შევთავაზოთ მისი ნარკვევი „ჩემი მოგონება“, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველწლიური ორგანო“ (წიგნი პირველი, ნიუ-იორკი, 1957 წელი):

ჩემი მოგონება

მინდა გავიხსენო ჩემი ნასმენ-ნანახი იმ დროიდან, როცა ჩვენი ოჯახი გადასახლდა გორში. ეს მოხდა დაახლოებით 1876 წელს. ჩვენ დავიქირავეთ ბინა მოქალაქე დავიდოვის სახლში, სადაც მოდიოდნენ სტუმრები. მაშინ გორში იდგენ რუსების სამხედრო ნაწილები. მრავალი ოფიცერი დაიარებოდა მაშინ ჩვენთან. ესენი კარგად გაზრდილი ხალხი იყვნენ. ჰმართავდნენ კლუბში წარმოდგენებს, ცოცხალ სურათებს, ცეკვობდნენ. გორელი ქალები მხიარულობდენ, პრანჭიაობდენ და ასე ერთობოდენ. იკრიბებოდნენ რიგრიგად სხვადასხვა ოჯახებში. ამგვარი ოჯახებიდან მახსოვს ელიზბარ ერისთავისა, ჟურულიანთი, მამამზიანთი (ერისთავნი იყვნენ), კერესელიძიანთი, ფურცელაძიანთი, სოფრომ მგალობლიშვილისა და მრავალი კიდევ სხვა. სიმპათიური ოფიცრობიდან მახსოვს ერთი ფონ კოიმანი – გარუსებული გერმანელი, ქართველი ერის სიმპათიით განმსჭვალული. იყო განათლებული და სხვადასხვა ენების მცოდნე, აგრეთვე რეჟისორი, პატარა წარმოდგენების მმართველი, ცხოველი სურათების მომწყობი. ერთხელ, მახსოვს, ჩემი მომდევნო ძმა სანდრო წაიყვანა მან და ერთ-ერთ სურათში ანგელოზად გამოიყვანა, ფრთები გაუკეთა. მე ძალიან მეწყინა, რომ უყურადღებოდ დამტოვა. ეს ნაწყენობა დიდხანს მიკლავდა გულს, მერე გამიქარწყლდა.

გორი მაშინ ძალიან შევიწროვებული იყო გიჟმაჟი ლიახვით. ეს სწრაფი მდინარე ყოველ წლივ წყალდიდობას აცლიდა ვეებერთელა ნაჭრებს იმ მხარეზე, სადაც მტკვარზე გამართული იყო ხის ხიდი, ესე იგი შესართავთან. ლიახვი ქალაქის ზემო ნაწილში ანგრევდა ჯებირებს და ნაპირებს არღვევდა ქვევით. თვითონ მე მახსოვს, როგორ მოანგრია ნაპირი, სადაც იდგა დურმიშხან ჟურულის ლამაზად მორთული სახლი. თვალცრემლიანნი შევყურებდით შორი – ახლოს მდგომნი მეთვალყურენი, როგორ მიაქანებდა გადარეული მდინარე ამ სახლსა, მთელი მისი ავეჯეულობით. იმ დროს სხვა სახლებიც წალეკა მდინარემ და ჩაიტანა მტკვარში. შემდეგში ის ნაპირი ძლიერ შევიწროვდა. ბოლოს როგორღაც გაა-

მაგრეს და გადაარჩინეს მხოლოდ ის ნაწილი, სადაც იდგა მრავალი შენობა, რომელიც კლუბს წარმოადგენდა. აქ გამართული იყო სცენა, სადაც იმართებოდა ქართულად ან რუსულად წარმოდგენები სცენის მოყვარეთა მიერ. ზოგჯერ ნამდვილი არტისტებიც ეწვეოდნენ ხოლმე თბილისიდან. მრგვალ დარბაზში იმართებოდა ცეკვა – თამაში. ისე კი ყოველ დღე იდგა ბანქოს სათამაშო მაგიდები. კლუბს ჰყავდა მამასახლისები, რომელნიც რიგს იჭერდნენ.

გორი ცნობილი იყო მშვენიერი მიდამოებით. სოფელი ხიდისთავი განთქმული იყო ყურძნით (ბუდეშურით) და ატმით. სოფელი ატენი თეთრი ღვინით და ისტორიული დიდებული ტაძრით. გორს მნიშვნელობა დიდი ჰქონდა, სანამ რკინიგზას გაიყვანდნენ. ძველად გორი სადგური იყო საფოსტო გზის, რომელიც აერთებდა თბილისს და იმერეთს. გაყვანილი იყო მშვენიერი გზა – ტკეცილი მტკიცედ აგებული ხიდებით მდინარეებზე – მტკვარზე, ფრონის წყალზე, ყვირილაზე და რიონზე. გზატკეცილი მიდიოდა ორპირამდე, საიდანაც გემებით უკავშირდებოდა ფოთს. შემდეგ შესწყდა ასეთი მოძრაობა, რაკი რკინისგზამ თავისი ჰქმნა. სხვათა შორის, კავკასიაში და მგონი მთელ რუსეთშიც, იქ, სადაც გაჰყავდათ რკინიგზა, იქ წინანდელ საფოსტო გზას სპობდნენ, საზღვარგარეთ კი პირიქით, საფოსტო გზების მზრუნველობას განაგრძობენ, რადგან ესენი დამხმარე ძარღვებათ მიაჩნიათ. როდესაც მატარებლების სვლის დრო შეამოკლეს თბილისსა და გორს შუა, გორის მნიშვნელობამ უფრო იკლო. გორში ქართული ინტელიგენცია ბლომად იყრიდა თავს. დიდი ბაასი და კამათი იმართებოდა მნიშვნელოვან საჭირ – ბოროტო საკითხებზე. წარმოდგენით, ახლო – მახლო სოფლებში გაჩნდნენ ფარული ბუდეები სოციალისტური და რევოლუციური ელფერით. მახსოვს, სოფელ ტყვიავში, სადაც სახლობდა მეტად პატივცემული და საყვარელი ოჯახი იასე რომანის – ძე ფალავანდიშვილისა, რუსმა ჟანდარმებმა ჩხრეკაძიება მოახდინეს. მე მახსოვს ჩვენს ოჯახსაც ეწვივნენ ეს რაინდები. დედაჩემს შეატყობინეს, რომ მოდიან ცხენოსანი ოფიცრები. დედაჩემი იმ წამსვე შეუდგა მურაბებით, წნილებით და სხვა სანოვაგით სუფრის გაწყობას. ჩვენებმა იცოდნენ, რომ ეს ხალხი დაძრწიან სოფელ – სოფელ და ჩხრეკენ ოჯახებს. მართლაც, დიდ-

ხანს არ გვალოდინეს. მობრძანდნენ. მშობლებმა ეს დაუპატიჟებელი სტუმრები სუფრაზე მიიწვიეს. ერთმა უფროსმა ჟანდარმმა დედაჩემს მიმართა ხუმრობით: როგორ გვიმასპინძლდება ქალბატონი, ალბად ეშინია სახლი არ გაუჩხრიკოთო. ეს აღარ მახსოვს, გაჩხრიკეს თუ არა. მგონი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ნახეს საეჭვო. თუმცა ერთხელ მახსოვს მამაჩემი კითხულობდა გაზეთს. გავარჩიე რუსული სახელწოდება: „ნაროდნაია ვოლია“. შემდეგ, როცა ჩემმა მასწავლებელმა, მგონი ალექსანდრე სოლომონის – ძე ხახანაშვილმა, შემდეგ პროფესორმა, მკითხა მე მაშინ არა გამეგებოდა რა, რომ დიდი საიდუმლოება იყო. მასწავლებელმა მიჰმართა მამაჩემს ეთხოვებინა მისთვის ეს გაზეთი. მამაჩემს გაჰკვირვებოდა, ეკითხა: საიდან იცით, რომ ის მაქვსო. მაშინ მე დავუსახელებივარ – იმან მითხარიო. მაგრამ მე საიდან მეცოდინებოდა მაშინ, თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა ასეთი გამოცემით კითხვა.

იასე ფავლენიშვილს ჰყავდა ორი შვილი. პირველის სახელი დამავიწყდა. გამიგია ის სოციალისტი იყო, მწერალიც. მეორეს მოვესწარი, კოლე ერქვა. მეტად ნიჭიერი ფელეტონისტი იყო. საყვარელი ვანო მაჩაბლის ახლო მეგობარი. მას ჰქონდა დაწერილი მშვენიერი ფელეტონი ეგზეკუაციის შესახებ, რომელიც ჩაყენებული იყო გორის მაზრაში, მაზრის უფროს ამირინდო ამილახვარის დროს. ამ ნაწერმა დიდი აურზაური გამოიწვია, ძიება დაიწყეს და მგონი მაზრის უფროსს მოხვდა. ფსევდონიმიც მოხერხებული ამოერჩია კოლა ფავლენიშვილს – ლომკირიძე. ეს ფრანგული სიტყვები ვიქტორ ჰიუგოს ერთ ერთ რომანიდან ამოღებული, ნიშნავს: „კაცი, რომელიც იცინის“. მეტად ნიჭიერი ფელეტონისტი უნდა დამდგარიყო, მაგრამ იშვიათად სწერდა. არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი, მგონი უფრო სიზარმაცე. ვანო მაჩაბელს ძალიან უყვარდა კოლა. მეც დამრჩა კარგი შთაბეჭდილება.

გორის მაზრა ძალიან მოიკეთებდა, რომ რუსის ხელისუფლებას ეწყალობებინა ერობა, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდა. მოწყობაზე ჩვენი ქვეყნისა არავინ ფიქრობდა მოხელეებში. პირიქით, ერთ დროს რუსის ღენერლები გაიძახოდნენ ჩვენ საქართველო გვინდა უქართველებოთო. იყო პროექტი ტირიფონის ველის სოფლები აე-

ყარათ, სადაც გადაესახლებინათ და იქ პოლიგონი გაემართათ, სამხედრო ვარჯიშის მიზნით. დიდმა ომმა მოუსწრო და ეს პროექტი პროექტად დარჩა. მარცხენა და მარჯვენა მხარის სოფლები და მოსახლეობა, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. მათ ჰქონდათ ორი საშუალება – ან უნდა ლიახვი გადაელახათ, რაც ადვილი არ იყო ზოგჯერ. მე არ დამავიწყდება ერთხელ ცხენით გადავდიოდით ლიახვს სოფ. შინდისის ახლოს, გორიდან წამოსული. ჩემმა ცხენმა უცებ წაიბორძიკა, თურმე მდინარეს ვვებერთელა ქვა აეგორებინა და მოხვედროდა ცხენს მუხლთან. კინაღამ წყალში ამოვყავი თავი. კარგია ერთი ნაცნობი მომდევდა, გამოცდილი კაცი და ამ გზით მრავალჯერ ნასიარულევი. როგორც კი შენიშნა ჩემს ცხენს ბორძიკი, მომიახლოვდა და მტაცა ხელი. ეს რომ არ ექნა, ვინ იცის რა დამემართებოდა, წყალი ჩქარი იყო და მე წამიღებდა მტკვრისაკენ. – ან თუ ლიახვს ასცდებოდით, უნდა წასულიყავით ცხინვალზე და გარშემო მოგევლოთ. ეხლა თურმე გორსა და ცხინვალს შუა რკინისგზაა გამართული ტინის ხიდზე და ოთარაშენზე. სხვათა შორის, ამ რკინისგზაზე დიდხანს იყო ლაპარაკი დიდ ომამდე, მაგრამ ვიზედაც დამოკიდებული იყო ის, ხელისუფლება აბრკოლებდა ნების დართვას. ერობის მოცემას აბრკოლებდა მთავრობა იმის შიშით, რომ ამის შემდეგ მეტი არ მოითხოვონო. ეჰ, რას იზამ, როცა ყურნი აბიათ, მაგრამ არა სასმენად. მერე კი ღვთის წყალობა გაქვთ ეს ერობა შეგვთავაზეს, მაგრამ ისეთ დროს, როცა უკვე გვიან იყო და წარღვნა მოელოდა ქვეყანას.

გორის ინტელიგენცია მეტად ფხიზელი იყო. როგორც კი მსოფლიოში რამე თვალსაჩინო მოხდებოდა, გრძნობიერი ნაწილი მაშინვე გამოეხმაურებოდა ხოლმე. მაგალითად, როდესაც უდიდებულესმა იტალიელმა პატრიოტმა ჯუზეპე გარიბალდიმ იტალია ავსტრიისაგან გაანთავისუფლა და აღადგინა ეროვნული სახელმწიფო, გორის ინტელიგენციამ მას გაუგზავნა მილოცვა. რუსის მთავრობამ ამაზე ზომები მიიღო, სურდა აღმოეჩინა და გაეგო, ვინ იყო ამ საქმის მოთავე, მაგრამ ვერაფერს გახდა. აგრეთვე, როცა გარდაიცვალა საფრანგეთის დიდებული პოლიტიკური მოღვაწე ლეონ გამბეტტა, გორის ინტელიგენციამ, მგონი მწერალ ანტონ ფურცელაძის თაოსნობით გაუგზავნა საფრანგეთს დეპეშა

– სამძიმარი. ამანაც შეაძრწუნა უბადრუკი რუსის მთავრობა, დაიწყეს ჩხრეკა – ძიება, მაგრამ აგრეთვე ვერას გახდენ.

მარცხნიდან მარჯვნივ: 87 წლის გრიგოლ დიასამიძე, ელენე – მისი ასული და ექიმი გივი კობახიძე

გორის ინტელიგენციის აქტივობა აიხსნება, მგონი, მით, რომ გორში თავი მოიყარა ბლომად ახალგაზრდა მასწავლებლობამ. აქ სამასწავლებლო სახელმწიფო ინსტიტუტი იყო დაარსებული, სადაც ფრიად განათლებული ხელმძღვანელნი ინიშნებოდნენ რუსის მთავრობის მიერ. ასეთივე ინსტიტუტი არსებობდა ქუთაისს ახლოს დაბა, ახლა უთუოდ ქალაქ, ხონში. გორის ინსტიტუტში სხვათა შორის სწავლობდნენ ძმები რაზიკაშვილები თედო და ლუკა. ეს უკანასკნელი ხომ ვაჟა – ფშაველას სახელით დიდად ნიჭიერი

მგოსანი იყო. თედოც მწერალი იყო. გორს ახლოს სოფელ ხელთუ-ბანში მასწავლებლობდა, აგროვებდა სახალხო ზეპირ-სიტყვაობის მასალებს, უმთავრესად ზღაპრებს. გორის ინსტიტუტის დირექ-ტორი იყო წარჩინებული რუსის პედაგოგი დიმიტრი სემიონოვი, ქართველი ერისადმი დიდი სიმპათიით განმსჭვალული. იმის თა-ოსნობით მთავრობამ დაარსა მეოჯახე დედათა აღსაზრდელად საქალებო ინსტიტუტი, რომლის სათავეში მოექცა თვით ინიცია-ტორი ბ. სემიონოვი. უპირველეს ყოვლისა მან მიაქცია ყურადღე-ბა ქართული ენის სწავლებას. დაიწყო ძებნა ქართულის საუკეთე-სო მცოდნესი, ბოლოს გაჩერდა მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანზე, რომელსაც ახლო ნათესავი და ქართული ზედმიწევნით იცოდა. მახსოვს როგორის ზეიმით მოაწყო ბატონმა სემიონოვმა პირველი ქართული გაკვეთილი. მოიპატიჟა ცნობილი ქართველი ოჯახების წარმომადგენელნი გაკვეთილის მოსასმენად. საზეიმო ვეებერთე-ლა დარბაზი ძლივს იტევდა მოწვეულ საზოგადოებას. სხვათა შო-რის ამ ისტორიულ დღეს ზეიმს ესწრებოდნენ ჩემი მშობლებიც და მეც თან წამიყვანეს ამ გაკვეთილის მოსასმენად. მე სწორედ იმ დღეს მოვედი მატარებლით თბილისიდან, სადაც ვსწავლობდი. დარბაზში სამოსწავლო სკამებზე ისხდნენ მრავალი მოწაფე-ქა-ლები. სტუმრებისათვის საგანგებოდ იდგა სკამები დარბაზის წინა ნაწილში კათედრის გარშემო. მიხეილ ყიფიანმა ცოცხლად და ღირსეულად ჩაატარა ეს გაკვეთილი. დამსწრენი, როგორც მოს-წავლენი, ისე გარეშენი, მეტად კმაყოფილნი დარჩნენ. იმ დღეს სხვათა შორის პირველად და უკანასკნელად მოვისმინეთ, თუ რო-გორი მღერითი კილოთი კითხულობდნენ ძველად უკვდავ შოთას ქმნილებას – „ვეფხის ტყაოსანს“. ეს საუცხოოდ შეასრულა კარ-გმა შესახედავმა, ყოჩაღმა მოწაფე – ქალმა, რომელიც აღმოჩნდა ბეჟან ტატიშვილის ასული ნინო, შემდეგ მწერალი, მეუღლე ცნო-ბილი მსახიობის კოტე ყიფიანისა, რომელსაც წამებული მამათი-ლი დიმიტრი ყიფიანი ნინუკას ეძახდა. ბევრმა ქართველმა ქალმა მიიღო ამ დედათა ინსტიტუტში სწავლა-განათლება. თუ არა ვცდები სამღვთო სჯულის მასწავლებლად მოწვეული იყო ინგი-ლო მამა დიმიტრი ჯანაშვილი, ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის ძმა თუ მახლობელი ნათესავი. მასწავლებელი მამა დიმიტრი იყო ნი-

ჭიერი მწერალი და მქადაგებელი. მის მიერ გამოცემულ წიგნს ქართველი ქალების შესახებ, ეხლაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. იგი ამ წიგნში ეხება ისტორიასა და კულტურულ ცხოვრებაში სახელ – მოხვეჭილ დედებს. მამა დიმიტრიმ დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა გორელებში. ასეთივე დამსახურებული პიროვნებანი იყვნენ დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი და ღენერალი ალექსანდრე მუსხელის მეუღლე ანნა, ბესარიონ ღოღობერიძის ასული. სწორედ ამათ, ანნა ბესარიონის ასულმა დეკანოზმა ხახუტაშვილმა შემდეგ გაითქვეს დიდი სახელი სამაჰმადიანო საქართველოში – ახალციხის რაიონში. გორში იყო სასულიერო სასწავლებელიც, რომლის მასწავლებლებმა გაითქვეს სახელი როგორც მოღვაწეებმა, ნიჭიერმა და მცოდნე აღმზრდელებმა, მაგალითად, მღერა – გალობის მასწავლებელმა სვიმონ გოგლიჩიძემ. იგი იყო დიდი მეგობარი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილისა და აგრეთვე მამაჩემი ნიკოსი. ჩვენს ოჯახში ხშირად მინახავს იგი. მას ყველა სიყვარულით და პატივისცემით უყურებდა. ყველა მოღვაწეების ჩამოთვლა მეძნელება, მაგრამ არ შემიძლია არ დავასახელო კიდევ მათე კერესელიძის ოჯახი, რომელიც იყო მამა ეროვნული მოღვაწეებისა – უდროოდ დაღუპულ ღენერალ ლეო კერესელიძისა და მისი ძმის – მწერალ – პუბლიცისტ გიორგისა, რომელიც ამჟამად პარიზში ცხოვრობს. განთქმული იყო მწერალი – ბელეტრისტის ნიკო ლომოურის ოჯახი, რომელსაც მეუღლეთ ჰყავდა განათლებული პიროვნება, დაი სოციალისტი ექიმის ხუდადოვისა. ნიკო ლომოურის ასული თამარ ლომოური დღეს სახელოვანი ისტორიკოსია საქართველოში. მოსახლენებელია აგრეთვე დურმიშხან ჟურულის ოჯახი. მისმა შვილმა გიორგიმ გაითქვა სახელი, როგორც პუბლიცისტმა და სახელმწიფო მოღვაწემ. ახლად აღორძინებულ საქართველოს პირველ მთავრობაში გიორგი ჟურული პირველი ქართველი ფინანსთა მინისტრი იყო. იგი ამ რამოდენიმე წლის წინ გარდაიცვალა პარიზში. – გორში ხშირად ჩამოდიოდა თავის სოფელ არბოდან მწერალი ანტონ ფურცელაძე, რომელიც დიდ აქტივობას იჩენდა კულტურული მუშაობის სფეროში. – დურმიშხან ჟურულის მეუღლე ქეთევან და მისი ქალი ნინო მაქარაშვილისა, განთქმულნი იყვნენ თავიანთი თვალსაჩინო

ქველმოქმედებით. სხვათა შორის ქეთევანი იყო მომღერალი: ქართული სიმღერების კილოები კარგად ჰქონდა შეთვისებული. ბევრს ასწავლა ქართული სიმღერა. მე მგონია არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ნატო გაბუნიასა და ლიზა ჩერქეზიშვილზე ქეთევანმა ამ მხრივ დიდი გავლენა მოახდინა.

ზემოდ მოხსენებული პირნი დიდ როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ უახლოვდნებოდნენ სოფლიდან ჩამოსულები. მაღალი წრეები, როგორც მაგალითად ღენერალი ნიკა ამილახვარის მახლობელნი მასწავლებლებს სოციალისტებს ეძახდნენ, ათვალწუნებული ჰყავდათ და მათს მეგობრებსაც სწუნობდნენ. ეს ე.წ. მაღალი წრე მასწავლებლებს აშკარა ზიზღით უყურებდა და ცდილობდა მათს დაცინვას. მამაჩემს ნიკოსაც ალმაცერად უყურებდნენ, რადგან მუდამ მასწავლებელთა წრეში ტრიალებდა. ასე რომ ამ წრეში მე არ დავდიოდი და ამიტომ ჩემთვის ძნელია რამე საყურადღებო და თვალსაჩინო ვსთქვა. მეშინია კიდეც ცალმხრივობა არ აღმომაჩნდეს, თუ მეტი რომ უარყოფითი ვსთქვი. ამიტომ დუმილს ვამჯობინებ. – გორში ერთ დროს ცხოვრობდა სოფელ ნიქოზიდან გადმოსული პედაგოგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი გიორგი საძაგლიშვილი ანუ იგივე ივერიელი, შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, პირველი ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ. მისი ძმა ნიკო (კოლა) იყო სოფელ რუისში მასწავლებლად. მამაჩემი და ის ერთად უსასყიდლოდ მუშაობდნენ ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობაში (შულცე – დელიჩის ყაიდისა). ამ ამხანაგობის დამფუძვნებელი იყვნენ სოფელ რუისში მცხოვრები დიმიტრი დეკანოზიშვილი – მამა მწერალი ანდრია დეკანოზიშვილისა და მახლობელი ნათესავი განტქმული პოლიტიკური მოღვაწის გიორგი დეკანოზიშვილისა, რუისელივე გიორგი (ჟორჟ) იოსების-ძე მამაცაშვილი და მამაჩემი ნიკო.

გორში ცხოვრობდნენ ბევრი სხვა წარჩინებულნი ქართველნი, ყველას ჩამოთვლა მეძნელება. მათ გარდა ცხოვრობდნენ უცხოელებიც, რომელნიც შეეთვისნენ ადგილობრივ მოსახლეობას, უმთავრესად ექიმები. პირველად უნდა დავასახელო ექიმი ჰარტვიგი, მგონი შთამომავლობით სერბიელი. თუ არ ვცდები მისი შვილი

შემდეგ იყო რუსეთის ელჩად ბელგრადში. სხვათა შორის მას აბრალებდენ ავსტრიის ერცჰერცოგ ფრანც – ფერდინანდის მოკვლის მოწყობას ქალაქ ზაგრებში, რამაც პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია. ჰარტვიგებს ჩვენში დამსახურებული ჰქონდათ დიდი პატივისცემა. აგრეთვე ექიმ პეტრე კიმინტს, პოლონელს შთამომავლობით, ექიმ მოსტოვიჩს, თუ არ ვცდები ესეც პოლონელი იყო. ამას ცოლად ყავდა არ ვიცი ქართველი ქალი, თუ ქალი წმინდა ქართული კულტურისა, რომელსაც ერქვა იშვიათი სახელი სემირამიდა, შემოკლებით მას სემოს ეძახდნენ, გარეგნობით, სახის სანდომიანობა შერჩენოდა მოხუცებაშიც. ექიმ მოსტოვიჩს ძალიან მოსწონდა ქართული ჭიდაობა და კრივი. ხშირად დადიოდა ასეთ სანახაობებზე.

მყუდრო და ხალისიანი ცხოვრება გორში უცებ შეირყა, როცა მოულოდნელად დაიჭირეს ქართული ენის მასწავლებელი, ზემოდ ნახსენები მიშო ყიფიანი, მისი მეუღლე შარვაშიძის ასული, შიო დავითაშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი და სხვ. ამ ჟამად აღარ მაგონდება მიზეზი ამ დაჭერისა. მათი ნაცნობ – მეგობრები ამოძრავდნენ, დაიწყეს სიარული ოფიციალურ დაწესებულებებში, მაგრამ ვერას გახდენ. დაჭერილებს დიდხანს მოუხდათ საპყრობილეში ჯდომა. ბოლოს როგორც იქნა, ყველანი გაათავისუფლეს. როცა გამოვიდნენ, ყველანი უსახსრო იყვნენ. მახსოვს მამიდაჩემმა დამიბარა ერთხელ, რამოდენიმე მანეთი ჩამიდო ხელში და მიბრძანა ჩუმად გადამეცა სტეფანე ჭრელაშვილისა და შიო დავითაშვილისათვის, რომელნიც დანარჩენებზე უფრო უმწეონი იყვნენ.

მეორე ასაღელვებელი შემთხვევა მოხდა მაშინ, როცა რევოლუციონერ დეგაევის ამბავი დატრიალდა, ეს დეგაევი ჟანდარმების ცენტრალურ დაწესებულებაში მსახურობდა პეტერბურგში, როგორც მეთვალყურე – მზვერავი ცნობილი სარევოლუციო ორგანიზაციის დავალებით. როცა ეს გამოაშკარავდა, დეგაევს სხვა არაფერი დარჩენოდა, ისეთი რამე უნდა ჩაედინა, რომ თავი ემართლებინა. მანაც აიღო და ცნობილი ჟანდარმი სუდეიკინი, თავისი უფროსი, მოჰკლა და გაიქცა. როცა დეგაევი გაჩხრიკეს, უპოვეს უბის წიგნაკი, სადაც აღმოაჩინეს მისამართები მისი გორელი ნაცნობებისა, თურმე წინად გორში ყოფილიყო. ამიტომ დაიჭირეს და

გაჩხრიკეს გორელი მისი ნაცნობები, მათ შორის ილია მაჭავარიანი. მამაჩემი მასთან ცხოვრობდა. ჩხრეკის დროს მაშინდელი ჟანდარმები იმდენად თავაზიანნი აღმოჩნდნენ, რომ როცა ილია მაჭავარიანმა განუცხადა ეს ბარგი ჩემი არ არის, არამედ ამა და ამ კაცისაო, ხელი აღარ უხლიათ. მამაჩემს კი შიგ აკრძალული რაღაც – რაღაცეები ჰქონდა. დაჭერილები დიდხანს ისხდნენ, მაგრამ ბოლოს გაანთავისუფლეს ყველანი. მახსოვს იმ დროს რკინისგზის სადგურებზე გამოფენილი იყო სხვადასხვა ტანისამოსში გადაღებული დეგაევის სურათები, ზოგი პირ – მოპარსული, ზოგიც წვერ – ულვაშიანი. შფოთიანი დრო იყო. დეგაევის საქმემ თავზარი დასცა საზოგადოებას. ეს შიშიანობა ისეთი ძლიერი იყო და უცნაური, რომ არ გამოეპარა ერთ გორელ, სოფელ ტყვიავში მცხოვრებ, ოხუნჯ კაცს მიხეილ ერისთავს, რომელსაც მეტ სახელს **სიფთას** ეძახდნენ. ამან არ ვიცი შეთხზა, თუ მართლა თავს გადახდა, ყველას უამბო, რომ მან თავისი თვალით წაიკითხა ვეებერთელა პროკლამაცია რევოლუციონური შინაარსისა, რომელიც გამოკრული იყო გორის რკინისგზის ერთ – ერთ სადგურზე. შიშმა აიტანა და კანკალი დააწყებინა. დიდის სიფრთხილით გაუზიარა მის გვერდით მყოფ მეგობარს, რომელმაც ცივი წყალი გადაასხა მას: შე დალოცვილო, რას ჩმახავ, რის პროკლამაცია, რა პროკლამაცია? ეს რკინისგზის მმართველობის გაფრთხილებაა მგზავრთა: მიხედონ თავიანთ ბარგს, რადგან ქურდები გამრავლდენო. ამას ისეთი მიმიკითა და მიხვრა – მოხვრით უამბობდა თავის მსმენელებს, რომ სიცილით პირდაპირ გვხოცავდა. სიტყვამ მოიტანა და უნებლიედ გამახსენდა ერთი მისი ოხუნჯობა კიდევ. როცა ხელმწიფე ალექსანდრე მეორე ეწვია გორს – ამილახვრიანთ სახლში ქართლელი თავად – აზნაურობა წარუდგა მას. ესენი გამწკრივებულნი იყვნენ. ხელმწიფე მიუახლოვდა მათ და გაჩერდა სწორედ სიფთა ერისთავის წინ, რომელსაც მშვენიერი სპილოს ძვლის ხანჯალი ეკიდა ოქროს ვარაყით შემკობილი, ამოაძრო ქარქაშიდან და შეუტია სიფთას. მან უკან დაიხია, შეეშინდა. მეორე დღეს მისმა ნაცნობებმა დასცინეს და უთხრეს: არა გრცხვენია, შეგვარცხვინეო. – თქვე დალოცვილებო, რა გასაკვირველია, შემეშინდა, მე რომ მოვეკალი ციმბირში მას ვინ გაგზავნიდაო. –

ტყვიავში ცხოვრობდა იასე ფავლენიშვილიც, ძველი ნამდივანბეგარი, რომელიც ქართულ კაბაში იყო გამოწყობილი, ყელზე ბაღდადი ჰქონდა გაკეთებული. გამოდიოდა სახლიდან და იმ ადგილას ჩერდებოდა, სადაც დილიჟანი დგებოდა, გორსა და ცხინვალს შორის მოძრავი. ეპატიჟებოდა ნაცნობ, ხშირად უცნობ პირებს და უმასპინძლდებოდა ნაღებით და ნაზუქებით. ეს თვისება კეთილ იასესი ბევრმა იცოდა და ამიტომ განზრახ ეწვეოდნენ ხოლმე. მისი მეუღლეც ხარობდა და ყველაფერს აწყობდა სამაგალითოდ. იასეს მეუღლეც ხელგაშლილი იყო და ძველ ქართულ ოჯახს ეკუთვნოდა. მისი დაც, ზემოხსენებულ რუისელ დიმიტრი დეკანოზიშვილის ცოლი აგრეთვე ცნობილი იყო, როგორც განსაკუთრებული მეოჯახე და სტუმართ – მოყვარე. იასე ფავლენიშვილის ორი ვაჟის შესახებ უკვე ზემოდ მოგახსენეთ.

გორის ინტელიგენციაში ერივნენ ისეთი პირნიც, რომელნიც ერთ დროს დადიოდნენ ჩვენი თეატრის და პრესის დამაარსებელ გიორგი ერისთავთან, რომელსაც მეტსახელად **გლუხარიჩს** უწოდებდნენ. გიორგი ერისთავი ცხოვრობდა სოფელ **ხიდისთავში**, რომელიც გორს აკრავს. აქ, თავის საგვარეულო სახლში პირველი საცდელი ქართული წარმოდგენები მოაწყო მან. აქვე ამზადებდა მასალას „ცისკრისათვის“. მწერალმა პეტრე უმიკაშვილმა ქართული დრამატული საზოგადოების დავალებით დასწერა პატარა პიესა – „სამზადისი“. შინაარსი ასეთია: გ. ერისთავის ხელმძღვანელობით ქართული სცენის მოყვარულნი ამზადებენ გიორგი ერისთავის პიესას, საცდელ წარმოდგენას ჰმართავენ და სწორედ ამ დროს უცებ გაისმის ხმა: მეფის მოადგილე მობრძანდებაო. ვორონცოვი ოთახში შემოდის, მას უხვდება ერისთავი, რომელიც მას ყველაფერს უხსნის, ვორონცოვი კმაყოფილებით უსმენს, ულოცავს გამარჯვებას. ესაა მოკლე შინაარსი უმიკაშვილის პიესისა. განგებ მოვიყვანე აქ ეს ამბავი, რომ ყველამ იცოდეს – ქართული საზოგადოება არჩევს უცხო მოხელეებში ღირსეულებს, რომელნიც პატივისცემითა და მზრუნველობით ეპყრობიან ჩვენს ერს. ეს უნდა გაიგონ რუსის შოვინისტებმა, რომელნიც მუდამ ავად იხსენიებენ ჩვენს ხალხს! ვორონცოვმა მართლაც დიდი სახელი დაიმ-

სახურა და გასაკვირველი არ არის, რომ ქართველობამ პატივით უპასუხა.

აკაკი – ბავშვთა მეგობარი

გორში იყო აგრეთვე კერძო სასწავლებელიც, მაგალითად, ნინო დიასამიძის ასულს, ლუარსაბ ერისთავის მეუღლეს, ჰქონდა მოწყობილი ჭრა – კერვის სახელოსნო სასწავლებელი. აქ ასწავლიდნენ ქართველ ქალებს ქარგვას და სხვა ძველ ქართულ ხელსაქმეს. ქალბატონ ნინოს შესწავლილი ჰქონდა ეს საქმიანობა თავის სოფელში, სადაც მამამისს დავითს გამართული ჰქონდა სააბრეშუმო სადგური. მე მინახავს აქ ნაკეთები მშვენიერ ჯეჯიმები, ბოღჩები, ბალიშ – მუთაქები. ამ სკოლაში სწავლობდნენ სოფლიდან ჩამოსული ქალები, რომელნიც ხმას აძლევდნენ გორის ინტელიგენციას, განსაკუთრებით მასწავლბლების გავლენის ქვეშ რომ იყვნენ. ესენი ჰმართავდნენ საჯარო კითხვებს, ზოგჯერ წარმოდ-

გენებს. გორის ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ რკინისგზის მოხელენიც. მათ შორის

სახელი გაითქვა და მეტად პოპულარული გახდა ირაკლი რამიშვილი – ბიძინა რამიშვილის მამა, მეტად ფხიზელი ადამიანი, ქართული კულტურის მოყვარული და მისთვის მზრუნავი. ამ აქტივობამ დაუბადა გორს მიმზიდველობა. მრავალნი მოდიოდნენ გორს, ეცნობოდნენ მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელიც ლექციებს კითხულობდა ლიტერტურულ თემებზე, მაგ. „ვეფხის ტყაოსანზე“. ჰმართავდა სალიტერატურო საღამოებს. აკაკის საზოგადოდ ძალიან უყვარდა გორი. მას, როგორც ქართლის მეთაურ ქალაქს, უძღვნა ლექსები. ერთი მათგანი მშვენიერი ლეგენდაა: ლიახვის გაღმა სანადიროდ მყოფ თამარ მეფეს გაუფრინდა შევარდენი და დაჯდა აქეთა მხარეს მდინარისა. თამარმა ჰბრძანა: ვინც შევარდენს მომგვრის აუსრულებ, რასც ენატრებაო. ერთი ახალგაზრდა გასცურავს მდინარეს და სტაცებს ხელს შევარდენს და ბრუნდება უკან. მშვენიერი თამარი ჰხედავს, რომ ახალგაზრდის სახეს უწმინდური სურვილი ამჩნევია, მიმართავს უფალს და სთხოვს ხსნას, ახალგაზრდა შუა მდინარეში იღუპება. შეწუხებული თამარი ლოცულობს და ახალგაზრდის სახსოვრად აგებს ციხეს. ეს ლეგენდა, რამდენადაც მახსოვს, აკაკიმ უამბო თავის მტარგმნელს რუისის პოეტს ვასილ ველიჩკოს და ამანაც ლამაზი ლექსი შეთხზა რუსულად. ეს იმ დროს იყო, როდესაც ველიჩკო სთარგმნიდა ბლომად აკაკის ნაწარმოებებს. შემდეგ, როცა ველიჩკომ მიიღო გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორობა და დაიწყო დევნა სომხებისა, აკაკი სრულიად ჩამოშორდა მას.

აკაკის ყოველი მოსვლა გორში პირდაპირ ზეიმი იყო. უნდა გენახათ რა ამბავში იყვნენ აკაკის მოყვარული უკვე ნახსენები ირაკლი რამიშვილი, მამაჩემი ნიკო და სხვები. ახლა, როცა მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, უნებლიედ მებადება კითხვა: რატომ ილია არ სწვევია გორს? უნდა ვთქვათ დაუფარავად, ამის მიზეზი ორი ჩვენი დიდებული მწერლის ბუნებისა და ხასიათის განსხვავება იყო. ილია უფრო მძიმე ხასიათისა ბრძანდებოდა, ადვილად ვერ დაიძვროდა თავის ბინიდან. ბინის მხრითაც კარგად იყო მოწყობილი. აკაკი უფრო მოძრავი იყო, ხალხში გამოსული. ბინაც

შედარებით ნაკლებ მოწყობილი ჰქონდა სოფელ სხვიტორში. გორში ჩამოსვლისას აკაკი ხშირად ეწვეოდა ხოლმე თავის მეგობრებს და მათ შორის ჩვენს ოჯახსაც. მეტადრე ჩვენ ბავშვებს ზეიმად მიგვაჩნდა მისი მოსვლა. აკაკისაც ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები, მეტადრე ბავშვები. ამაზე მე მექნება უფრო მეტი ბაასი, როდესაც გადავალ თბილისის ხანის ცხოვრების თხრობაზე.

აკაკის ოჯახი ცხოვრობდა ხან პეტერბურგში, ხან მოსკოვში. ზოგჯერ თბილისში ჩამოდიოდა მისი ერთადერთი ვაჟი ალექსი, რომელსაც მამამ უძღვნა პოემა – ზღაპარი. თავის დროზე იყო გავრცელებული ხმა, თითქოს გაყრილი იყვნენ აკაკი და მისი ცოლი. ეს ხმა უნდა იქმნას უკუგდებული, როგორც ჭორი და ცილი. ისინი მუდამ მეგობრულ მიწერ-მოწერაში იყვნენ. მე, გრიგოლ დიასამიძეს, როგორც აკაკის ლიტერატურულ ანდერძის ამსრულებელს, მევალება ავწერო აკაკის და მისი ოჯახის ურთიერთობა. შვილი მისი თუმცა კურსდამთავრებული ინჟინერ-მექანიკოსი იყო, მაგრამ მიდრეკილებით ხელოვნების, მეტადრე საოპერო საქმის მოტრფიალე იყო. ქონდა განსაკუთრებული ხასიათი, კეთილი და მოსიყვარულე, ამიტომ ყველა მსახიობ – მომღერლებს უყვარდათ ის, როგორც ადამიანი და ნიჭიერი მსახური ხელოვნებისა. ბევრი წარჩინებული მომღერალი დააყენა თავის ფეხზე. მისი საქმიანობა მოითხოვდა დიდ თანხებს, ასე რომ ამ საქმის წარმოება ზარალიანი იყო. მსახიობთა გარდა ალექსი წერეთელს ჰმეგობრობდნენ რუსის წარჩინებული მხატვრები. მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ აკაკის შვილს დარჩა მეტად ძვირფასი ქონება – დეკორაციები, სურათები და სხვა სათეატრო მოწყობილება. სამწუხაროდ, ჯერ – ჯერობით ვერ არის გამორკვეული, სად ინახება ეს ქონება, რას წარმოადგენს და რა ღირებულებისაა. ყველაფერს ამას იმიტომ ვამბობ, რომ აკაკის შვილი უნდა რუსეთი ყოფილიყო და დედაც მასთან, ერთადერთ საყვარელ შვილთან. მათი მეგობრობა მჭიდრო იყო და განსაკუთრებულად საამური. შვილს აწუხებდდა მუდამ სევდა, რომ დაშორებული იყო სამშობლო ქვეყანას. ერთხელ მოაწყო თბილისის საოპერო საქმე – მოწვეული ჰყავდა პრიმადონნა ნადეჟდა ვან-დერ-შრანდტი და მშვენიერი ტენორი ანტე ბრონაჩიჩი, მაგრამ ამ საქმემ ზარალის მეტი არა

მისცა რა. მეოგრებმა შეუგროვეს ფული და ისე გაათავეს სეზონი, თორემ უსიამოვნო ბოლო მოელოდა. მე მახსოვს როგორი შეწუხებული იყო აკაკი ამ დროს. ამგვარად აკაკი, რომელიც ვერ ჰშორდებოდა სამშობლოს, ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა და ამიტომ მოგზაურობა, სტუმრობა მისთვის ერთგვარ საჭიროებას შეადგენდა. ერთის სიტყვით, აკაკის მოვლინება გორის არე – მარეზე ბრწყინვალე დღესასწაული იყო და ეს ყველაფერი მძაფრად მაქვს განცდილი, ძლიერ მძაფრად, სიტყვით გამოთქმული გრძნობებით განცდილი!

* * *

ბოლოს, როცა ჩვენ ძმები შევედით გიმნაზიაში, ჩვენი ოჯახი უნებლიეთ უნდა გადასახლებულიყო თბილისში. მაშინ მანძილი გორსა და თბილისს შორის შემოკლებული იყო, რადგანაც მატარებლების მიმოსვლა გამოიცვალა. ჩვენ დავსახლდით მამიჩემის სიყრმის მეგობრის ალექსანდრე შადინოვის სახლში, სადაც შემდეგ საფაროვის თამბაქოს ქარხანა იყო მოწყობილი. ამ სახლის თაობაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ეზოში იდგა ერთი ფლიგელი, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ. დიდი სახლის ქვედა სართულში იყო ერთი ფართო ოთახი, რომელიც თავიდანვე დავსახეთ მგოსან აკაკის მეგობრულ ბინად. იმ დროს აკაკიმ გაგვაცნო თავის მახლობელი კაცი სოსიკო მერკვილაძე და მისი ძმა თერძი ნოშრევანი. ეს ორი ძმა უნდა აღინიშნოს, როგორც თავდადებული გამავრცელებელნი და მქადაგებელნი ხალხის ფართო წრეებში მამულიშვილურ ეროვნულ იდეისა. სოსიკო ამასთან მწიგნობარი – გამომცემელი იყო. ნოშრევანი ლექსებსაც სწერდა და აკაკის სკოლისა იქნებოდა რომ ბევრი ეწერა. სოსიკომ ბევრი წიგნაკი და წიგნი გამოსცა და ბოლოს ბუკინისტი გახდა. ბინა ჰქონდა ქავშეთის ტაძრის ქვემოთ არჯევანიძის სახლში. სოსიკო ბევრი კარგი საქმის თაოსანი იყო. მე და ჩემ ძმა სანდროზე დიდი გავლენა იქონია მამულიშვილობის მზრით. ის აგრეთვე ხელს უქყობდა კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილს, რომ დაემთავრებინა ოპერა „პატარა კახი“ აკაკის პოემა – პიესის მიხედვით. განსვენებული კომპოზიტორი აიღებდა გიტარას და გადმოგ-

ვცემდა თავის შენათხზ არიებს. სხვათა შორის ქართული ეროვნული ჰიმნების კონკურსზე უმრავლესობამ მისი ჰიმნი მოიწონა, მაგრამ რადგანაც დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს გამართულ პოლიტიკურ ბანკეტზე, როცა ღენერალმა კრესფონ – კრესნშტაინმა გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა და მიულოცა ქართველ ერს ეს დიდებული წამი, როგორც გერმანიის იმპერატორისა და მთავრობის წარმომადგენელმა, პირველად დაუკრეს და იმღერეს „დიდება“ , ამიტომ ეს დარჩა ჰიმნად, თორემ, რამდენადაც მახსოვს, სულხანიშვილის ჰიმნი უფრო სასიამო იყო ყველსათვის. ოპერა „პატარა კახი“-ს მუსიკა არ ვიცი დაბეჭდილია თუ არა, ან რა ბედი ეწია ამ საუცხოო მუსიკალურ ნაწარმოებს. სოსიკო მერკვილაძს გამოცემებიდან მახსოვს ცალკე წიგნაკი რაჭის ერისთავის როსტომის და სოლომონ მეგის ურთიერთ ბრძოლის შესახებ, სიკო კანდელაკის მიერ ნაამბობი. პირველად ეს ამბავი დაიბეჭდა გიორგი წერეთლის „კვალში“. მე თვითონ მინახავს ხელნაწერი, რამდენადმე შესწორებული, არ ვიცი აკაკის, თუ გიორგი წერეთლის ხელით. სანდრო აბაშელმა აკაკის ნაწარმოებთა საჩვენებელში ეს თხზულება გამოაცხადა აკაკისად, მაგრამ ეს სწორე არ არის. მე თვით მინახავს ეს ნაწერი და იგი არც გიორგისა იყო და არც აკაკისა. სოსიკო მერკვილაძე – რაჭველ მეპურე იობა ისაკაძესთან ერთად იყო თაოსანი მგოსან აკაკის მოგზაურობისა რაჭა – ლეჩხუმში, რომლის შესახებ პირველად ჩემმა გაზეთმა „თემმა“ გამოაცხადა. მოგზაურობის მოკლე ამბავს ჩვენ თავის დროზე ცალკე გადმოგცემთ. ამგვარად, აკაკი ხშირად გვსტუმრობდა და ისვენებდა მისთვის მიჩნეულ პატარა შენობაში. ამ ბინაზე მოსიარულე ჩვენი იჯახის მეგობრებიდან კარგად მახსოვს მწერალი ალექსანდრე მოჩხუბარიძე – ყაზბეგი. უძვირფასესი და უსაყვარლესი მეგობარი იყო. როცა ის გვიყვებოდა ამბავს, გაფაციცებით ვუსმენდით მე და ჩემი ძმა სანდრო მის ნაამბობს. ისიც დიდის კამყოფილებით გვისრულებდა სურვილს და გვიამბობდა განცდილს. დიდი ნიჭი ეტყობოდა მას. ამიტომ არ ვიზიარებ ზოგიერთთა მოსაზრებას, თითქოს ალ. ყაზბეგის თხზულებათა ავტორი იყო მისი ნათესავი დიმიტრი ყაზბეგი. მე თვითონ მინახავს სანდრო გაზეთ „დროების“ რედაქციაში ერთ პატარა კუნჭულში მიმჯდარი მაგიდასთან. თავისი ბეცი

თვალებით, კალმით ხელში სწერდა ტავის მოთხრობებს. მერე უნიჭო რომ ყოფილიყო, ისეთი მცოდნე და ნიჭიერი რედაქტორი – ვანო მაჩაბელი მიიწვევდა გამოუსადეგარ თანამშრომელს? ვანო მთელი ნდობით და ყურადღებით ექცეოდა სანდროს. ჩემ დროს ის კი არ იყო გავრცელებული, რომ სანდრომ დიმიტრის მოჰპარა მოთხრობები და თავისად მიიჩნია, არამედ დიმიტრის მიერ შეგროვილი მასალა სახალხო ზეპირსიტყვაობისა, როგორც, მაგალითად: „მარტო ვარ, მარტო ვიმღერი, არავინა მყავს მობანე, შაირის წვიმავ წამოდი, ფოთოლს ტაშს დააკვრევინე,

მარცხნიდან მარჯვნივ: სხედან – ნიკო ლომოური, მათე კერესელიძე, პ.ბრუნჯაძე. – დგანან: კონსტ. ცხვედაძე, სიმონ გოგლიჩიძე, ა. ღოხაძე, ა. დავითაშვილი. – წევს: ს. მგალობლიშვილი

სწორის არ გამტანს, უფალო, ცხვირი სადმ წააკრევინე“ – ამის მოპარვას აბრალებდა მისი ნათესავი, დიმიტრი დაი ბებია – ქალი ელისაბედ ყაზბეგისა. ეს ადამიანი მეტად გულ – ამრეზილი იყო სანდროს მიმართ. განსვენებული ელისაბედისაგან ეს გამიგონია მე თვითონ. სამწუხაროდ, ეს ადამიანი მოჩანდა მეჭორედ. ყაზბეგიანთ ოჯახში დიდი უსიამოვნება ტრიალებდა მამულების მემკვიდრეობის გამო. ელისაბედი, დიმიტრი, ფიდო (ინჟინერი) ყაზბეგები დედის მზრით არ იყვნენ ერთნი სანდროსთან. იყო დავა. ერთის სიტყვით, სანდროს მისი ნათესავები (დედის მხრით არა – ერთნი) მეტ მტრულად უცქიროდნენ. რა გასაკვირველია, რომ ელისაბედმა, როგორც დედაკაცმა, გამოურკვეველად პირდაპირ თავის ნათესავს დასწამა პლაგიატორობა. ჯერ მცირედი რამ – შეგროვილ ზეპირ – სიტყვაობის მასალების მითვისება დასწამა, მერე გაკადნიერება, გაადიდა თავისი ბრალდება და სანდროს მთელი შემოქმედება წაართვა და თავის ძმას მიუთვისა. შეუძლებელია, რომ ფრთხილ, გონიერ რედაქტორს უუპატიოსნეს ადამიანს – ვანო მაჩაბელს არა სცოდნოდა, თუ სანდრო ყაზბეგი მართლაც პლაგიატორი იყო. მთელი ეს ამბავი ოჯახურ უსიამოვნებაზე აგებული საზიზღარი ჭორია და მიკვირს, თუ რამ ათქმევინა „ცნობის ფურცელი“ და „მოამბის“ გონიერ რედაქტორებს, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი უნდა მოისპოს და მის თხულებებს წაეწეროს დიმიტრი ყაზბეგის სახელი. ღმერთო ჩემო, რას არ მოეწსრება კაცი ჩვენს უბადრუკ ქვეყანაში! ამას ყველაფერს მათქმევინებს ჭეშმარიტება და სამართლიანობა. ეს საზიზღარი ჭორი საბაბს მაძლევს სხვა დროს და სხვა ადგილას შევეხო ჩვენს საზოგადოების ერთ ნაკლს – იგი ავრცელებს ჭორს, სიცრუეს მაშინ, როდესაც ნამდვილ ჭეშმარიტებას არ იჯერებს და ჩრდილს აყენებს უტყუარ ფაქტებს. ჩვენმა საზოგადოებამ უნდა მიაქციოს ამ უსიამოვნო თვისებას სათანადო ყურადღება გამოსასწორებლად, თორემ ჩვენში ვერასოდეს ვერ შეიქმნა ნამდვილი საზოგადოებრივი აზრი. ყოვლად უბადრუკი შეიქმნება ჩვენი ქვეყანა, თუ ჩვენში არ გამეფდა პატიოსანი საზოგადოებრივი აზრი.

ავთანდილ დიასამიძე

ავთანდილ დიასამიძე დაიბადა 1943 წელს. დაამთავრა ბათუმის N 22-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. უნივერსიტეტი ა. დიასამიძემ წარჩინებით დაამთავრა და 1967 წლიდან მუშაობა დაიწყო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში ჯერ შტატგარეშე კორესპონდენტად, შემდეგ კი კულტურისა და ინფორმაციის განყოფილების ლიტმუშაკად, განყოფილების გამგედ. ერთხანს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორადაც მუშაობდა, მაგრამ შემდეგ ისევ გაზეთს დაუბრუნდა რედაქტორის მოადგილის რანგში. **1989 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ხოლო 2011 წელს საპატიო ბათუმელის წოდება.**

სხვადასხვა დროს ა. დიასამიძე არჩეული იყო საქართველოს კპ-ის აჭარის საოლქო კომიტეტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ პარტიული ორგანიზაციის მდივნად, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრად, ბათუმის სახალხო დეპუტატთა სამი მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრად, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრად. 2006 წლიდან ა. დიასამიძე დამსახურებულ პენსიაზეა.არის ორი წიგნის – „დრო და შეხვედრები“ და „მონატრება“ ავტორი.

სპორტი

სულიერ სიჯანსაღესთან ერთად ადამიანს ესაჭიროება ფიზიკური სიჯანსაღეც. სპორტი სწორედ ის სფეროა, რომელიც ეხმარება ადამიანს – იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრების წესით. ძნელია დიასამიძეებში იპოვო ადამიანი, რომელიც რაღაცა ფორმით არ იყოს დაკავშირებული სპორტთან. მათგან ბევრი დღენიადაგ ცდილობს ჯანმრთელობის გაკაჟებას, საერთო ფიზიკურ განვითარებას, შეჯიბრებებში მაღალი შედეგების მიღწევას და ჯანსაღი თაობების აღზრდაში მონაწილეობასა და ხელშეწყობას.

გურამ დიასამიძე (1942-2011)

სპორტის ოსტატი გურამ დიასამიძე, დაიბადა 1942 წლის 2 ივლისს ასპინძის რაიონის სოფელ ძველში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1966 წლიდან სწავლობდა სამტრედიის რაიონის კულაშის ზოო-ვეტერინალურ ტექნიკუმში. აქტიურად იყო ჩართული სპორტში, თამაშობდა ქუთისის „აიას“ რაგბის გუნდში.

1970-1975 წლებში სწავლობდა ქალაქ გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკურ ფაკულტეტზე. 1979-1981 წლებში არჩეული იყო სოფელ ძველის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, 1984 წლიდან 8 წლის განმავლობაში მუშაობდა ამავე სოფლის **საშუალო სკოლის დირექტორად.** გარდაიცვალა 2011 წლის 27 ივნისს.

ამირან დიასამიძე

ამირან დიასამიძე დაიბადა 1952 წელს. დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა, შემდეგ კი ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალობით.

მუშაობდა ქედის რაიონის პირველი მაისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად, ძეწმანის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად, რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ, სასპორტო სკოლის დირექტორად. 2010-2014 წწ. იყო ქედის საკრებულოს წევრი და განათლების, კულტურისა და სპორტის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ა. დიასამიძე არის დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის ქედის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, წმ. ევდემოზ დიასამიძის ეკლესიის მშენებლობის აქტიური მონაწილე.

მინიჭებული აქვს **საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის** წოდება.

მადონა დიასამიძე

დიასამიძეთა საგვარეულოდან არაერთი წარჩინებული სპორტსმენია. მათ შორისაა **მადონა დიასამიძე** – ივანოვოს ფეხბურთელ ქალთა გუნდის მოთამაშე. იქვე მიიღო საუნივერსიტეტო განათლებაც.

მ. დიასამიძემ თავი გამოიჩინა კარატეშიც და დაეუფლა ლურჯ ქამარს. იგი არის გოგონათა და ბალახის ჰოკეის საქართველოს ნაკრებების წევრი. და-

ჯილდოებულია მედლებითა და პრიზით.

ბადრი დიასამიძე

ბადრი დიასამიძე ცნობილი ნიჩბოსანია წყალზე ერთადგილიანი ბაიადარებით რბოლაში.

საქართველოს სპარტაკიადა, ქუთაისი, გუმათჰესი, 1966 წელი.
მარჯვნიდან: **ბადრი დიასამიძე, ალექსანდრე შულცი, ბორის ბორისოვი**

1966 წ. ბ. დიასამიძემ მოიგო საქართველოს სპარტაკიადა. იგი არის აგრეთვე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული.

ნაირა დიასამიძე

ნაირა დიასამიძე დაიბადა 1965 წ. 4 აპრილს, ქ. ბათუმში. დაამთავრა ქალაქის N 1 საშუალო სკოლა. ბავშვობიდანვე გატაცებული იყო სპორტით, დადიოდა ტანვარჯიშის სექციაში. იყო აჭარის ნაკრებისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი მხატვრულ

ტანვარჯიშში. 1982 წელს მიენიჭა **საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება.**

ნ. დიასამიძემ დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია ბიოლოგიისა და გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალობები. სხვადასხვა დროს მუშაობდა: სპორტული სკოლის მხატვრული ტანვარჯიშის მწვრთნელის, სასპორტო სკოლის დირექტორის მოადგილის, სასპორტო სკოლის კოორდინატორისა და მთავარი სპეციალისტის პოზიციებზე. 2015 წელს მიენიჭა **საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება**. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ასმათ დიასამიძე

ასმათ დიასამიძე დაიბადა 1973 წელს, ხელვაჩაურში. 2000 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1966 წლიდან არის საქართველოს **მშვილდოსანთა ეროვნული ნაკრების წევრი, ევროპის ზამთრის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი.** იგი ოთხჯერ დასახელდა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა შორის. საქართველოს

ქალ მშვილდოსანთა ნაკრებში ხათუნა ნარიმანიძესთან, ქრისტინე ესებუასთან ერთად არაერთი გამარჯვებით გაახარა თავისი სამშობლო. წარმატებულმა მშვილდოსანმა თავი ისახელა ესპანეთში, იტალიაში, აზერბაიჯანში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ესპანეთის ქალაქ კამბრილსში მიმდინარე ზამთრის ევროპის ჩემპიონატზე, ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა.

ა. დიასამიძემ მშვილდოსან ქართველ ქალებთან ერთად არაერთი გამარჯვება მოიპოვა და ბრინჯაოსა და ოქროს მედლები დაისაკუთრა.

საზღვაო ნაოსნობა

ერის კულტურა მხოლოდ ლიტერატურა, ხელოვნება არასდროს ყოფილა. კულტურა ერის ერთიანი ცხოვრებაა, მთლიანი და განუყოფელი. მათ შორისაა **ზღვაოსნობა,** რომელიც არც თუ ისე აქტუალურ თემას წარმოადგენდა შემოქმედებით სამყაროში. დიასამიძეებმა ამ სფეროსაც დააჩნიეს თავისი კვალი და არაერთი წარმატებული მეზღვაური გაუზარდეს სამშობლოს. მათგან ზოგიერთი შორეული ნაოსნობის კაპიტნის თანამდებობამდე ამაღლდა.

ავთანდილ დიასამიძე

ავთანდილ დიასამიძე დაიბადა 1941 წ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის საზღვაო სასწავლებელში. როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, იგი სამუშაოდ გააგზავნეს ნოვოროსიისკის საზღვაო სამმართველოში.

1975 წ. დაასრულა ოდესის საზღვაო აკადემია. 1966-1986 წლებში იყო შორეული ნაოსნობის კაპიტნის IV, III, II და უფროსი თანაშემწე, 1987 წლიდან კი მთელი 18 წლის მანძილზე – **გემის კაპიტანი.** საზღვაო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ა. დიასამიძე დაჯილევებულ იქნა „ნოვოროსიისკის

საზღვაო სანაოსნოს შრომის ვეტერანის წოდებით, სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით. იგი არის ავტორი სახელმძღვანელოსი – „სატვირთო ოპერაციები გემებზე“. 2005 წლიდან იგი დამსახურებულ პენსიაზეა.

შაქრო დიასამიძე

შაქრო დიასამიძე დაიბადა 1951 წელს, ქ. ბათუმში. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის საზღვაო სასწავლებელში გემთმექანიკოსის სპეციალობაზე. 1972 წლიდან შეუდგა შრომით საქმიანობას.

იგი იყო გემთმექანიკოსი შორეული ნაოსნობის ხომალდებზე, ბათუმის ქიმიური და მომთუთიებელი ქარხნის ინჟინერ-მექანიკოსი, შემდეგ კი **მთავარი ინჟინერი შორეული ნაოსნობის გემებზე.** ჰაიტელი შავკანიანი მოზარდისათვის აღმოჩენილი მზრუნველობისათვის საერთაშორისო უპატრონო ბავშვთა ორგანიზაციამ შ. დიასამიძეს გამოუცხადა მადლობა.

აკაკი დიასამიძე

აკაკი დიასამიძე დაიბადა 1951 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ორთაბათუმში. დაამთავრა ბათუმის N 13 სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის საზღვაო სასწავლებელში – გემთწამყვა-

ნის სპეციალობაზე. სასწავლებლის დამთარების შემდეგ შეუდგა შრომით საქმიანობას საქართველოს საზღვაო სანაოსნოში.

1982 წ. ჩაირიცხა ნოვოროსიისკის უმაღლეს საზღვაო სასწავლებელში – საინჟინრო ფაკულტეტზე. **სხვადასხვა დროს იყო შორეული ნაოსნობის კაპიტნის თანაშემწე, 1994 წლიდან კი კაპიტანი.** მისი ერთ-ერთი შვილი – დათო მამის კვალს გაყვა და სრულიად ახალგაზრდა მეზღვაური გახდა შორეული ნაოსნობის კაპიტნის თანაშემწე.

საბანკო და სამეურნეო საქმიანობა

ბიზნესი

დიასამიძეებმა თავი გამოიჩინეს საბანკო და სამეურნეო საქმიანობაში, მოგვიანებით კი ბიზნესში. ბიზნესი შედარებით ახალი სფეროა ქართული სინამდვილისათვის. მას გზა საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ გაეხსნა. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბიზნესსაქმიანობამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, რაშის არაა უმნიშვნელო დიასამიძეების როლიც.

დავით დიასამიძე – გორის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1799- 1849)

დიასამიძეთა საგვარეულოს ღირსეულ შვილთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **დავით დიასამიძეს**. მისი წინაპრების შესახებ მონაცემები მოგვეპოება XV საუკუნიდან და დაკავშირებულია ისტორიულად ცნობილი პიროვნების – **ბიძინა დიასამიძის** სახელთან. მათი საგვარეულო რეზიდენცია ყოფილა **საქაშეთში (ქართლის დიასამიძეთა საგვარეულო რეზიდენცია),** სადაც მათ ჰქონიათ სასახლეები, ციხე და კოშკოვანი ზღუდეები. ერთი ვერსიით, დიასამიძეები ქართლში დამკვიდრდნენ სამცხეში ოსმალების გაბატონების შემდეგ და საქაშეთის ციხეც მაშინ აუგიათ.

დიასამიძეთა აღნიშნული საგვარეულო შტო შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ბიძინა დიასამიძე (XV ს. II ნახევარი) – შერმაზან I – ილია – შერმაზან II – ნიკოლოზ I – დიმირტი – დავითი – ნიკოლოზ II – გრიგოლი (გოგი) – ნიკოლოზ III (გარდაიცვალა ჩვილ ასაკში-1838 წელს (გ.კობახიძე, გაზ. თბილისი, 28 აპრილი, 1990 წ.). დიმიტრი მინბაშის გარდაცვალების შემდეგ სახლის მე-

თაური გახდა მისი ძე – დავითი. იგი თავისი დროისათვის მეტად განათლებული პირი იყო. უმაღლესი განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. თავის მამულში დავით დიასამიძეს არაერთი ცვლილება მოუხდენია, გაუტარებია სამიწათმოქმედო რეფორმები, გაუხსნია სკოლა, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, თეატრი და სხვა კულტურული დაწესებულებები. იგი გამოირჩეოდა ქველმოქმედებითაც, ეხმარებოდა სასულიერო დაწესებულებებს, ეკლესიას, გლეხებს, თავის აზნაურებს. მან მრავალი გლეხი გააზატა, წლების განმავლობაში იყო ქართლის თავადაზნაურობის (კეთილშობილთა) წინამძღოლი. აი რას წერს დავითის შესახებ მისი შვილიშვილი გრიგოლი: „დავით დიასამიძეს რუსეთში ჰქონდა მიღებული სწავლა. იქაურ წესებს კარგად იყო გაცნობილი და როცა დაბრუნდა სამშობლოში, აქ მოიწადინა ყოველივე კარგის დამყნობა. იმ დროს საშინელი ბოროტება მძვინვარებდა. ეს იყო ბატონ-ყმობა, მაგრამ პაპაჩემი იმ დროს გორის თავადაზნაურობის წინამძღოლად – მარშლად იყო არჩეული, სულ სხვაგვარად იქცეოდა. მართალია მას ფეოდალური პრივილეგიები არ უარუყვია, მაგრამ თავის ფეოდალურ სამყოფში შეჰქონდა ბევრი ცვლილება. მაგ. მას გამართული ჰქონდა სკოლა, სააბრეშუმო ქარხანა, სადაც ამზადებდნენ სხვადასხვა ქსოვილებს. გამართული ჰქონდა სასოფლო თეატრიც, სადაც თამაშობდნენ გლეხები. მე თავად მინახავს და მილაპარაკნია დარბაისელ გლეხკაცთან ალექსი გოგელაშვილთან, რომელსაც წერა-კითხვა შეესწავლა პაპიჩემის მიერ გამართულ სკოლაში ჩვენს საგვარეულო საქაშეთში და რომელსაც ეთამაშნა თეატრში. მან ისიც აღნიშნა, რომ ქალების როლებს თეატრში ყმაწვილი კაცები თამაშობდნენ, რადგანაც ქალისათვის უკადრისი იყო მაშინდელი შეხედულებით სცენაზე გამოსვლა.

მინახავს აგრეთვე ყმაწვილობაში ჩვენს სახლში სააბრეშუმო ქარხანაში გაკეთებული ქსოვილები ... აგრეთვე საფეიქრო მანქანები ... მინახავს კიდევ პაპიჩემის რუსულ-ქართული ბიბლიოთეკის მონარჩენი...

საზოგადოდ, პაპიჩემ დავითის შესახებ, როგორც მეურნის, ისე საზოგადო მოღვაწის ბევრი კარგი გამიგია მაგ. განსვენებუ-

ლი მწერლის ანტონ ფურცელაძისაგან, რომელსაც ზუსტად მისი ცხოვრების აღწერილობა დაეწერა. მაგრამ ვერ მოესწრო ანტონს და მასალები გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოებისათვის... ანტონმა სხვათა შორის, ისიც მიამბო, რომ დავითის გლეხები უფრო ადრე ჰყავდა განთავისუფლებული, ვიდრე ბატონყმობა გადავარდებოდა. პაპაჩემს, მისი თქმით, ახლანდელი **შემნახველ-გამსესხებელ კასის მზგავსი დაწესებულება ჰქონდა გამართული, მხოლოდ ფულის მაგიერ პური იყო მოგროვილი.** ამ სასოფლო ბეღლებს დიდი სარგებლობა „მოჰქონდა გლეხებისათვის“ (გ.კობახიძე, გაზ. თბილისი, 28 აპრილი, 1990). აღნიშნული მონაცემები მრავალმხრივაა ჩვენთვის საინტერესო, სახელდობრ, ნათელია, რომ **დავითი, როგორც თავისი დროისათვის დიდად განათლებული პიროვნება იყო შესანიშნავი სამეურნეო მუშაკი, საზოგადო მოღვაწე, ჰუმანისტი და ქველმოქმედი**. 1844 წელს დავითმა შეადგინა ხელნაწერი აღწერილობა ქართლის სასოფლო-სამეურნეო განვითარების შესახებ.დ

დავითი იყო შესანიშნავი მეოჯახე, მამა და მეუღლე. პირველი მეუღლისაგან - ნინო ერისთავისაგან მას შეეძინა ხუთი შვილი. 1837 წელს გარდაიცვალა ნინო ერისთავი და დავითი მეორედ დაქორწინდა ეკატერინე ჯავახიშვილზე (1818-1881).

დავითი გარდაიცვალა 1849 წელს. მამის მოღვაწეობა ღირსეულად განაგრძო მისმა შვილმა – ნიკო დიასამიძემ.

ნიკო დიასამიძე (1846- 1897)

დიდი პატრიოტი, ჰუმანისტი და კაცთმოყვარე პიროვნება, **საბანკო და სამეურნეო საქმიანობის აქტიური მონაწილე, რეფორმატორი.** ქართველი გლეხის კეთილდღეობისათვის თავდადებული **ნიკო დიასამიძე** დაიბადა 1846 წელს, მამის დარდაცვალებამდე 3 წლით ადრე. მისი აღზრდა დედამ და სახლის მეურვეებმა იკისრეს. მან მიიღო კლასიკური განათლება და განაგრძო მამის მიერ დაწყებული საქმე. მან საბოლოოდ გაათავისუფლა გლეხობა, რომლებიც მამამისს ჯერ კიდევ გაუთავისუფლებელი დარჩენოდა. **იგი საბანკო საქმიანობაში ივანე მაჩაბლის გვერდით იდგა.** ბანაკებად დაყოფის მიუხედავად, მას პატივს სცემდა თვით დიდი ილიაც, რადგანაც ნიკო გულწრფელად და დაუღალავად ცდილობდა ამ ორი დიდი ქართველის შერიგებას და ხშირად ანელებდა „ცეცხლის ალს.“*

მთელ საქართველოში იყო ცნობილი ნიკო დიასამიძისა და აკაკი წერეთლის გულითადი, ყველასათვის სამაგალითო მეგობრობა. დიასამიძეთა სახლის კარი არა თუ ყოველთვის ღია იყო აკაკისათვის, არამედ ეს სახლი აკაკის დაულოცეს. მისთვის ცალკე ჰქონდათ გამოყოფილი კეთილმოწყობილი ჩოთახი. აკაკის ყოველი სტუმრობა იყო ზეიმი. ყოველნი, დიდი თუ პატარა ფეხზე დგებოდნენ და მზრუნველობას არ აკლებდნენ დიდ მგოსანს. სადაც არ უნდა სახლებულიყვნენ დიასამიძენი, საქაშეთში, გორში თუ თბილისში, ყველგან ჰქონდათ მოწყობილი „აკაკის

* ცნობები დავითი, ნიკო და გრ.დიასამიძეთა შესახებ ემყარება გ.კობახიძის სტატიას „მარად იბრწყინებს,“ გაზ. თბილისი, 20-28 აპრილი, 1990.

ოთახი.“ აკაკი მშობლიურ სხვიტორში უფრო ნაკლებად იყო, ვიდრე საქაშეთში.

1877 წელს ა. თუთაევთან ერთად გორში თავისი ხარჯით გადააკეთა ძველი როტონდა და იქ თეატრი დაარსა. მას საკუთარ სახლებში (თბილისი, სოფლები: საქაშეთი, ბრილი) მოწყობილი ჰქონდა სალონები, სადაც მართავდა ლიტერატურულ შეხვედრებს (ე. წ. "ორშაბათები"), თეატრის წარმოდგენებს. 1877 წელს მისი აქტიური მონაწილეობით სოფელ რუისში საქველმოქმედო მიზნით დაარსდა საზოგადოებრივი ბანკი, რომელსაც ერთხანს თვითონვე ხელმძღვანელობდა (კ. მამაცაშვილთან ერთად). 1892 წელს სოფელ ბრილში, მის სახლში, მისივე მონაწილეობით ჩატარდა გაზეთ "კვალის" დამფუძვნებელი კრება. გაზეთ "დროებაში" აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს სოციალურ და განათლების საკითხებზე.

1897 წ. ზაფხულის ერთ საბედისწერო დღეს, როცა ნიკო საოჯახო ფაეტონით შინისაკენ მიემგზავრებოდა, თავს დაესხნენ ავაზაკები, ვერაგულად მოკლეს და გაუჩინარდნენ ღამის წყვდიადში. ნიკოს ახლად დაემთავრებინა გლეხებთან შეხვედრა და საბოლოოდ მიუცია მათთვის მიწა-მამულები. მალე ცნობილი გახდა, რომ იგი მოკლეს სოციალ-დემოკრატებმა. ეს პირსისხლიანი ტერორი იყო პრელუდია მთელი ჯაჭვისა, რომელიც 10 წლის შემდეგ განმეორდა ილიას მკვლელობის სახით (იმავე ბნელეთის მოციქულთა ხელით, ოღონდ ახლა დღისით, მზისით). მისი შვილი გრ. დიასამიძე ამბობდა: „დარწმუნებული ვარ, ფილიპე მახარაძემ და ს. ჯიბლაძემ მოაკვლევინეს ბნელ ძალებს, თითქოსდა იმიტომ, რომ მამაჩემი მრისხანე მებატონე იყო“ (გ.კობახიძე, გაზ. თბილისი, 28 აპრილი, 1990). დაცემულ გმირს აკაკი წერეთელმა იმავე წელს (1897) უძღვნა ლექსი „ნიკო დიასამიძის სახსოვრად.“ მკითხველს ვთავაზობთ ამ ლექსს:

ქალაჩუნა, ენატკბილი
გაიძვერა მოუბარი
ყველას მოსწონს ცხოვრებაში
და ბევრიც ჰყავს მეგობარი!...

პირში მთქმელი უბოდიშო,
თავმომწონე, უშიშარი
ბევრს არ უყვარს რა თქმა უნდა,
და ცოტაც ჰყავს მეგობარი!...
ესეები ყველა ვიცი,
კარგად ვატყობ, სადაც არის
უპირადო მეგობარი.
შენც გიცნობდი ... ფიცხი იყავ,
თავგამწევი, მეტი ჩქარი
მაგრამ ძვირად შემხვედრია
შენებრ წმინდა მეგობარი!
საზოგადო ჩვენი საქმის
თანამგრძნობი უებარი,
ავის მტერი, სიტყვით, ქცევით
კარგის–გულით მეგობარი.
კარგი მუშა, მეოჯახე,
კარგ ცოლ-შვილზე გადამკვდარი,
მეზობელი მეზობლების
მოყვარული... მეგობარი.
ერთი ხიდან გაკეთდება
როგორც ჯვარი, ისე ბარი
ხშირად ერთ და იმავ საქმეს
მტერიც ჰყავს და მეგობარიც...
და შენც, ძმაო ღალატობამ
საქმე გიყო საოცარი:
მტერს შეახო ფრთები მხოლოდ
და ცრემლებს ღვრის მეგობარი.
მაგრამ მაინც შეუნდვე მტრებს,
მოიგონე მაცხოვარი!...
ის ვინც იყო გაურჩევლად
მტრის და მოყვრის მეგობარი.“

მოშურნე მტრებმა ჯერ კიდევ 1888 წელს მოუნდომეს ნიკოს მოკვლა. საქმე ისე მოაწყეს, რომ ძლიერმა მეტოქემ იგი დუელში გამოიწვია. დიასამიძე რა თქმა უნდა დუელს არ გაექცა. მან

შეადგინა მოკლე ანდერძი მეუღლისადმი, უფროსი ვაჟის – გიგოსა და სასახლის მოურავისადმი. შეუძლებელია აუღელვებლად ამ ნაწერის წაკითხვა. რა მობოდიშებით, როგორ არიგებს, რა გრძნობებით ემშვიდობება მათ და ასწავლის: „მე ბევრი მაქვს სალაპარაკო, მაგრამ სულთამხუთავები აღარ მაცლიან, რომელნიც მოესწრნენ ჩემს დაღუპვას, სიშურით და ბოროტებით ბოლოს მიღებენ“... გთხოვ (მიმართავს მეუღლე ნინო ბებუთაშვილს) არ ჩამთვალო მოღალატედ, სჯობდა სირცხვილით ყოფნას ასე გათავება.“ –„შენი საძაგელი ნიკო“– ამთავრებდა მეუღლისადმი მიწერილ წერილს, ხოლო შვილს არიგებდა: „საყვარელო შვილო გიგო! შენ ეხლა 18 წლის ხარ. შემოგცქეროდი იმედით... შვილო, გატყობ შენ კარგი უნდა იყვე ... ეს გქონდეს სახსოვრად: საზოგადო საქმე გააკეთო. გააკეთე ჩუმად, ნუ დაიყვირებ. ნურავის გადაუხდი ჩემს მაგიერობას, გიყვარდეს შენი კარგი დედა, რომელსაც დიდი ამაგი აქვს და გიყვარდეს შენი ძმები და დაი. შენ უნდა იყო მაგათი პატრონი. შენი ტოტიები ილლიანკა, ლიზა და ნინოც არ დაგავიწყდეს. რასაც ხასიათი აქვს, ბოლომდე შეინახე. დამიკოცნე შენი ძმები: მე ვეღარ გავბედე, რომ არ შეგემჩნიათ და ვერ გამოგეთხოვეთ. ნიკო (გ.კობახიძე, გაზ. თბილისი, 28 აპრილი, 1990).

მაგრამ ნიკო დიასამიძე მაშინ რაინდულად გადაურჩა სიკვდილს, არ გაება დაგებულ მახეში. მტრები დამარცხდნენ. ამის შემდეგ ნიკომ 9 წელი იცოცხლა და თავისი ცოლ-შვილის მეტ სიკეთეს მოესწრო. მისმა შვილმა გიგომ სავსებით გაამართლა მამის ანდერძი და არაერთი სასახელო საქმით კიდევ უფრო განამტკიცა დიასამიძეთა სახელოვანი ტრადიციები.

დავით დიასამიძე



დავით მევლუდის ძე დიასამიძე დაიბადა 1926 წ. ქედის რაიონის სოფელ გულებში. დაამთავრა ბათუმის საფინანსო ტექნიკუმი და საკავშირო საფინანსო ინსტიტუტი.

მუშაობდა აჭარის ფინანსთა სამინისტროს უფროს რევიზორად, **აჭარის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს უფროსად. იყო ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის წევრი.** მის სახელს უკავშირდება არაერთი სიახლის დანერგვა საგადასახადო საქმიანობაში, რის გამოც მიანიჭეს **შრომის ფრიადოსანისა** და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **დამსახურებული ეკონომისტის** წოდება.

თევრათ დიასამიძე

ბიზნესმენი **თევრათ დიასამიძე** დაიბადა 1944 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფ. მეჯინისწყალში. 1972 წ. დაამთავრა ხარკოვის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომ-ეკონომისტის კვალიფიკაციით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატის საგეგმო განყოფილების უფროსად, საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის აჭარის საინსპექციო უბნის ინსპექტორად, ბათუმმრეწვვაჭრობის დირექტორად, სუბრტოპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშა-

ვების ქარხნის დირექტორად, საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური კვლევის განყოფილების გამგედ და დირექტორის მოადგილედ. 1995 წლიდან ეწევა ბიზნესაქმიანობას. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თამაზ დიასამიძე

წარმატებული ბიზნესმენი **თამაზ დიასამიძე** დაიბადა 1947 წელს, სოფელ მეჯინისწყალში. 1976 წ. დაამთავრა ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო ინ-სტიტუტი.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა ბა-თუმის ხილეული წყლების და ლუდის ქარხნის მთავარ ეკონომისტად, აჭარის მინისტრთა საბჭოს საგეგმო და ხელვა-ჩაურის რაიკომში სოფლის მეურნეო-ბის განყოფილებების ხელმძღვანელად, ურეხის კოლმეურნეობის თავმჯდო-მარედ, მახვილაურის ციტრუსების მე-ურნეობის სამმართველოს უფროსად, ქონების მართვისა და ბუ-ნებრივი რესურსების გამოყენების სამმართველოს მთავარ სპეცი-ალისტად. ამჟამად არის **შპს „თიანეთი 3000“-ის დირექტორი.** ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

გურამი დიასამიძე 1948-2001



გურამი დიასამიძე დაიბადა 1948 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე, მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

მუშაობდა სოფელ ჩანჩხალოს საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, ბათუმის რევოლუციის მუზეუმის მეცნიერ მუშაკად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისისტროს მეთოდისტად, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თანაშემწედ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქალაქო შტაბის თავმჯდომარის მოადგილედ, აღმასკომის მიწათმოწყობისა და საორგანიზაციო განყოფილებათა გამგედ, საბინაო სამმართველოს უფროსად. გურამ დიასამიძე არჩეული იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, **დავჯილდოებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

გულნარა დიასამიძე

საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის წევრი, სტომატოლოგიური კლინიკების ქსელი შპს **„დენტალუქსის“ დირექტორი გულნარა დიასამიძე** დაიბადა 1954 წელს, ქ. ბათუმში. ოქროს მედალზე დაასრულა სალიბაურის მათემატიკური სკოლა-ინტერნატი და ჩაირიცხა მოსკოვის სემაშკოს სახელობის სამედიცინო

სტომატოლოგიურ უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქედის რაიონულ საავადმყოფოში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის N 2 სტომატოლოგიურ პოლიკნიკაში ექიმ – ორთოპედად, ორთოპედიური განყოფილების გამგედ, ს.ს. „სტომატოლოგის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, ამავე საზოგადოების დირექტორად.

გ. დიასამიძემ 2001 წ. დააფუძნა **სტომატოლოგიური კლინიკების ქსელი შპს „დენტალუქსი“,** რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორის რანგში. ორგანიზაციაში 70-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. გ. დიასამიძე ბიზნესმენთა ასოციაციამ **2011-2012 წწ. დაასახელა წარმატებულ ბიზნესმენ ქალად აჭარაში.** იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობასაც. კითხულობს ლექციების კურსს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი.

იაშა დიასამიძე

იაშა დიასამიძე დაიბადა 1955 წელს შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის სპეციალობაზე.

მუშაობდა სოფლის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, შუახევის მოსწავლეთა სახლის დირექტორად, ბათუმის ნავსადგურის ტალმანად,

2004 წლიდან ნავსადგურის ადმინისტრაციის კადრების განყოფილების უფროსად. იაშა დიასამიძე აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული მოძრაობასა და შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებში, რისთვისაც განიცადა პოლიტიკური დევნა.

ბადრი დიასამიძე

დაიბადა 1972 წლის 25 ივნისს, დაბა ქედაში. რაიონის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა თბილისის ქართულ-უკრაინულ უნივერსიტატში.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ქედის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად, ქობულეთის სამაშველო სამსახურის უფროდსად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელად. ამჟამად ეწევა ბიზნეს-საქმიანობას. მის მფლობელობაშია რესტორანი ,,როიალ-ბათუმი“ და მოძრავი რესტორანი ,,როიალ-ტავი“. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

„ორი ზური“

1996 წელს დაფუძნდა ბიძაშვილების – **ზურაბ მიხეილისძე და ზურაბ ისრაფილისძე დიასამიძეების ფირმა „ორი ზური“**. ეს ფირმა მთელ საქართველოშია ცნობილი. იგი აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით. ფირმაში დასაქმებული არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ფირმა „ორი ზური“ ეწევა სატრანსპორტო და სამშემებლო საქმიანობას, მონაწილეობას იღებს დიასამიძეთა საგვარეულო – **წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.**

ზურაბ მიხეილის ძე დიასამიძე დაიბადა 1956 წ. დაამთავრა ბათუმის N 2 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკის ინსტიტუტში. ერთხანს მუშაობდა ვლადიმირის რკინიგზის სამმართველოში, 1982 წლიდან კი სამშობლოში დაბრუნდა. 1990-იანი წლებიდან ეწევა კომერციულ საქმიანობას. არის ფირმა „ორი ზური“-ს თანამფლობელი.

მისი ბიძაშვილი ზურაბ ისრაფილის ძე დიასამიძე 1965 წელსაა დაბადებული. პროფესიით ენერგეტიკოსია. ერთხანს მუშაობდა ბათუმის ტროლეიბუსების სამმართველოსა და ტრანსფორმატორების ქარხანაში. შემდეგ კი თავის ბიძაშვილთან ერთად აარსებს კომერციულ ფირმას. ამჯამად იგი ფირმა „ორი ზური"-ს თანამფლობელია და მუშაობას აგრძელებს კომერციულ სფეროში.

რევაზ დიასამიძე

რევაზ (რეზო) გურამისძე დიასამიძე დაიბადა 1962 წლის 20 თებერვალს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. საზოგადოებისათვის ცნობილი და გამორჩეული პიროვნებების – ბაბუისა (მევლუდი) და მამის (გურამი) ოჯახში აღზრდამ უაღრესად დადებითი გავლენა იქონია რეზო დიასამიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში.

სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრებისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ჩანჩხალოს კოლმეურნეობაში ინჟინრის თანამდებობაზე. მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მალე დააწინაურეს შუახევის რაიონის დამზადების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ.

საბჭოთა კავშირის დემონტაჟის შემდეგ რევაზ დიასამიძე ჩაერთო კომერციული საქმიანობაში. დღეისათვის ბათუმსა და თბილისში მოქმედებს მისი და მისი შვილის – გოგის მიერ დაარსებული სამშენებლო და სარემონტო მიმართულების ძლიერი ფირმები,

რომლებშიც დასაქმებულია ორმოცდაათამდე თანამშრომელი. ფირმები აქტიურად თანამშრომლობენ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის კომერციულ სტრუქტურებთან.

რევაზ დიასამიძე აქტიურადაა ჩართული დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის საქმიანობასა და წმინდა ევდემოზ დიასამიძის ეკლესიის მშენებლობაში. არჩეულია საგვარეულო კავშირის გამგეობისა და ეკლესიის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის წევრად. უხმაუროდ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, არის ეკლესიის მშენებლობის ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელი.

მინდია დიასამიძე

მინდია აკაკის ძე დიასამიძე დაიბადა 1979 წ. 22 აგვისტოს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში. იქვე დაასრულა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს სასწავლებელში – იურიდიულ ფაკულტეტზე იურისტ-ეკონომისტის სპეციალობით.

ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ბედი სცადა ბიზნესში, 2010 წელს დააფუძნა კომპანია **„შპს მდა-007“,** რომელმაც მოკლე პერიოდში სერიოზულ წარმატებას მიაღწია. იგი ეწეოდა ბიზნესსაქმიანობას ჩინეთში, აზერბაიჯანში, ბულგარეთში. პარალელურად ეწევა საქველმოქმედო საქმიანობასაც.

მ. დიასამიძე 2017 წ. არჩეული იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატად სოფ. ზედა ახალშენის მაჟორიტარული ოლქიდან. იყო საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე. ამჟამად ხელმძღვანელობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

დიასამიძეთა საგვარეულო კავშირი

დიასამიძეთა გვარის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა **საგვარეულო საზოგადოების (კავშირის) შექმნა,** რადგან იგი მიზნად ისახავდა და **ახლაც მთავარ ამოცანად რჩება საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ დიასამიძეთა ურთიერთდაახლოება – გაცნობა და სამშობლო ქვეყნისთვის, საკუთარი ოჯახებისთვის სასარგებლო და სასიკეთო საქმეების კეთების მიზნით ძალთა გაერთიანება, გვარის ისტორიული ტრადიციებსა და სასახელო წინაპართა მაგალითზე ახალგაზრდა თაობის აღზრდა და მათ აღზრდა-განათლებაში ხელშეწყობა, საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების დაცვა- განმტკიცება.**

ქვეყნისთვის მძიმე 90-იანი წლების შუახანებში, როცა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა სჭირდებოდა, დიასამიძეთა გვარის ღირსეულ წარმომადგენელთა შორის გაჩნდა აზრი საგვარეულო საზოგადოების (კავშირის) შექმნისა, რომლის მეშვეობით შეჭირვებულ თანამოძმეებს საერთო ძალებითა და შესაძლებლობებით მხარში ამოუდგებოდნენ და ბეჯითებს, სწავლაში გამორჩეულებს მიზნის მიღწევაში ხელს შეუწყობდნენ. მაშინ ეს შედარებით მოკრძალებული უახლოესი ამოცანები ჩანდა გადასაწყვეტი, თუმცა მალე მოთხოვნები და პრობლემები გაფართოვდა, რაც საგვარეულო კავშირის საქმიანობის მასშტაბებს ზრდიდა.

საგვარეულო კავშირის შექმნის იდეას მხარდამჭერები გამოუჩნდნენ თბილისსა და ქვეყნის სხვა რეგიონებშიც. **გადაწყდა დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება,** რომლის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: **ალექსანდრე, გიორგი (გოგი), ავთანდილ, ოთარ, თამაზ დიასამიძეები** და სხვები. ყრილობის მოსამზადებელი სამუშაოების (კავშირის პროგრამისა და წესდების შემუშავება, დელეგატთა მოწვევა) ჩატარების შემდეგ, **1998 წლის 24 აპრილს, ქ. თბილისში, რესტორან „არაგვში“ ჩატარდა სრულიად საქართვე-**

ლოს დიასამიძეთა საგვარეულო საზოგადოების პირველი ყრილობა. საგვარეულო საზოგადოების თავმჯდომარედ ყრილობამ აირჩია თბილისსა და სრულიად საქართველოში ცნობილი და პოპულარული პიროვნების – ნიაზ დიასამიძის შვილი, პროფესიით მშენებელი ინჟინერი **თემურ დიასამიძე,** ხოლო მოადგილედ – პროფესიით ეკონომისტი და იურისტი **ალექსანდრე დიასამიძე.**

ყრილობაზე გადაწყდა ქვეყნის რეგიონებშიც შექმნილიყო საგვარეულო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც საჭირო მუშაობას ჩაატარებდნენ საგვარეულო კავშირის (მალე საგვარეულო საზოგადოება კავშირად ჩამოყალიბდა) წესდებისა და პროგრამის მოთხოვნათა შესასრულებლად. ყრილობამ ასევე საჭიროდ ჩათვალა დაწყებულიყო მუშაობა გვარის ისტორიისა და განსაკუთრებით გამორჩეულ პირთა პოპულარიზაცია – შესწავლის მიზნით, ისტორიული წყაროების მოშველიებით დადგენილიყო წმინდანად შერაცხული საქართველოს კათალიკოს- პატრიარქის (XVII ს.) ევდემოზ დიასამიძის საფლავის ადგილმდებარეობა.

ორი წლის შემდეგ, 2000 წლის 23 აპრილს, თბილისში ჩატარდა საგვარეულო კავშირის დარბაზის გაფართოებული სხდომა (ყრილობის უფლებით), რომელსაც მართავდა ალ. დიასამიძე, რადგან თ. დიასამიძემ, სამსახუროებრივი დაკავებულობის გამო, უარი თქვა მოვალეობის შესრულებაზე. შეკრების მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ნიაზ დიასამიძის საფლავი. ამავე წლის 17 ოქტომბერს, ევდემოზ კათალიკოსის ხსენების დღეს რეგიონების დიასამიძეთა წარმომადგენლების მონაწილეობით, ანჩისხატის ეკლესიაში პარაკლისი ჩატარდა და მოინიშნა ის ადგილი, სადაც განისვენებდა წმინდანად შერაცხილი ევდემოზ პირველი დიასამიძის ნეშტი.

ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად, რეგიონებში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების დასაფუძნებლად. კერძოდ, აჭარაში, 2000 წლის მაისიდან სექტემბრამდე, რაიონულ ცენტრებსა (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი) და ქ. ბათუმში ჩატარდა აქ მცხოვრებ

დიასამიძეების წარმომადგენელთა კრებები, დაფუძნდა რაიონული ორგანიზაციები, რომლებმაც აირჩიეს კავშირის აჭარის ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატები.

2000 წლის 5 ოქტომბერს, აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის შენობაში ჩატარდა დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის აჭარის ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც საგვარეულო კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია პროფესორი **ბიჭიკო დიასამიძე,** მოადგილედ მ|კ **რუსუდან დიასამიძე**, გამგეობის წევრებად: **ჯემალ, ანზორ, ავთანდილ, ზურაბ, მურად, ვახტანგ და გივი დიასამიძეები.**

კონფერენციამ მთავარ ამოცანად დასახა დიასამიძეთა აღრიცხვა – გაწევრიანება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით და ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც ხელს შეუწყობდა ერთი გვარის შვილთა გაცნობა – დაახლოებას, შრომაში, სწავლაში, სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში გამორჩეულთა პოპულარიზაციას და დაფასებას. ამ ამოცანათა განხორციელებას ემსახურებოდა მალევე ჩატარებული არაერთი ღონისძიება:

1. 2000 წლის 17 ოქტომბერს ქ. თბილისში ანჩისხატის ეკლესიაში პარაკლისის ჩატარება და იმ ადგილის მონიშვნა, სადაც განისვენებდა წმინდანად შერაცხილი მე – 17 საუკუნის ქართლის კათალიკოსის ევდემოზ I დიასამიძის ნეშტი;
2. 2000 წლის 6 დეკემბერს პროფესორ ანზორ დიასამიძის წიგნების „გენეტიკა“ და „ევოლუციური მოძღვრების თეორიის“ წარდგენა – განხილვა;
3. 2000 წლის 25 დეკემბერს პროფესორ ბიჭიკო დიასამიძის დაბადებიდან 60 წლისთავის აღნიშვნა;
4. 2001 წლის 1 აპრილს დაბა ქედაში შეხვედრა ქედის რაიონში მცხოვრებ დიასამიძეებთან და დაბადებიდან 80 წლისთავის მილოცვა და საგვარეულო ღერბის ასლის გადაცემა სამეურნეო დარგის ღვაწლმოსილ მუშაკზე ხასან დიასამიძეზე;

5. ხალხმრავალი შეკრებები ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტის შენობაში (დ. აღმაშენებლის 19): დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გვარის სამი თაობის წარმომადგენელთა შეხვედრა და სხვა. მსგავსი ღონისძიებები ტარდებოდა თითქმის ყოველ წელს.

2001 წლის 20 აპრილს თბილისში ჩატარდა საგვარეულო კავშირის III ყრილობა. საანგარიშო მოხსენების მოსმენის შემდეგ, ჩატარებული მუშაობის შესახებ ისაუბრა აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ პროფ. ბ. დიასამიძემ. ყრილობამ დადებითად შეაფასა რა წარმოდგენილი ანგარიში, უკმაყოფილება გამოითქვა, რომ სხვა რეგიონებში არ შეიქმნა ორგანიზაციები. ყრილობამ საჭიროდ ჩათვალა რეგიონებში გვარის ისტორიის პოპულარიზაციის აუცილებლობა და საჭირო საქმიანობის დაწყება გვარის ისტორიისა და როსტომ ხანის (მეფის) მიერ წამებული ქართლის კათალიკოსის--ევდემოზ პირველი დიასამიძის შესახებ წიგნის შესაქმნელად. აქამდე, საგვარეულო საზოგადოების ხელმძღვანელობის ძალისხმევით, გაზეთ „თბილისის“ 1999 წლის 10 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ისტორიკოს ზურაბ კაცელაშვილის წერილი „შეიპყრა მეფემან და ციხეში მოაშთობინა“, რომელიც ეძღვნებოდა წამებული კათალიკოსის ცხოვრებასა და ტრაღიკულ აღსასრულს. ამავე წელს გამოქვეყნდა იგივე ავტორის გამოკვლევა „დიასამიძენი-საგვარეულოს წარმომავლობის ისტორიისათვის“. ყრილობის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს წმ. ევდემოზ კათალიკოსის საფლავი ანჩისხატის ეკლესიაში და გადაწყდა ყოველი წლის 17 ოქტომბერს ჩატარებულიყო წმიდა კათალიკოსის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომელიც რეგურალურად ტარდებოდა 2001 წლიდან და აჭარიდან მასში სისტემატურად მონაწილეობდნენ ძმები ჯემალი და ისრაფილი, ავთანდილი, მურადი, და-ძმა რუსუდანი და დავითი, ძმები ბიჭიკო და რაჟდენი, ანზორი, რევაზი (გულები), ამირანი და სხვები. ყრილობამ კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ალექსანდრე დიასამიძე და საჭიროდ სცნო კავშირის საქმიანობის გააქტიურება.

ამ გადაწყვეტილების გამოძახილი იყო 2001 წლის 27 აპრილს ჩატარებული საგვარეულო კავშირის აჭარის ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც დაადგინა გამგეობასთან შექმნილიყო სამუშაო კომისიები (საორგანიზაციო მუშაობის, კულტურულ – საგანმანათლებლო, გვარის ისტორიის შემსწავლელი, ფინანსების...), ამასთან გადაწყდა გამგეობას შემოეღო წამახალისებელი ჯილდოები **(საგვარეულო ღერბის ასლი, კავშირის საპატიო სიგელი, საგვარეულო კავშირის საპატიო წევრობის მოწმობა, მადლობის ბარათი**) და წოდებები: **სწავლაში წარჩინებული, წარმატებული მკვლევარი, დედა- დედოფალი, პროფესიაში წარჩინებული** და სხვა საგვარეულო კავშირის საქმიანობაში გამორჩეულების წასახალისებლად.

მალე, კავშირის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, ანჩისხატის ეკლესიაში ევდემოზ კათალიკოსის საფლავზე აღიმართა მატურა, მომზადდა და 2002 წელს გამოიცა წმინდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნი „ წმიდა მოწამე კათოლიკოს- პატრიარქი ევდემოზ I (დიასამიძე)“. წიგნის შედგენაზე მუშაობდნენ : ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი რევაზ (ტომარაძე), პროფესორი მანანა ჭირაქაძე, გიორგი დიასამიძე, თამარ ბუაჩიძე და მერი არაბული. წიგნი საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველს, ამიტომ მასზე დიდი მოთხოვნილებაა.

2002 და 2004 წლებშიც ჩატარდა საგვარეულო კავშირის IV და V ყრილობები, რომლებზეც უფრო კავშირის ორგანიზაციული საკითხების (კავშირში გაწევრიანება, რეგიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბება, საწევრო ანარიცხების აკრეფა...) მოგვარება განიხილებოდა, რადგან იმ წლებში უფრო სერიოზული საკითხის მოგვარების იდეა გაჩნდა: წმიდა ევდემოზ კათალიკოსის სახელობის ეკლესიის მშენებლობის დაწყება. ეს კი მოითხოვდა საგვარეულოს ყველა წევრის საერთო ძალისხმევას, სულიერი და ეკონომიკური შესაძლებლობების ამ მიზნისკენ მომართვას. ეს უფრო აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას უნდა გაეთვალისწინებინა, რადგან ჯერ ერთი, ეს იდეა აქაურ დიასამიძეებში გაჩნდა და მეორე, ეკლესიის აშენება აჭარაში, დაბა ქედის ახლოს, დიასა-

მიძეთა ფუძე სოფლის – გულების ტერიტორიაზე (ქვითკირი) გადაწყდა. ეს ლოგიკურიც ჩანს: საქართველოში მცხოვრებ დიასამიძეთა ორი მესამედი (9000 ათასიდან 6000 ათასი) აჭარაში ცხოვრობს!

ეკლესიის მშენებლობის შესახებ ცალკე დაიწერება და ითქმება, აქ მხოლოდ იმ საკითხებზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რისი გაკეთებაც მოუწია საგვარეულო კავშირს და აჭარის ორგანიზაციას საგვარეულოს წარმომადგენელთა ამ საღვთო საქმეში მონაწილეობისათვის დასარაზმავად. მოსამზადებელი სამუშაოების მოგვარების შემდეგ (ეკლესიის ასაშენებლად საჭირო მიწის ნაკვეთის შერჩევა – გამოყოფა, პროექტის მომზადება – დამტკიცება, სამშენებლო მასალის მომარაგება...), ბათუმსხალთის ეპარქიის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა – კურთხევით და მისი უშუალო მონაწილეობით, 2005 წლის 16 სექტემბერს, ჩაიყარა წმ. ევდემოზ კათალიკოსის სახელობის ეკლესიის საძირკველი. ამ საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდა საგვარეულო კავშირის წარმომადგენლობა, ეპარქიის სასულიერო პირები და ახლო – მახლო სოფლების მოსახლეობა. ახლა საგვარეულო კავშირის მთავარ ამოცანად იქცა ეკლესიის მშენებლობისთვის საჭირო თანხების გამონახვა – მოზიდვა, რადგანაც ეკლესიის აშენება ძირითადად შემოწირულობებით, დიასამიძეთა გვარის შვილების და ქველმოქმედთა შემონატანებით უნდა აშენებულიყო. ამ მიზნით ჩატარდა შეხვედრები დიასამიძეებთან:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორ – მასწავლებლებთან (21 კაცი) და სტუდენტებთან (81 კაცი) – 21 და 26 სექტემბერს;
2. ქალაქის პირველი სკოლის მასწავლებლებთან და მშობლებთან (22 კაცი) – 2006 წლის 12 მარტს;
3. ქალაქის პოლიციის პირველი ქვეგანყოფილების მუშაკებთან – 2006 წლის 16 მარტს;
4. ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში -- აჭარის რაიონებში მცხოვრე-

ბი დიასამიძეების წარმომადგენლებთან (62 კაცი)- 2006 წლის 26 მარტს;

5. დიასამიძეებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში ავირჩიეთ კოორდინატორები საჭირო მუშაობის ჩასატარებ-ლად ;
6. აჭარაში მცხოვრები სხვა ცნობილი გვარების წარმომადგე-ნელთა მონაწილეობით (რ. სურმანიძე, ი. ხიმშიაშვილი, ვ. და გ. პაპუნიძეები, თ. თავდგირიძე, ვ. მამულაძე, გ. შერვაშიძე, ვ. ბალაძე...)

საზეიმო პირობებში ჩავატარეთ დიასამიძეთა სამი თაობის შეხ-ვედრა, სარვმარტო ზეიმი და სხვა. ყველა ამ ღონისძიების მიზანი დიასამიძეთა შეკავშირება – გაერთიანება იყო საერთო საღვთო საქმის საკეთებლად.

მომდევნო წლებში ცვლილებები მოხდა საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელობაში. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჯერ **გია, შემდეგ დავით დიასამიძეები** – საგვარეულო კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებლის ავთანდილის შვილები. მათი ხელმძღვანელობის პერიოდში ტარდებოდა ღონისძიებები ეკლესიის მშენებლობისთვის ფინანსების მოსაძიებლად. ამ მიზანს ემსახურებოდა მათი შეკვეთით და პროექტით დამზადებული ფიალები სანთლის მასალისგან, საგვარეულო ღერბის გამოსახულებით, გვარის შვილებს შორის გასაყიდად, რასაც ორმაგი დანიშნულება და დატვირთვა ექნებოდა! ამავე წლებში მეორედ, ამჯერად ზ. კაცელაშვილის ავტორობით გამოიცა წიგნი წმ. ევდემოზის მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი უზუსტობებით.

ამ ხნის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საქმიანობა ეკლესიის მშენებლობისათვის საჭირო თანხის შესაგროვებლად და მშენებლობაზე საჭირო საამშენებლო მასალის მისაწოდებლად. ამ მნიშვნელოვანი საქმის ოპერატიულობის გაზრდის მიზნით, 2010 წლის 31 იანვრის აჭარის ორგანიზაციის გამგეობის სხდომაზე ეკლესიის მშენებლობის შტაბის ხელმძღვანელად არჩეული იქნა **რეზო მოედინისძე დიასამიძე** – წარმოშობით სოფელ გულებიდან, რომელიც აქამდე კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე იყო. ახლა ეს დავალებაც დაემატა!

პროფესიული საქმიანობით დაკავებულობის გამო ძმებმა უარი თქვეს საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელობაზე და 2011 წლის მარტში გამგეობის წინაშე დასვეს საკითხი კავშირის ხელმძღვანელად **აერჩიათ კავშირის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე.** ამ აზრს იმითაც ამაგრებდნენ, რომ ახლა საგვარეულო კავშირის ყველაზე დიდი საქმე – ეკლესიის მშენებლობა აქ, აჭარაში კეთდებოდა. ეს აზრი გაიზიარა კავშირის გამგეობამ და დაინიშნა კავშირის VII ყრილობის ჩატარების დრო – 2011 წლის 14 მაისი (ადგილი – სასტუმრო „ბესო“). მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების შემდეგ, 14 მისს, დღის 3 საათზე, ყრილობა გაიხსნა. მოწვეული 80 დელეგატიდან ესწრებოდა 72, აჭარის რაიონებიდან, ვანიდან და ქალაქ თბილი-

სიდან. ყრილობაზე მოწვეული იყვნენ საგვარეულოს საპატიო წევრები (შოთა მახარაძე) და სხვა გვარების ცნობილი წარმომადგენლები.

ყრილობაზე საგვარეულო კავშირის თავმჯდომარის დავით დიასამიძის საანგარიშო მოხსენებაში დასმულ საკითხებზე მსჯელობის (ბიჭიკო, რეზო მ., რუსუდანი, მერი (ბათუმი), გოგი, თამარ, გია (თბილისი), მერაბი (ვანი), რამაზ სურმანიძე) შემდეგ, კავშირის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, გადაწყდა შექმნილიყო საგვარეულო კავშირის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციები (თავმჯდომარეები ნიკოლოზ და რეზო დიასამიძეები). ცალკე ორგანიზაციებად ჩამოყალიბდა ქ. თბილისისა და ბათუმის ორგანიზაციები (თავმჯდომარეები: გოგი და ბადრი). არჩეულ იქნენ აჭარის რაიონებსა და სოფლებში კოორდინატორები (შუახევის რაიონში – ჯემალი, ქედაში – მერაბი, ხელვაჩაურში- ალექსანდრე, ქობულეთში – თემური).

ყრილობამ აირჩია საგვარეულო კავშირის გამგეობა (ბიჭიკო დიასამიძე -თავმჯდომარე, რეზო და ნიკოლოზ დიასამიძეები – მოადგილეები. წევრები: გია, გოგი (თბილისი), ბადრი, რუსუდანი, მერი, თევრათი, ავთანდილი, რეზო გ., ალექსანდრე, თემური, მერაბი (ბათუმი) და მიიღო მიმართვა – „ყველა დიასამიძესა და თანამოძმეებს“.

ყრილობიდან მომდევნო კვირეებში ფართოდ გაიშალა მუშაობა ეკლესიის მშენებლობაში გვარის შვილთა გასააქტიურებლად, საჭირო სახსრების მოძიებაში მათი აქტიურად ჩაბმის მიზნით. ამ მხრივ შედარებით გააქტიურდნენ რაიონული ორგანიზაციები. დაიგეგმა ექსკურსიის მოწყობა დიასამიძეთა ისტორიული სამკვიდრებლი ადგილების მოსანახულებლად. 2011 წლის 27-28 აგვისტოს საგვარეულო კავშირის წევრები: ბიჭიკო რეზო გ., თევრათი, მერი, მიხეილი, მერაბი შვილებით (გურამი, მეგი), გია, ადამი, ისრაფილი, ჯემალი (შუახევი) გოდერძის უღელტეხილის გავლით გაემგზავრნენ ასპინძის მიმართულებით. დაათვალიერეს ზარზმის მონასტერი, ახალციხე რაბათით, ვარძია, ვაჰანის ქვაბები, ასპინძა (ღამე გაათიეს სოფელ აწყვეტაში- გოგის ბიძაშვილთან, სადაც

დიასამიძეთა რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს), დატკბენ თავად დიასამიძეთა რეზიდენცია – სოფლის – თისელის სიმშვენიერით, ნახეს საგვარეულო ეკლესია, დარბაზებისა და ციხეთა ნანგრევები, მოინახულეს თავად დიასამიძეთა ბოლო საცხოვრებელი სოფელი (ქართლში) საქაშეთი, აქაურ საგვარეულო ეკლესიაში დაანთეს სანთლები, გაიხსენეს დიასამიძეთა გვარის სახელოვანი წინაპრები, გვარის მიერ განვლილი მძიმე, მაგრამ სახელოვანი გზა და ისტორია.

საგვარეულო კავშირის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ითვლება საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში მცხოვრებ დიასამიძეთა ერთმანეთთან დაახლოება და მათი საგვარეულო კავშირის საქმიანობაში ჩართვა. 2011 წლის 25 სექტემბერს ისრაფილ დიასამიძის ინიციატივით, ბიჭიკო, ისრაფილი, მერი და თევრათ დიასამიძეები გაემგზავრენ ვანის რაიონში, იქაურ დიასამიძეებთან შესახვედრად და იქ რაიონული ორგანიზაციის შესაქმნელად, **მერაბ ჯონისძე დიასამიძის** ხელშეწყობით. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, სტუმრები ეწვივნენ გაღმა ვანს, სადაც გაღმა ვანელი 30-35-მდე დიასამიძე გაშლილი სუფრით დახვდა მათ. სტუმარ – მასპინძლებმა გვარის ისტორიაზე, ეკლესიის მშენებლობის საკითხებზე მსჯელობის შემდეგ, დააფუძნეს საგვარეულო კავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია მერაბ ჯონის ძე დიასამიძის თავმჯდომარეობით.

საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელობამ ტრადიციად აქცია ყოველი წლის 17 ოქტომბერს „ევდემოზობის აღნიშვნა თბილისში ანჩისხატის ეკლესიასა და დაბა ქედაში- მშენებარე ეკლესიაში.

დაბა ქედაში წმიდა ევდემოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ (2007 წ.), „ევდემოზობის“ აღნიშვნა მშენებარე ეკლესიაში საეკლესიო რიტუალებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ნათლობების ორგანიზებით ტარდებოდა.

2018 წლამდე აქ 80-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის (1-80 წელი) პირი მოინათლა. „ევდემოზობა“ იქცა საგვარეულო კავშირის წევრთა საქმიანობის შეჯამება-შეფასების, ეკლესიის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეთა წახალისების და შესაბამისი ჯილდოების გა-

დაცემის საშუალებად, სხვდასხვა ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრებ დიასამიძეთა შეხვედრა – დაახლოების ადგილად.

საგვარეულო კავშირის გამგეობის წევრები ბიჭიკო, რეზო მ., მერაბი, თევრათი, ბადრი, მიხეილი, ნუკრი დიასამიძეები სისტემატურად იკრიბებიან კავშირის საჭირბოროტო საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად, ეკლესიის მშენებლობის საკითხების მოსაგვარებლად, ამ საქმეში რეზო დიასამიძეზე წამოშველების მიზნით, რადგან მას ყველაზე მეტი ენერგიის დახარჯვა უწევს ამ უბანზე. 2018 წლის ოქტომბერში დასრულდა ეკლესიის გადახურვა და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ეპარქიამ, მიტროპოლიტმა სპირიდონმა შეასრულა, მან ითავა მისივე ხარჯებით ამ დიდი სამუშაოს შესრულება.

დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობისთვის მთავარ საქმედ ამ ეტაპზე ეკლესიის მშენებლობა და მისი დასრულებაა (სამრეკლო, გალავანი, ეზო...), მაგრამ მომავლის პერსპექტივაში კავშირის მთავარ ამოცანად რჩება მაინც გვარის წევრთა დაახლოება, ურთიერთ მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ახალგაზრდობისათვის ხარისხიანი განათლების მიცემაში დახმარება, გვარის ღირსების გაფრთხილების შეგნების ჩამოყალიბება და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებში აქტიური მონაწილეობა.

საგვარეულო კავშირის ისტორიის შედგენისას გამოყენებულია პროფ. ბ. დიასამიძის მიერ წარმოებული დღიურები და ქველმოქმედთა მიერ მშენებარე ეკლესიისადმი ფულადი და მატერიალური შემოწირულობების აღრიცხვის სრული მასალები, რომლებიც გადაეცემა ეკლესიის არქივს.

რამდენადაც მიგვაჩნია, რომ დიასამიძეთა საგვარეულოს ისტორიაში კავშირის შექმნამ განსაკუთრებული როლი შეასრულა, წარმოგიდგენთ კავშირის დამფუძნებლებსა და მისი საქმიანობის ღირსეულად გამგრძელებლებს:

კავშირის დამფუძნებლები: ავთანდილ, ალექსანდრე, ჯემალ, ისრაფილ, გოგი, თემური, მურად, დიასამიძეები;

კავშირის ხელმძღვანელები (პრეზიდენტები, თავმჯდომარეები): თემურ ნიაზისძე, ალექსანდრე შუქრისძე, გია ავთანდილისძე, დავით ავთანდილისძე, ბიჭიკო რაფიელისძე, რევაზ მოედინისძე დიასამიძეები.

მალე, დაბა ქედასთან ახლოს აგუგუნდება წმ. ევდემოზის (დიასამიძე) სახელობის ეკლესიის ზარები

არც ისე ბევრია საქართველოში ისეთი გვარები, რომლებსაც საქართველოსათვის მიეცათ სამი კათალიკოსი, რომელთაგან ერთი წმინდანად იქნება ეკლესიის მიერ აღიარებული. საქართველოსთვის მძიმე XVII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსად სამი პიროვნება იყო დიასამიძეთა გვარიდან:

1. ევდემოზ პირველი – 1632-1642 წლებში;
2. იოანე მეათე – 1688-1692 და 1695-1700 წლებში
3. ევდემოზ მეორე – 1700-1705 წლებში).

ევდემოზ პირველი 1642 წელს ქართლის მეფე როსტომმა (ხანი) მის წინააღმდეგ ანტიირანულ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო სიკვდილით დასაჯა, რის გამოც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა (ვრცლად იხილეთ ზ. კაცელაშვილი, „შეიპყრა მეფემან და ციხეში მოაშთობინა“, გაზ. „თბილისი“, 10. 07 1999 წ.; წიგნი „წმიდა მოწამე ევდემოზ I ,თბილისი, 2002; ბ. დიასამიძე, საქართველოს ერთიანობისთვის წამებული კათალიკოსი, „ისტორიული ეტიუდები“,II ,ბათუმი, 2016, გვ.93-103).

დიასამიძეთა საგვარეულო კავშირმა შექმნის დღიდან მთავარ ამოცანად დაისახა გვარის ისტორიისა და მის სახელოვან შვილთა პოპულარიზაცია და სათანადოდ დაფასება. ამ მიზნით დაიწერა და კავშირის წევრთა შორის გავრცელდა გვარის მოკლე ისტორია, გამოქვეყნდა სტატიები და წიგნები წმიდა ევდემოზ კათალიკოსის მოღვაწეობის შესახებ, შეხვედრები ჩატარდა გვარის ცნობილ წარმომადგენლებთან და სხვა. ამ მიზანს ემსახურება და ჩვენს მხარეში ოსმალთა ბატონობის გამო მოსახლეობაში მივიწყებული ქრისტიანული რწმენის აღორძინებას შეუწყობს ხელს საგვარეულო კავშირის გადაწყვეტილებით დაბა ქედას ახლოს, სოფელ გულებში, ადგილ ქვითკირის მიწაზე, აჭარა-ახალციხის ცენტრალუ-

რი მაგისტრალის განაპირას გუმბათოვანი ეკლესიის აშენება. ეკ-ლესიის აშენების იდეა 2003-2004 წლებში მწიფდებოდა. ყველას ესმოდა, რომ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება იქნებოდა საგვარეულო კავშირის ცხოვრებაში. კავშირის უხუცესი წევრების და მომდევნო თაობათა ერთობლივი გადაწყვეტილებით გადაწყდა დაწყებულიყო მუშაობა ჯერ გვარის წევრთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად ეკლესიის მშენებლობის დაწყების საქმეში და შემდეგ საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებულიყო (სათანადო ორგანოებიდან ეკლესიის მშენებლობის ნებართვის მიღება, ეკლესიის მშენებლობისთვის მიწის ფართობის გამოყოფა, ეკლესიის პროექტის მომზადება, მშენებლობის დაწყებისთვის საჭირო ფულადი სახსრების და სამშენებლო მასალის შეგროვება...) ეკლესიის მშენებლობის დასაწყებად. ამ საკითხების მოგვარებაში აქტიურად ჩაებნენ საგვარეულო კავშირის დამფუძნებლები და წევრები: **ავთანდილი, ალექსანდრე, გოგი, თემური, ჯემალი, ისრაფილი, რუსუდანი, დავითი, ბიჭიკო, ალექსანდრე, თევრათი, ამირანი, ზურაბი, გივი, დოდო და კავშირის სხვა აქტიური წევრები.** ეკლესიის მშენებლობის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და მშენებლობისათვის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა საგვარეულო კავშირის აჭარის ორგანიზაციის გამგეობას (თავმჯდომარე ბ. დიასამიძე).

საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ. **„აჭარსპეცპროექტის“ მიერ მომზადდა პროექტი (ავტორი ლ. ტულუში).** იგი **დამტკიცდა ბათუმ-სხალთის ეპარქიის არქიტექტორ თომა ბოლქვაძის მიერ**.

2005 წლის 16 სექტემბერს, ბათუმ-სხალთის ეპარქიის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით და უშუალო მონაწილეობით, სამღვდელოების, ადგილობრივი მოსახლეობის, თბილისელი და ბათუმელი სტუმრების ერთობლივი ძალებით **საძირკველი ჩაიყარა წმინდა ევდემოზ I (დიასამიძე) სახელობის ეკლესიის მშენებლობას.**



ეკლესიის მაკეტი

ეკლესიის მშენებლობის დასაწყებად საჭირო თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი **(3000 დოლარი) შემოწირა ეკლესიის მშენებლობის ერთ-ერთმა ინიციატორმა, მსახიობმა და რეჟისორმა ავთანდილ დიასამიძემ.** ასევე შეიტანეს საერთო ყულაბაში სახსრები კავშირის სხვა წევრებმაც. მშენებლობის პირველ ეტაპზე დიდი იყო ენთუზიაზმი, სურვილი ყველას მიეღო მონაწილეობა ამ საღვთო საქმეში. მალე ჩაისხა შენობის ცოკოლიც. ჯერი მიდგა კედლების მშენებლობაზე, უნდა გადაწყვეტილიყო რომელი სახის ქვით აშენებულიყო ეკლესია. არჩევანი ტუფის ქვაზე შეჩერდა. **მალე ქველმოქმედიც გამოჩნდა - ვალერი ნუცუბიძე სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშიდან, რომელიც უსასყიდლოდ გვთავაზობდა 4000-დე ტუფის ქვას** (დალოცოს ღმერთმა!). ახლა იქედან ქვის

ტრანსპორტირებაზე მიდგა საქმე. **აქ უკვე თავი გამოიჩინეს კომპანია „სამი ზურის“დამფუძნებელმა დიასამიძეებმა,** თუმცა 2000-დე ქვის ჩამოტანის შემდეგ, აქ, ქობულეთში, თემურ და ზაურ დიასამიძეების ინიციატივით ინახა მსგავსი მასალა და საჭირო აღარ გახდა მისი ბაშიდან ჩამოტანა. ახლა ისევ **თემურ დიასამიძემ იკისრა ტრანსპორტირების საკითხის მოგვარება ბადრი და ზაურ დიასამიძეებთან** და აქაც **„სამი ზური“ წამოგვეშველა.** თემურის ძალისხმევით 3000-ზე მეტი ტუფის ქვის ტრანსპორტირება მოხერხდა ქობულეთიდან, მანვე მოაგვარა ქვის სახერხით უზრუნველყოფაც. ამის პარალელურად აქტიური მუშაობა ტარდებოდა ეკლესიის მშენებლობისთვის საჭირო სხვა საკითხების მოსაგვარებლად (თანხების შეგროვების მიზნით რაიონებში შეხვედრები იქ მცხოვრებ დიასამიძეებთან, მატერიალური და ფულადი შემოწირულობების შეგროვება და აღრიცხვა, სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება, გამოცდილი მშენებლების მონახვა- შეთანხმება...)

მშენებარე ეკლესია



პირველი ნათლობა მშენებარე ეკლესიაში

საორგანიზაციო საკითხების მოგვარების პარალელურად, მზადდებოდა პირობები ეკლესიის კედლების მშენებლობის დასაწყებად. საკითხების მოგვარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: **ჯემალი, ისრაფილი, ავთანდილი, ბიჭიკო, მერი, მიხეილი, რუსუდანი, რეზო გურამისძე, ალექსანდრე (თბ.), ზაური, ალექსანდრე (ბათ.), რაჟდენი, თევრათი, თემური, ბადრი, გივი, გურამი, ზურაბი, დავითი (ახალშენი), ჯემალი (შუახევი), ამირანი (ქედა)... დიასამიძეები.**

2006 წლის 4 სექტემბერს, პირველი ქვა დაშენდა ეკლესიის კედელს და მიუხედავად სუბიექტური თუ ობიექტური დაბრკოლებებისა, 2008 წლის ივლისის დასაწყისში ეკლესიის კედლები შვიდი ქვის სიმაღლეზე იყო ასული. ამ ხნის განმავლობაში (2006-2008 წწ.) ბათუმ-სხალთის ეპარქია ორად გაიყო: ბათუმ-ლაზეთის და სხალთის ეპარქიებად. ქედის, შუახევის და ხულოს რაიონები სხალთის ეპარქიაში გაერთიანდა. მღვდელმთავარი ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე) იყო. ბათუმ-სხალთის ეპარქიაში დამტკიცებული ეკლესიის პროექტი 2007 წელს საპატრიარქოში განიხი-

ლეს და 2008 წლის მაისიდან სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსს გადაეცა გასაცნობად. ახალი ეპარქიის მღვდელმთავარმა ეკლესიის ნაშენები დაიწუნა, დარღვევებიც აღმოაჩინა და 20 ივლისს ინჟინრები **ნუგზარ ჩომახიძე და თ. მშვენიერაძე გაგზავნა** ადგილზე ვითარების შესასწავლად. აქ მათ დახვდნენ ბიჭიკო, რეზო დიასამიძეები და ეკლესიის მშენებელი ინჟინერი ამირანი. სტუმარმა ინჟინრებმა მოიწონეს ნამუშევარი, კარგი მშენებლები გყოლიათო, მაგრამ ცენტრალური საყრდენი სვეტების გამაგრება აუცილებლად ჩათვალეს. მეუფე ჯერ ამაზე დათანხმდა, მაგრამ მალევე შეცვალა გადაწყვეტილება და ეკლესიის საძირკვლამდე დანგრევა მოითხოვა. საგვარეულო კავშირი ამას არ დათანხმდა. ასე გადიოდა თვეები. შეჩერდა მშენებლობა, მაგრამ მის გასაგრძელებლად მზადება არ შეწყვეტილა: ადგილზე გროვდებოდა სამშენებლო მასალა. იკრიბებოდა ფულადი სახსრები, ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები მშენებლობის მხარდასაჭერად:

1. საგვარეულო კავშირის საპატიო წევრებად მიღებულ იქნენ: ვალერი ნუცუბიძე, იოსებ ხიმშიაშვილი, გურამ პაპუნიძე, შოთა მახარაძე;
2. საგვარეულო გერბის ასლი გადაეცათ: თევრათ, მიხეილ, რეზო გ., რუსუდან, დოდო, ნუკრი, ისრაფილ, თემურ, ბადრი დიასამიძეებს;
3. კავშირის საპატიო სიგელები გადაეცათ: რევაზ მოედინისძეს, მერი, ზაურ, ადამ, ნუგზარს დიასამიძეებს;
4. სამადლობელო წერილები გაეგზავნათ ქველმოქმედებისთვის: რუსუდან შავაძეს, დავით შერვაშიძეს, ვალოდია, გენადი და დავით დიასამიძეებს და სხვა.

ეკლესიის მშენებლობის გართულებულ პირობებში, საგვარეულო კავშირის სხდომაზე, 2010 წლის 31 იანვარს, გადაწყდა კავშირის გამგეობასთან შექმნილიყო სამშენებლო შტაბი. მას სათავეში ჩაუდგა გულებელი **რევაზ მოედინისძე დიასამიძე**, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა ეკლესიის მშენებლობის წარმატებით გაგრძელებისთვის.

2010 წლის 10 ივნისს სამმხრივი სატელეფონო კავშირით (საპატრიარქო – სხალთის ეპარქია-დიასამიძეთა საგვარეულო კავშირი) ბ. დიასამიძეს შეატყობინეს, რომ 12 ივნისს ჩამოვა საპატრიარქოს მიერ მოვლენილი ექსპერტი (დავით რამიშვილი) ეკლესიის საძირკვლის და საერთოდ მშენებლობის ექსპერტიზისთვის. ექსპერტიზამ წარმატებით ჩაიარა. ჩატარებული სამუშაოების ხარისხი აკმაყოფილებდა სათანადო მოთხოვნებს, ასეთი იყო საერთო დასკვნა. მშენებლობა კვლავ შეჩერებულია, მაგრამ 2011 წლის 14 და 16 აპრილს მამა შიოსა (პატრიარქთან დაახლოებული პირი) და მამა თომას (ტარიელ დიასამიძის ვაჟი ნუგზარი) ჩარევით, მეუფე სპირიდონმა ნება დართო საგვარეულო კავშირს გაეგრძელებინა ეკლესიის მშენებლობა პროექტის შესაბამისად. დაიწყო ცენტრალური სვეტების გასამაგრებელი სამუშაოები და აქ მეუფემ კავშირის ხელმძღვანელობას შესთავაზა ეპარქიის ხარჯებით ეკლესიის მთელი იატაკის ბეტონით გამაგრება, რაც სვეტებსაც საიმედოდ შეკრავსო.

2011 წლის 14 მაისს საგვარეულო კავშირის VII ყრილობამ სრულიად საქართველოს დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ ბიჭიკო დიასამიძე აირჩია. ახალი

ენერგიით გაიშალა მუშაობა ეკლესიის მშენებლობის გასაგრძელებლად. 2012 წლის მაისის ბოლოს დასრულდა იატაკის დაბეტონება. ახლა ქვის დაშენება უნდა გაგრძელდეს, მაგრამ მშენებელთა ახალი, გამოცდილი ბრიგადის მოძებნა გახდა საჭირო. მოიძებნა კიდეც (გელა მარუქიშვილი (ოსტატი), ზაზა აღლემაშვილი, გურამ დიასამიძე, ნოდარ დავითაძე), რომელმაც კვადრატული მეტრის დაშენებაში 50 ლარი მოითხოვა. აქამდე 40 ლარს ვუხდიდით. მთავარ პრობლემად კვლავ ფინანსების მოძიება რჩებოდა, რათა არ შეფერხებულიყო მშენებლობის პროცესი. ამ მიზნით იმართებოდა გამგეობის წევრთა (ბიჭიკო, რევაზი, თევრათი, მერაბი, მერი, ბადრი, მიხეილი, ნუკრი, მიხეილი, ალექსანდრე (ბათ.), ზაური... დიასამიძეები) ყოველკვირეული შეხვედრები. გადაწყდა ბიზნესმენ დიასამიძეებთან და წარმოშობით ქედელ ინტელიგენციასთან შეხვედრა და მხარდაჭერის თხოვნა. ბ. დიასამიძემ ითავა ბათუმის უნივერსიტეტის ჩართვა ამ საქველმოქმედო საქმეში და სხვებსაც თხოვა მსგავსი ღონისძიების ორგანიზება. 2013 წლის ზაფხულიდან **50-ზე მეტი უნივერსიტეტელი ყოველთვიურად ეკლესიის ანგარიშზე რიცხავდა 2-დან 100 ლარამდე, რაც თვეში 1000-ზე მეტ ლარს შეადგენდა.** უფრო **ადრე შემოგვიერთდნენ ბიზნესმენები: მერაბ გურამისძე, მალხაზ დურალისძე, რამაზ რევაზისძე დიასამიძეები და 1000-1000 ლარი შემოწირეს ეკლესიას.** მერაბი გამგეობის აქტიური წევრი გახდა. **ერთი წლის განმავლობაში 50-50 ლარს სწირავდნენ ეკლესიას: გულიკო შერვაშიძე, ანზორ ბერიძე, როსტომ ბერიძე, ვლადიმერ ბალაძე, გურამ პაპუნიძე; ალექსანდრე დიასამიძემ (ახალშენი) ეკლესიას შესწირა იატაკის მოსაპირკეთებელი გრანიტის ფილები (120 კვ. მ.)**, ხოლო **ბადრი დიასამიძემ – ეზოში დასაგები გრანიტი 130 კვ. მ.** ასე რომ საქმე წინ წავიდა. მოვიმარაგეთ ხის მასალაც: კვიახიძეებიდან, **თამაზ დიასამიძის ხელშეწყობით, 12 კუბამეტრი ხის მასალა ჩამოიტანეს ჩვენთვის მისაღებ ფასებში.** 2014 წლის გაზაფხულისთვის მშენებლობა გაგრძელდა და მეტი ძალისხმევა დასჭირდა სამშენებლო

მასალის, ფულადი სახსრების შეგროვებას, რაც კავშირის აქტიური წევრების ორგანიზებული საქმიანობით ხორციელდებოდა.

2016 წელს ეკლესიის გუმბათის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, რამაც დიდძალი მასალა (ბეტონი, ხის მასალა) მოითხოვა და აქ განსაკუთრებით უნდა გამოიხატოს მადლიერება **დემურ თემურის ძის** მიმართ, **რომელმაც 100-ზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი და სხვა სამშენებლო მასალები შესწირა ეკლესიას**. მის სახელს უკავშირდება ეკლესიის შესასვლელი კარები. 2017 წლის გაზაფხულზე ეკლესიის გადახურვა უნდა დაწყებულიყო, რომ საგვარეულო კავშირის გამგეობამ **მეუფე სპირიდონისაგან შეტყობინება მიიღო – ეპარქია საკუთარი ხარჯებით გადახურავდა ეკლესიას.** საგვარეულო კავშირის გამგეობამ მადლიერებით მიიღო შემოთავაზება. მართლაც, 2018 წლის სექტემბერ – ოქტომბერში წმ. ევდემოზ I-ის (დიასამიძე) სახელობის ეკლესიის გადახურვის სამუშაოები დასრულდა და აღიმართა ჯვარი.

ეკლესიის ცნობადობა – პოპულარიზაციის მიზნით, საჭიროდ ჩაითვალა ცენტრალური გზატკეცილის მხრიდან ასასვლელი კიბის ჩამოსხმა. ორგანიზაციული საკითხების (პროექტის მომზადება, ხელისუფლებისაგან ნებართვა, სამშენებლო მასალის მომზადება, საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფა) მოგვარების შემდეგ, ბატონი რევაზის დიდი ძალისხმევით, 2019 წლის ივლისში კიბე ჩამოისხა. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჯუმბერ დიასამიძემ. მის სახელს უკავშირდება აგრეთვე ბათუმიდან გულებში მზა ბეტონის ტრანსპორტირებისა და ადგილზე წარმოებული სამუშაოების გარკვეული ნაწილის დაფინანსება.

მალე, თურქეთში მომუშავე ჩვენი გამგეობის აქტიური წევრისგან **მერი დიასამიძისგან** შეტყობინება მივიღეთ, რომ ერთერთი თურქი მოქალაქე მზად იყო გაეღო ეკლესიასთან მოსაყვანი სასმელი წყლის ხარჯები. აქაც დასაზუსტებელი იყო მანძილი, საჭირო რეზინის მილის ხარისხი, მიწის გათხრის (მილის ჩასაწყობი) ფასი, საჭირო რეზერუარების რაოდენობა და ფასი, რომ საბოლოოდ დაზუსტებულიყო საჭირო თანხის რაოდენობა. წყლის მოყვანა 2,5 კილომეტრიდან გადაწყდა. აქაც დიდი ენერგია და შრომა გას-

წია ბატონმა **რევაზმა** აქ მომუშავე მუშახელთან ერთად და საქმეც წარმატებით დასრულდა. მადლობა იმ მუსულმან მადლმოსილ კაცს, რომელმაც ქრისტიანული ტაძრისთვის თანხა გაიღო. მადლობა მერის, რომ ყოველთვის ახსოვს ჩვენი საერთო საქმე. მალე, მიხეილის ძალისხმევით კიდევ ერთი მადლიანი კაცი გამოჩნდა: ჩვენი გვარის შვილი – ავთანდილი, რომელიც საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროში მუშაობს. მისი უშუალო ჩარევითა და მონდომებით ეკლესიის ეზოს ცენტრალური მაგისტრალის მხრიდან ჩამოესხა ბეტონის კედელი 70 მეტრის სიგრძეზე. მანვე იკისრა ეკლესიისათვის ზარების შეძენა საკუთარი ხარჯებით.

ეკლესიის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე: თამაზ ბალაძე, გია და სულიკო ჭყონიები, ირაკლი მიქელაძე, თამაზ აბულაძე, თამაზ ნაკაშიძე, ბადრი გობაძე, გურამ თურმანიძე, ენრიკო ბერიძე, ნუგზარ ჭაღალიძე, ძმები როინ, რომა და მირზა, ასევე რამაზ და რამინ დიასამიძეები.

აჭარაში წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის კიდევ ერთი ეკლესია აშენდა. მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით 2013 წ.

8 მაისს ანგისის დასახლებაში, წმ. ევდემოზ დიასამიძის ქუჩაზე საფუძველი ჩაეყარა მღვდელთმოწამე კათალიკოს წმ. ევდემოზის სახელობის ეკლესიას.

ტაძარი აშენდა შავნაბადას ეკლესიის ბერის მამია დიასამიძის ინიციატივით. იგი უმწიკვლო რეპუტაციის მქონე პიროვნების ტარიელ დიასამიძის (1945-20001) ვაჟიშვილია. ტარიელს ჰყავდა სამი შვილი: მამია, ჯემალი და ია.

მამია დიასამიძე დაიბადა 1967 წელს, ქ. ბათუმში. ბათუმის № 1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. ერთხანს მუშაობდა ქალაქის მეფრინველეობის ფაბრიკაში, შემდგომ კი კომერციულ სტრუქტურებში – რუსეთსა და ბელგიაში.

ქ. ლიეჟში მ. დიასამიძემ საფუძველი ჩაუყარა ქართულ სათვისტომოს და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ჩამოაყალიბა პირველი ქართული საკვირაო სკოლა.

2009 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა. ამავე პერიოდიდან იგი შავნაბადას წმ. გიორგის მონასტრის მორჩილია. სწორედ მისი, მისი დედის – ნუნუ კომახიძის და დედმამიშვილების – ჯემალისა და იას გადაწყვეტილებით გადასცეს საპატრიარქოს საკუთარი მიწა ეკლესიის მშენებლობისათვის. ეკლესია აშენდა შემოწირულობებით. სამშენებლო შტაბს სათავეში ჩაუდგა მამუკა კომახიძე, რომელმაც მამასთან ამირანთან ერთად დიდი როლი შეასრულა ეკლესიის მშენებლობაში.

გარკვეული მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ძმებმა: რამაზმა და რამინმა, ასევე მურმან დიასამიძემ და მისი შვილებმა: დავითმა და თემურიმ.

ქვემოთ წარმოგიდგენთ მოკლე ინფორმაციებს მათ შესახებ, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს გულების ეკლესიის მშენებლობაში:

ისრაფილ დიასამიძე



ისრაფილ დიასამიძე დაიბადა 1934 წ. ქ. ბათუმში. ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ქართული ხელოვნებით. 1949 წლიდან იყო აჭარკოოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამლის მომღერალი და მოცეკვავე. მისი ინიციატივით, სამხედრო სამსახურში ყოფნისას ჩამოაყალიბა ქართული ცეკვების შემსრულებელთა დივიზიის ანსამლი. შეისწავლა რუსული, მოლდავური, უკრაინული ბალტიისპირული ცეკვები, რაც ამ ანსამლის რეპერტუარშიც შეიტანა. შესაბამისად მიენიჭა კრასნოდარის მხარის **ხელოვნების დამსახურებული მუშაკის** წოდება.

ი. დიასამიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის № 13-ე, მახინჯაურის რუსული საშუალო და სალიბაურის სკოლა-ინტერნატის, ასევე ბავშვთა სახლის, სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების ქორეოგრაფად. 1962 წ. დაჯილდოვდა აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. მოგვიანებით ი. დიასამიძემ ხელი მიჰყო ბიზნესაქმიანობას, ხელმძღვანელობდა **წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობის შტაბს**

მის კალამს ეკუთვნის არაერთი საგაზეთო სატატია და მონოგრაფიები: „ხალხური ხელოვნების ამაგდარი“ და „აჭარის დიასამიძეთა სავანე“.

რევაზ მუსას ძე დიასამიძე (1939-2005)

რევაზ მუსასძე დიასამიძე, დაიბადა 1939 წელს ქედის რაიონის სოფელ გულებში. ქედის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ქედის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1960 წელს. შეიარაღებულ ძალებში სამწლიანი სამსახურის შემდეგ, 1963 წლიდან სწავლობდა ქ. ომსკის სახელმწიფო ვეტერინარულ ინსტიტუტში ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

1968-2005 წლებში მუშაობდა სოფელ მახუნცეთის ვეტერინარული უბნის გამგედ, რაიონის ეპიზოტიის უფროსად, ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის მთავარ ვეტერინარ-ექიმად და უფროსად, აჭარკოოპკავშირის ქედის სასურსათო კომბინატის დირექტორად. არჩეული იყო სოფელ ზენდიდის საკრებულოს დეპუტატად და სოფელ გულების გამგებლად. რევაზ დიასამიძემ აქტიური **მონაწილეობა მიიღო საქართველოს დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის დაფუძნებასა და სოფელ გულებში წმინდა მოწამე საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობის დაწყებაში.**

რევაზ მოედინის ძე დიასამიძე

რევაზ დიასამიძე დაიბადა 1945 წლის 1 ივნისს ქედის რაიონის სოფელ გულებში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ომსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური კალინინგრადსა და მურმანსკში. არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ რ. დიასამი-

ძემ სწავლა განაგრძო აღმოსავლეთ ციმბირის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ბათუმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროში ინჟინერ დამპროექტებლის (1970-1973 წწ.), ბათუმის ხორცკომბინატის ტექნოლოგის, მთავარი ინჟინრის, დირექტორის პოზიციებზე (1973-1986 წწ.). მისი უშუალო ხელმძღვანელობით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სამაცივრე კორპუსს, აშენდა ახალი საკომპრესორო საამქრო და გამწმენდი ნაგებობა.

1989 წელი რ. დიასამიძე გადაიყვანეს პურის მიმღებ საწარმოში მშენებარე წისქვილკომბინატის დირექტორად, შემდეგ კი პურპროდუქტების სამმართველოს მმართველად (1993-2004 წწ.).

2004 წლიდან რეზო დიასამიძე კერძო სექტორშია. მის სახელს უკავშირდება ახალი მეფრინველეობის ფაბრიკისა და კომბინირებული საკვების საამქროს მშენებლობა.

რ. დიასამიძე ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობასაც. 2010 წ. სათავეში ჩაუდგა რეგიონის დიასამიძეთა საგვარეულო კავშირს და გულების წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის სამშენებლო შტაბს, ხოლო 2021 წლიდან იგი სრულიად საქართველოს დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარეა.

რ. დიასამიძე ერთხანს ბათუმის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის პოზიციაზეც მუშაობდა. ორჯერ იყო არჩეული ქალაქის საბჭოს დეპუტატად. აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობისათვის რ. დიასამიძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ჰყავს მეუღლე (ნარგიზ ბეჟანიძე), ორი შვილი (როინი და ივდითი) და ოთხი შვილიშვილი (მარიამი, სოფიო, რეზო და ალექსი).

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

მიხეილ დიასამიძე დაიბადა 1951 წლის 1 მაისს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. 1969 დაასრულა საშუალო სკოლა. 1975 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი – პედაგოგიოს კვალიფიკაციით, ხოლო 1998 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის სამართლის ინსტიტუტი იურისტ – ეკონომისტის კვალიფიკაციით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის უმცროსი მეცნიერ მუშაკის, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიბლიოთეკის გამგის, სიფხიზლისათვის ბრძოლის და ცოდნის საზოგადოებების საქალაქო ორგანიზაციების პასუხისმგებელ მდივნის, ფირმა „ჰარმონიის“ დირექტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორის პოზიციებზე. საკვალიფიკაციო ტესტირებაში გამარჯვების შემდეგ (2001 წელი) ჩაირიცხა საქართველოს კონტროლის პალატის საკადრო რეზერვში. 2005 წლის იანვრიდან მუშაობდა კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შემდეგ კი მთავარი კონტროლიორისა (აუდიტორი) და მთავარი სპეციალისტის პოზიციებზე.

მ. დიასამიძე 1980-იანი წლებიდან აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიებში წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრატიულ ძალებს. ეწევა პუბლიცისტურ და სამეცნიერო საქმიანობას – გამოქვეყნებული აქვს 3 წიგნი, 8 სამეცნიერო წერილი და 50- მდე სტატია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის

2018 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მადლობის სიგელით.

მ. დიასამიძე დიასამიძეთა **საგვარეულო კავშირის აქტიური წევრია.** იგი მონაწილეობს საგვარეულო კავშირის ღონისძიებების ორგანიზებაში, წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.

ამირან დიასამიძე

ამირან დიასამიძე დაიბადა 1952 წელს. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ქ. გაგრის N 16 და ბათუმის N5 სამშენებლო სამშენებლო ტრესტებში, ქედის საკოლმეურნეობათა ორგანიზაციაში წამყვან თანამდებობებზე.

2003 წლიდან შპს „ქვითკირის“ დირექტორია. კვალიფიციურ ინჟინერს დიდი წვილი შეაქვს წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.

თეიმურაზ დიასამიძე

თეიმურაზ დიასამიძე დაიბადა 1956 წ. ქ. ქობულეთში. 1974 წ. დაამთავრა ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმი. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ქობულეთის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატსა და ჩაქვის კოოპ-

ვაჭრობაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1990 წლიდან ეწევა კომერციულ საქმიანობას.

თ. დიასამიძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის საქმიანობაში, არის ქობულეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გულების წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობის აქტიური მონაწილე.

გურამ დიასამიძე

დაიბადა 1959 წლის 1 იანვარს, ქედის რაიონის სოფელ გულებში. 1976 წ. დაამთავრა ბათუმის 44-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.მუშაობდა ქედის ჩაის ფაბრიკაში, ღვინის ქარხანაში, რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად. აქტიურად მონაწილეობს საგვარეულო კავშირის საქმიანობასა და წმ. ევდემოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.

ზაურ დიასამიძე

ზაურ დიასამიძე დაიბადა 1960 წელს, შუახევის რაიონის სოფელ პაპოშვილებში. დაბა შუახევის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1977 წ.) ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე. იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი თავისუფალ ჭიდაობაში.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ლომანაურის 8-წლიანი სკოლის მასწავლებლად, შუახევის რაიონის მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, მუშაობდა აგრეთვე კოოპერატივ „ორბიტაში“, ბათუმის საზღვაო ნავსადგურში. **აქტიურად მონაწილეობდა დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის საქმიანობაში.**

დავით დიასამიძე

დავით ისმეთის ძე დიასამიძე დაიბადა 1961 წლის 28 მარტს, ქალაქ ბათუმში. 1983 წელს დაამთავრა ასტრახანის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ინსტიტუტი, ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით, 1992 წელს კი დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით. 1983 წელს მუშაობა დაიწყო აჭარის თევზსა-

ჭერი ფლოტის სამმართველოს საკონსერვო საამქროს უფროსად. 1984-1991 წლებში კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა.

1992-1996 წლებში იყო ნოვოროსიისკის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწე საბაჟო ზედამხედველობის დარგში. 1997-2003 წ.წ. მუშაობდა აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამმართველოს უფროს ინჟინრად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 2003-2017 წლებში შპს „იმერიკას“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი იყო. 2017 წლიდან აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსად მუშაობს.

დავით დიასამიძე აქტიურად მონაწილეობდა **საქართველოს დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის დაფუძნებაში, დიდმოწამე ევდემოზ პირველი დიასამიძის საფლავის მოწესრიგებასა და დაბა ქედის სოფელ გულებში მისი სახელობის ეკლესიის მშენებლობის დაწყებაში.** არის დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის სათათბიროს თავმჯდომარე.

მერაბ დიასამიძე

მერაბ გურამის ძე დიასამიძე დაიბადა 1964 წლის 28 ივნისს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1984 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი, ხოლო 1991 წელს – სტავროპოლის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მ. დიასამიძე მუშაობდა ქალაქ სტავროპოლში სამუშაოთა მწარმოებლის, ინჟინერის, სამრეწველო გაერთიანების დირექტორის მოადგილის, სტავროპოლის სამხარეო აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის,

ტრანსპორტის, რემონტის განყოფილებების უფროსის თანამდებობებზე. მოგვიანებით იგი დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო ბიზნესსაქმიანობა. იგი იყო შპს „რერო-2008“-ისა და შპს „თისელის“ დირექტორი. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს შპს „დეგურიმმმ“-ს. **მერაბი დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობის აქტიური წევრია.** სპეციალობით მშენებელი და ბიზნესმენი **დიდი გულისხმიერებით, ფინანსებითა და პრაქტიკული რჩევებით სამშენებლო შტაბს ეხმარება წმინდა ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.**

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ჯემალ დიასამიძე

ჯემალ გრიშას ძე დიასამიძე დაიბადა 1966 წლის 20 იანვარს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. 1982 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოფელ ჩანჩხალოს საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად, დირექტორის მოადგილედ სასწავლო- სააღმზრდელო მუშაობის დარგში, დირექტორად. 1992 წლიდან აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის უფროს მასწავლებელია. იმავე დროს ასრულებდა კათედრის გამგის მოადგილის მოვალეობასაც.

2005 წლიდან ჯ. დიასამიძე საჯარო სამსახურშია. იგი იყო შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. 2006 წელს არჩეული იქნა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატად და სათავეში ედგა განათლების,

კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიას. 2010 წელს ჯ. დიასამიძე კვლავ აირჩიეს დეპუტატად. ამ მოწვევის საკრებულოში იგი იყო სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. 2014 წლიდან დაინიშნა შუახევის მუნინიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსად.

ჯემალ დიასამიძე მონაწილეობდა **დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის დაფუძნებაში,** იყო კავშირის **შუახევის ორგანიზაციის ხელმძღვანელი,** აქტიურად ჩართულია სოფელ გულების წმინდა **ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.**

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მერი დიასამიძე

მერი დიასამიძე დაიბადა 1966 წ. 29 ივნისს, ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. დაამთავრა ქედის რაიონის საშუალო სკოლა და უკვე ორი შვილის დედა ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. 2003 წლიდან იგი მუშაობას იწყებს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მრავალდარგობრივ კოლეჯში ჯერ მასწავლებლის, შემდეგ კი კოლეჯის კურატორის პოზიციაზე. 2006 წლიდან მ. დიასამიძე არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მანდატური (პირველი მანდატური ქალი მთელ დასავლეთ საქართველოში). ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა 2013 წლამდე.

მ. დიასამიძე აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი **არის დიასამიძეთა, ასევე აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირების და წმ. ევდემოზ დიასამიძის ეკლესიის**

სამშენებლო შტაბის წევრი, პატიოსნებისა და კანონმორჩილების სიგელების მფლობელი, ქედის საპატიო მოქალაქე, ბეიქოზი-ბათუმის ქართული საზოგადოების კულტურის ელჩი. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი საქველმოქმედო საქმიანობითაცაა დაკავებული. იგი დახმერების ხელს უწვდის საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ჩვენებურებს, სტამბოლში, ბეიქოზის რაიონში ჩვენებურებს ასწავლის მშობლიურ ქართულს.

მ. დიასამიძე აქტიურად თანამშრომლობს სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრთან, მიღებული აქვს სიგელები და მადლობის სერთიფიკატები. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

დავით დიასამიძე

დავით ავთანდილის ძე დიასამიძე დაიბადა 1967 წელს, ქ. ბათუმში. N 22-ე სკოლის დამთავრების შემდეგ, 1988-1993 წწ. სწავლობდა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო თეატრალური აკადემიის სარეჟისორო ფაკულტეტზე.

1993-1995 წწ. იყო აჭარის ტელევიზიის რეჟისორი. 1996-1997 წწ. კითხულობდა ლექციებს ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში. 1998 წ. დააფუძნა კომპანია **„მი-ფა-სი“, რომელიც წარმოადგენდა წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის გულების ეკლესიის მშენებლობის ერთ-ერთ მსხვილ დამფინანსებელს.**

დ. დიასამიძე 2009-2011 წწ. **ხელმძღვანელობდა საქართველოს დიასამიძეების საგვარეულო კავშირს.**

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

ამირან დიასამიძე, დაიბადა 1967 წლის 31 ივლისს, ქედის რაიონის სოფელ გულებში. 1985 წელს დაამთავრა ოზურგეთის სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი.

1987 წელს მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1989 წლიდან ჩაბმულია ეროვნულ მოძრაობაში, არის მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი, აქტიურ მონაწილებას ღებულობს წმინდა ევდემოზ დიასამიძის სახელობის გულების ეკლესიის მშენებლობაში.

ᲒᲔᲚᲐ ᲛᲐᲠᲣᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გელა მარუქაშვილი გულების წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მთავარი **მშენებელია.** იგი დაიბადა 1969 წ. 29 აპრილს, კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში.

1986 წელს დაასრულა მატანის საშუალო სკოლა და გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საიჟინრო სპეციალობაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1994 წლიდან) მიშაობას იწყებს ინჟინერ-რესტავრატორის თანამდებობაზე. აშენებული და რესტავრირებული აქვს რამდენიმე ეკლესია და მა-

ტერიალური კულტურის ძეგლი. 2010 წლიდან გულების წმ. ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მთავარი მშენებელია.

გოჩა შერვაშიძე

დაიბადა 1972 წლის 24 ოქტომბერს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აჭარის წყალში.

საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე. აქტიურად მონაწილეობს წმ. ევდემოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.

დემურ დიასამიძე

დემურ დიასამიძე, დაიბადა 1984 წ. 13 მაისს, ქ. ბათუმში. ქალაქის N 2 სკოლის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე. ამავე სპეციალობით გააგრძელა სწავლა მაგისტრატურაში. იყო მემედ აბაშიძის სახელობის სტიპენდიანტი.

უნივერსიტეტის დასრულების

შემდეგ დ. დიასამიძე ჩაება შრომით საქმიანობაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ,,ინტელექტბანკის“ ბათუმის ფილიალის საკრედიტო ოფიცრის (2004-2005 წწ.), სს ,,გაერთიანებული ქართული ბანკის“ ბათუმის ფილიალის დაკრედიტების უფროსი მენეჯერის (2005-2006 წწ.), სს ,,პრივატ ბანკის“ აჭარის რეგიონალური ფილიალის საკრედიტო განყოფილების უფროსის (2006-2010 წწ.), შპს ,,ლიბერთის“ დირექტორის (2010-2013 წწ.), სს ,,ლიბერთი ბანკის“ დაკრედიტებისა და სამერჩანტო საქმიანობის რეგიონალური (დასავლეთ საქართველო) მენეჯერის პოზიციებზე. 2013 წელს სათავეში ჩაუდგა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს. ამ პოზიციაზე მუშაობდა ორი წლის განმავლობაში. 2015 წელს დ. დიასამიძემ დააფუძნა შპს ,,ბლოკი“, რომელსაც დღემდე უდგას სათავეში. დ. დიასამიძე აქტიურად იყო ჩაბმული წმ. ევდემოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.

ზეპირი ისტორიები

გადმოცემებით ჩვენი წინაპრები მესხეთიდან იყვნენ. ოშორაში მოხდა შალიკაშვილებისა და დიასამიძეების დაპირისპირება. დიასამიძეები დამარცხდნენ და ერთი შტო წავიდა დადეშის (ახლა ნასოფლარია) მიმართულებით, მეორე შტო–ზველის (ასპინძა) მიმართულებით. ჩემი წინაპარი ნიკოლოზ დიასამიძე ითვლებოდა სოფლის თავკაცად. 1900-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთი დარბევის დროს ადგილობრივმა მუსლიმანებმა (ახლა თურქ-მესხებს რომ უწოდებენ) შეიპყრეს ნიკოლოზი, სხვენზე აიყვანეს და თავი მოკვეთეს. ამის გამო ადგილობრივი დიასამიძეები აიყარენ სამცხიდან და ქართლში, ხაშურში გადასახლდნენ.

მთხრობელი გოგი დიასამიძე
(63 წლის, თბილისი)

***

ახმეტაში არის ერთი სოფელი, სადაც ცხოვრობენ დათუაშვილები. მათი წინაპრები დიასამიძეები ყოფილან. ერთ-ერთ წინაპარს დევნილობის დროს ხატი წაუღია სამცხიდან. ისინი ახმეტაში დასახლებულან. ამ ხატს, დღეს დათუაშვილების ხატს ეძახიან. ამ ოჯახის მემკვიდრეს დაესიზმრა, რომ უნდა დაუბრუნდეს თავის გვარს. დათუაშვილებს უნდათ აღიდგინონ დიასამიძის გვარი.

მთხრობელი გოგი დიასამიძე
(მას მასალა ჩაუწერია დათუაშვილების გვარის
ერთ-ერთ წარმომადგენლისაგან)

***

ერთ-ერთი გადმოცემებით თათარმა ზველში დიასამიძეს მოსტაცა მეუღლე და თურქეთში გადაიყვანა. დიასამიძემ გაიგო ქალის ადგილსამყოფელი, ჩავიდა თურქეთში, ბუხრიდან ჩაიპა-

რა საძინებელ ოთახში, თათარს თავი მოკვეთა, აიტანა ბუხრის თავზე და სარზე ჩამოაცვა. ამის შემდეგ ის სახლში დაბრუნდა, თუმცა ქალი არ წამოიყვანა.

მთხრობელი გოგი დიასამიძე
(თბილისი)

***

იმერეთში მცხოვრებ დიასამიძეთა გარკვეული ნაწილი აჭარიდან, გულებიდანაა წასული. ხშირია შემთხვევა, როცა იმერელი დიასამიძე საუბრისას მოგვითხრობს, რომ წინაპართა გადმოცემით ისინი გულებიდან არიან ჩამოსული.

მთხრობელი თახსიმ ლოლაძე

***

ჩემს მეზობელს, შოთა ვაშაყმაძეს მოუკვდა მამა. მამის ტირილში — ვანის რაიონის სოფ. გაღმა ვანში შოთა ვაშაყმაძეს გაყვნენ მეზობლები. ქელეხს თამადობდა გვარად დიასამიძე, რომელმაც აჭარიდან ჩასულ სტუმრებს განუცხადა, რომ მისი წინაპრები არიან ქედის რაიონის სოფ. გულებიდან. რაღაც მიზეზებით მომხდარი მკვლელობის გამო დიასამიძეთა ორი ძმა (ოჯახებით) აჭარიდან გადასახლდნენ გაღმა ვანში (ვანის რაიონი). მათი ნამრავლი დღეს 120 ოჯახზე მეტია.

ჩაიწერა ჯ. დიასამიძემ თახსიმ
ლოლაძისაგან 1999 წელი.

***

სოფელში (იგულისხმება სოფ. გელძეები) ცხოვრობს 3 გვარის ხალხი: დიასამიძე, გელაძე და ანთაძე. დიასამიძე 12 კომლია, ხოლო აქედან აჭარის ბარის რაიონებსა და ქ. ბათუმში განსახლდა დიასამიძეთა 30 ოჯახი. მათი წინაპრები გადმოცე-

მით გულებიდან არიან ამოსული. ეს მომიყვა მამამ ახმედ დიასამიძემ, რომელიც მაშინ 88 წლის იყო.

მთხრობელი თემურ დიასამიძე
(გელაძეები, ხულო)

***

მამაჩემის გადმოცემით დიასამიძეების წინაპარი გადმოსახლებულია სოფ. გულებიდან. გადმოსახლება იძულებით ყოფილა. მეზობლებს შორის ჩამოვარდნილა მტრობა მკვლელობის ნიადაგზე. საყანე მიწის საზღვრის გამო ატეხილი ჩხუბი მკვლელობით დასრულებულა. მაშინ სისხლის აღება აუცილებელი იყო. თავის დაღწევა მხოლოდ საცხოვრებლის დატოვებით შეიძლებოდა. ასეც მოიქცნენ. ამის გამო ჩვენი წინაპრები გადმოსახლდნენ ჩაქვში.

მთხრობელი ზექერია დიასამიძე
(ჩაქვი, გორგაძეები)

***

ჩანჩხალოელ დიასამიძეთა წინაპრები 1805-1810 წლებში უნდა გადასახლებულიყვნენ გულებიდან. პირველი, ვინც ჩანჩხალოში ამოვიდა გულებიდან, აბდი დიასამიძე უნდა ყოფილიყო. იგი გადმოცემით ოჯახზე ზედსიძედ მისულა და მიწები შეუსყიდია. აბდის და მის შვილებს გულებში ხეჭეჭური მსხლის ხეებით საზიარო მსხალი ჰქონიათ, საიდანაც ყოველწლიურად მწიფე ხეჭეჭური ამოჰქონდათ ჩანჩხალოში. აბდის ორი შვილი ჰყოლია. მისი შთამომავლობა 161 სულს ითვლის. ამჟამად ჩანჩხალოში დიასამიძეთა 24 ოჯახია. ბევრი განსახლდნენ ბათუმში, ჩაქვში, ციხისძირში, სამებაში, წინსვლაში

მთხრობელი იოსებ დიასამიძე
(სოფ. ჩანჩხალო)

***

ჩვენი სოფლის (ახოს) დიასამიძეები ნათესავები ვართ. წინაპრები გულებიდან გადმოსულან. ჩემს წინაპარს უთანხმოება ჰქონია მეზობელთან და მომხდარა მკვლელობა. ამიტომ იძულებული გამხდარა, სოფელი დაეტოვებინა. ამის გამო ასულან საცხოვრებლად ახოში (ქედის რაიონი)

მთხრობელი მუხთათ დიასამიძე
(80 წლის, სოფ. ახო)

***

სამ გულებელ ძმას, ელიას მეოთხე თაობიდან — ოთანას ვაჟებს სიმონს, ბასილსა და ივანეს თურქი გადასახადების ამკრეფი თურქი მოხელეები მოუკლავთ, . შეტაკებისას ერთი მათგანი დაჭრილა. ხალციხის ფაშას ძმების შეპყრობა უბრძანებია, მაგრამ ძმები გაქცეულან, ცხმორისში ვაჭრის სახელით ღამე გაუთევიათ, შემდეგ კი ჩაქვისა და ნატანების გავლით ვანში ჩასულან. მათგან ერთი ვანის ცენტრში დასახლებულა, ორ ძმას კი გაღმა ვანში დაუდია ბინა.

მთხრობელები: ჯონდი და
ჯონარ დიასამიძეები, გაღმა ვანი.

***

გადმოცემით გულების ტერიტორიაზე პირველი დასახლება მოხდა XVII ს. I ნახევარში. ეს ის დრო იყო, როცა ლოცვა-კურთხევა ქრისტიანული წესით ტარდებოდა. თქმულებით თავდაპირველად დიასამიძენი სოფელ ზენდიდში ცხოვრობდნენ. მათ შორის იყო ილია დიასამიძე. ზაფხულის ერთ დღეს შვილი იოსეფა სანადიროთ წასულა სოფლის ახლოს, ტყეში, მოუკლავს შველი და პატარა მინდორზე ჩამომჯდარა დასასვენებლად. შეუმჩნევია, რომ მიწა სველი იყო. ეტყობა მიწიდან წყალი ამოდიო-

და. ამდგარა, მიმოუხედავს და ადგილი მოწონებია. შინ დაბრუნებულს, ვახშმობისას გაუნდია მამისათვის იქ დასახლების სურვილი. თავდაპირველად შვილის სურვილს წინ აღდგომია მამა, მაგრამ შვილის თხოვნის გამო დათანხმებულა ენახა ის ადგილი. მეორე დღეს, შუადღისას მამა-შვილი წასულან ტყეში, უნახავთ ის ადგილი, სადაც წინადღით ისვენებდა იოსეფა. ილია (მამა) თურმე დიდხანს ათვალიერებდა მიდამოს, გასცქეროდა სივრცეს, ველარ დაუმალავს აღფრთოვანება და უთქვამს: „ჰო, ადგილი კარგია, გულივით მრგვალი, ამობურცული, ირგვლივ ყველაფერი ჩანსო.“ იმავე დღეს შეარჩიეს საკარმიდამო ნაკვეთი და სასახლე ადგილი. რამდენიმე დღეში გაკაფეს, გაასუფთავეს მიწა და შემოდგომაზე სახლიც წამოჭიმეს. იოსეფი შემდეგ დაქორწინებულა და 4 ვაჟი ჰყოლია.

მთხრობელი ქამილ დიასამიძე,
სოფ. გულები.

***

გამიგონია, რომ სოფლის სახელი „გულები“ მომდინარეობს თვით გულებლებისაგან, რადგან გულები იყო გულადი. გულებლები გულადი ხალხია.

მთხრობელი ასლან დიასამიძე
(გულები)

****

ერთ დროს, დღევანდელი გულების ტერიტორიაზე დასახლდა გულით ავადმყოფი ადამიანი. კატრითა და ფიჭვით დაფარული ადგილი მისთვის სასიკეთო აღმოჩნდა. გულზე შვება იგრძნო და განიკურნა. ეს ამბავი სხვებმაც გაიგეს, რომლებსაც გული აწუხებდათ, მოადგნენ და განიკურნენ. აქედანაა სოფლის სახელწოდება.

მთხრობელი ოსმან დიასამიძე
(გულები)

***

მამაჩემი, ალი გოგიტიძე იტყოდა: „გათხრილ-ღელის“უბანში, „ნაციხურას“ კლდის ძირში გადის ყორით გამაგრებული გზა. თავის დროზე ამ გზით კვიახიძებელი ქრისტიანები სალოცავად დადიოდნენ სხალთის მონასტერშიო.“

გადმოცემით, უბანი–გაბელაურის სახელწოდება უკავშირდება ვინმე გაბრიელს, რომელიც ოდესღაც აქ ცხოვრობდა. 1970-იან წლებში, გაბელაურის უბანში მცხოვრებმა მიხეილ და ნუსხრედინ ფუტკარაძეებმა საბოსტნე ადგილის დამუშავებისას მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრები აღმოაჩინეს. ე.ი. ერთ დროს აქ კარგად ხარობდა ვაზი.

კვიახიძეების პირველმოსახლეები უნდა დასახლებულიყვნენ დაახლოებით 300-350 წლის წინ. გოგინაურის მაშინდელმა მცხოვრებლებმა ახლოს გაიცნეს ბესელაშვილებელი მუსტაფა, რომელსაც საკუთარი ბორანი ჰქონდა და მგზავრები გადაჰყავდა მდინარე აჭარისწყალზე, დღევანდელი შუახევის ხიდის მიდამოებში. გოგინაურელებს უთხოვიათ მუსტაფასათვის მდინარეზე უფასოდ გადაყვანა, სანაცვლოდ კი გოგინაურელ ქვრივ ქალს გაცნობოდნენ და ცოლად მიათხოვებდნენ (ამ დროს მუსტაფაც ქვრივი ყოფილა). ასეც მოხდა. მუსტაფას შეეძინა ვაჟი–სეიდი–გელოღლების წინაპარი.

მუსტაფას მამა თავის დროზე განთქმული მონადირე ყოფილა. მოხუცებულობის დროს თანასოფლელებს იგი სანადიროდ აღარ დაჰყავდათ. ერთხელ, კვლავ აუარეს გვერდი და არ გააგებინეს მოხუცს სანადიროდ წასვლის ამბავი. განაწყენებული მოხუცი მარტოდ წასულა სანადიროდ. ბედად მგელს გადაყრია, მოუკლავს, მხარზე შემოუგდია და მიუტანია სოფლის ცენტრში. ახალგაზრდა მონადირეები კი ხელცარიელი დაბრუნებულან. გვარი-გელოღლიც აქედან იღებს სათავესო. მუსტაფას ცოლს გოგინაურში ბევრი მიწა ჰქონია. ამიტომ მან მუსტაფას ბესელაშვილებიდან ამოაყვანინა თავისი გერი (მუსტაფას ვაჟი) –დედით ობოლი სულეიმანი. სულეიმანი შემდეგ გავლენიანი კაცი გახდა დადიოდა თურქეთშიც. ასრულებდა ფოსტალიონის მოვა-

ლეობას. იგი საკმაოდ მოწესრიგებული და თადარიგიანი კაცი ყოფილა, რის გამოც მას „თათარიგიან“ კაცს უწოდებდნენ. აქედანაა გვარი „თათაროღლიო“ მოგვითხრობს გადმოცემული.

თათაროღლი (დიასამიძე) სულეიმანი და გელოღლი (გოგიტიძე) სეიდი მამით ძმები იყვნენ. სეიდის შთამომავლობა გოგინაურში სახლობს. სულეიმანის ექვსი ვაჟიდან სამის–ჯეშხუნის, სადიყის და იჩაღას შთამომავლები გოგინაურში სახლობენ და გოგიტიძის გვარს ატარებენ. ერთი (ოსმანი) ჰაჯობაზე (სალოცავად) წასულა მექაში, ერთიც თურქეთში წასულა. მისი შთამომავლობა სახლობს ქ. ინეგოლში.

სულეიმანის უფროსი ვაჟი მუხამედი კვიახიძეებში საცხოვრებლად გადასულა დაახლოებით მე-19 საუკუნის 30-იან წლებში. მას 10 შვილი ჰყოლია 4 ქალიშვილი და 6 ვაჟი.

ამჟამად სოფელ კვიახიძეებში ცხოვრობს დიასამიძეთა 12 ოჯახი, ხოლო 49 ოჯახი განსახლებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ: ქ. ბათუმში 20, სამებაში 3, ჭარნალში 5, მასაურაში 2, მახინჯაურში 1, ახალშენი 1, ყოროლისთავში 1, დაგვაში 2, ოზურგეთში 5 (3 შრომა, 2 მერია), ლანჩხუთი 7, მარნეულში 1.

კვიახიძეებელი დიასამიძეებიდან პირველი რაფიელ დიასამიძე გადასახლდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სამებაში, 1949 წელს.

მთხრობელი თამაზ დიასამიძე–კვიახიძეების საბაზო სკოლის მასწავლებელი.

***

ჩვენი ბაბუა პაპოშვილებში მომწვარიდან გადასულა საცხოვრებლად, მომწვარში კი ქედიდან, სოფელ გულებიდან ასულან. ეძახდნენ ბაირახტალოღლებს–გულებიდან ასული ბაბუას გვარით. ყასუმ ბაირახტარი კარგი მსროლელი ყოფილა. მას ქირაობდნენ თურმე ჯარის სროლაში გასაწვრთნელად.

ბუთურაულელი დიასამიძეები ყასუმ ბაირახტარის შთამომავლები და აქედან გადასულები არიან. ერთ-ერთი შუქრი დიასამიძე–მსახურობდა ბალტიისპირეთში. იქ მას შეხვედრია ცნობილი სამხედრო პირი–ოკრუგის სარდალი გვარად დიასამიძე. იგი ისვენებდა სოხუმში, ასულა მომწვარში, ვერ დაუდგენია წინაპრები და უკან დაბრუნებულა.

მომწრელი მოლა რასიყაი 1937 წელს თუფან ბეგის მცვლელი იყო და იგი მკვლელიც (ქილერი) ყოფილა. ბოლოს თავისივე ტყვიით თვალი გამოითხარა.

მთხრობელი შუქრი დიასამიძე
(ქობულეთი, ლეღვა)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკოფაშვილი გ., სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV–XVIIIსაუკუნეების ქართლში, თბ. 1965;
2. ალექსიძე ზ., აბაშიძე ზ., კაჭარავა ე., ნადირაძე ქ., ქორიძე თ., საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები“, თბ., 2010;
3. ახვლედიანი აზ., „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება,“ ბათ., 1979;
4. ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათ. 1972;
5. ახვლედიანი ხ., სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ. 1956;
6. ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, თბ., 1994;
7. ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელთა საიდუმლოებანი, თბ., 1997;
8. ბარდაველიძე ვ, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია), მიმომხილველი, I, თბ., 1949;
9. ბაგრატიონი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია. თფილისი, 1904;
10. ბაგრატიონი ი., შემოკლებით აღწერა, საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ. 1997;
11. ბაგრატიონი თ., „დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ. 1972;
12. ბალაძე დ., კვალი ნათელი, დავით დიასამიძე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, თბ. 2003;
13. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ. 1987;
14. ბროსე მარი, საქართველოს ისტორია, ტფ, 1895.
15. გაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიმკის მოამბე, XIII, თბ.1943;

16. გვრიტიშვილი დ, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, თბ. 1968;
17. დისამიძე ბ., საქართველოს ერთიანობისათვის წამებული კათალიკოსი, საქართველოს ისტორიის საკითხები X, ბათ., 2010;
18. დიასამიძე ბ., ერთო ოსმალური წყაროს შესახებ, საისტორიო მაცნე, XIII, ბათ, 2004;
19. დიასამიძე გრ. ჩემი მოგონება, კრ. „ქართული ლიტ-სა და ხელოვნების ყოველწლიური ორგანო“, წიგნი I, ნიუ-იორკი, 1957;
20. დიასამიძე ნ., გახსენება, თბ. 1992;
21. დიასამიძე ჯ., დიასამიძე ი., აჭარის დიასამიძეთა სავანე, ბათუმი, 2013;
22. დიასამიძე რ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 2004;
23. დიასამიძე თ., კვიახიძეები, ბათ. 2008;
24. დიასამიძე მ., ერთი შენაკადი, ბათ., 2011;
25. დიასამიძე დ., სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი...თბ.2003 (შემდგენელი და გამომცემელი-მისეილ დიასამიძე);
26. დიასამიძე მ., საუკუნოვანი სკოლა, ბათ. 2004;
27. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ. 1979;
28. ეგნატაშვილი ბერი, „ქართლის ცხოვრება“, II, თბ. 1959;
29. ვარშანიძე შ., ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათ. 1974;
30. ვაჩნაძე მ.,.გურული ვ,.ბახტაძე შ, საქართველოს ისტორია, VIII კლასიის სახელმძღვანელო, თბ. 2005;
31. ზოიძე ვ., მგზნებარე მამულიშვილები, II, ბათ. 1994;
32. ზოიძე ა., იოსებ დიასამიძე, თ.კომახიძე, ჭეშმარიტი ბათუმლები, ბათ. 2004;
33. თამარაშვილი მ., კათოლიკობა ქართველთა შორის, ტფ. 1902;
34. თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ. 1997;

35. თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ. 2005;
36. თურმანიძე ო., დავით დიასამიძე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი... თბ.2003;
37. თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით. გამოკვლევებითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ. 1983;
38. ისკენდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსელი ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ თბ., 1969;
39. ი. იმედაშვილის 125 — ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, ბათ. 2002;
40. კაცელაშვილი ზ., დიასამიძენი, საგვარეულოს წარმომავლობის საკითხისათვის, თბ. 1999 (ხელნაბეჭდი);
41. კაპანაძე მ., ქრისტიანობისა და ეკლესიისადმი როსტომ ხანის დამოკიდებულების საკითხისათვის, – კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, № 5„ 2007;
42. კომახიძე თ., ერთი გვარის ისტორია, ბათ., 1996;
43. კობახიძე გ., ახალი მასალები დიასამიძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის, კრ. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველწლიური ორგანო, ნ. I, ნიუ-იორკი, 1957;
44. კლდიაშვილი დ., ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები, სადოქტორო დისერტაცია, თბ. 2005;
45. კლდიაშვილი დ., „ჩემი ცხოვრების გზაზე," თხზ. ტ.VI, თბ., 1952;
46. ლომინაძე ბ., მასალები საქართველოს XVI–XVIII საუკუნეთა ქრონოლოგიისათვის., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის თბ., 1951;
47. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის თბ., 1951;
48. მასხარაშვილი ს., მატეანე ქართველთა, თბ. 2006;

49. მუსხელიშვილი ლ., აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყელში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1933 წ. ტექსტი, თბ. 1941;
50. მეგრელიძე ი., გუგუნავები, ბათ.,1987;
51. მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, თბ. 1983;
52. მეტრეველი რ., საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები“, თბ., 2010;
53. მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ.1962;
54. მეტრეველი მ., მასალები XIX ს. I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ. 1980;
55. მურიე ჟან, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ. 1962;
56. მუსხელიშვილი ლ., აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყელში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1933 წ. ტექსტი, თბ. 1941;
57. ნიშნიანიძე გ., პაემანი ვერაზე, თბ. 1991;
58. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ.I, თბ., 1991;
59. ჟორდანია თ., ქრონიკები, წ. II, ტფ. 1897;
60. ჟორდანია გივი, მარტვილობა მესიისა, თბ. 1905;
61. ჟორჟოლიანი თ., ქრონიკები, II, ტფ. 1897;
62. ჟუჟუნაშვილი გ., 1625 წლის ასპინძის ბრძოლა. ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, ახალციხე, 2000;
63. სააკაძე იოსებ, დიდმოურავიანი, კრ.„ჩვენი საუნჯე,“ ტ.III, თბ.1960;
64. საისტორიო მოამბე, II, ტფ. 1925;
65. სამართალი ვახტანგ VI-სა, თბ. 1981;
66. სანიკიძე ლ., უქარქაშო ხმლები, I-II, თბ., 1993;
67. სანებლიძე ო., ისტორიულ პირთა გამოსახულებები XVI–XVII საუკუნეების ქართულ ოქრომჭედლობაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, III, თბ., 1962;
68. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, თბ. 2000;

69. სურგულაძე აბ., სურგულაძე კ., ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათ., 1984;
70. სურმანიძე რ., სურმანიძეები,ბათ., 2002;
71. სურმანიძე რ., ჩვენი ისტორია წინაპრებით იწყება. დავით დიასამიძე, სახელმწიფო, მოღვაწე, მეცნიერი, თბ. 2003;
72. სილაგაძე ა,.თოთაძე ა., გვარ-სახელები საქართველოში, თბ.,1997;
73. სიხარულიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათ. 1962;
74. ტაბიძე გ., თხზ. ორ წიგნად, წიგნი II, პოემები, პროზული ნაწერები, თბ. 1989;
75. ტბეთის სულთა მატიანე, თ.ენუქიძის გამოცემა, თბ. 1977;
76. ფუტკარაძე თ., აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში. ბათ. 2005;
77. ფუტკარაძე თ.საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ზენდიდი, 2002.
78. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959;
79. ქართლის ცხოვრება, ტ.IV. თბ. 1973;
80. ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ.1995;
81. ქართლი ისტორიული საბუთების კორპუსი (ქისკ), I , თბ., 1984;
82. ქართული სამართლის ძეგლები, III თბ. 1979;
83. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.3, თბ. 1973;
84. ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბილისი-ათენი, 2013;
85. ქემხაძე სტ., მოგონებანი, ბათ. 1958;
86. შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები V-XVI სს., თბ. 1961;
87. შარაშიძე ქრ, პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722), თბ., 1955;
88. შაშიკაძე ზ., ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI ს. აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელო-

ბის სახ. უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათ. 2002;
89. ჯავახიშვილი ალ., თბ. 1971;
90. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ. 1967;
91. ჯანაშვილი მ., სარწმუნოება საქართველოში, საქართველოს კალენდარი, 1904;
92. ჯაფარიძე ან., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. III, თბ. 1999;
93. ჯაფარიძე შ., დავით დიასამიძე სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, თბ. 2002;
94. ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, თბ.1916;
95. ჭიჭინაძე ზ., ისტორია ოსმალეთის ყოფილ ქართველთა საქართველოში, 1911;
96. ჭიჭინაძე ზ., მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბ. 2013;
97. ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და ალი ფაშა თავდგირიძე, „მოდი ნახე“ ციხის ამბავი აჭარაში, თბ. 1911;
98. ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ, თბ., 1992;
99. წმინდა მოწამე კათალიკოს-პატრიარქი ევდემოზ I (დიასამიძე), (შემდგენლები დეკანოზი რევაზ ტომარაძე, პროფ. მანანა ჭირაქაძე, გიორგი დიასამიძე, თამარ ბუაჩიძე, მერი არაბული);
100. წმინდანთა ცხოვრებანი, წიგნი II, თბ. 2006;
101. ხალვაში რ., სამცხე-საათაბაგოს თავადთა გვარები XVI ს-ში, საისტორიო მაცნე, XIII, ბათ. 2004;
102. ხორნაული გ., ქართული გვარების საკითხი, ონომასტიკური კრებული, თბ., 1994.
103. Brosset M., Chronigue Ceorgienne, Paris;
104. Винничук Л., Люди нравы и обичаи древнеи Греции и Рима, М., 1988;

105. Kasap Murat, Batum Muhacirleri, Istanbul, 2018
106. Станислав Д., Гребельский П. Дворянские роды Рассийской Империиб т.IV, Станислав Думин, Юрии Чиковани, Князья Царства Грузинского, м,1998;
107. Френкел А., Очерки Чурук-су и Батума, Тифлис, 1879;

პრესის მასალები:

1. რ.ხალვაში, ბეჟან აბუსერისძე-აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი, გაზ. **„აჭარა,“** 20 ივნისი, 2003;
2. გაზ. **„აღორძინება,“** 28 ივლისი, 2001;
3. გაზ. **„ახალი შვიდი დღე“,** 6-12 მარტი, 1998 წელი;
4. გაზ. **„ახალი შვიდი დღე,“** 2-8 ივლისი, 2004;
5. გაზ. „ვერსია,“ 25-31 მარტი, 2002;
6. ქუთათელაძე ა., საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი, ბიბლიოთეკა და წარწერანი წიგნებზედ ჯვრის მონასტერში“. **გაზ. ივერია**“ 1889 წ. №73;
7. ეკა ლომიძე, ასეთ დროს დუმილი დანაშაულია, გაზ. **„კვირის პალიტრა“,** 15-21 მაისი, 2006;
8. გაზ. **„ლიტერატურული საქართველო“,** 1989 წ. N27;
9. თოფჩიშვილი რ., ქართული ანთროპონიმული მოდელის შესახებ, „,**ლიტერატურული საქართველო**“, №26, 28 ივნისი, 1991;
10. ცაიშვილი ს., ფილოლოგიური ეტიუდები, **„ლიტერატურული საქართველო“,** 5 თებერვალი, 1982;
11. დიასამიძე გრ., ჩემი მოგონება, გაზ. **„სახალხო განათლება,“** 14 ოქტომბერი, 1984 წ.;
12. ჯანაშვილი მ.. მესხეთი, გაზ. **„საქართველო,“** 1915;
13. **„საპატრიარქოს უწყებები**“, 2007 წ. 26 აპრილი.
14. გაზ. **„საბჭოთა აჭარა,“** 1990 წ. N100;
15. ახლობლები, მეგობრები. გახსენება. გაზ.**„საქართველოს რესპუბლიკა“,** 18 ივლისი, 1999;

16. ფუტკარაძე შ., ნაწერი განძად დარჩების, **„სხალთის ზარე-ბი,“** N2 (23), 2006;
17. გაზ. **„ტრიბუნი“,** N 312, 1922;
18. კობახიძე გ., მარად იბრწყინებს, **გაზ.„თბილისი“,** 28 აპრილი, 1990;
19. **„თბილისი,“** 1997 წ. 25 ოქტომბერი;
20. კაცელაშვილი ზ., „შეიპყრან მეფემან და ციხეში მოაშთობი-ნა,“. გაზ., **„თბილისი“,**1999 წ. 10-13 ივლისი;
21. ბაქრაძე დ., გორის ციხე, „Кавказ“, №48, 49, 1855.

საარქივო დოკუმენტები:

1. სცსა, ფ. 13, ს. 5413, ფ. 15.
2. სცსა, ფ.1449, აღწ. ს. 1932;
3. სცია, ფ. 1450, აღწ. I, დავთ. 24, საბ.N9.
4. ცენტრალური საისტორიო არქივი, ძველი სიგელ-გუჯარე-ბის და დედნების, ასევე პირთა კოლექციები: ფ. 1448, აღწ. 1.ს. 130, 254, 5197, 3602, 6007, 68-69, 6896, 8800, 767; ფ.1449, 785, ფ. 1449, 785, ფ. 1450, 9/125, 33/355; 33/201, 46/8; ფ. 1461; 3/130
5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინ-სტიტუტის ფონდები: Hd-1305; Hd-2370; Hd-8479; Hd-10366; Hd-8802; Hd-2770, Hd-9380; Hd-2124; Hd-10381; Hd-8038; Hd-1534; Hd-14433; Ad-349; Ad-1700; Ad-91; Sd-495;
6. აჭარის სსცსა, ფ. 1, ან 1. ს. 765, ფურც. 17-18.

ინტერნეტრესურსები:

1. ihtpass.sda.gov.ge

სარჩევი

პირველი ნაწილი

შესავალი

1. **ისტორიოგრაფია .....**
2. **დიასამიძეთა საგვარეულოს წარმომავლობის საკითხისათვის.....**
3. **დიასამიძეები სამცხე-ჯავახეთის ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შენარჩუნებისა და უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.....**
4. **ჯვრით ღვთისა და ქვეყნის სამსახურში.....**
5. **დიასამიძეები აჭარაში ოსმალთა ბატონობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში.....**
6. **მუჰაჯირები .....**

   ა. „გურჯი დედე“ .....

   ბ. გიორგი დიასამიძე .....

მეორე ნაწილი

დიასამიძეები და ქართული მეცნიერება

მეცნიერებათა დოქტორები.....

1. ლევან დიასამიძე (1882-1969) .....
2. ოთარ დიასამიძე (1924-2013).....
3. ანზორ დიასამიძე (1939-2016).....
4. ბიჭიკო დიასამიძე .....
5. იაშა დიასამიძე.....
6. რევაზ დიასამიძე .....
7. ჟუჟუნა დიასამიძე.....
8. თეიმურაზ დიასამიძე.....
9. ანზორ დიასამიძე.....
10. ბეხრი დიასამიძე.....

11. რუსუდან დიასამიძე .....
12. კობა დიასამიძე.....
13. მზია დიასამიძე .....
მეცნიერებათა კანდიდატები, აკადემიური
დოქტორები.....
14. გუგული დიასამიძე .....
15. დავით დიასამიძე (ეკონომისტი) (1940–1998) არაა
სურათი .....
16. გენრი დიასამიძე (1940-2010).....
17. რევაზ დიასამიძე .....
18. ჯემალ დიასამიძე.....
19. ზურაბ დიასამიძე (1947-2007) .....
20. ალექსანდრე დიასამიძე .....
21. ასმათ დიასამიძე.....
22. ავთანდილ დიასამიძე.....
23. მალხაზ დიასამიძე .....
24. ეთერი დიასამიძე.....
25. ზვიად დიასამიძე .....
26. ხათუნა დიასამიძე.....
27. ივდით დიასამიძე.....
28. კახა დიასამიძე .....
29. ინგა დიასამიძე .....
30. მედეა დიასამიაძე .....
31. ლეილა დიასამიძე .....
32. მერაბ დიასამიძე.....

დიასამიძეები სახალხო განათლების სფეროში

1. იოსებ დიასამიძე .....
2. ლეილა დიასამიძე .....
3. (მერაბ დიასამიძე .....
4. ფერიდე დიასამიძე .....
5. ნიკოლოზ დიასამიძე .....
6. მავილე დიასამიძე .....

7. დავით დიასამიძე .....
8. გოგი დიასამიძე .....
9. მიხეილ დიასამიძე.....
10. იოსებ დიასამიძე.....
11. მერი დიასამიძე .....
12. ავთანდილ დიასამიძე .....

დიასამიძეები სახელმწიფო-პოლიტიკურ საქმიანობაში

1. სულეიმან დიასამიძე .....
2. მემედალი დიასამიძე .....
3. ლევან დიასამიძე
4. ჰურიე დიასამიძე.....
5. დავით დიასამიძე .....
6. ფრიდონ დიასამიძე .....
7. ისმეთ დიასამიძე .....
8. ნოდარ დიასამიძე .....
9. რევაზ დიასამიძე .....
10. ალექსანდრე დიასამიძე.....
11. მანანა დიასამიძე .....
12. რეზო დიასამიძე.....
13. ოთარ დიასამიძე .....
14. ალექსანდრე დიასამიძე.....
15. ლეილა დიასამიძე .....
16. თამაზ დიასამიძე.....
17. დიასამიძე მანანა .....
18. ბადრი დიასამიძე .....
19. ასმათ დიასამიძე .....
20. გიორგი დიასამიძე .....
21. ვაჟა დიასამიძე .....
22. ლევან დიასამიძე.....

დიასამიძეები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

1. ალექსანდრე დიასამიძე .....
2. ავნი დიასამიძე .....
3. ირაკლი დიასამიძე .....
4. ვლადიმერ დიასამიძე .....
5. ვახტანგ დიასამიძე.....
6. დურსუნ დიასამიძე .....
7. ლევან დისამიძე .....
8. ავთანდილ დიასამიძე .....

დიასამიძეები სამართალდამცავ სტრუქტურებში

1. იუსუფ დიასამიძე
2. ადამ დიასამიძე
3. მიხეილ დიასამიძე
4. ალი დიასამიძე
5. გივი დიასამიძე
6. გურამ დიასამიძე
7. რაჟდენ დიასამიძე
8. ზურაბ დიასამიძე
9. ვაჟა დიასამიძე
10. ჯუმბერ დიასამიძე
11. რამაზ დიასამიძე
12. ავთანდილ დიასამიძე
13. ფრიდონ დიასამიძე
14. ნიკოლოზ დიასამიძე

დიასამიძეები ქართულ კულტურასა და ხელოვნებაში:

1. ილია დიასამიძე .....
2. ნიაზ დიასამიძე .....
3. აბდულ დიასამიძე .....

4. ავთანდილ დიასამიძე .....
5. ლეილა დიასამიძე .....
6. ზურაბ დიასამიძე.....
7. გია დიასამიძე.....
8. ნიაზ დიასამიძე .....
9. ალექსანდრე დიასამიძე .....
10. ეკატერინე დიასამიძე.....

მხატვრული შემოქმედება

1. შოთა დიასამიძე.....
2. თამაზ დიასამიძე .....
3. თამაზ დიასამიძე .....
4. ნუკრი დიასამიძე .....

ჟურნალისტიკა

1. გრიგოლ დიასამიძე .....
2. ავთანდილ დიასამიძე.....

დიასამიძეები და ქართული სპორტი

1. გურამ დიასამიძე .....
2. ამირან დიასამიძე .....
3. მადონა დიასამიძე.....
4. ბადრი დიასამიძე .....
5. ნაირა დიასამიძე.....
6. ასმათ დიასამიძე.....

საზღვაო ნაოსნობა

1. ავთანდილ დიასამიძე.....
2. შაქრო დიასამიძე .....
3. აკაკი დიასამიძე.....

საბანკო და სამეურნეო საქმიანობა, ბიზნესი

1. ნიკო დიასამიძე .....
2. დავით დიასამიძე – გორის თავადაზნაურობის წინამძღოლი .....
3. დავით დიასამიძე .....
4. თევრათ დიასამიძე .....
5. თამაზ დიასამიძე .....
6. გურამ დიასამიძე .....
7. გულნარა დიასამიძე.....
8. იაშა დიასამიძე .....
9. ბადრი დიასამიძე.....
10. „ორი ზური“.....
11. რევაზ დიასამიძე .....
12. მინდია დიასამიძე .....

** დიასამიძეთა საგვარეულო კავშირი (ბ. დიასამიძე).....

*** მალე, დაბა ქედასთან ახლოს აგუგუნდება .....

წმ. ევდემოზის (დიასამიძე) სახელობის ეკლესიის ზარები (ბ. დიასამიძე).....

მშენებლებ-ორგანიზატორები

1. ისრაფილ დიასამიძე .....
2. რევაზ მუსას ძედიასამიძე .....
3. რევაზ მოედინის ძე დიასამიძე.....
4. მიხეილ დიასამიძე .....
5. თეიმურაზ დიასამიძე .....
6. ამირან დიასამიძე .....
7. გურამ დიასამიძე.....
8. ზაურ დიასამიძე .....
9. დავით დიასამიძე .....
10. მერაბ დიასამიძე.....

11. ჯემალ დიასამიძე.....
12. მერი დიასამიძე.....
13. დავით დიასამიძე .....
14. ამირან დიასამიძე .....
15. გელა მარუქაშვილი.....
16. გოჩა შერვაძიძე.....
17. დემურ დიასამიძე .....

ზეპირი ისტორიები .....
გამოყენებული ლიტერატურა .....

დიასამიძენი

ძველთაგან სამცხეს ბუდობდა ძველი და რიცხვმრავალი და სახელოვანი გვარი დიასამიძეთა.

1125 წლის დავით აღმაშენებლის ანდერძში სწერია: „ მაწყვერელი გვირგვინისონიანი არს. მისი სამწყსო ყვიბისი და სადგური არს, ხულ აწყვერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი გურიის წასადგომამდე.“

XIV საუკუნიდან დასამიძეთა გვარს ეკუთვნოდა მონასტერი თისელი, აწყურის მახლობლად და მამულები: თორს, სამცხეს და ჯავახეთს.

1516 წლის სამცხის თავადთა სიით, დიასამიძენი სასაფლაოთი, მონასტრით და კარის ეკლესიით, მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოში შედიოდნენ.

XVI საუკუნიდან სამცხეს ოსმალნი ეპყრობოდნენ. სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო ჯერ ოსმალთ მიემხრო, მერმე ყიზილბაშნი. მაშინ გაუფდნენ თავადი დასამიძენი ათაბაგს და სამცხეში ქართლის შეუპოვარი მეფე ლუარსაბ I მიიწვიეს. 1554 წელს სამცხეში ყიზილბაშთა შემოსევისას შაჰ-თამაზმა დაახოცინა მეფის ლუარსაბის მომხრე დატყვევებული მესხი დიდებულები, მათ შორის ვარძიის დამცველნი ვახუშტი და შერმაზან დასამიძენი. „ ხულსა დიდისა და სახელგანოქმულისა დასამიძისა შერმაზანისა შვენდოს ღმერთმან, მათსა მეცხედრესა ანასა, მათსა სიძესა ამილახორსა.“

სამცხეში ოსმალთა გამატონების შემდეგ, დიასამიძენი და მათნი აზნაურნი: მახვილაძენი, გობირეხვაშვილნი და ხუციშვილნი ქართლს შემოეფარნენ. დიდი ლიახვის ხეობაში, სოფელ საკაშეთს, ციხე უგიათ დასამიძეთ – ერთი რვოლი საქართველოს ჯაჭვის პერანგის.

1625 წლის 25 მარტს, გამთენიისას, მარტყოფის ველზე, იმ ოთხი თავგამწირული ქართველიდან, საკაძეს რომ ახლდა ყიზილბაშთა ბანაკში, ერთი – თავადი ელია დასამიძე იყო.

1638 წელს კათალიკოსმა ევდემოზ დასამიძემ შეოქმულება მოუწყო ურჯულო როსტომ ხანს და ქართლში კახთბატონი თეიმურაზ I მოიწვია. შეიტყო როსტომ ხანმა, შეიპყრო და ციხეში მოაკვლევინა დასამიძე ევდემოზ – კათალიკოსი ქართლისა.

1688 წლიდან საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად ისევ დასამიძეთა გვარის შვილი გამოჩნდა – კათალიკოსი იოანე.

მოყვრობა აქვნდათ დასამიძეთ სამეფო სახლთან. ბაგრატიონთა რძლები იყვნენ: დასამიძის შერმაზანის ასული, იმერეთის დედოფალი თამარ (1578–1585 წ.) და დასამიძის ლევონის ასული, კახეთის დედოფალი ელენე (1662–1675 წ.)

ქართლში თავადი დასამიძენი ინიშნებოდნენ: მორდლის, იასაულის, ბოქაულთუხუცესის, ასისთავის, ათასისთავის და ცხრისთავის თანამდებობებზე.

დასამიძეთას იტყვიან აზნაურნი დანდლიშვილნი და გვერდწოლელნი.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის დასამიძეთა გვარის მეომრები გამოდიოდნენ ერთთანა ქართული ლაშქრის მოწინავე სადროშოში, „ხოლო შემდგომად განყოფისა,“ ქართლის სამეფო ლაშქრის მემარჯვენე სადროშოში.

ამგვარად დასამიძენი ცხოვრობენ: სამცხე-ჯავახეთში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში და ტაო-კლარჯეთში. განსაკუთრებით მრავლად არიან აჭარაში.

საქართველოში დასამიძეთა დიდ-პატარის, ქუდოსან-ბანდლოსნის საერთო რიცხვი რვაასის აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს გვარი დასამიძეთა.

ალექსანდრე ნაზღაიძე
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
თბილისი. 1998 წ.

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com